

K 409
3

THE HISTORY OF THE
CITY OF BOSTON
FROM THE FIRST SETTLEMENT
TO THE PRESENT TIME

BY
NATHANIEL BENTLEY
OF BOSTON

~ 69(47,922)(09)

საქ. სსრ მუსიკარებათა უკრებიდა-ქართული ხელოვნების ინსტრუქტორის ინსტიტუტი

ივ. ჯავახიშვილი


მ. 2021-345745

12/3

მ ე ს ე დ ე ბ ი
ქ ა რ თ ვ ე დ ი ე რ ი ს
მ ა ზ ე რ ი ა დ უ რ ი კ უ რ ზ უ რ ი ს
ი ნ ს ტ რ ი ი ს ნ ა თ ვ ი ს

I

მეცნიერების ხელოვნება ძველ საქართველოში



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულებით

*Напечатано по распоряжению президиума
Академии Наук Грузинской ССР*

პასუხისმგებელი რედაქტორი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ნამდვილი წევრი პროფ. ნ. ბერძენიშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

83

წინასიტყვაობა	V
ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვები და სათაურები	VII
შესავალი	1

კური შირველი

საერო ნაგებობათა სახეობანი

1. საცხოვრებელი ნაგებობანი საშენებელი მასალის მიხედვით	5
2. საცხოვრებელი ადგილები [და ნაგებობანი ზოგადად	6
3. სასახლეების ტერმინები	10
4. სასახლის ნაწილების ტერმინები	16
5. საერო ნაგებობანი დანიშნულებისდა მიხედვით	19
6. საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებული შენობები	29

კური მეორე

ქალაქი და ვიის ნაგებობანი

1. ქალაქის დამახასიათებელ ნიშნები	32
2. ქალაქის მთავარი ნაგებობანი	40
3. ქალაქის სავაჭრო და საზოგადოებრივი ნაგებობანი	51
4. გზები და ხიდები	71

კური მესამე

საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები

1. საკულტო ნაგებობანი ზოგადად	72
2. ქრისტიანული საღვთისმსახურო ნაგებობანი	75
3. ტაძართა სახეები	76
4. მონასტრები და მათი ნაგებობანი	78
5. მონასტრების სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი	84
6. საკულტო დანიშნულების სხვა ნაგებობანი	89

კური მეოთხე

საკულტო ნაგებობათა ნაწილები

1. სააღმშენებლო ხელოვნების ზოგად ცნებათა ტერმინები	93
2. შენობის ნაწილები	103
3. საკულტო ნაგებობათა შინაგანი ნაწილები	115

კარი მეხუთე

სასახლის შინაგანი განაწილება

1. დარბაზი ანუ სამეფო სასახლე 120
2. სახუროთმოძღვრო ამოცანები სასახლის აგების დროს 129
3. სასახლის შინაგანი მოკაზმულობა 134

კარი მეექვსე

ნაგებობათა მასალა და მშენებლოგისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებანი

1. ხუროთმოძღვრის ამოცანები შენობის ასაგები ადგილის შერჩევისას . . . 138
2. მშენებლობის საქმე 142
3. ქვით ხურობა 144
4. ნაგებობის ტექნიკური თვისებების დამახასიათებელი ტერმინები . . . 148

კარი მეშვიდე

- ზით ხურობა საქართველოში 162

დამატებითი

- I. Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древнегрузинской литературе 177
- II. ძველი ქართული კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისა და თანამედროვე ქართული ხელოვნების ამოცანები 191
- III. ტერმინებისათვის (მოწმობანი) 213
- ძეგლების სახეობები 243

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი ერთი იმათგანია, რომელიც მისმა ავტორმა, აკად. ივ. ჯავახიშვილმა, თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო გამოქვეყნებინა. მუშაობა მასზე ჯერ კიდევ პეტერბურგში მოღვაწეობისას ჰქონია დაწყებული და ერთი ნაწილი, რომელიც აქ დამატებაშია მოთავსებული, რუსულ ენაზე იქვე გამოუქვეყნებია. „Христианский Восток“-ში. საქართველოს ძველი არქიტექტურის ტერმინოლოგიის გარკვეული ნაწილის სრული მიმოხილვა მაშინ ავტორს საჯარო ლექციებადაც წაუკითხავს თბილისში, როგორც ეს ჩანს ამ ლექციების ვრცელი რეზიუმედან, რომელიც გამოქვეყნებულია 1913 წელს „სახალხო გაზეთში“ (№№ 797, 800, 801 და 802). მასალების ძიებისა და ზოგიერთი ნაწილის დამუშავებისათვის განსვენებულ მეცნიერს ინტენსიურად მიუყვია ხელი იმ პერიოდში, როცა ის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში თანამშრომლობდა. აქვე მას 1939 წელს მუზეუმის მუშაკთათვის და ხუროთმოძღვრათვის ლექციების სერიაც წაუკითხავს შრომაში განხილულ ძირითად საკითხებზე, როგორც ეს ჩანს ნაწილობრივ გამარტული სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან; სასტამბოდ მას აღარ დასცალდა გაემზადებინა თავისი შრომა. ამრიგად, გამოცემისათვის გამოყენებულ იქნა, ერთის მხრით, თვით ავტორის ხელნაწერი ნაშრომი (რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა დროის ნაწერებსა და შენიშვნებს, ნაწილობრივ დამუშავებულთ გაბმულ თხრობად და ნაწილობრივ დამუშავებულთ, წინასწარი შენიშვნებისა და ამონაწერების სახით), და, მეორე მხრით, ლექციების სტენოგრაფიული ჩანაწერები. ამ ორი წყაროს ერთი-მეორის მიშველებით შეიქმნა შესაძლებელი ნაშრომს წინამდებარე სახე მიეღო. საფუძვლად მას, ძირითადად, განსვენებული მეცნიერის ხელნაწერი უდევს. არც გაბმული ტექსტი, არც ავტორის მიერ ნაწილობრივ ჩასწორებული სტენოგრამა სასტამბოდ მას არ ჰქონია გამზადებული. ამიტომ არც არის ამ მასალებში ნაშრომის უარებად ან თავებად დანაწევრება. იგი აქ რედაქციას ეკუთვნის.

დასაბუქლად გაუმზადებელ ტექსტს ენის მხრივ ადგილ-ადგილ ატყვია გაუჩარხველობა, რაც ზოგჯერ სხვადასხვანაირ გაგებას უწყობს ხელს. რასაკვირველია, თვით ავტორს რომ სასტამბოდ მოესწრო ნაშრომის მომზადება, ეს ადგილები დახვეწილი იქნებოდა. გამოცემაში მხოლოდ აშკარა ლაფსუსები გასწორებული.

ნაშრომს დავურთეთ დამატება. რომელშიც შევიდა შრომასთან თემატურად დაკავშირებული ცალკეული ნარკვევები: პირველი — რუსულად გამოქვეყნებული ადრეც, და მეორე — გამოუქვეყნებელი, რომელიც ხელნაწერადაცა და დასტენოგრამებულიც არის დაცული (ის ავტორის მიერ წაკითხული იყო ხელოვნების მუშაკთათვის). მესამე დამატებად წავიდა ის მასალა, რომელიც წარმოადგენს ავტორის მიერ ძველი ქართული ძეგლებიდან ამონაწერ მოწობებს (ციტატებს), რომლებიც, როგორც ჩანს, ძირითად ნაშრომში შესატანად უოფილა განზრახული. რადგან მათი ჩართვა სათანადო ადგილებში შეუძლებ-

ლი გახდა, ამიტომ ისინი მიზანშეწონილად იქმნა მიჩნეული, როგორც უალრგ-სად საყურადღებო მასალა, ანბნის რიგზე გაწყობილი დართოდა ნაშრომს.

წიგნში უხვად წარმოდგენილი ტერმინების ადვილად მოძებნის მიზნით, მას ტერმინების საძიებელი დაერთო. აქ შესულია, როგორც ავტორის მიერ-საგანგებოდ განმარტებული, ისე გაკვრით მოხმობილი საალმშენებლო ტერმინები..

საპატიო და პასუხსაგები ამოცანა, რომ ტექსტი სასტამბოდ მომზადებულ-ლიყო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ის-ტორიის ინსტიტუტმა მე დამავალა, როგორც ინსტიტუტის მატერიალური კულტურის ისტორიის განყოფილების გამგეს. ტექსტის გადაწერასა და განსვე-ნებული მეცნიერის ხელნაწერი მასალების მოძებნაში ყოველმხრივ მშველოდნენ-მისი შვილები: ნათელა და ალექსანდრე ჯავახიშვილები. ტერმინების სა-ძიებელი წიგნს შეუდგინა დასახელებული ინსტიტუტის თანამშრომელმა სარა ბარნაველმა. სპარსული წყაროების მოწმობანი შეაჯერა გამოცემებს-ლოც. ვლ. ფუთურიძემ, ხოლო ლათინურ-ბერძნული—დოც. თ. ყაუხჩი-შვილმა.

ილია აბულაძე

ქარაგმინი და უმეოკლავოული სიტყვებისა და სათაურების განმარტება

აბულ. = იუსტ. აბულაძის გამოცემა.

ათონის აღაბ. || ათონის კრებ. = ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი აღაბებით. საეკლეს. მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1901 წ.

აია სოფ. || აია სოფ. = „უწყება და თხრობა აღშენებისათვის დიდებულისა სიბრძნისა ღისა აია სოფისა ტაძრისა“ (E. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“ т. I, Тифлис 1902—1904).

ანა დ'ფლის ქ'ცა || ანა დ'ფლის ქ'ცა = ანასეული ქართლის ცხოვრება, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი 1942 წ.

არსენი კ'ზი „ც'ზა წ'ა ნ'ნსი“ = „ც'ა წ'ა ნინოსი“ არსენი კათალიკოზისა, საეკლესიო მუზეუმის გამოც. № 10.

არქ. მოგზ. = ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი“, I, თბილისი, 1907.

არქიპიერატიკონი || ძი არქიერატიკონი = K. Кекелидзе „Древне-грузинский Архиепратикон“, Тифлис, 1912.

Арх. экс. || Археол. экскурс. = E. Такайшвили, „Археологические экскурсии, разыскания и заметки.

აკ. || აქარ. = აქარის შინამრეწველობის მასალები, 1935 წ. შეკრებილი (გამოუქვეყნებელი).

ბაქ. || ბაქარ. = ბაქარის გამოცემა (ბიბლიისა).

ბერძენიშვილი, მცხ. საბ. XI საუკუნისა = იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე № VI, 1931 წ.

გ. კახ. || გ. კახეთი || გარ. კახეთი || გარე კახეთი = გარე კახეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

გ'ვრ'თა = გეოგრაფია ვახუშტისა (მ. ბროსეს გამოცემა, მ. ჯანაშვილის გამოცემა და თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის გამოცემა).

ფ. გორგიჯანიძე = ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, იხ. ქართლის ცხოვრება II, ჩუბინ. გამ., სპბ., 1854 წ.

გურ. = გურის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

დასტურლამალი = დასტურლამალი მეფე ვახტანგ VI-ისა, პ. უმიკაშვილის გამ., თბილისი, 1886 წ.

დიეგესის || Διήγησις = Διήγησις περί της οικουμένης των της μεγάλης της θείας ἐκκλησίας της επονομαζομένης ανίας Νοφίας (Bibl. Teubneriana. Scriptores-originiuin Constantinopolitanarum, rec. Th. Preger).

ვისრ. I გამ. || ვისრამიანი I გამ. = ვისრამიანის პირველი გამოცემა, ილია ქავჭავაძისა, აღ. სარაჯიშვილისა და პ. უმიკაშვილის რედაქციით, თბილისი, 1884 წ.

ვისრ. II = ვისრაჰიანის მეორე გამოცემა ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით, თბილისი, 1938 წ.

Voyage arch. || Voyage... rap. = Brosset „Voyage archéologique en Transcaucasie“.

ვულერს || Vullers = Vullers Joannis Augusti, Lexicon persico-latinnam etymologicum, Bonnae, 1855.

ზ. იმ. || ზ. იმერ. = ზემო-იმერეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ზ. რაჭ. || ზემ. რაჭა || ზემო რაჭა = ზემო რაჭის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ზ. სამ. = ზემო სამეგრელოს შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

თავდაღასავალი, = „თავდაღასავალი იესე ოსეს შვილისა“, ს. კაკაბაძის გამოც. თბილისი, 1913 წ.

თუშ. = თუშეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).
Известия др. писателей etc. = Латышев В. В. „Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе“ СПб. რუსეთის არქეოლ.-საზოგ. გამოც.

ი. კან. || И. Канонарь || Иер. кан. || Иерус. кан. = Кекელიдзе К. С. „Иерусалимский Канонарь VII века“ (грузинская версия), Тифлис, 1912 г. იერუს. განჩინ. = იერუსალიმის განჩინება იხ. ი. კან.

იერუს. წარტყ. = წარტყუენვად იერუსალჴმისაჲ, თქმული ნეტარისა სტრატეიკომონაზონისაჲ... Тр. წიგ. IX, 1909 წ. СПб.

ინგ. || სინგ. = საინგილოს შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ისტ. საბ. = „ისტორიული საბუთები“, ს. კაკაბაძის გამოცემა.

ისტრანი და აზმნი = თამარ მეფის ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი“.

კაკ. = ს. კაკაბაძის გამოცემა.

კახ. || კახეთი = შიგნით-კახეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

Keimena I = Monumenta Hagiographica Georgica, Parts prima, Keimena, Tom. I. editit prof. Cornelius Kekelidze, Tiflis 1918.

ლენჩ. = ლენჩხუმის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

მ. გ. = მეგრული გრამატიკა ი. კიპშიძეს „Грамматика мингрельского (иверского) языка, хрестоматия и мингрельско-русский словарь“ СПб. 1914.

მ. ჯ. გამ. = მოსე ჯანაშვილის გამოცემა.

Mat. || Матер. || Материалы по археологии Кавказа.

მატიან. კარტლ. = მათიანე ქართლისაჲ.

მატნე ქჲ || მტნე ქჲ = მათიანე ქართლისაჲ.

მთ. = მთიულეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

მთაწმიდელის თხზულება = გიორგი მთაწმიდელის თხზულება „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“.

მ-მ დ-ფლსი ქ-ცა = მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, ე. თაყაი-შვილის გამოცემა.

მუზ. მოამბე = საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

შ-ქცა ქ-დ = მოქცევა ქართლისად.

Опис. II = Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, შედგენილი ე. თაყაი-შვილის მიერ. Тифлис, 1906—1912 г.

ოშკ. = ოშკის დაბადება, ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერი.

პროზ. ზააქ. = პროზაული ზაქიანი (შაჰნაშე II, პროზა).

პროზ. შაჰნაშე II = იბ. შაჰნაშე II (პროზა).

რ. ს. ლ. = И. И. Нижарадзе «Русско-сванский словарь» (იბ. СМОМПК, вып. 41. Тифлис, 1913).

რ. церк. м. = рукопись церковного музея.

R. Raabe, Petrus der Iberer-Petrus der Iberer, eine Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts. Syrische Übersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie, herausgegeben und übersetzt von Richard Raabe, Leipzig, 1895.

ს. მ. ბ. № A 51 = საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი № A 51.

საბა || საბას ლექსიკ. = საბა ორბელიანის ლექსიკონი.

საბა ნინოწმიდელი = საბა ნინოწმიდელის მიტროპოლიტის პროვარტაგ-გუჯარი, საქ. სახელმწ. მუზეუმის ხელნაწერი.

საინგ. = იბ. ინგ.

საისტრ. კრ. || საისტორ. კრ. = საისტორიო კრებული, თბილისი, 1928.

საიუბ. გამოც. = საიუბილეო გამოცემა.

სამი ქ-კა || 3 ქ-კა = სამი ისტორიული ქრონიკა, ექვთ. თაყაიშვილის გამოცემა.

საქ. მ. ბ. № A 51 || საქ. მუზ. ბ. № A 51 (იბ. ს. მ. ბ. A № 51).

საქ. სამ. = საქართველოს სამოთხე, შიხეილ საბინინის გამოცემა, პეტერბურგი 1882.

საქს სძვლნი || ს-ქს სძვლნი || სქს სძვლნი = საქართველოს სიძველენი, ექვთ. თაყაიშვილის რედაქტ. გამოცემული.

Сборник мат. местн. и плем. Кавказа = Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

სვ. = ქვ. სვანეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვ.). სმზრტის ქ-კა = ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა... რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისმან.

სულხან მდივნის ხ. = სულხან მდივნის ხელნაწერი (დასტურალაშალი).

ს-ქს გ-გრფა = საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა.

ტოს მგზრობა || ტიმოთე || ტიმოთეს მოგზ. = „მოხილვა წმიდათა და სსუათა აღმოსავლეთისა აღვილთა ტიმოთესგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა“.

Tr = Тресты и разыскания по Армяно-грузинской филологии, რუს. სამეცნიერო აკადემიის ორგანო, ნ. მარის რედაქტორობით.

ფშ. || ფშავ. = ფშავის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ქ. იმ. || ქ. იმერ. || ქვ. იმ. = ქვემო იმერეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ქ. რაჭა || ქვ. რაჭ. || ქვემო რაჭა = ქვემო რაჭის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ქართ. = ქართლის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ქიზ. = ქიზიყის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

ქკბი || ქკბი || ქრკბი = ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოცემა.

შ. კახ. = შიგნით კახეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).

შავშეთ-კლარჯეთის მოგზაურობა = Н. Марр, „Дневник путешествия в Шавшетию и Кларджетию“, Tr. VII.

შატბ. ნინოს ცა || შატბერდ. ცაა ნინოსი || შტზსი წნს ცა || შტს წა ნინს ცა || შტს წა ნინოს ცა = შატბერდისეული კრებულის წმიდა ნინოს ცხორება (ორივე გამოცემა).

შაპნავაზ. = ფეშანგი „შაპნავაზიანი“.

შაპნაშე I = ფირდოუსი აბულ კასიმ, „შაპნაშეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები“... ტ. I, იუსტ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1916.

შაპნაშე II = შაპნაშე, ქართული ვერსიები II, იუსტ. აბულაძის, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, აკ. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1934.

შიომლ. საბ. || შიომლ. ისტ. საბ. || შიომღვიმ. საბ. = ისტორიული საბჭოთები შიომღვიმის მონასტრისა... თ. ჟორდანიას გამოცემა, 1896 წ.

ჩუბინ. ქრისტ. || ჩუბინ. ქრესტომ. || ჩუბინ. ქრსტ. = ჩუბინაშვილი დ., ქრისტომათია.

ჩხეიძე სეხნია || ჩხეიძე ს. = სეხნია ჩხეიძე „ცხოვრება მეფეთა“ (იხ. ქართლის ცხოვრება. ჩუბინაშვილ. გამოცემა, სპბ., 1854 წ.).

ცა გვლ ხნძთლდ || ცა გვლ ხნძთლდ || ცა გვლ ხნძთლდ = შრომად, და მოღუწებად ღირსად ცხოვრებისად... მამისა ჩუენისად გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისად, ნ. მარის გამოცემა, იხ. Tr. წიგნი VII.

ცა გი მთაწმდელსა = გიორგი ხუცეს მონაზონის თხზულება „ცხოვრებად... გიორგა მთაწმიდელისა“.

ცა დთ გრჯლსი = ცხოვრებად დავით გარეჯელისა.

ცა ვზტნგ გრგსრისა = ჯუანშერის თხზულებას „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“.

ცა იეზი და ეფთმსი || ცა იესი და ეფმსი || ცა იეზი და ეფზი = გიორგი მთაწმიდელის თხზულება „ცხოვრებად იოანესი და ეფთაქმესი“.

ცა მფთა = ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება მეფეთა“.

- ც^ა მ^თ მგ^სა ღ^თსი = დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებების „ცხო-
რება მეფეთ მეფისა და ვითისი“.
- ც^ა ნინოსი || ც^ა ნინოსი = ცხოვრება ნინოსი.
- ც^ა ნისიმესი = ცხოვრება ნისიმესი.
- ც^ა პეტრე ქართ., ასურ. ტექს. = ცხოვრება პეტრე ქართველისაჲ, იხ. Petrus der Iberer.
- ც^ა პეტრე ქართ., ასურ. ტექს. = ცხოვრება პეტრე ქართველისაჲ, გერმ. თარგ.,
იხ. Petrus der Iberer.
- ც^ა სრ^ანსი || ც^ა ს^ან^ა ზრ^ანსა = ბასილ ზარზმელის „ცხოვრება და მოქა-
ლაქობაჲ... სერაპიონისი“ (მ. ჯანაშვილის გამოცემა და კ. კეკელიძის გა-
მოცემა).
- ც^ა სჰმიონ მესუეტისაჲ = ცხოვრება სჰმიონ მესუეტისაჲ.
- ც^ა შიოსი = ცხოვრება შიოსი.
- ც^ა ჰაბ^არ ტფილელისა = ცხოვრება ჰაბო ტფილელისაჲ.
- ცენკერის თურქულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი = Dr. Julius Theodor Zen-
ker. „Turkisch-arabisch-persisches Handwörterbuch, Leipzig, 1866.
- ცისკარი = ჟურნალი „ცისკარი“.
- ძეგლი ერისთ. = „ძეგლი ერისთავთა“, ქრონიკები II.
- ძეგლის დად. ს. კაქ. = ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, ს. კაკაბა-
ძის გამოც., თბილისი, 1913 წ.
- ძ^ა არქიერატკონი = ძველი არქიერატკონი. იხ. არქიპიერატკონი.
- წ^ამბაჲ შუშანიკისი = წამებაჲ შუშანიკისი (ილია აბულაძის გამოცემა და ს. გორ-
გაძის გამოცემა).
- ქელიშ. || ქელიშური ვარ. = წმ. ნინოს ცხოვრების ქელიშური ვარიანტი (Оши-
сане II).
- ხ. A № 51 = საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი № A 51.
- Х. В. = Христианский Восток, რუს. სამეცნიერო აკადემიის ორგანო, აკად.
ნ. მარტის რედაქტორობით.
- ხ. კ. გ. || ხ. კ. ვარიგება = ვარიგება გელმწიფის კარისა, პროფ. ე. თაყაიშვი-
ლის გამოცემა (იხ. Monumenta Georgica, IV. Leges № 1, 1920 წ., თბი-
ლისი, უნივ. გამოცემა).
- ხალხ. პოეზ. = „ხალხური პოეზია“.
- ხევი = ხევის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).
- ხევს. = ხევსურეთის შინამრეწველობის მასალები, შეკრებილი 1935 წ. (გამოუქვეყნ.).
- Хроники II. იხ. კვ^ანი.
- ჯუანშერ. = ჯუანშერის თხზულება „ცხოვრება... ვახტანგ გორგასალისა“.
- * რიცხვის წინ — ხელთნაწერის გვერდსა ჰნიშნავს; მომდევნო „გვ.“ — მარტომ დე-
დაფლისეული ქართლის ცხოვრების ე. თაყაიშვილის გამოცემის გვერდს.

შესავალი

ცნობილია, რომ ქართული საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, სასახლე-ები (გეგუთს გარდა) და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა სა-ცხოვრებელი სახლები, და სხვადასხვაგვარი ძველი ნაგებობა, გადარჩენილი არ არის. მხოლოდ მიწის წიაღში ჩაფლული ნაშთების არქეოლოგიურ გათხრილობათა გამოძიებების შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ ქართული კულტურის ამ დარგის ისტორიისათვის ხელმოსაქიდი მასალები შეგვეძინოს. დმანისის ნა-ქალაქარის გათხრამ უკვე დასაწყისშივე მოგვცა საშუალება გავვეთვალისწინე-შინა ზოგიერთი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, მაგალითად, აბანოები და მარანი, ისე როგორც გეგუთისამ—წარმოგვედგინა მისი სასახლის გეგმა. მო-მავალი გეგმიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიება, იმედიც, შეცინიერებას ბევრს საყურადღებოს შემატებს. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, სანამ არ-ქეოლოგიური ფაქტები იმდენად დაგვიგროვდებოდეს, რომ ქართული საერო ხუროთმოძღვრების ზოგადი ვითარების წარმოდგენა შესაძლებელი გახდეს. მა-ნამდის-კი ქართული კულტურის ისტორიის ამ დარგში ჩვენი ცოდნის ისეთსა-ვე უმწეო მდგომარეობაში დატოვება, როგორშიც აქამომდე იყო, დანაშაულე-ბა იქნებოდა, მით უმეტეს, რომ საშველი არსებობს.

კულტურის ისტორიის შესწავლა ორი მიმართულებით უნდა სწარმოებ-დეს: 1. წერილობითი წყაროების მიხედვითაცა და 2. ნივთიერი ნაშთების გა-თვალისწინებითაც. სწორედ ამ პირველი გზითა და საშუალებით არის იმ დი-დი ნაკლის შევსება შესაძლებელი, რომელიც, საერო ქართული ხუროთმოძ-ღვრების ძველი ძეგლების დაღუპვილობის გამო, წარსულის ცოდნის ამ დარგში ასე საგრძნობია. ქართული უძველესისა და აყვავების ხანის საერთო ნაგებო-ბათა ზოგადი ვითარების გასათვალისწინებლადაცა და სააღმშენებლო ხელოვნების მაშინდელი დონის წარმოსადგენადაც არცთუ იმდენად მცირე და უმნი-შვნელო მასალები და ცნობები მოგვეპოვება, რომ მათი გამოუყენებლობის უფ-ლება გვქონდეს და გამართლება შეიძლებოდეს. მკვლევართ უნდა იცოდნენ მხო-ლოდ, თუ რა მასალები უნდა იყოს ამ მიზნით გამოყენებული და როგორ.

ჩვენი კვლევის საგანს ქართული ხელოვნების ისტორია შეადგენს, მაგრამ მხოლოდ ისტორიული ხანიდან მოყოლებული; ისტორიის წინა დროის ნაშთებს აქ განვებ ვტოვებთ განუზღველად. გამოკვლევაში თავმოყრილი იქნება ყველა ის მასალა, რომელიც უკანასკნელ დრომდის იყო შეგროვებული, და განსილული იქნება განსაკუთრებით იმ ცნობებისა და მიხედვითა და შედარებით, რომლებიც ჩვენს ძველ ქართულ მწერლობაში მოიპოვება ხელოვნებისა და მის დიად ძეგლ-თა შესახებ.

ამ სტრიქონების ავტორს მსურდა გამოერკვია, რამდენად შეესაბამება ქართული ხელოვნების ნამდვილ ვითარებასა და თვისებებს ის შეხედულება, რომელსაც წინათ იყო შემუშავებული და ეხლაც გაბატონებულია სამეცნიერო მწერლობაში. საუკეთესო შრომა ქართული ხელოვნების შესახებ ეკუთვნის გამოჩენილ მეცნიერს პროფ. ნ. კონდაკოვს, მაგრამ მას შემდგომ, რაც მან თავისი გამოკვლევა გამოაქვეყნა, ბევრი ახალი ნაშთი იქნა შესწავლილი. რასაც სხვა თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ნ. კონდაკოვის ცნობების შევსება უნდა გაეხადა საჭიროდ. კონდაკოვმა, უფაროვისამ და პავლინოვმა ქართული არ იცოდნენ, წარწერებისა და სხვა ქართული საისტორიო ცნობების წაკითხვა არ შეეძლოთ, და ამის გამო ვერც შესძლბდნენ წერილობითი საბუთების ცნობები თვით ძეგლებისათვის შეეფარდებინათ, ან ძეგლების ქრონოლოგიურ განსაზღვრისათვის გამოეყენებინათ. ამასთანავე, იმ ორიოდ გველეზარს-კი, რომელთაც ქართული იცოდნენ და იციან, არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ ერთი ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხისათვის--ხელოვნების შესახები სიტყვებისა და ტერმინების შეკრებისა და მათი მნიშვნელობის გამორკვევისათვის--და ამის გამო იმ ძვირფასი ცნობებისათვის, რომლებიც ხელოვნების ძეგლების შესახებ მრავლად არის გაფანტული წარწერებსა, საისტორიო თხზულებებსა, სხვადასხვა საბუთებსა, ნუსხებსა და მზითვის წიგნებში. მათთვის ჯერ არავის ხელი არ უბლია და ხელოვნების ისტორიის კვლევის დროს არ გამოუყენებია. საქმე-კი სწორედ აქიდან უნდა დაწყებულიყო და თავდაპირველად უნდა შეეკრიბნათ ყველა სიტყვები, რომელთაც ძველს ქართულ მწერლობაში ხმარობდნენ ხელოვნების სხვადასხვა დარგში, და გაეკათ მათი მნიშვნელობა მხოლოდ შემდეგ, აღჭურვილნი ყველა იმ ცნობებით, რომლებიც ქართული ხელოვნების შესახებ ძველ საბუთებსა და მწერლობაში მოიპოვება, შესდგომოდნენ თვით ნაშთებსა და ძეგლების შესწავლასა და დაფასებას. რაკი თავის დროზე ამისთვის თავი არავის შეუწყუხებია, ამის გაკეთება ეხლა მაინც აუცილებლად საჭირო იყო. ამიტომ ჩემს უმთავრეს მიზანს სწორედ ქართული ხელოვნების ძველი ტერმინების შეკრება და გამორკვევა შეადგენს, ხოლო შემდეგ ამ ტერმინების საშუალებით, ისტორიული ცნობებითა და შეკრებლი მასალების წიხედვით წარმოვადგინო ქართული ძველი ნივთიერი კულტურის დონე მის სხვადასხვა სფეროში].

გამოჩენილი გეოგრაფის სტრაბონის აგანი ვიცით, რომ ივერიაში მაღალხარისხოვანი კულტურა იყო, რომ მქიდიროდ დასახლებული ქვეყანა ქალაქები აა და დაბებთ იყო მოღენილი. არსებობდა სავაჭრო ადგილები და მოედნები, სადაც საზოგადო დაწესებულებების შენობები იყო აგებული, ხოლო კრამიტით დაბურულს სახლებს ზუროთმოძღვრების ხელოვნების წესზე აშენებდნენ. ამ ცნობის გამო ქართული ხელოვნების ისტორიისათვის, რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ წარმართობის დროინდელი ნაშთები აღმოჩენილი და შესწავლილი ყოფილიყო. მაგრამ ამ გარემოებისათვის ყური არავის უთხოვებია და, პირიქით, სამეცნიერო მწერლობაში ის აზრია გავრცელებული, ვათომც ქართული ხელოვნების ისტორია მხოლოდ ქრისტიანობის ხნითგან იწყებოდეს და ისიც მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული; ვითომც ამის წინა დროის ყველა დი-

ადი შენობები კავკასიაში მხოლოდ რომისა და ბიზანტიის ხელოვნებას ეკუთვნოდნენ (Копдаков, Русские древности, IV, გვ. 36). მაგრამ ეს აზრი არაფრით არ არის დასაბუთებული და საქართველოში მაინც ჯერჯერობით არც ერთი წარმართობის დროინდელი შენობა არ არის აღმოჩენილი და მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ ხანის ნაშთებს დედამიწის გული გათხრის დროს თვალწინ გადაგვიშლის, შეიძლება ამ საკითხისათვის მტკიცე საბუთები მოვიპოვოთ. მაინცადამაინც სტრაბონის სიტყვებიდან ჩანს, რომ საქართველოში მალახვარისხოვანი ხუროთმოძღვრების ხელოვნება რომაელების მოსვლამდე უნდა ყოფილიყო.

რაკი წარმართობის დროინდელი ნაშთები ჯერ არ არის აღმოჩენილი, ამიტომ იმ ხანის ქართულ ხელოვნების ხასიათზე ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება და ჩვენი შესწავლა უნდა ქრისტიანობის ხანიდან დაიწყოთ.

თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების დროს საქართველოს სხვადასხვა კულტურისან ერებთან (ასურელებთან, სპარსებთან, ბერძნებთან, რომაელებთან, არაბებთან) ჰქონია საქმე და მათი გავლენის ქვეშ ყოფილა. უეჭველია, მათთან გონებრივ კავშირსა და დამოკიდებულებას ხელოვნებაზედაც კვალი უნდა დაეჩნია. ხოლო რაკი ამ გავლენას ამასთანავე ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ხელოვნების დამახასიათებელი თვისებები შემოჰქონდა ხოლმე, უეჭველია, ამ ცნობას, ანუ ამა თუ იმ ხელოვნების დამახასიათებელ თვისებებს, ქართულ მწერლობაშიაც თავისი სახელი უნდა ჰქონოდა. სამეცნიერო მწერლობაში ამას „სტილ“-ს ეძახიან, ქართულად ამას „რიგი“ ერქვა. ეს შემდეგი მაგალითებით მტკიცდება: ვახუშტის თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ დროთა განმავლობაში ქართველთა როგორც ზეჩვეულება, ისე ხუროთმოძღვრებაც შეიცვალა, განსაკუთრებით მენობელ ერთა ზეგავლენით, რომ ქართველებმა მენობლების ხელოვნება შეითვისეს. და აი რას და როგორ ამბობს იგი ამ საგნის შესახებ: „თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ,—მათ ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან,—წყსნი რაიმე მათნი, არამედ ქართველნი (sic! ქართლელნი?) და იმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წყსნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა... ქართველთა და კახთა... სასახლეთა შენებანი მათივე (ე. ი. ყიზილბაშთა) რიგისა და არლარა ქართული, თჯიერ დარბაზისა, და მესხთა—ურუმთა რიგისა“ (ვახუშტი, სქს გეროც, გამოც. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილისა, გვ. 23; შდრ. მ. ჯ. გამოც., გვ. 21). იგივე ავტორი ქ. თბილისის აღწერილობაში გვამცნობს, რომ „კალას“ ციხეში ნაშენი პალატი მეფე როსტომმა მიატოვა და „თავისა თჯისათჯს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა“ (ibid. 52—53; შდრ. მ. ჯ. გამოც., გვ. 70). ამ ორსავე შემთხვევაში „ყიზილბაშთა რიგისა“ და „ურუმთა რიგისა“ უდრის სპარსულ „სტილს“ და ოსმალურ „სტილს“; ხოლო რაკი ევროპიული მწერლობითგან ამ უკანასკნელ დროს ქართულს მწერლობაში შემოტანილი ტერმინის „სტილის“ ხმარება აზრთა ორპოფობას იწვევს და ყურთა სმენას ეხამუშება, მასთან სიტყვა „სტილი“ ქართულში არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი საზომის ერთეულსა ჰქვია, ამიტომ

ჩვენთვის უკეთესია ისევ იმ ძველს ქართულ სიტყვას დაუბრუნდეთ და რიგი ზიზმაროთ, და ვთქვათ ხოლმე: ბერძენთა ანუ ბერძნული რიგის, სპარსთა რიგის, ბიზანტიელთა რიგის შენობა ან ხელოვნებაო.

შრომა რამდენიმე ნაწილად მექნება დაყოფილი: ჰირველად შევეხები ნაგებობათა სახეობის საკითხს: რა და რა ნაგებობანი არსებობდნენ საქართველოში და ცნობილი იყვნენ, რა მნიშვნელობა აქვს თითოეულ იმ სახელთაგანს, რომელიც ჩვენ ძეგლებში გვაქვს. როდესაც ზოგადად ეს გამოიკვეთილი გვექნება, მერმე გადავალთ სახუროთმოძღვრებო და სააღმშენებლო ტერმინოლოგიის განხილვაზე, ე. ი. ნაგებობათა ნაწილების მიმოხილვაზე: რამდენი და რა და რა ნაწილისაგან შედგებოდა თითოეული ნაგებობა, რა და რა სახელი ჰქონდა მას საუკუნეთა განმავლობაში; საიდან არის შემოსული—ადგილობრივია თუ უცხო—და რა ცვლილება არის მომხდარი დროთა განმავლობაში. როდესაც ეს ორი—საკითხი უკვე განხილული გვექნება, შემდეგ მსჯელობას ჩამოვადგებთ ტექნიკურ მხარეზე, ე. ი. საორგანიზაციო საკითხზე: როგორ იყო მოწყობილი შენების საქმე, როგორ აღგენდნენ გეგმებს, ვის ანდობდნენ ამის შედგენას, ვინ იღებდა მონაწილეობას აგებაში, რა ჰქონდა თითოეულ მათგანს დაკისრებული; რა და რა მასალას ხმარობდნენ, რა და რა მნიშვნელობა ჰქონდა თითოეულ ამ მასალას დროთა განმავლობაში; რომელი ხელოსანი თუ ხელოვანი იღებდა მონაწილეობას ამ აღმშენებლობაში, როგორი ტექნიკური საშუალებით, როგორი ქონებრივი სახსარი იყო საჭირო ამის განსახორციელებლად და რამდენი დრო სჭირდებოდა ამა თუ იმ ნაგებობას ასაშენებლად. როდესაც ამ მესამე საკითხსაც განვიხილავთ, მაშინ გადავალთ თვით ნაგებობათა ზოგად დახასიათებაზე, ე. ი. იმ ცნობების გარჩევაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორი იყო თვით ნაგებობა, როგორ იყო მოწყობილი, როგორ იყო გამოყენებული—როგორც საცხოვრებელი ბინა ან სახელმწიფო დაწესებულება, თუ სხვა დანიშნულებისათვის.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის იმ საფეხურზე, რომელზედაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, არა ერთი საკითხი რჩება გაურკვეველი. მომავალში მხოლოდ, როდესაც მრავალრიცხოვანი მკვლევრები აიღებენ ამ საგანს თავისი შესწავლის ობიექტად, სულ სხვა მდგომარეობა იქნება. ამჟამად ჩვენ მხოლოდ იმას გადმოვცემთ, რის გაკეთება შეუძლია ერთ ადამიანს და ისიც არასპეციალისტს ამ დარგში. ამ საკითხზე ვმუშაობ და ვმუშაობდი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისტორიკოსმა უნდა იცოდეს წარსული ცხოვრების ხორცშესხმული სინამდვილე, რასაც მარტო სიტყვიერი მასალით ისე კარგად ვერ წარმოიდგენს კაცი, როგორც ნივთიერი მასალით.

კარი ბირველი

საერო ნაგებობათა სახელობანი

1. საცხოვრებელი ნაგებობანი საშენებელი მასალის მიხედვით

ისტორიული ძეგლებითგან ჩანს, რომ საქართველოში იყო გავრცელებული სახეადასხვა მასალებითგან აშენებული ნაგებობანი; არსებობდა კლდეებში გამოკვეთილი საცხოვრებელი სახლები და მთელი ქალაქებიც-კი. წარმოიდგინეთ, ქართველ ისტორიკოსს ისე აქვს გათვალისწინებული საქმე, რომ უძველეს ხანაში სწორედ ამას მისდევდნენო. შემდეგ გვაქვს ცნობები ჯერ უქვითკირო და შერმე ქვითკირით აგებულ ნაგებობათა შესახებ.

კლდეში გამოკვეთილი საცხოვრებლის არსებობა ლეონტი მროველს აქვს საქართველოშიც ნაგულისხმევი. სპარსთა გმირის ქაინოსროსიან ვითომც ოტებულნი და საქართველოში შემოიხიზულნი „თურქნი“, რომ „განიყუნეს¹ ყოველთა ქალაქთა შიგან... უმრავლესნი მათგანი მოვიდეს და პოვეს ადგილი ერთი მცხეთას, დასავლით კერძო, კლდეთა შორის მოკუთეთლი, ღრმა. და მოითხოვეს ადგილი ერთი იგი მცხეთელთა მამასახლისითგან (sic). მისცა და აღაშენა იგი, მოზღუდეს მტკიცედ; და ეწოდა მას ადგილსა სარკინე“-ო (ცა მფთა, მმ დფლსი ქცა, *125, გვ. 12).

კლდეში კაფა და მუშაობა, ლ. მროველის სიტყვით, შემდეგშიც ყოფილა საქართველოში. მას ნათქვამი აქვს, რომ, როდესაც ვითომც ალექსანდრე მაკედონელისაგან გარემოცულ სარკინე ქალაქის მცხოვრებთ გაუჭირდათ, „იწყეს ფარულად კლდესა კაფა, და განჭურიდეს კლდე იგი, რომელი ლბილ იყო და ადვილად საჭურეტელი. და განკრბეს ჭურელსა მას სარკინელნი ღამე. და შეივლტოდეს კავკასად და დაუტევეს ცალიერად ქალაქი“-ო (ცა მფთა *113, გვ. 14—15). კლდეში გამოკვეთილ ნაგებობათა ხნიერების გასათვალისწინებლად საქართველოში საგულისხმოა, რომ ქართლის მოქცევის მატინის ავტორს „ციხს დიდი სარკინისაჲ უფლის ციხს“ საქართველოს უძველეს ციხეთა შორის აქვს დასახელებული (Опис. II, 708).

ლ. მროველის სიტყვით, ქვითკირით მშენებლობა საქართველოში ვითომც სპარსთა მეფის აფრიდონის წარმოგზავნილი არდამ ერისთავის, ნებროთის ნათესავთაგანის დროს გაჩენილა. ისტორიკოსი ამბობს: „ამან აღაშენა ქალაქი ზღვის კარს და უწოდა სახელი დარუბანი, რომელი ითარგმნების «დაჭმა კარი». და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვითკირითა (sic). და

¹ მუნი დფლსი ქცაშია განიყუნეს.

აქამამდის არა იყო ქართლსა შინა საქმე ქვტკირისა; ამის გამო დაისწავლეს ქვტკირი“-ო (ცა მფთა *111, გვ. 10).

რა სახელი ეწოდება იმ ნაგებობათა მთელ ჯგუფს, რომელზედაც ჩვენ უნდა გვექონდეს საუბარი, რომელთა დანიშნულება საცხოვრებლად გამოსაყენებელ ადგილს შეადგენდა?

2. საცხოვრებელი ადგილები და ნაგებობანი ზოგადად

საცხოვრებელი ადგილის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ჩვენ ძველად რამდენიმე სიტყვა მოგვეპოვება. პირველი იყო საყოფელი და სამყოფი. მაგალითად, მცხეთაში ამტყდარი დიდი ავდრის დროს, ნათქვამია ნინოს შატბერდისეულის ცხოვრებაში, „ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად. და ეცა მათ დროჲ, რაჲთა შეიპრუნენ კაცნი საყოფლად“-ო (Опис. II, 754). ცხადია, რომ საყოფელი აქ სწორედ სახლსა ნიშნავს, სადაც ადამიანს თავის შეფარება შეეძლო.

საყოფლის მაგიერ, მერმინდელს ძეგლებში უკვე სამყოფი გვხვდება. ამ ტერმინს ხმარობს ყოველთვის შოთა რუსთაველიც ვეფხისტყაოსანში. მაგალითად, მას ნათქვამია აქვს, რომ შინ შემობრუნებული ავთანდილი და დასახვედრად გამოსული შერმადინი დიდებულებითურთ „მოვიდეს, სადა სამყოფად სახლი დგა მუნ აგებული“ (აბულ. 614, კაკ. 637, საიუბ. გამოც. 676).

თუ აქ სამყოფი დამოუკიდებელ ტერმინად არ ჩანს, არამედ სახლის აღმნიშვნელობით არის გამოყენებული, სწავან რუსთაველს სამყოფი უკვე უცილობლად სახლის სინონიმად აქვს ნახმარი. სახელდობრ, მას თინათინსა და ავთანდილზე ნათქვამია აქვს: „სახლ-სამყოფი არა ჰპართებს, ცამცა გაიდარბა ზესა!“ (აბულ. 623,4, კაკ. 646, საიუბ. გამოც. 685).

საცხოვრებელ ადგილსა და ნაგებობას სადგომი-ც ეწოდებოდა და სადგური-ც. მაგალითად, „მატიანე ქართლისაჲა“-ში ბაგრატ IV-ზე ნათქვამია: „გარდამოვიდა მეფე ქართლად და ჩადგა დიდგორთა, რამეთუ საზაფხულო მეფეთა სადგომი¹ არს ადგილი იგი“-ო (შშ დფლსი ქცა, *502, გვ. 272—273; ანა დფლსი ქცა, გვ. 194). დავით აღმაშენებელზეც მისი ისტორიკოსი გვიამბობს, რომ მისი ტახტზე ასვლისას „სადგომი სამეფო წაღულის-თავსა“ ყოფილა თურმე (*520, გვ. 288, ანა დფლსი ქცა, გვ. 205).

სადგური იმავე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსვე აქვს ნახმარი: მეფემაო, ამბობს იგი, მუღმივე ჯარის შესაქმნელად იმიერ-კავკასიითგან საქართველოში გადმოყვანილსა და დასახლებულს „ყიფიყუთა... უჩინა საზამთრო სადგური“ (*544, გვ. 312, ანა დფლსი ქცა, გვ. 221). ყიფილები მიჩვეული იყვნენ მომთაბარეობას და რათგან მეფემ ისინი ცხენოსანი ჯარის შესაქმნელად გადმოიყვანა, მათ ცხენებიც უნდა ჰყოლოდათ და როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო სადგომიც დასჭირდებოდათ. სწორედ ამიტომაც არის აღნიშნული, რომ

¹ ანა დფლსი ქცაშია: სადგური.

„ყოფიყთა უჩინა საზამთრო სადგური“-ო. ქართველი ეპითაოლოგის სიტყვითაც „ბარდაეს... იყო საზამთრო სადგური“ (მშ დ'ფლსი ქ'ცა, *837—838, გვ. 683).

ამგვარად, ერთსა და იმავე ხანაში ერთი მხრით გვაქვს სადგომი, მეორე მხრით სადგური; ცხადია, რომ ამ ორ სიტყვას შორის რაღაც განსხვავება უნდა ყოფილიყო. სადგომი, საფიქრებელია, ადამიანსათვის განკუთვნილს საცხოვრებელს წარმოადგენდა, სადგური-კი უფრო ან ცხოველთან დაკავშირებულს, ან საგნებთან დაკავშირებულს, სადაც ან სდგამდნენ რამეს, ან ჰყავდათ საქონელი. ამნაირად, სადგური განსხვავდება სადგომისაგან, თუმცა ეს განსხვავება ზოგიერთ ძეგლებში მთლად არა ჩანს.

სადგომიცა და სადგურიც, როგორც განკუთვნილობით, ისევე დანიშნულებითაც განსხვავდებოდა და ამისდა გვარად შესაფერისი ტერმინებიც არსებობდა. განკუთვნილობის მხრით არსებობდა, მაგალითად, მეფეთა სადგომი ანდა სადგომი სამეფო (ც'ა მფ'სა დ'თსი *520, გვ. 288, ანა დ'ფლსი ქ'ცა, გვ. 205; მტ'ნე ქ'ა *502, გვ. 273, ანა დ'ფლსი ქ'ცა, 194), ხოლო დანიშნულებისდა მიხედვით იყო საზაფხულო სადგომი (მტ'ნე ქ'ა *502, გვ. 273; ანა დ'ფლსი ქ'ცა 194) და საზამთრო სადგური (ც'ა მფ'სა დ'თსი *544, გვ. 312, ანა დ'ფლსი ქ'ცა, გვ. 221 და ეპითაოლ. *837—838, გვ. 683).

საზამთრო სადგურსა და სადგომს გარდა მარტივად საზამთროც იხმარებოდა. ესლა ჩვენ ეს ტერმინი უცნაურად ვეჩვენება, მაგრამ ძეგლებში ასეა ნახვარი. გიორგი ბრწყინვალეს «ძეგლის დადება»-ში აქვს ნათქვამი—„მოვედით მუხრანს საზამთროსა ჩუენსა“-ო (შესავ.), ე. ი. მოსულა მუხრანს, სადაც გიორგი ბრწყინვალეს საზამთრო სასახლე ჰქონია და სადაც ზამთარში იმყოფებოდა ხოლმე.

აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი ადგილისა და ნაგებობის გამოსახატავად უძველეს ძეგლებში ტერმინი ვანი გვხვდება, რომელიც შემდეგში სრულებით ქრება და ქართულ მწერლობაში უკვე აღარა ჩანს. ამ სიტყვიდან ნაწარმოები ზმნა დავანება-ც არსებობდა, ისევე როგორც არსებითი სახელი და ტერმინი სავანე-ც (ესლაც არსებობს ზემო-იმერეთში სოფელი, რომელსაც სავანე ეწოდება). ეს სიტყვები «დაბადება»-შივე გვხვდება: „არა დავივანე სახლსა შინა რლთაგან დღეთა გამოვიყვანნ ძენი ი'შლისანი ქ'ყნით ეგზბით დღემდე ამის, არამედ ვიქმენ მსლველი სავანეთა შორის და კარავსა შინა“ (2 მეფ. 7, 6: ბაქ.). დავანება უდრის ბერძნულს *ἄσκησις* ლათინურს *habitare*-სა და სომხურს *բնակել*-ბნაკელ-ს, სავანე-კი ბერძ. *ἄσκησις*, ლათინ. *tabernaculum*-სა და სომხ. *խլայան*-იჯავან-ს ეთანასწორება.

ტერმინი ვანი, როგორც უკვე ს. ორბელიანს ჰქონდა აღნიშნული, «საქმე მოციქულთა»-ში მოიპოვება, სადაც ნათქვამია: „ჰკითხვიდეს, უკუეთუ სიმონისი; რომელსა ჰრქვან პეტრე, ვანი აქა არსა?“ (10, 18) [ე. ი. ჰკითხავდა, სიმონის, რომელსა პეტრე ჰქვია, სახლი აქ არისო?]. ეს ტერმინი მარკოზის 8, 3-შიც გვხვდება (მაგრამ რაიზისა და ტბეთისაში), სადაც ნათქვამია: „მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღს არს, ვინათგან ესენი ჩემ თანა დადგომილ არიან და არაა აქუნს, რამცა ქამეს და უკუეთუ განუტევენ უზმანი ვანად

მათა, დაჰქსდენ გზასა ზედა“. ჰადიშის ხელნაწერში, ვანად მათა-ს-ს მაგიერ, წერია სახიდ თჳსა (იხ. ბლეჯკის გამოც., შდრ. „ძველი ქართ. ენის ძეგლები“, 2, გვ. 139, აკ. შანიძე, ქართ. ოთხთავის ორი ძველი რედაქცია)¹.

ამრიგად, ვანი უდრის სახლს და ეთანასწორება, ერთი მხრით, ბერძნ. ბ ომიჯ-ჰ ო რ დ კ ო ს-ს, ლათ. domus-სა და სომხ. *տուն*-ტუნ-ს (მარკ. 8,3) და, მეორე მხრით, ჯავახი-ქსენიძე და ლათ. hospitium-ს (საქმე მოციქ. 10,18); სამხურად-კი ესევე აზრი სხვანაირად არის გამოხატული და ამიტომ ზედმიწევნითი შესატყვისობა იქ არ მოიპოვება.

საყურედღებოა, რომ ვანი მარტო ნათარგმნ ძეგლებში-კი არ გვხვდება, არამედ ქართულ იმ საისტორიო წყაროებშიც, სადაც საქარზველოს ყოფაცხოვრებაა აღბეჭდილი. აქამდე მაგალითები მოგვყავდა ნათარგმნი თხზულებებიდან, ეხლა მოვიყვან V—VI სს-ის ქართულ საისტორიო წყაროებს, რომლებშიც სწორედ იგივე სიტყვა არის ნახმარი.

შინა-კაცის ჩვეულებრივი საცხოვრებელი ბინის სახელად V ს. საქართველოში ვანი იყო და სახლი, რომელსაც უფრო ზოგადი შემკრებლობითი მნიშვნელობა ჰქონდა და ყოველგვარს საცხოვრებელს ჰკულისხმობდა. იაკობ ხუცესის მოთხრობილი აქვს: „ეპისკოპოსი იგი სახლსიანა მის პიტიახში-სადა... არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე... ვანად მისრულ იყო... და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა-გვყვანდი ეპისკოპოსსა მას“²—აო (წმბდ შუშანიკისი, გვ. 3; შდრ. ილ. აბულაძის გამოც., III 1—4).

მეორეგან მასვე აღნიშნული აქვს, რომ „შუშანიკის საპყრობილეში ფარულად ნახვისა და საუბრის შემდგომ, გამოვედი, „ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდაო“—ო (წმბდ შუშანიკისი, გვ. 13; ილ. აბულაძის გამ., X, 16).

ამგვარად, ვანი იმ დროს ჩვეულებრივი სიტყვა არის სახლის, ბინის აღსანიშნავად. შემდეგში ეს სიტყვა ქრება. არც მეცხრე, არც მერმინდელ საუკუნეების ძეგლებში ვანი არა გვაქვს. მაგრამ შერჩენილი გვაქვს როგორც გეოგრაფიული სახელი; სოფლები არის, რომლებსაც ვანი ეწოდება. არსებობდა ქალაქიც ვანი—ხალდეზის დედაქალაქი. გარდა ამისა მთელს ქვეყანას კასპის ზღვისაკენ ეწოდებოდა შარვანი. შარვანი შედგება შარ და ვან-ისაგან: ვანი საცხოვრებელ ადგილს ნიშნავს, შარ-კი იმ ტომის ზოგადი სახელია, რომელიც იქ ცხოვრობდა; ეს იგივე სახელი არის, რომელიც სარმატების, შარტგმების სახელში გვაქვს დაცული. ამნაირად, ვანი საყურადღებო და, უეჭველია, ძალიან ძველი სახელია. ის გარემოება, რომ ეს ტერმინი შემდეგში ქრება, ცხადყოფს, რომ მისი ცოცხალი არსებობისა და გავრცელების ხანა უკვე მიუვლიდა. შემდეგ საუკუნეებს აღარ სცილდება და ამაზე უწინარეს ყოფილა იგი ქართლში გაბატონებული. ამრიგად, ძეგლებიც, რომლებშიაც ასეთი ტერმინები გვხვდება, უცილობლად ქართული მწერლობის უძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

¹ სხვა მოწმობანი ბიბლიიდან ნ. საძიებელში სიტყვა ვან-ზე.

² პიტიახში თანამდებობის სახელი არის, თემის მმართველის სახელია, დაახლოებით ქრისტავს უდრიდა. აი, ამ პიტიახშის ეპისკოპოსი შინ-კი არ იყო თავის სახლში, არამედ „ვანად მისრულ იყო ვისამე კაცისა“. ე. ი. რომელიც კაცის სახლში იყო მისული და მეც თან ვყავდლო.

აღნიშნულ ხანაშივე გვხვდება ჩვენ სახლიც. სახლი ძველადაც ფართოდ გავრცელებული სიტყვა იყო. ის ეხლაც შენარჩუნებული გვაქვს. სახლი მაინც უფრო ფართო მნიშვნელობის მქონებულია, ვიდრე ვანი. იმ დროს, როდესაც ვანი მხოლოდ ბინისა და სახლის, ე. ი. ნივთიერი ნაგებობის აღმნიშვნელი იყო, სახლი გულისხმობდა როგორც თვით ნაგებობას, ისე ნაგებობაში მცხოვრებ მოსახლეობას, ოჯახს და სავაჭარეულოსაც-კი. აქეთვან არის წარმომდგარი ნათესაობის აღსანიშნავად მიღებული გამონათქვამი—ჩემი სახლი ის-კაციო. სახლში სა-თავსართი უნდა იყოს. ამას მეგრული და ქანური შესატყვისი—ოხორე ცხად ყოფს, სადაც ო თავსართია და ხორ-ე—ძირი. ამისდა მიხედვით სახლ-შიც სა-თავსართია, ხლ—ძირი, რომელიც აქ ხმოვან დაკარგული უნდა იყოს. უეჭველია, აქ იგივე ძირი გვაქვს, რომელიც წარმოდგენილია ამგებისა და აგების გამომხატველს სიტყვებში—ხურო-სა და ხურო-ობა-ში. სახურავი-ც რომ გვაქვს, იმავე ძირის სიტყვაა. ეს ძირი ძალიან ძველია, რომლის პარალელები კავკასიურ ენებშიც მოგვეპოვება.

ამგვარად, ეს ორი ტერმინი ლექსიკური მარაგის ძველ ფენას ეკუთვნის. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ ვანის სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია. არსებობს სპარსულშიცა და სომხურშიც. სომხურში უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქართულსა და სპარსულში. ეტიმოლოგია როგორი იქნება, ეს მომავლის საკითხია. რადგანაც იმ ქალაქს—ტუსპას, რომელსაც შემდეგში ვანი ეწოდებოდა, ისეთ ხანაშიც ჰქონდა მსგავსი სახელი, როდესაც სპარსელები ჯერ კიდევ საისტორიო ასპარეზზე გამოსული არც-კი იყვნენ (მაშინ მას ბიანა ეწოდებოდა), ერთგვარ სიფრთხილეს გვიკარნახებს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი ეტიმოლოგიაა შესაძლებელი, წამოყენებული იყოს ამ სიტყვისათვის.

თუ მოზრბრბლს, ჩვეულებრივს საცხოვრებელ სადგომს სახლი ერქვა, პატარას სახლაკი ჰქმევია. იაკობ ხუცესის სიტყვით, შუშანიკმა რომ ქმრის გამაზღვიანობის შემდგომ სასახლეს თავი მიანება, ეკლესიითგან შინ-კი აღჯრ დაბრუნდა, არამედ, „ვითარცა აღასრულეს მწუხრისა ეამი, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა... და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწართა ცრემლითა ტიროდა“-ო (წმმა შუშანიკის, გვ. 3; შდრ., ილ. აბულაძის გამოც., II, 26).

როგორც ვხედავთ, სახლაკი პატარა სახლის აღმნიშვნელია. სახლი მაშინ სხეანაირი იყო. ძველად სახლს ისე არ აწენდნენ, როგორც შემდეგში და როგორც ჩვენ წარმოვიდგენია. სახლი და შენობა სხვადასხვანაირი იყო, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელი ჰქონდა. ერთერთ ასეთ სახელად შინაგანი სახლი ყოფილა მიღებული. როგორც სახელითგანაც ჩანს, შინაგანი სახლი შუაგულში მოთავსებული უნდა იყოს. ეს სიტყვა და გამონათქვამი გიორგი ხუცეს-ს მონაზონს. აქვს ნახმარი იქ, სადაც აწინკანთა გრძნეულების ამბავი აქვს მოთხრობილი.

აწინკანები მწვალელებად ითვლებოდნენ და გრძნეულებად იყვნენ მიჩნეული, ე. ი. ეგვიპტე, რომ მათ შეუძლიათ შეულოცონ რაიმე საგანს და მით რაიმე დაეპართებოდა იმას, ვისაც გადაუგდებდნენ. მაგალითი ძალის შესახებ

არის მოყვანილი. როდესაც გიორგი მთაწმიდელი ბიზანტიის კეისართან იყო, მივიდნენ აწინკანები. მათ უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ მათ ასეთი ძალა აქვთ. გიორგი მთაწმიდელმა მოისურვა იმის დამტკიცება, რომ სიფლიდისა და თვალთმაქცობის მეტი აქ არაფერი იყო. მოთხრობაშიც ისეა ნათქვამი, რომ მართლაც მოახერხა მან ამის დამტკიცებაო. აწინკანებმა გადაუდგეს ვითომ შელოცვილი ხორცთ, რისგანაც ძალდი უნდა მომკვდარიყო, მაგრამ ძალდი არ მომკვდარა. რადგან ბაგრატ მეფის წინაშე იმავე დარბაზში მყოფმა გეოგი მთაწმიდელმა მათი ვითომცდა გრძნეულება გააქარწყლა, ამიტომ, მისი გავლენის თავითგან ასაქილებლად, ნათქვამია აქ: აწინკანები „ევედრნეს მეფესა, რათა შინაგანსა სახლსა შეველინოს ბერი იგი“-ო¹ (ც^ა გ^ი მთაწმ^დლსა, გვ. 304).

შინაგანი სახლის გარდა ჩვენ გვაქვს კიდევ სხვადასხვა სახლები—შუა სახლი, ალაყაფის შუასახლი (დასტურლამალი 5) და სხვა ამის მსგავსი: ალაყაფის აივნის შუასახლი (ib. 5), ახალი სასახლე, ახალი შანიშინი (ib. 5), კასრი, რომლის შესახებ ს. ორბელიანი ამბობს, რომ კასრი იყო „სახლი მომცრო სათავის წინაო“ (ლექსიკ.).

მ. სასახლეების ტერმინები

სახლების დანიშნულების მიხედვით სახლებიც განსხვავდებოდა. ვარსკენ ქართლისა პიტიახშის ტაძარში, სასახლეში, როგორც ჩანს, მისი მეუღლისათვის ცალკე საცხოვრებელი ბინა ყოფილა, რომელსაც სწოდებია სახლი სადელოფლ. ქმრის გამაზღვრების გამო სასახლეთგან სხვაგან გადასულ შუშანიკისათვის მის მაზლს, ჯოჯიკს, რძლის შინ დაბრუნებაზე დასათანსებლად უთქვამს: „ნუ წარსწყმედ სახლსა ამას სადელოფლოსა“-ო (წმ^ად შუშანიკისი, გვ. 6; შდრ. ილ. აბულაძის გამოც. V, 20). ამ სადელოფლოსა სახლს, როგორც მომდევნო მოთხრობითგან ირკვევა, ვალაჰი-ც ჰქმევია. იაკობ ხუცესს მოთხრობილი აქვს, რომ, როდესაც ხანგრძლივი ხეყწისა და შრავალი დასაჯერებელი სიტყვის დახარჯვის შემდგომ ჯოჯიკს შუშანიკის შინ წაყვანა მოუხერხებია, შუშანიკი, „რათამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თჳსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა“-ო (იქვე; 7; V, 30), ე. ი. კი არ დაჯდა თავის გალიაკს, იმ ოთახში, რომელშიც ის ჩვეულებრივ იმყოფებოდა, არამედ პატარა ოთახში (სენაკი მაშინ ოთახს ნიშნავდა). „გალიაკო“ მხოლოდ ამ ძეგლში გვხვდება, ხოლო „სახლი სადელოფლო“-სხვაგანაც (ეშთომწორი *779, გვ. 612).

გალიაკი უცნაური სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ მაშინ ცოცხალი სიტყვა ყოფილა. „გალიაკი“, ანუ „გალიაკი“, როგორც ს. ორბელიანსაც ჰქონდა უკვე აღნიშნული (ლექსიკ.), ეზეციელის 19,9-ში გვხვდება, სადაც ნათქვამია: „შეპყრობილ იქმნა, და დადგეს იგი ჳიმიითა და გალიაკითა... და შეიყვანეს იგი საპყრობილედ“-ო. გალიაკი აქ უდრის ზერძულს ჳ ვალაჰი: „ჳე გალიაკა“-ს, ლათინ. cavea-ს და სომხ. գաղապիլ—„გარაგილ“-ს.

¹ ე. ი. სთხოვეს ბიზანტიის კეისარს, რომ გიორგი მთაწმიდელი ეხოს საგნით მდგომ სახლში სადმე შეეწყვიდით და მაშინ უეჭველად მოხდებოდა ის, რასაც ისინი ამბობდნენ.

სამივე გალიას ჰქონდა, ამასთანავე სომხური ბერძნულითგან ნასესხები სიტყვაა, ისევე, როგორც ქართ. გალიაკი-ც, რომელიც ზებირად, უშუალოდ ბერძნულითგან უნდა იყოს ნასესხები და გალიაკი-საგან იქნება რას გაქრობით წარმომადგარი. როგორც ცნობილია, ეს სიტყვა ეხლაც ცოცხალი სიტყვაა, მას მხოლოდ დროთა განმავლობაში ეი-დ აქვს შენაცვლებული და ბოლოკიდური —კი-ც დაუქარგავს.

გალიაკი გალიასა ნიშნავს, შეიძლება ის რკინისაც ყოფილიყო, ამიტომ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, როდესაც ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ თავის გალიაში არ დაჯდა შუშანიკო. ცხადია, იაკობ ხუცესი მას გალიად არ გულისხმობს. ქართულში მას თავისებური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. როგორ უნდა გავიგოთ იგი ეხლა? ბერძნულად ის გალიას ნიშნავს, თანამედროვე გაგებითაც გალია გალია არის, იქ ამწყვედევნ ცხოველს, ფრინველს. ადამიანისათვის მას მხოლოდ სასჯელის მნიშვნელობა თუ ექნება, მაგრამ თვითონ შუშანიკი ამ გალიაში მჯდარა და თავის თავს რისთვის დასჯიდა! რომ ეს ჩვენთვის გასაგები გახდეს, უნდა გავითვალისწინოთ ქალის მაშინდელი მდგომარეობა. შუშანიკის მარტილობაში მოიპოვება ერთი ფრიად საყურადღებო წინადადება, რომელსაც თვით შუშანიკი ამბობს. მახდენები და შუშანიკის მეუღლე ვარსკენი რომ მოვიდნენ სტუმრად, ვარსკენს უნდოდა, რომ შუშანიკი გამოსულიყო და ნადიმი გაემართა მათთვის. იმ დროს შუშანიკი ისედაც გულმოსული იყო თავის ქმარზე, არ სურდა მასთან ერთად ყოფნა და წამოიძახა, —სად გავგონილა, რომ ქალი და კაცი ერთად იყვნენო. გალიაკის სახელი ცხად ყოფს, რომ ქალს ჰქონდა თავისი სადგომი, სადაც სხვას, გარეშე პირს შესვლა არ შეეძლო, ე. ი. ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც შემდეგში მაჰმადიანობის გავრცელების შემდეგ ე. წ. არამხანას მიენიჭა; ქალებისათვის ცალკე შენობა იყო, მამაკაცებისათვის ცალკე, უცხო კაცს იქ შესვლა არასაგებოდა არ შეეძლო. ქართულ ძეგლებში ასეთი ტერმინი როსტომის ხანაძღე არ მოგვეპოვება. როსტომმა, როგორც ცნობილია, შემოიღო უკვე სპარსული და მაჰმადიანური წესები, თავისი სასახლეები სრულებით სხეანაირად მოაწყო და სწორედ იმ დროს ჩნდება ეს მაშინდელი მდგომარეობისათვის ფრიად დამახასიათებელი ტერმინი. იესე ოსეს შვილს თავის „თავგადასაგალ“-ში თეიმურაზ მეორის შესახებ აქვს აღნიშნული, რომ „შიგნით არ მის სასახლე“ იყო. თექვსმეტი წლის იესე ოსეს შვილს თვითონ უნახავს, როდესაც თეიმურაზ მეფე იქ დასახლებულა («თავგადასაგალი», გვ. 11). არმის სასახლე არამხანას უდრის და ძველი გალიაკი უქველად ასეთივე მნიშვნელობის მქონებელი უნდა ყოფილიყო.

საბას, ეჭვიელის ზემომოყვანილს ადგილზე დაყრდნობით, განმარტებული აქვს, რომ გალიაკი იყო „გალია კაცთა საჯდომი“ (ლექსიკ.), და ამ განმარტების, პირველი სიტყვის გამოკლებით, სისწორის დასამოწმებლად იაკობ ხუცესის უკვე მოყვანილი ცნობის გამოყენებაც შეიძლებოდა. იქითგან ჩანს, რომ საქართველოში, V ს-ში გალიაკი მართლაც საჯდომი ადგილის სახელიც ყოფილა, მაგრამ მხოლოდ ქალებისათვის განკუთვნილი. ეს გარემოება საგულისხმოა და საყურადღებო. რაკი გალიაკი ბერძნულადაც და ქართულადაც

ძველად გალიას ჰნიშნავდა, ამიტომ სადედოფლო ბინის სახელად ამ ტერმინის გამოყენება გეაფიქრებინებს, რომ სასახლის ეს ნაწილი გარეშე პირთათვის შეუღალი და განცალკევებული უნდა ყოფილიყო.

ჩვეულებრივი სამეფო და სადედოფლო სხსლებს გარდა არსებობდა აგრეთვე სახლი სალხინო. ვახტანგ V დროს ტფილისში იღვა—

„სახლი სალხინოდ ნაგები, მტკუარს ადგა ტურფა თალარი, ფრანგ ოსტატთაგან ნაგები, მათგანვე განათალარი, ჰკრეს მათნი ჳელოვნებანი, მომართეს ამო თალარი...“.

(შაჰნავაზ., § 185).

ამგვარად, „სახლი სალხინოდ ნაგები“ ნიშნავს სახლს, რომელიც აგებული იყო მხოლოდ ლხინისათვის. სალხინო სახლს, ცხადია, სხვანაირი აგებულობა უნდა ჰქონოდა, ვიდრე საცხოვრებელ სახლს. აქეთგან არის წარმომდგარი ტერმინი „სალხინო“. საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი შემდეგ გეოგრაფიულ სახელადაც იქცა და სოფელიც კი არსებობს—სალხინო.

ისევე, როგორც სალხინო სახლი, არსებობდა აგრეთვე საქვრივო სახლიც. დაბადებაში ნათქვამია: „დაჯდა თამარ საქურივოსა შინა სახლსა (2 მეფეთა 13, 21) [„დაჯდა თამარ ქურივობით სახლსა შინა ძმისა თსისასა აბესალომისსა“.— A № 51]. ბერძნულსა და ლათინურს „დაბადება“—ში საქურივო სახლი არ მოიპოვება. როგორც სალხინო სახლი, ისევე საქურივო სახლიც, ცხადია, თავისებურად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რამდენადაც ის გლოვისთან იყო დაკავშირებული. გლოვის დროს, მაგალითად, სინათლე, რაც შეიძლება, ნაკლები უნდა ჰქონოდა სახლს, რაც აგრეთვე იმს გვეყარაუდებინებს, რომ ის თავისებურად იქმნებოდა გამართული. ამგვარად, ამ ნაგებობასაც თავისი განსაკუთრებული თვისებები უნდა ჰქონოდა.

აღნიშნულთ გარდა მოგვებოვება აგრეთვე ტერმინი სამდივნო სახლიც: „ბატონიშვილი ვახტანგ... ოთხშაბათსა და პარასკევსა დაჯდის სამდივნოსა სახლსა“ (ს. ჩხეიძე, 323). სამდივნო სახლი სასამართლო სახლს ნიშნავდა. ეს ტერმინი XVII—XVIII სს-ში გვაქვს. მდივანი ძველადაც არსებობდა, მაგრამ მაშინ სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დროს უკვე „სამდივნო სახლი“ სასამართლოს ნიშნავს.

ნაგებობის გარკვეული სახეობის აღსანიშნავად მეხუთე საუკუნის ძველებში გვხვდება—ტაძარი ანუ ტაზარი. ტაძარი წარჩინებული მოხელის სახლს ეწოდებოდა V ს-ის საქართველოში. შუშანიკის მოძღვარი იაკობ ხუცესი მოგვითხრობს, რომ, როდესაც შუშანიკმა თავისი ქმრის, ვარსჳენ პიტიახშის ვაზაზდისაგან გაიგო, მწუხარებით „აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღმრთის მოშიშებით ეკლესიად შევიდა“ სალოტავადო (წმშა შუშანიკისი, გვ. 3; იხ. აგრეთვე გვ. 7; შდრ. ილ. აბულაძის გამოც. II 19, V 29).

მთელ ამ ნაწარმოებში ტაძარი არსად საეკლესიო ნაგებობას არ ეწოდება, არამედ მხოლოდ საერო შენობის, სასახლის აღმნიშვნელია. ტაძარი და ეკლესია დაბირისპირებულია. იაკობ ხუცესს რომ შუშანიკის მეორეგზისი ცემა-შურაცხყოფის ამბავი აქვს აღწერილი, იქ ნათქვამია: გაშმაგე-

ბუღმა ვარსკენმა „შუშანიკ თრევით მოითრია...“ ეკლესიით ვიდრე ტაძრამდე“-ო (წმბა შუშანიკისი, გვ. 11=III 16), ე. ი. სასახლემდეო. ვარსკენ პიტიახშია რომ უკანასკნელად სცადა თავისი ცოლი შუშანიკი შინ, სასახლეში, დაებრუნებინა, შეუთვალა: „ანუ ნებად ჩემი ყავ და მოვედ ტაძრად, უკუეღუ არა მოხვიდე? შინა“, აქეთგან გაწბილებულს გავისტუმრებო (იქვე, გვ. 15=XIII 2).

დასასრულ, ქართლის პიტიახში ერთხელ კიდევ სცადა განშორებულ ცოლი როგორმე შეერიგებინა და თავის სასახლეში დაებრუნებინა: აიჩიია ერთი პირი, რომელსაც შუშანიკთან ერთად ერთი დედის ძუძუ უჭოვიათ და ამიტომ მის ძუძუმს ღებ ითვლებოდა, რომ მას მაინც როგორმე დაეყოლებინა შუშანიკი, „რაჯათა მოიყვანოს იგი ტაძრად“. მიჯნავნილი შეეცადა დავალება აესრულებინა და „პრქუა კაცმან მან: ისმინე ჩემი და ჩამოვედ ტაძრად და ნუ აოჯრებ სახლსა მას თქუენსა“-ო (წმბა შუშანიკისი, გვ. 16=XIII 14). ერთი სიტყვით, საერო პირთა კარგად და მდიდრულად აგებული შენობის, სასახლის აღსანიშნავად იაკობ ხუცესს ყველგან ტაძარი აქვს თითონაც ნახმარი და მის მოთხოვნაში გამოყენილი ყველა პირებიც ტაძარს მხოლოდ ამ მნიშვნელობით ხმარობენ.

ტაძარი შემდეგ საუკუნეებშიც გვხვდება. VIII, IX და X ს-ის ძეგლებში მოგვეპოვება ცნობები, რომ ყოველ აზნაურს თავისი ტაძარი ჰქონდა, ე. ი. თავისი სასახლე ედგა. გიორგი მერჩულის თხზულებაშიაცა და სხვაგანაც არის ეს ტერმინი ნახმარი; კურაპალატის ტაძარი (ცა გვლ ხნძთლ, გვ. 113) და აზნაურის ტაძარი (იხ., გვ. 31) მერჩულთან სასახლეს აღნიშნავს. თამარის ისტორიკოსიც, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი, ხმარობს ამ ტერმინს: „შვიდეს ტაძარსა სამეფოსა“ (ისტნი და აზნი, შშ დფლსი ქცა *621, გვ. 396). მაგრამ ამ ხანაში ტაძარი უკვე საეკლესიო ნაგებობად იხმარებოდა და თამარის ისტორიკოსი რომ ძველი მნიშვნელობით ხმარობს ტაძარს, ცხადია, ეს უკვე უფრო მწიგნობრული გამონათქვამია, ვიდრე ცოცხალი ტერმინი. იმ დროს შემოსული იყო უკვე სხვა ტერმინი, რომელმაც შემდეგ მოსპო ტაძრის ძველი მნიშვნელობა და თითონ გაბატონდა.

პირველი ამ ტერმინთაგანი არის პალატი. „მეფე... წარეუდა პალატად“, ნათქვამია წმ. ნინოს ცხოვრებაში (ქელიშური ვარ. Оиис. II, 776). ჯიქურის შესახებაც არის ნათქვამი: „განდიდნა მეფისა დავითის მიერ... ქელთ უდგა სამეფოსა და ს(ა)ხლისა განგება, დაუტევა ტფილისს დედოფალსა წინაშე, რომელმან აღაშენა ისანთა პალ(ა)ტი, განგებითა დიდითა (ქმთაღმწერი, შშ დფლსი ქცა *813, გვ. 657) [ე. ი. ისანში, ახლანდელ ავლაბარში ააშენა სასახლეო]. ძველი ავტორი რომ ყოფილიყო, უეჭველად აქ ტაძარს იხმარდა. მაშასადამე, ამ დროს, XI—XII სს-ში პალატი გვაქვს სასახლის აღსანიშნავად. მაგრამ ამავე დროს მეორე ტერმინიც არის, რომელმაც შემდეგში ეს პალატიც იმსხვერპლა. ეს ტერმინია დარბაზი.

დარბაზი ჩვენ ძველ ძეგლებში (V, VI, VII და VIII სს-ში) არსად არ გვხვდება. მეტრე საუკუნის მეორე ნახევარში არის, როგორც ეტყობა, გაჩენილი. მეთუ საუკუნეში ის უკვე მოიპოვება ძეგლებში და შემდეგში ჩვეულებრივი სიტყვაა..

დარბაზი სპარსული სიტყვაა. სპარსულად სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე ქართულად. სპარსულად დარბაზი კარს აღნიშნავს და არა სასახლეს. არც ერთი ტექსტი არ მოიპოვება სპარსულში, არც ერთი ნაწარმოები, სადაც დარბაზი სასახლის აღმნიშვნელი იყოს. სპარსულიდან ქართულად ნათარგმნ ძეგლებში რომ დარბაზია ხოლმე ნახმარი, დედანში არასდროს დარბაზი არ არის. სპარსული დარბაზი, დერვაზ, ქართულად ნახმარია როგორც კარი. ამგვარად, დარბაზი სპარსულში მხოლოდ კარს ნიშნავდა და ქართულად ასეთი თითქოს უცნაური მნიშვნელობა მინიჭებული უნდა ჰქონდეს იმის გამო, რომ თავდაპირველად ეს დარბაზი კარის აღმნიშვნელად იხმარებოდა ქართული გამონათქვამის—სამეფო კარის—სინონიმად. რადგან კარი სპარსულად დარბაზი იყო, სამეფო კარს დაერქვა სამეფო დარბაზი. შემდეგ „სამეფო“ ჩამოსცილდა და დარჩა დარბაზი, რომელმაც სასახლის მნიშვნელობა მიიღო. იგი გაქართულებული იყო იმდენად, რომ აღარაფის ახსოვდა ამ სიტყვის სპარსულობა. მნიშვნელობაც ისე განსხვავდებოდა, რომ აღამიანი ძნელად თუ მისვლდებოდა, რომ ეს შესაძლებელია უცხო სიტყვა ყოფილიყო.

ამავე დროს, როდესაც ჩვენ გვაქვს პალატი, დარბაზი იხმარება. საყურადღებოა, რომ XIII—XIV ს-შიცა და შემდეგ XVII ს-ის ძეგლებშიც პალატი გვაქვს. მაგალითად არჩილი ამბობს: „მცხეთას მივედი და მე მეფეთ დავეკუთრებე, გამოველ და პალატს დავსჯე (აარჩილიანი, პ. იოსელიანის გამ., გვ. 19, § 75). დომენტი კათალიკოზი წერს: „გავაკეთე დაქცეული პალატები ხითა“ (ქკბი II, 490, 1675 წ. დაახლოებით. ასევეა „შაჰნავაზიანშიც“ (§ 140): ლევან დადიანის სასახლეში—

„მოჰფინეს იგი პალატი, დაშუენდა მგზავსად სარები,
ფარდა აუბეს ძუირფასი, ოქსინოთ შენაკარები“.

აქაც ეს სიტყვა სასახლის მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ უკვე XI ს-ში ჩვენ დარბაზი გვაქვს. ბაგრატ IV-მ, არის ნათქვამი: „დაწუთა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კე მეფისა აგებული“ (მტნე ქმ, მმ დფლსი ქცა *486, გვ. 259) [ე. ი. ბოდოჯის დარბაზი, ეს შესანიშნავი ძეგლი ქართული ხელოვნებისა, ბრძოლის დროს გადაუწყვია].

ამგვარად, XI ს-ში, იმ დროს, როდესაც პალატი არსებობს, დარბაზი-ც იყო. უქველია, იმ დროს რაღაც განსხვავება უნდა ყოფილიყო პალატსა და დარბაზს შორის. შემდეგ დარბაზი იმდენად ვრცელდება, რომ ჩვეულად იგი სიტყვა ხდება. დარბაზი არსებობდა როგორც სამეფო, ისე საამირო. მაგალითად, იმავე ბაგრატ IV-ის შესახებ ნათქვამია, რომ როდესაც თბილისელებმა მოიწვიეს, ბაგრატს „მოეგებნეს ქალაქისა ბერნი, დარბაზისა ყჰანი, ცხენოსანნი, დიდმის ველსა, და ყოველიერი ქუეითი დაკაზმული უმედუღუსა, დედბთა და მამათა სიმრავლე იყო მოედანსა. და იყო ვმოზა ბუკთა და უდუმებელთა ორკერძოვე საშინელი... მოავლე[ინეს] ქალაქი, ასხმიდეს დრაპკანსა და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი. და შეიყარნეს საამიროსა დარბაზსა და დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად...“ (მტნე ქმ, მმ დფლსი ქცა, *488, გვ. 261; ანა დფლსი ქცა, გვ. 186). თბილისი იმ დროს ამირას ეკავა. „საამირო დარბაზი“ ანაი-

რად თბილისის მმართველის დარბაზი იყო. აქ დარბაზი ისეთივე მნიშვნელობით არის ნახმარი, როგორც სამეფო დარბაზი, მხოლოდ, რადგან აშკარა განაგებდა მაშინ ქვეყანას, საამირო. დარბაზი ეწოდება მას.

არსებობდა როგორც სამეფო დარბაზი, ისე სადედოფლო დარბაზი (ვისრ. I გამ., 113; II გამ. 82), სახელმწიფო დარბაზი (ვისრ. I გამ. 137; II გამ. 100), დიდი და მცირე დარბაზი (ვისრ. I გამ. 113; II გამ. 82). ამგვარად, იმ ხანაში დარბაზი სასახლის აღმნიშვნელი ტერმინი არის.

უცნაური გარემოება არის, რომ სასახლე, რომელსაც ჩვენ ებლა ვხმარობთ და რომელიც XV საუკუნიდან მოყოლებული თანდათან ვრცელდება როგორც ზოგადი ტერმინი ასეთი ნაგებობის აღსანიშნავად, ძველ ძეგლებში არა ჩანს. „სახლე“ ქართულია, ძველი დროიდან მომდინარეობს, „სასახლეც“ ქართული არის, მაგრამ ამ ცნების გამოსახატავად გვაქვს: ტაძარი—სპარსული სიტყვა; პალატი—ბერძნულ-ლათინური ტერმინი და დარბაზი,—სპარსულიდან მომდინარე ტერმინი, მაგრამ სასახლე არა ჩანს.

სასახლე გვხვდება გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დებაში: „შევედიო სასახლე სა ჩუნსა უინანს“ (ძეგლის დად., შესავალი, ს. კაკ. 4). საყურადღებოა, რომ სასახლე მარტო მეფეებს კი არ ჰქონიათ, არამედ სხვებსაც; აზნაურებსაც. მაგალითად, XVI ს-ის ძეგლში, ბარათაშვილების გაყრილობის წიგნში ნათქვამია: „სასახლისა ასრე გაუჩინეთ: ორნივე ერთსა სასახლეში ვავერა და ეტეოდეს და მისი ასრე გაუჩინეთ: ტბური სასახლე გუგუნსა და ქუშისის და ენაგეთისა სასახლე ვერმანოზს და მისთა ძმათა“ (ბართ. 1523 წ. გაყრ. წიგნ., ქცბი II, 351).

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ მარტო დიდგვარიან აზნაურებს სასახლეები ჰქონდათ, მაგრამ სასახლე ყოველ გლეხსაც ჰქონია. საბუთებში სახელიცა და სასახლეც გვაქვს, ასეთი შემთხვევების გამო სასახლეს რაღაც განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. რით განსხვავდება ის ნაგებობის მიხედვით, ნათელი არაა. როდესაც საბუთებში საგლეხო სასახლეზეა ლაპარაკი, ცხადია, სამეფო დარბაზის მსგავსი ის არ იქნებოდა, მაგრამ რაიმე განსხვავება უნდა ყოფილიყო სახლსა და სასახლეს შორის. ზოგ საბუთებში სიტყვა სასახლე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს ეს სიტყვა აღმნიშვნელი იყოს ადგილისა, სადაც შეეძლოთ სახლი აეგოთ, მაგრამ სხვაგან ასეთი გაგება შეუძლებელია და მომავალში შესაძლებელია გაირკვეს, როგორ უნდა გავიგოთ ეს.

სასახლე XV—XVI სს-იდან მოყოლებული მერმინდელ ძეგლებში ჩვეულებრივი ტერმინია. მაგალითად, ვახუშტის ნათქვამი აქვს: „კალას არს ციხე; ნაშენი მალალს კლდესა ზედა... და მალალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი, წის ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და შეენიერნი. არამედ დაუტყევა ჰო მეფემან როსტომ... და მისცა სპარსთა; მიერითგან უპყრავთ მათ. და თავისა თვისისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა“ (ვახუშტი, სქს გვრფა, გამ. ჯანაშვილი, 70; შდრ. თ. ლომაურისა და ნ. ბერძენიშვილის გამ. გვ. 52—53) [ე. ი. სასახლე მტკვრის პირზე იყო

გადაკიდებულიო. ბურჯები ამ სასახლეს მტკვარში ჰქონდა და მდინარე ამ სასახლის ქვეშ გადიოდა. ეს სასახლე პალატადაც იწოდება, მაგრამ, რასაკვირველია, როგორც ძველი ტერმინოლოგიის ნაშთი, ისე კი მისი სახელი სასახლე არის). ქუთაისშიც იმავე ვახუშტის სიტყვით: „არს სასახლე მეფეთაგან, დიდშენი შეენიერად, რიონსა ზედა წაკიდებული“ (ვახუშტი, სქს გვ. 280; შდრ. თ. ლომაურისა და ნ. ბერძენიშვილის გამ. გვ. 157). „წაკიდებული“ აქაც ისეთ ნაგებობას ნიშნავს, რომლის ერთი ნაწილი მდინარეში ბურჯზე არის დამყარებული. საბა ორბელიანს აქვს აღნიშნული ევროპაში მოგზაურობის აღწერილობაში, რომ მალთაში იყო „სასახლე ზღვაზედ წაკიდებული“ (ს. ორბელიანი, მოგზ. ევრ. „ცისკ.“, 1852 წ. № 4, გვ. 62). ამ მალთაზე „დიდ ისტატს“ „კაი მორთული სახლ-კარი ჰქონდა ზღვაზედ წაკიდებული (ს. ორბელიანი, ibid. № 4, გვ. 63). საქართველოში ასეთი შენობა, როგორც ჩანს, მას არ უნახავს, თუმცა ხალხურ ლექსში ჩვენ მოგვეპოვება თამარის შესახებ: [...]¹ რეალური სინამდვილის გამოხატულება იყო ეს, თუ ხალხური ფანტაზია, ძნელი სათქმელია; შეუძლებელი არაფერია. მაგრამ თანამედროვე ისტორიკოსები რაკი ამის შესახებ არაფერს ამბობენ, ამიტომ ჯერ-ჯერობით მოცდაა საჭირო.

სასახლეები, ისევე როგორც ტაძარი, დარბანი და სხვები, იყო როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო. ისინი მოხსენებული არიან სხვადასხვა საბუთებში: „ქალაქს სასახლე ავაშენე... კოკორს ერთი... კაი საზაფხულო სასახლე ავაშენე (კ. ნიკოლოზის 1678 წ. შემდ., ქტბი II, 505).

XI ს-ში შემოდის სპარსულიდან ტერმინი სრა სასახლის მნიშვნელობით (სპარსულად სერას მოკლე ვნი აქვს, ქართულში ეს მოკლე ვნი ქრება და სრა რჩება). ტარელი ფარსადან მეფეს უთვლიდა:

„იცი, ინდოთა სამეფო რაზობი სრა-საჯდომია!..

ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დავრჩომია“-ო. (აბულ. 504, 1-3; კავ. 529; საიუბ. გამოც. 564).

საჯდომი, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ნაგებობის ერთი ნაწილის სახელი იყო.

ვახტანგ V-ის შესახებ ნათქვამია:

„ქელმწიფის ტახტი საკდრად დგას ქალაქს შუაგულოსა;

სრა და ოთაღთა სიკეთე კაცმა ვით განიგულოსა;

ოქროს მელნითა სურათი ტანს მოსუით მას აგულოსა;

ყოღვნით მოვიდის მნახუელი; კარი არ დაიგულოსა“.

(შაჰნავაზ. § 183; შდრ. გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამ., გვ. 35).

სრა ამგვარად სასახლს აღმნიშვნელია. XI ს-დან ის თანდათან გრცელდება და გაბატონებული ხდება.

4. სახლს ნაწილების ტერმინები

ქორი უძველეს ქართულ ძეგლებში გვხვდება. ქორი ეწოდებოდა შენობის იმ ნაწილს, რომელიც მეორე სართულად, ზოგ შემთხვევაში-კი მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულადაც-კი იყო აგებული. ქორი თუმცა ზევითი სართულის

¹ რომელია ეს ლექსი, ვერსად მივაგენით.

სახელი იყო, მაგრამ მისი აგებულიება განსხვავდებოდა იმ სართულის აგებულებისაგან, რომელზედაც ის იდგა. ჩვეულებრივ ამ ქორში ზაფხულში იმყოფებოდნენ ხოლმე. შესაძლებელია წინა კედელი მას სრულებით ღია ჰქონოდა და წინითგან სვეტებსზე იყო დაყარებული.

ქორი «საქმე მოციქულთაჲ-ს, 9,39-ში გვხვდება, სადაც ნათქვამია: პეტრე მოციქული „აღიყუანეს ქორსა მას ზედა და გარემოადგა მას ქუჩივები იგი ყოველნი, ტიროდეს და უზუნებდეს კუბასტებსა და სამოსლებსა, რაოდენსა იქმოდა მათ თანა რა იყო ტობითა“. საბაჲს განმარტებით, „ქორი სახლზედ სახლი აგებული“ არის (ლექსიკ.), მაგრამ ეს განმარტება მიანლოვებითია. ზემოდასახელებულ ძეგლში ქორი უდრის ბერძნულს *εὐκλινάριον* ან *κορυθία* „ტო ჰჰპერორონ“-ს, ლათინ. *coenaculum*-ს და სომხ. *վերնատուն*-ს—„ვერნატუნ“-ს. სამივე ზემო საბჭულს აღნიშნავს, ზემო სართულის იმ ოთახს, რომელიც ქერ ქვეშ იყო და რომელშიც ქალები იმყოფებოდნენ ხოლმე. ეს სიტყვა ამავე ძეგლის სხვა ადგილშიც გვხვდება, თუნდაც მაგ., 9,37-ში, სადაც ასეთივე მნიშვნელობა აქვს, და ოთხთავშიც (მრ. 14, 15; ლკ. 22, 12). ეს სიტყვა დაბადების სხვა წიგნებშიც მოიპოვება: ა. „ჯდა ქორსა მას საზაფხულოსა მარტოჲ... და აღდგა ეგლომ საყდრისაგან თჳსისა“ (მთაჯ. 3,20)—*αὐτὸς ἐξᾠθησεν ἐν τῷ ναρξαρῶν τῷ φεραρῶν... καὶ ἐξανῆσθη ἀπὸ τοῦ φάρισσος Ἐργλῶν*.—*Sedebat autem in aetivo coenaculo solus... qui statim surrexit de throno*“; ნ. „უქმებით მაგას ქორით მიცრიქ და დაუდგათ მუნ ცხედარი და ტაბლად და საერძელი“ (IV მფგ. 4,10.—ოშკ.).

არსებული ეთნოგრაფიული ცნობებით, ქორი თანამედროვე საღმრთაღმშენებლო ტერმინად თითქოს აღარსად უნდა იყოს, მთავი-ც-კი შერჩენილი. მისი ანარეკლი თუშური სახლის სახურავის საყრდნობის ქორბეღელ-ას სახელის პირველ ნაწილშია, რომლის დაწვრილებითი აღწერილობა სამწუხაროდ არ მოგვეპოვება (თვით ტერმინი იხ. ს. მაკალათიას „თუშეთი“-ს გვ. 135).

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში I ნემტას 28, 20-ის დამოწმებით ოცობის ქორედ-ქორედი აქვს, რომლის მნიშვნელობაც ასე აქვს განმარტებული: „ქორედ-ქორედი ოთხი-ხუთი სახლი სახლზედ შენებული“ არისო (ლექსიკ.: ქორი). ბაქარის გამოცემაში I ნემტას ამ ადგილას ასეთი ტერმინი არ მოიპოვება. იქ ნახმარია ზედა-სახლი, რომელიც ბერძნულს *εὐκλινάριον* ან *κορυθία*—„ტო ჰჰპერორონ“-ს და სომხურს *վերնատուն*—„ვერნატუნ“-ს უდრის, რომელთაგან უკანასკნელი იმასვე აღნიშნავს, რასაც ქართ. ზედა-სახლი. ბერძნული-კი *εὐκλινάριον*—„ტო ჰჰპერორონ“-კი ზედა ოთახს და ზემო სართულს ჰნიშნავდა. ცხადია, რომ საბაჲს ხელთ მყოფს დაბადების ნუსხაში ზედა-სახლის მაგიერ ქორედ-ქორედი იქნებოდა ამ ადგილას ნახმარი.

დაბადების ქართ. თარგმანის ამ ადგილითგან მაინც ჩანს, რომ ქორედ-ქორედი 4—5 ზედზედ დადგმული სახლების აღმნიშვნელი-კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ რამდენიმე სართულიანი სახლის სახელი ყოფილა. ქორედი, მაშასადამე, ისეთი სახლი უნდა იყოს, რომელიც რამდენიმე სართულისაგან შედგებოდა და რომლის სულ ზედა სართული დროს გასატარებლად იყო გუდაკეთებული.

სახლში, ტაძარშიცა და სხვა შენობებშიც სენაკები იყო. სენაკი ძველ ქართულში ოთახს ნიშნავს. ეს სიტყვა—ოთახი,—რომელსაც ეხლა ვხმარობთ, სრულებით უცნობია XVII საუკუნემდე. ეს ქართული სიტყვა არაა, სპარსულიდან შემოდის; ჯერ ოთახი გვაქვს და მერმე—ოთახი-ი. ძველად კი სენაკი და სენა, სახლი სენაკიანი გვაქვს. ყოველ სახლში რამდენიმე სენაკი იყო და, საყურადღებოა, რომ სენაკი ცალკეულადაც მდგარა, ე. ი. პატარა სახლსაც პრქმევია, როგორ გაჩნდა ასეთი მნიშვნელობა, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ცხადად ირკვევა ტექსტების მიხედვით.

ტაძრის, ანუ სასახლის არეში ქართლის პიტიასშს სხვა შენობებიც ჰქონია, მაგ., სენაკები-ც. ერთს ასეთს სენაკში დაბინავებულა შუშანიკი; როდესაც, ქმრის გამაზღვრების შემდგომ საცხოვრებლად გარეთ გასულბ, მაზღმა ჯოჯიკმა შინ დაბრუნებაზე დაიყოლია. ეს სენაკი თვით ტაძრის შენობაში არ ყოფილა, არამედ ცალკე მდგარა, რაც იაკობ ხუცესის მოთხრობითგან ცხადად ჩანს. უკვე დაბრუნების ამბავში აღნიშნულია, რომ ტაძარში შესვლის შემდგომ თავის ჩვეულებრივ საჯღომ ადგილას-კი არ დაბინავდა, არამედ „სენაკსა შინა მცირესა“-ო (წმბდ შუშანიკისი, გვ. 7=V, 30). მაგრამ ეს გარემოება წვეულებისა და პურისჭამის აღწერილობითგან უფრო მკაფიოდ ირკვევა. ისტორიკოსი ამბობს: „ვითარცა მოიწია ჟამი პურისად, შევიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე... შუშანიკისა, რადთამცა მასცა აჰამეს პური“ (იქვე, VI რ) შუშანიკე-კი, როგორც ვიცით, ტაძარში-კი არა, არამედ სენაკში იმყოფებოდა. მაშასადამე, ჯოჯიკიც თავისი ცოლითურთ ამავე სენაკში შესულა. დიდი ხვეწნის შემდგომ, „ვითარცა მეტად აიძულეს და ძლით წარიყვანეს ტაძრად“-ო (წმბდ შუშანიკისი, გვ. 7=VI 9). უკანასკნელი სიტყვებითგან ნათლად ჩანს, რომ სენაკი ტაძარში არ ყოფილა, თორემ ჯოჯიკს შუშანიკის „ტაძრად“ წაყვანა არ მოუხდებოდა. ამგვარად, ცხადია, რომ სენაკი ტაძრის გარეშე ყოფილა, სადღეოდლო გალიაკი-კი პირიქით სწორედ ტაძრის ერთი ნაწილთაგანი ჩანს.

IV მეფეთას 9,6-ის დამოწმებით, საბა ამტიკცებს, რომ „სენაკი მცირე სახლაკი“ იყო (ლექსიკ.). მაგრამ, რომ ყოველი სენაკი V ს-ში მაინც უმკველად პატარა სახლაკი არ უნდა ყოფილიყო, ამას იაკობ ხუცესის გამონათქვამიც ცხად-პყოფს: „დაჯდა... სენაკსა შინა მცირესა“-ო (წმბდ შუშანიკისი, გვ. 7=V, 30). სენაკი რომ ყოველთვის მცირე ყოფილიყო, მაშინ ისტორიკოსი ზედსართავს „მცირეს“ აღარ დაურთავდა. მაშასადამე, სენაკები ჩვეულებრივი სიდიდის, მოზრდილიც ყოფილა და პატარაც, მაგრამ უკანასკნელს შემთხვევაში სენაკის სახელს სიმციროს გამომჟღავნებელი სიტყვა ემატებოდა. საბა შეცდა, მას ეგონა, რომ სენაკს აქვს კნინობითი დაბოლოება, მაგრამ აქ ამოში არ არის კნინობის გამომხატველი ნაწილაკი. სომხურადაც არის *ახსნასი*—„სენაკ“, რომელსაც ეს კნინობითი მნიშვნელობა არ შეიძლება მიეწეროს. მართალია, ჩვენ გვაქვს სენა და სენაკი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიტყვიერი ეტიმოლოგია უნდა იყოს, ვიდრე აგებულების ანალიზი.

ქართლის პიტიახშის ტაძრის მიდამოებში კიდევ სხვა სენაკიც ყოფილა. იაკობ ხუცესის მოთხრობილი აქვს, რომ, როდესაც შუშანიკის უხაში საქციელით აღშფოთებულმა და გამხეცებულმა ვარსკენმა მას უწყალოდ სცემა, შემდეგ „ბრძანა... სენაკსა ერთსა შეყვანებად და კრძალულად დაცვაჲ მისი ერთითა მსახურითა“—ო (წმ. შუშანიკისი, გვ. 8=VI, 27). ეს ის სენაკი კი არ იყო, რომელშიც შუშანიკი პურისკამაზე წასვლამდე იმყოფებოდა, არამედ სულ სხვა სენაკი ყოფილა. ამას ის ვარემოებაც ამტკიცებს, რომ ისტორიკოსს პირველი მცირე სენაკად აქვს ნახსენები, აქ კი მის სიმცირეზე არაფერია ნათქვამი.

სენაკები ცურტაეში სასახლის ვარგშეც ყოფილა. ერთი მათგანი ეკლესიის მახლობლად მდგარა: იაკობ ხუცესის ცნობით, დიდმარხვის მოახლოვებისთანავე „მივიდა... შუშანიკ მახლობელად... ეკლესიასა და იძია მცირე სენაკი და მუნ დაეყუდა“—ო (წმ. შუშანიკისი, გვ. 10=VII, 2). ეკლესიის მახლობლად მდებარე ეს სენაკიც, მამასადამე, მცირე, პატარა ყოფილა.

ეს სენაკი შემდეგ, დაახლოებით XI—XII სს-ში უკვე მხოლოდ ბერების საცხოვრებელი ოთახის სახელად იქცა. ყოველ ბერს სენაკი ჰქონდა. უცნაურია, რომ იესე ოსეს-ძეს თავის „თავგადასავალში“ თბილისში დასახლებული აქვს სენაკები, როგორც ერისკაცთა სახლის და ოთახის აღმნიშვნელი. ძნელად გასაგებია, გვაქვს თუ არა აქ მწიგნობრულად განსწავლული კაცის მიერ ძველი ტერმინის გამოყენების შემთხვევა, რასაც ის სცილილობდა ეჩვენებინა მკითხველისათვის, თუმცა დაწერილი ჰქონდა შვილებისათვის და არა სხვებისათვის, რადგან ამ „თავგადასავალში“ ხშირად ლანძღავს თავის შვილებს და არა მგონია, რომ მას ნდომოდა ის ყველას წაეციოთხა. აქ ის ლაპარაკობს, რომ ვცხოვრობდით სენაკშიო. იესე ერისკაცი იყო, ოჯახის პატრონი და შვილებიც ჰყავდა. სენაკი მას ნახმარი აქვს ძველი მნიშვნელობით, როგორც ოთახი ანუ საცხოვრებელი. შესაძლებელია, ასეთი მნიშვნელობა შერჩა ამ ტერმინს იმ საეკლესიო წრეებში, რომელთაც თვით ავტორი ეკუთვნოდა, ფართოდ კი, როგორც ჩანს, სენაკი ცოცხალი სიტყვა აღარ უნდა ყოფილიყო; ამ დროს მის ნაცვლად ან ოთახი, ან სხვა ტერმინი გვაქვს, კერძოდ ოდა. ოდა თურქული სიტყვაა, რომელიც ძველ ძეგლებში არსად გვხვდება და XVIII საუკუნიდან ჩნდება მხოლოდ. თვით ს. ორბელიანსვე ნათქვამი აქვს: ოდა თურქთა ენაა, სენაკსა ჰქვან—ო (ლექსიკ.). |ა| ოდა, ანუ აა| მართლაც თურქული სიტყვაა, მაგრამ აქ ეს ტერმინი ზოგადად ოთახსა, პნიშნავს.

5. საერო ნაგებობანი დანიშნულებიხდა მიხედვით

სახლის მნიშვნელობა ქართულში მრავალგვარი იყო. უძველეს დროიდანვე მოყოლებული გვაქვს ეს ტერმინი დღევანდლამდე შერჩენილი. მაგრამ, თუ ვინმე იფიქრებს, რომ ამ სიტყვას ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, ძალიან შესცდება. სახლი ჩვენ ეხლა მთლიან ნაგებობად გვესმის, ძველად-კი ამ ტერმინის მნიშვნელობა სხვანაირად ესმოდათ. ძეგლებითგან ჩანს, რომ სახლი ნაგებობის ერთ ნაწილსაც ეწოდებოდა. ამასთანავე სახლის დანიშნულებაც განსხვავდებოდა იმისდა მიხედვით, თუ რისთვის იყო განკუთვნილი. სახლები რომ დანიშნულებითაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ეს

შესაძლებელია დამტკიცდეს ძეგლებითაც. მაგალითად, ნიკორწმინდელს თავისი სიგელში (XI ს.) მოთხრობილი რომ აქვს თავისი მშენებლობითი მოღვაწეობა, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამი აქვს: „შევქმენ საწირეს ქვეთიკირი ბოსკლი: ა: და ზედა სახლი სამამასახლისო: ა:“ (ქვბი II, 48). უკვე ამ წინადადებითგან ჩანს, რომ სახლი აქ მთლიან ნაგებობას-კი არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ ზედა სართულს: ქვეით ბოსელია და ზემოთგან სახლია.

რაკი ავტორს საჭიროდ მიუჩნევია სახლის შემდეგ დაემატებინა სამამასახლისო, ცხადია, რომ ამ სახლს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონია და ის ალბათ იმ ჩვეულებრივი სახლებისაგან, რომელთაც განსამარტავად ასეოი დამატება არ სჭირდებათ, რითმე განსხვავებულიც უნდა ყოფილიყო.

ამავე ძეგლში ნათქვამია: „ნიკოლოს-წმიდას... სახლი შევქმენ სახუცო მუხისა: ა: და ნაძვისა: ა:“ (ქვბი II, 46), აქაც სახლი სახუცო, ე. ი. ხუცებისათვის განკუთვნილი სახლი გვაქვს.

შემდეგში დავრწმუნდებით, თუ რით უნდა იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ XI საუკუნის ამ ძეგლს ავტორი საჭიროდ სცნობდა გარკვეულ პირობებში სახლის განკუთვნილობა აღენიშნა—სახუცო სახლი, სამამასახლისო და სხვა.

შემდეგ ამავე ძეგლში გვაქვს: „ბეთაბრელსა... სამეჯარეო სახლი შევქმენ: გ:“ (იქვე, II, 46). სამეჯარეო სახლი აგრეთვე ძესამე თავისებური ტერმინია, რომელიც ჩვეულებრივ არ გვხვდება. ცხადია, რომ ის მეზრეებისათვის აგებული სახლი უნდა ყოფილიყო, სადაც მეზრეები ცხოვრობდნენ. რათი განსხვავდებოდა, ან განსხვავდებოდა თუ არა რითმე, ეს სამეჯარეო სახლი აგებულობით, ძნელი სათქმელია, მაგრამ რომ ის მხოლოდ მეზრეების დასადგომად იყო განკუთვნილი და, უეჭველია, ის სამამასახლისო და სახუცო სახლისაგან განსხვავებული იქნებოდა, მკონია, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის.

შემდეგ ნიკორწმინდასავე, იგივე პირი მოვითხრობს, „სახლი შევქმენ სამზარეულო: ა:“ და ს. საწირესაც ავაგე „სხუად სახლი სამზარეულო: ა:“ (ქვბი II, 48). აქეთგან ჩანს, რომ განსაკუთრებული სამზარეულო სახლიც არსებობდა. ის შენობის ნაწილს, ცალკე ოთახს-კი არ წარმოადგენდა, არამედ სრულებით განცალკევებულად მდგარა და მხოლოდ მზარეულისათვის ყოფილა დანიშნული. საფიქრებელია, რომ იქ მზარეულები მარტო-კი არ მდგარან, არამედ საკმელსაც ამზადებდნენ. ასეთი დანიშნულებით არის ეს სახლი წარმოდგენილი დაბადებაში: „ესე სახლნი სამზარეულონი, სადა-იგი შევაგებინ... საკლგელები“ (ეზეკ. 46, 24.—ოშკ.).

თუ ნიკორწმინდის სიგელში დასახელებულია და ნახმარია ტერმინი სახლი სამზარეულო, ცალკეული მარტივად გამოთქმული ტერმინი სამზარეულოც-არსებობდა. მაგალითად, ქართველ „ყაზთაღმწერელსაც“ აღნიშნული იქვს, რომ მონოლოები ისე გათავხედდნენ, რომ „თუ სამზარეულოსა-მეფისასა (დავით ლაშას ძისა) ცხვარი, ვინა კრავი ისყიდებოდის“ (*825, გვ. 670), მაშინაც ბაქს ართმევენო. შესაძლებელია, ეს მეფის სამზარეულო ცალ-

კე ნაგებობას წარმოადგენდა, მაგრამ მაინც მას სახლი სამხარეულო-კერა, არამედ პარტივად სამხარეულო ეწოდება.

რომ ჩვენთვის გასაგები გახდეს ის გარემოება, თუ რატომ არის, რომ აეტორი საკიროდ ცნობს აღნიშნოს თითოეულ შემთხვევაში ის განსაკუთრებული დანიშნულება, რომლისათვისაც აგებული არის ეს სახლი, მე მოვიყვან უფრო მოგვიანო წყაროს ცნობას, რომელიც გვაგებინებს, რაზე უნდა იყოს დამყარებული ეს გარემოება.

არქანჯელო ლამბერტის ნათქვამი აქვს, რომ სამეგრელოში თითოეულ ცოტად თუ ბევრად შეძლებულს მოსიხლეს, ერთი სახლის მაგიერ, რამოდენიმე სახლი აქვს: სასტუმრო სახლი ცალკე იდგა. იქ არ ცხოვრობდნენ ჩვეულებრივ, ის ჰქონდათ, რასაკვირველია, შესაფერისი ავეჯეულობითა და ყოველგვარი მოწყობილობით მორთული, რაც სტუმრის მისაღებად იყო საკირო. როდესაც სტუმარი ეწვეოდა ადამიანს, მაშინ იმ სახლს გააღებდნენ, იქ დაიყვინებდნენ. სახლში, რომელშიაც თითონ იდგნენ, ის სხვა სახლს წარმოადგენდა.

ამგვარადვე რამოდენიმე დანიშნულების ცალკეული სახლები იყო. თუმცა შემომოყვანილი ცნობა XVII საუკუნის სამეგრელოს ეხება და იმდროინდელ ვიოარებას გვესურათებს, მაგრამ მეთერთმეტე საუკუნის ნიკორწმინდელის სიკლითგან ჩანს, რომ ასეთივე ვითარება ყოფილა საქართველოში XI საუკუნეშიც. ყველა თემში, და ერთ თემშიც, ყველას ასე ჰქონდა თუ არა, ამის ამჟამად თქმა ძნელია. მაგრამ საფიქრებელია, რომ ლარიბი ხალხი ასეთი თითოეული დანიშნულებისათვის ცალკეული სახლის აგებას უსახსრობის გამო ვერ შესძლებდა. ხოლო ვისაც სახსრები ამის საშუალებას აძლევდა, როგორც ეტყობა, სწორედ ასე აწარმოებდა მშენებლობას.

ეს გარემოება საყურადღებოა მოზრდილი, დიდი რთული სახლის აგებულობისა და მისი ნაწილების შედგენილობის თანდათანობის გარკვევისათვის. საქართველოში ჩვენ სხვადასხვა გეგმის სახლი გვაქვს, თუ ყველა ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ამ გეგმის განეთარების თანდათანობითი ისტორიის აღდგენისათვის შესაძლებელია ფრიად მნიშვნელოვანი დაკვირვება შეგვიძინოს. იქაც-კი, როგორც მაგალითად საგლეხო დარბაზში, ასეთი დანაწილება ძნელი მოსალოდნელი იყო, მაგრამ ამის კვალი მაინც მოსჩანს. დიდ სახლებში, რომლებშიც დანაწილება, რასაკვირველია, ბუნებრივია და მოსალოდნელიც არის, დანაწილების შესახები ძველი ცნობებიც მოგვებოვება: არის საჯდომი ოთახი, არის საწოლი, შემდეგ საკუჭნაო, საღარო, და ბოლოს სამხარეულოცა და მარანიც. გვეუთის სასახლის გეგმითგანაც ჩანს, რომ სასახლეში სამხარეულო გვერდით ყოფილა და ის, თუმცა-კი საკმაოდ მკვიდრად გამოყოფილს, მაგრამ მაინც მთავარი შენობის ნაწილს წარმოადგენდა.

ცხადია, რომ სამამასახლისო სახლს, სახუცო სახლს, სამეხრეო სახლსა და სამხარეულო სახლს შორის რაიმე განსხვავება უნდა ყოფილიყო, თუ რომ ქართულ ენას თითოეული მათგანისათვის ცალკეული ტერმინი შეუქმნია. უკვე ის გარემოება, რომ შემოადნიშნული სახლები სხვადასხვა განკუთვნილობის ნაგებობა ყოფილა, გვაფიქრებინებს, რომ ყოველს მათგანს თავისი დანიშნულებისათვის შესაფერისი თავისებურება უნდა ჰქონოდა.

მაგრამ ასეთი ცალკეული დანიშნულების სახლებს გარდა, რთული აგებულობის ზოლიანი სახლებიც არსებობდნენ, რომელნიც ყოველგვარი მოთხოვნებისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად იყენენ განკუთვნილი.

სახლი სხვადასხვანაირი იყო: ზოგი ყოველგვარი საჭიროების დამაკმაყოფილებელ ნაგებობის ნაწილებს შეიცავდა, ზოგი კიდეც, ცოტად თუ ბევრად იყო ამ მხრივ გამართული. ყოველნაირად დამაკმაყოფილებელსა და მოწყობილს სახლს ეწოდებოდა სახლი სრული ყოველითა ფერითა, ე. ი. თანამედროვე ქართულით რომ გამოითქვას, ყველა ფრით სრული სახლი სწოდებოდა. რასაკვირველია, მაშინ კარგად იცოდნენ, თუ რით, რა და რა შემადგენელი სამსახურების შემცველი უნდა ყოფილიყო სახლი, რომ იგი ყველაფრით სრულად ეცნათ. ეს ნათლად ჩანს ნიკორწმინდელის შემდეგი სიტყვებითაგან: „შეაბარესა შეუქმენ სახლი სრული, ვითა ვამს, ყოველითავე ფერითა : ა:“ (სიგელი, ქ. ში II, 46). ცხადია, რომ ვერც სამამასახლისო სახლი, ვერც სახუცოც, ვერც სამეგრეოც და ვერც სამზარაულოც სრულ სახლად ვერ ჩაითვლებოდა: თუ ნიკორწმინდელს საჭიროდ მიაჩნდა, რომ აქ აღენიშნა „ყოველითა ფერითა“ სრული სახლი ავაგეო, ცხადია, რომ ამ სახლში ყველაფერი უნდა ყოფილიყო, ყველა ნაწილები, რომლებიც საჭირო იყო სახლისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, რა იყო საჭირო, ეს დასახელებული არ არის. რასაკვირველია, ეს იმ გარემოებით აისხნება, რომ მაშინ ეს ყველამ იცოდა და ამის განმარტებაც საჭირო არ იყო. საყურადღებოა, რომ იქ დამატებულია კიდეც: „სახლი სრული, ვითა ვამს, ყოველითა ფერითა“-ო [ე. ი. სახლი სრული, როგორც შეეფერება, როგორც საჭიროა ყველაფრით საესე სახლისათვის]. რა ნაწილები უნდა ჰქონოდა ასეთ ყველაფრით სრულ სახლს, ამას შესაძლებელია დაახლოებით მიხედეს ადამიანი; საფიქრებელია, უპირველესად სწორედ ის ნაწილები, რომლებიც უკვე გვქონდა დასახელებულა. ე. ი. საჯდომი, საწოლი, სასტუმრო, საკუჭნაო, მარანი და სამზარეულო.

რასაკვირველია, მარანი უქველად და ყოველთვის საცხოვრებელ ბინასთან ერთად არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ მაინც საქართველოში მარანი ხშირად სწორედ თვით მკვიდრ სახლში ჰქონიათ. ცხადია, ეს ისეთი მარანი-კი არ იყო, სადაც მიფლი წლის ღვინის მარაგს ინახავდნენ, არამედ პატარა მარანი, რომელშიც ყოველდღიური, სანიაღვრად სახმარებელი ღვინო ჰქონდათ ხოლმე. რათგანაც საქართველოში ღვინის სმა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა და წყლის სმასავით საჭიროდ მიაჩნდათ, ამიტომ სახლთან ჰქონდათ მარანიც. ეს გარემოება უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, როდესაც ძველებს ვკითხულობთ და ამ ძეგლების მიხედვით რეალური სინამდვილის აღდგენა გვსურს.

ამგვარად, სახლები სხვადასხვა სისრულისა ყოფილა. ცალკეულად, გარკვეული დანიშნულებისათვის აგებულ სახლებს გარდა, სრული სახლებიც ყოფილა, მაგრამ სრული სახლებიც სხვადასხვა მოცულობა-სისრულისა ყოფილა; ზოგი მთლიანად, „ყოველითა ფერითა“ სრული იყო. ნიკორწმინდელს რომ ასეთი გამოთქვაში არ დამატებინა, რასაკვირველია, მაშინ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ სრული სახლის ერთხელ-და-სამუდამოდ ჩამოყალიბებული გეგმა

არსებობდაო, მაგრამ მისი ცნობებითგან ჩანს, რომ აქაც განსხვავება ყოფილა და სისრულეც სხვადასხვანაირი არსებობდა. მომავალში შესაძლებელია ისიც გამოირკვეს, თუ სხვადასხვა სისრულის სახლი რა და რა ნაწილების შემცველი იყო ხოლმე.

უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ საქართველოში სახლი მარტო ერთ-სართულიანი ნაგებობა არ იყო, არამედ ერთსართულიან სახლს გარდა (რასაკვირველია, ერთსართულიანი სახლი უმრავლესობას შეადგენდა ნაგებობათა, მოსახლეობის უმრავლესობაში) ისეთ მაღლობ ადგილებში, ისეთ მაღლობ ფენებში, როგორც მაგალითად რაჭაა,—ორ და მეტ სართულიანი სახლები იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. ორსართულიანი სახლი უფრო ხშირიცაა, ვიდრე ერთსართულიანი. ეს უტილოზობლად შეიძლება დამტკიცდეს იმავე ნიკორწმინდელის მეთერთმეტე საუკუნის ძეგლით.

ამ ერთი საბუთის მიხედვით, რასაკვირველია, სახიფათოა მის ცნობაზე დამყარებული სურათი საერთო სურათად მიიჩნიოს ადამიანმა, მაგრამ თუ ჩვენ წარმოვიდგენთ, რომ მთავორიან მაღლობ ადგილებში უფრო ბუნებრივია ერთსართულიანი სახლის არსებობა, ვიდრე ბარად და, თუ გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ სურათებს, რომლებიც მინიატიურებში მოგვეპოვება, სადაც მრავალსართულიანი სახლის ნახატები გვაქვს, მე მგონია, უნდა დავასკვნათ, და დიდი შეცდომაც არ უნდა მოგვივიდეს, თუ ვიფიქრებთ, რომ იმდროინდელ საქართველოში ჩვეულებრივ რაიმადენიმე სართულიანი სახლი უნდა ყოფილიყო, ქალაქებში მაინც, და თითოეულ სართულს თავისი დანიშნულება ექნებოდა.

სახლი სხვადასხვა მასალისაგან შენდებოდა, მაგალითად არსებობდა ქვით-ქირისა, მუხისა, ნაძვისა და ცილოფისა.

ნიკორწმინდელი ამბობს: „ნიკოლოს-წმიდას შევექმენ სახლი ქვითკირი : ა : და ზედა სახლი მუხისაჲ“. იქვეო—განაგრძობს იგი—„შევექმენ სახლი მუხისაჲ : ა ; და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი : ა ;—სხუად სახლი შევექმენ ცილოფისა და მუხისაჲ : ა :...—სხუად სახლს შევექმენ სახუცოდ მუხისაჲ : ა : და ნაძვისაჲ : ა : (ქეზი II, 46). როგორც ვხვდავთ, ძეგლში ორსართულიანი სახლია მოხსენებული. ქვედა სართული ქვითკირის ნაგებობას წარმოადგენს, ზედა სართული—მუხისას, რომელსაც ის სახლსავე უწოდებს: „სახლი ქვითკირისა : ა : და ზედა-სახლი მუხისაჲ“. ჩვენ, რასაკვირველია, ესაა ასე არ ვიტყვიან. სახლი სახლზე არ დიდგმება თანამედროვე წარმოდგენით, მაგრამ აქ სართულის მავივრად სახლი არის ნათქვამი: „...და ზედა სახლი მუხისაჲ“.

შემდეგ იმავე ნათქვამი აქვს: „შევექმენ სახლი მუხისაჲ : ა : და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი : ა“. ესაა აქ ორსართულიანი სახლია, მაგრამ შესაძლებელია სამსართულიანი სახლიც იგულისხმებოდეს. ქვეით სართულში ყოფილა სახლი მუხისა, მეორე სართულში-კი სახლი ქორედიანი-ქორედი რას ეწოდება, ვიცით. ქორედიანი-კი სვეტებიანი, კამაროსანი შენობაა, რომელიც წინთგან ღია იყო და ჩვეულებრივი სახის საგრილობლად იყო გან-

კუთვნილი, იქ, სადაც საერთოდ ცხელოდა, რასაკვირველია, ზამთარშიც შეიძლება ყოფნა.

აქ ორნაირად არის ნათქვამი: სახლი სენიანი და ქორედიანი. ქორედიანის რაობა ვიცით, სენიანი რაღა უნდა იყოს? რასაკვირველია, სენთან ეს არ არის დაკავშირებული, არამედ ის სენაკს ჰგულისხმობს. სენა და სენაკი-კი ოთახსა ნიშნავს. სენა აქ დიდ ოთახს ნიშნავს, სენაკი-კი შეიძლება მაშინ პატარა ოთახს აღნიშნავდა. ამგვარად, მეორე სართულიც ხისა ყოფილა. ცხადია, მუხის სახლზე ქვიტიკრის სახლს ვერვინ ვერ დაადგამდა. ამგვარად უცნალოდელია, რომ მეორე სართულიც ხისა იყო. ეხლა, მეორე სართული უნდა ვიგულისხმობთ სენიანი და მესამე სართული ქორედიანი, თუ ერთსა და იმავე სართულზე იყო სენიანიცა და ქორედიანიც?—ძნელი სათქმელია. შე მგონია, მეორე მოსაზრება უფრო სწორი უნდა იყოს, რადგანაც მასვე ნათქვამი აქვს: „და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი : ა:“. ამ შემთხვევაში რომ მესამე სართულს გულისხმოდეს დანამდვილებით (თუ რომ რასაკვირველია დედანი სწორედ არის გადმოწერილი და გამოცემული თ. ყორ დანიას მიერ), მაშინ უნდა ყოფილიყო ასე: „...და ზედა სახლი ქორედიანი : ა: და სენიანი : ა:“. რათგანაც რიცხვი ქართულად ასოებით იწერებოდა („ა“), ამიტომ, საკმარისია, ის „ა“-ნი გამოტოვებული იყოს, რომ შესაძლებელია ჩვენ შეცდომა მოგვივიდეს და სამსართულიანი სახლი ორსართულიანად მივიჩნიოთ. ასეა აუ ისე, აქ საყურადღებოა, რომ ქვედა სართული ხის სახლს წარმოადგენს, ზედა სართულიც ხის ნაგებობაა და სხვადასხვა აგებულებისა არის, მასთან დანიშნულებაც მათი ერთმანეთისაგან განსხვავდება. თუ მეორე სართულში სენა და ქორედია მოთავსებული, მაშინ ერთი ნაწილი უნდა საცხოვრებლად განკუთვნილი ყოფილიყო მუდმივად, ხოლო მეორე ნაწილი—ქორედი—დროს გასატარებლად და ზაფხულში ყოფნისათვის. თუ რომ სამსართულიანი იყო, მაშინ, რასაკვირველია, უნდა ვიფიქროთ, რომ მეორე სართულში სენაკები, საცხოვრებელი ოთახები, იქნებოდა და მესამე სართული-კი დროს გასატარებლად იქნებოდა განკუთვნილი.

იმავე პირს ნათქვამი აქვს: „სხუად სახლი შევქმენ ცილოფისა და მუხისაო : ა:“. აქ ნახმაჰი არის ისეთი ტერმინი ცილოფი—რომლის მნიშვნელობა განსაგები არაა. სამწუხაროდ, ჩვენ არსად ეს ტერმინი არ გვხვდება. „სხუად სახლი შევქმენ ცილოფისა და მუხისა : ა:“, ამ ნათქვამში მუხისა და—მასალის გამოშატველია, ცილოფისაც, საფიქრებელია, რომ მასალასავე უნდა ნიშნავდეს, მაგრამ მუხა და ცილოფი რომ ერთად არის ნახმარი, ხომ არ შეიძლება მუხას გულისხმობდეს ერთ სახლს და ცილოფს სხვას? მაინც რატომ არის ნახმარი სახლი ცილოფისა მუხისა და ერთს,—ეს გაუგებარია და მეორე, ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ არ ვიცით, თუ რას უნდა ნიშნავდეს ცილოფი. როგორც აღვნიშნეთ, სხვა არც ერთი ძეგლი მას არ გვიჩვენებს, ეგების რაქაში იყოს შერჩენილი ეს ტერმინი, რათგან რაქის მოსახლეობისა და ნაგებობის შესახებ ცნობას წარმოადგენს ეს ძეგლი, ეგების იქ იყოს ის შერჩენილი. ამჟამად არც ერთ ლექსიკონში არ გვაქვს ეს ტერმინი, რომ მისი გაგება შეიძლებოდეს.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ჩვენ, მამსადავმე, გვქონია ორსართულიანი ააალი, ნაწილობრივ სამსართულიანიც.

სხვადასხვა მარტივ ნაგებობათა შესახებ XI საუკუნის საქართველოში მოკლე, მაგრამ მაინც საყურადღებო ცნობები ნიკორწმინდის სიგელშივე მოგვეპოვება იქ. სადაც ნიკორწმინდელი თავის სამეურნეო მოღვაწეობის ამბავს მოგვითხრობს. დარგობლივ რომ დავალავოთ ისინი, შემდეგი სურათი გადაგვეშლება.

ნიკორწმინდელის აღმშენებლობა რომ სახლების აღნუსხვით დავიწყოთ, ამ მღვდელმთავარს პირველად ნათქვამი აქვს: „შევქმენ საწირეს ქვით კირი ბოსელი : ა : და ზედა სახლი სამაქასახლისოა : ა :“... ამგვარად აქ ორსართულიანი სახლი მოხსენებული; ქვედა სართული ბოსელია, ხოლო ზედა სართული თითქოს საპატიო პირისათვის განკუთვნილი ნაგებობაა, როგორც სახლი სამამასახლისო უნდა იყოს.

შემდეგ იქვე ნათქვამი არის: „საწირესავე შევქმენ „სახუაჲ სახლი ცილოფისაჲ : ა : და ზედა საჯუარე : ა :“ ამგვარად, აქაც ორსართულიანი ნაგებობაა. ქვემო სართულის სახლი ცილოფისა იყო. უეჭველია, რომ ცილოფი ნაგებობის მასალის გამომხატველია, რომელიდაც ხე უნდა იყოს; იგი ხის მასალას უნდა აღნიშნავდეს, მაგრამ რა მასალას, არ ვიცით. ზედა სახლი საჯუარე იყო, ისე გამოდის—თითქოს ჯვარისთვის განკუთვნილიაო, მაგრამ რატომ უნდა ყოფილიყო აქ ასეთი სახლი, გაუგებარია. შესაძლებელია საჯუარე სხვა რამეც გულისხმობდეს, ჩვენთვის ეს ნაწილი ძველისა გაუგებარია რჩება.

ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ყოფილა ჭიშკარიც-კი: „შევქმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი : ა :“ (ქქბი II, 48).

ჭიშკარი წარმომდგარი არის ბჭის კარი თგან. ბქე დიდ კარს ნიშნავს, შემდეგში რომ ალაყაფის კარი ეწოდებოდა. ბქენ თუ ასე გავიგებთ, მაშინ ალაყაფის კარებზე ბოსლის დადგმა, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა. ამგვარად, ჭიშკარი, როგორც ეტყობა საკმაოდ მკვიდრი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. ეს საყურადღებოა იმდენად, რომ ალაყაფის კარი, რომელიც ესლა ჩვენ ჩვეულებრივ ან ხის ნაგებობად მიგვაჩნია, ან არა და რკინა(ქ-კი შეიძლება ვიგულისხმოთ. ძველად, შორს რომ არ წავიდეთ, XVII და XVIII საუკუნეში, ისეთი ნაგებობა ყოფილა, რომელზედაც სასახლეც შესაძლებელია მოთავსებულიყო. ამგვარად, ალაყაფის კარი მთელ ნაგებობას წარმოადგენდა. საფიქრებელია ასეთი სახელი მას იმიტომ ეწოდებოდა, რომ იქ ალაყაფის კარები, ე. ი. კარი იყო, მაგრამ მკვიდრი შენობა არსებობდა, რომელზედაც მთელი სასახლე შეიძლებოდა მოთავსებული ყოფილიყო. ამ შემთხვევაშიც ასე უნდა ვიგულისხმოთ: „შევქმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი : ა :“, ბოსელი უეჭველია ქვედა სართულში უნდა ყოფილიყო, რათგან კიბეზე ხომ ვერ აიყვანდნენ საქონელს, და ქორედის-კი უეჭველად მეორე სართულში უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ამ ჭიშკარს რთული აგებულება ჰქონია. მას თავისი გარკვეული გეგმა უნდა ჰქონოდა. მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც რომ მივუდგეთ ამ საკითხს, ცხადია, რომ ისე მოუფიქრებლივ ასეთი ნაგებობის გაკეთება არ შეიძლებოდა.

შემდეგ ჩვენ გვაქვს იმავე ავტორის ცნობა, რომელიც მოგვითხრობს: „ზნა-კუას შეეკმენ ... ქვეითკირი ბოსელი : ა: და ზედა ხერხული ბელელი : ა: — ქვეითკირი ფარეხი : ა: და ზედა ქორელი სახლი : ა: (ქპბი II, 46). აქაც ორ-ორსართულიან ნაგებობაზე არის საუბარი, ორსართულიანი სახლია. ქვემოთ არის ქვეითკირი, ერთ შემთხვევაში ბოსელი, ხოლო მეორე შემთხვევაში ფარეხი; ზედა სართულში არის: ერთ შემთხვევაში ბელელი, ხერხული პელელი : ა:; ხოლო მეორეში — ქორელი. იმის შესახებ თუ რატომ არის ნათქვანი ხერხული ბელელი, ჩვენ მაშინ გვექნება დაწვრილებითი საუბარი, როდესაც აგებულების ტექნიკაზე გადავალთ, ე. ი. როცა ვანებისლავთ, თუ როგორ აგებდნენ, რანაირი მასალა იხმარებოდა, როგორ ამუშავდნენ ამ მასალას და რანაირი ტერმინოლოგია იხმარებოდა ამისათვის. მაგრამ რომ გასაგები იყოს ესაუბრო, მე მოკლედ აღენიშნავ, რომ არსებობდა ჯარგვალი და ხერხული-ჯარგვალი ეწოდებოდა ისეთ ნაგებობას, რომელიც მრგვალი გაუქრელი ხეებისაგან იყო აგებული. ეს სიტყვა მეგრულია; ჯირგვალი მეგრულად მრგვალ ხესა ნიშნავს, ჯი ძელ-ის შესატყვისობას წარმოადგენს, რგვალი კიდე მრგვალ-ისას, ე. ი. მრგვალი ხისაგან აგებულს ნიშნავს. ხერხული — გახერხილია. ამგვარად ქვეითკირის ბოსელი ყოფილა ერთი და ზედ დაუდგამს გახერხილთ ხეებისაგან აგებული ბელელი. ბელის მნიშვნელობა იმდენად ნათელია, რომ განმარტება არ არის საჭირო. ის მარცვლელული მოსავლის შესანახად განკუთვნილი ნაგებობა იყო. მეორე შემთხვევაში რომ არის ნახშირი ფარეხი და ზედა ქორელიანი სახლი ერთიო, ქორელიანი აქ სახლი საცხოვრებელი არაა, ის საზაფხულო სახლია დროს გასატარებლად და ერთგვარად სვეტებზეა დამყარებული, რომლის წინა მხარე მაინც ღია უნდა ყოფილიყო.

ნიკორწმინდელი განაგრძობს: „ხოტეც ციყიდე ვაბოშისაგან მიწაჲ... და ზედა აგარა, დავდვი სახლი სენაითი და ქუეშე ორითა ბოსლითა, — და ვდვი ბელელი სადაგი : ა: (ქპბი II, გვ. 47). როგორც ვხედავთ, თითქმის ყოველ წინადადებაში ორსართულიან სახლზეა საუბარი. აქაც საინტერესოა, რომ სახლი დაუდგამს სენაითა, ე. ი. სახლი, რომელშიც ოთახები, სენაკები იყო, და „ქუეშე ორითა ბოსლითა“. ქვედა სართული აქაც ბოსელს წარმოადგენს, მაგრამ ორი ბოსელია. როგორც ჩანს, დიდი სახლი უნდა ყოფილიყო. რატომ იყო ორი ბოსელი და არა ერთი ბოსელი, ძნელი სათქმელია.

შემდეგ: „და ზედა შველი ხერხული : ა: (იქვე II, 47). ეს შველი რას ნიშნავს, გაუვებარია. არსად არ მოგვეპოვება სხვა ძეგლში ასეთი ტერმინი და ამიტომ განმარტების მოცემა არ შეიძლება.

„შექმენ მუხურას ქვეითკირი ბოსელი : ა: და ზედა სახლი : ა: და ხერხული ბელელი : ა:; დავდვი ქიმკარი ზემო-ქუმო : ბ: (ქპბი II, 48-49). ამგვარად, აქაც ორსართულიანი სახლია. ხერხული ბელელი იმგვარივე თვისებისა უნდა ყოფილიყო, როგორც ზედა საუბარი გვექონდა.

კარგად მოწყობილ სახლს, უეჭველია, ამ სხვადასხვა სამსახურებელი ნაგებობას გარდა უნდა მცველების სახლიც ჰქონოდა და, მართლაც, ჩვენ ვეფხისტყაოსანში მოგვეპოვება ტერმინი, რომელიც ასეთი ნაგებობის სახეს უნდა წარმოადგენდეს.

გულანშაროს ვაჭართ-უხუცესის სახლს დარაჯვა-ც ჰქონია. ფატიანი აგ-თანდილს მოუთხოვრებს:

„დღესა ერთსა, საღამო ჟამ, ჩასვლა იყო ოდენ მზისა,
წავდე წინა დარაჯავთა, კარი მიჩნდა ხანაგისა“-ო.
(აბულ. 114ბ, 1-2; კაქ. 1169; საიუბ. გამ. 1216).

დარაჯავა სპარსული სიტყვაა, დარაჯა, დარაჯს ნიშნავს, ქართულშიც შეთვისებული ვაქქეს ეს სიტყვა სპარსულითგან; „გა“ სპარსულად ადგილსა ნიშნავს. ამგვარად, დარაჯავა ადგილია, სადაც დარაჯი იმყოფებოდა; იგი, მაშასადამე, სადარაჯო ტიპის საცხოვრებელი სახლი უნდა ყოფილიყო. ცხადია ამასთანავე, რომ დარაჯების სახლი ქართან უნდა მდებარეყო.

იქ რომ მიდგა, დაინახა ხანაგა — „კარი მიჩნდა ხანაგისა“. აქ გვაქვს მეორე ტერმინი — ხანაგა. ხანაგა სპარსული სიტყვაა, სიტყვის მეორე ნაწილში იგიც იმავე „ადგილსა“ ნიშნავს სპარსულად, მხოლოდ სხვას გულისხმობს ეს ტერმინი ქართულად. იგი სხვანაირად უნდა იყოს გაგებული, ყოველშემთხვევაში, შოთას მისით სხვანაირი დანიშნულების ნაგებობა ჰქონდა ნაგულისხმევი თითონაც და, თუ ჩვენ ისე გავიგეთ, როგორც სპარსულს ესმოდათ, სრული შეცდომა მოგვივა. ხანაგა სპარსულად ეწოდება დერვშების სახლს, ე. ი. დაახლოებით სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობა იყო, ქართულად კი სრულებით სხვა მნიშვნელობა აქვს. ხანაგა სასტუმრო სახელია. ამ ხანაგაში, როგორც ვეფხისტყაოსნის შინაარსითგან ჩანს, სრულებით დერვშები არ არიან, არამედ სხვადასხვა ქალაქებიდან მოსული ხალხია. მართალია, იქ რესტორანი არა აქვთ, მაგრამ ყიდულობენ სხვაგან, მოაქვთ საქმელსასმელი, კარგად შეეჭყევიან და ერთმანეთს უამბობენ თავიანთი მოგზაურობისა და ქვეყნის ამბებს. ცხადია, რომ იმ ხანაგას ქართულ ხანაგასთან არავითარი ისაერთო არა აქვს. ამგვარად საქართველოში ქართულად შეთვისებული სპარსული ტერმინი შეცვლილა მნიშვნელობით და სხვანაირი დანიშნულების ნაგებობად ქცეულა.

ხანაგა არის სასტუმრო. უეჭველია, სასტუმროები ჩვენშიც იქნებოდა ძველად და ასეთი ნაგებობების არსებობის შესახებ ცნობებიც მოგვეპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, უცხო ენებზე დაწერილ თხზულებებში. ქართული ძველი, იპდროინდელი ძველი საერო შინაარსისა შერჩენილი არ არის, ან შესაძლებელია, ჯერ აღმოჩენილი არც არის, და ამით აიხსნება, რომ ეს ტერმინი ჯერ ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ ძველი სავაჭრო მწვერლოს ძველებში ჩვენ გვაქვს ერთი ტერმინი, ამჟამად სრულებით უცნობი (არამც თუ ამჟამად, არამედ უკვე XII საუკუნეში დაიწყებული), სახელდობრ პანდოქიონი. რამოდენსამე პარტიკულაში ნახმარი არის ეს სიტყვა. შემდეგში, XII საუკუნეში, ჩვენ გვაქვს ფუნდუკიც. ფუნდუკი პანდოქიონისაგან არის წარმომდგარი. პანდოქიონი ბერძნული სიტყვაა და *πανδοκειον* „პანდოქეონ“, მერმინდელი გამოთქმით პანდოქიონი, რაც სასტუმრო სახლსა ნიშნავდა. V, VI საუკუნის ძეგლებში ეს ტერმინი იხმარებოდა. ცხადია, რომ ის რომაელების პოლიტიკის გავლენის ხანაში უნდა შემოსულიყო საქართველოში. რომაელები პოლიტიკურად გაბატონდნენ ჩვენში, მაგრამ კულტურული ენა ლათინური-კი არ იყო, არამედ ბერძნუ-

ლი და, უეჭველია, რომ იმდენად თვით რომაელები არ უნდა ყოფილიყვნენ მოხელეებად, და ნაწილობრივ ჯარისკაცებადაც, რომდენადაც ბერძნები. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა ნაწიერები, რომლებიც-კი ჩვენში აღმოჩენილია—ბერძნულია, რომაული-კი არა. თვითონ რომის კეისრის ბრძანებით დაწერილი წარწერებიც-კი ბერძნულად არის შესრულებული.

პანდოქიონი, ამგვარად, ეწოდება პირველ საუკუნითვან მყოფობულს, ანუ ამაზე უწინარეს არა, სასტუმროს. შემდეგში შემოდის ფუნდუკი. ფუნდუკი იტალიურშიც არის „ფონდოკო“ და ამ პანდოქიონიდან არის წარმომდგარი. ფუნდუკი, ქართულად რომ მოგვეპოვება, დასავლეთითგან მომდინარეობს, და აღმოსავლეთში სხვაგან თუ იხპარება, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ამავე დროს გვაქვს ხანაგა, რომელიც სპარსეთის გავლენის წყალობით არის შემოსული.

არსებობს თუ არა განსხვავება ნაცებობის მხრივ ფუნდუკსა და ხანაგას შორის? რასაკვირველია, ფუნდუკი და ხანაგა სხვადასხვა იყო. ფუნდუკი ნიშნავდა ქარავასლის მსგავს ნაცებობას, რომელშიც როგორც მგზავრებს შეეძლოთ თავშესაფარი ეშოვათ, ისევე საქონელიც დაეყენებიათ. ქარავანი რომ მიდიოდა, ერთბაშად ბევრი მგზავრი იყრიდა თავს; თანაც ისინი ან აქლემებით, ან ცხენებით, ან ჯორებით მოგზაურობდნენ და იმდენი საქონლის დასაყენებლად უნდა ყოფილიყო ბინაც. ფუნდუკი სწორედ ასეთი ნაცებობა იყო. ხანაგა-კი მხოლოდ მგზავრებისათვის განკუთვნილი, ე. ი. ნამდვილ სასტუმროს წარმოადგენდა, ცხოველების თავშესაფარი აქ არ იყო. ფუნდუკს, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე სასტუმროს, მაშინდელი მიმოსვლის, ურთიერთობისა და ეკონომიურთა აღებ-მცემობის საქმესთან დაკავშირებული მოღვაწეობისათვის. ამით აიხსნება, რომ თამარმა თავისი მეფობის დროს თბილისიდან ჯავახეთში მიმავალი პირდაპირი გზა გააკეთებინა და ჯავახეთიდან თრიალეთში გაღასასვლელ ულულტეხილზე ორი ფუნდუკი ააგებინა: ერთი ქედს იქით, ერთი ქედს აქეთ. იქ სწორად იცოდა წინათაც და ეხლაც ძალიან დიდი თოვლი და ნამქერი, ისე რომ ძველადაც არა ერთხელ დაღუპულან მგზავრები შუა გზაში და; რათგანაც გზის გავრქელება შეუძლებელი იყო ასეთ შემთხვევაში, თამარმა განკარგულება გასცა, რომ ორი ფუნდუკი ყოფილიყო აგებული. დიდი მანძილი არ არის მათ შორის, მაგრამ ამ პატარა მანძილზე იმდენად დიდი იყო განსაცდელი, რომ, თუ დიწყებოდა ნამქერი, უეჭველად უნდა შეეწყვიტათ მოგზაურობა და თავი შეეფარებინათ, ეს ორი ფუნდუკი სწორედ ამისათვის იყო განკუთვნილი, სანთავაც იყო დაგროვილი, რომ, სანამ გამოიდარებდა, მგზავრებსაც და საქონელსაც შესაძლებლობა ჰქონოდათ თავი ერჩინათ. ამ ფუნდუკის ნანგრევები, ერისისა შედარებით უკეთესად, არის დარჩენილი, მეორისაგან მხოლოდ ოდნავი კვალია. რასაკვირველია, საინტერესო იყო ნაცებობათა გეგმისა და თავისებურობის ისტორიის გამორკვევისათვის საქართველოში, რომ ეს ფუნდუკები შესწავლელი ყოფილიყო¹.

¹ რუსთველის ხანის გამოფენას რომ ვაწყობდით, განზრახული გქონდა ამ ორი ფუნდუკის გეგმის გადაღება და შესწავლა, მაგრამ სამწუხაროდ, უსასწაობამ ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელი გახადა.

6. საცხოვრებელ ნაგებობებთან დაკავშირებული შენობები

ჰიგიენური თვალსაზრისით ადამიანისათვის საჭიროა უქვევლად აბანო. რასაკვირველია, ყველას არ ჰქონდა აბანო სახლში, მეტადრე ჩვენში, წყლის სიმცირის გამო. ამის განხორციელება არც ისე დვილი საქმე იყო, მაგრამ მიინც მოკვეთოვება ცნობები, რომ აბანოები იყო ქალაქებშიცა და სოფლებშიც. თბილისში აბანო ცნობილი იყო ძველი დროიდანვე. სპარსელ გეოგრაფებს აღნიშნული აქვთ, რომ თბილისი განთქმული იყო თავისი ვოჯირდოვანი აბანოებით, მაგრამ იქაც, სადაც ბუნებრივად ცხელი მინერალური წყალი არ არსებობდა, აბანო ხელოვნურად აგებული ჰქონდათ, კერძოდ ქუთაისში. მავალითად, «ქამთაღმწერგლს» აღნიშნული აქვს, რომ ნარინ-დავითს, რომელიც დსაფლეო საქართველოში იყო გადასული მონგოლთა ბატონობისაგან თავის დასაღწევად, მოულოდნელად თავს დაესხნენ მესხეთიდან ქუთაისში გადასული მონგოლები, ადგილობრივი რაჭის ერისთავის დახმარების წყალობით, ისე რომ რუსუდანის ძე ნარინ-დავითი აბანოში იყო და ძლიერ მოასწრო თავის დაღწევას. «ქამთაღმწერგლს» ასე აქვს მოთხრობილი: „უბ[რ]ქანა ყანმან აშაღა სირმონ [ნ]ოინს[ა] და ალი ყან[ს]... რათა ილაშქრონ მეფესა დავითის [რუსუდანის ძესა] ზედა... ზედა დაესხნეს ქუთათის[ს], აბანოსა შინა მყოფსა მეფესა, და ძლით შეესწრა ცხენსა, ერთითა კაბითა მარტო ივლტოდა“ (ქამთაღ. *869, გვ. 713) [ამგვარად, დავით რუსუდანის ძე აბანოში ყოფილა არხეინად და ერთბაშად შეუტყობნებიათ, რომ თავს დაესხნენ. იმდენი მოუსწრია, რომ კაბა მიინც ჩაუცვას, მაგრამ ერთითა კაბითა“, ეს ვულისხმობს იმას, რომ სასწრაფოდ მოხდომია ლტოლვა, გაქცევა და თან სხვა ტანისამოსის წაღება გერ მოუსწრია].

მთელი ეს ცნობა ჩვენთვის იმ მხრივ არის საინტერესო, რომ ქუთაისშიც ყოფილა აბანო. ქუთაისის აბანოს ვარდა გეგუთშიც რომ აბანო იყო, ამას უცილობელი დამაპტიკებელი საბუთი თვით ამ გეგუთის ნანგრევებში არის დაცული. მართლაც, აქ არის საბანაო ოთახი, თვით სასახლეში მოთავსებული, აბანოები, წყალსადენიც, რომელიც წყალს აწვდის, ერთი მხრით, და გამოსავალი მილი, რომელიც მოხმარებული წყლის გასაშვებად იყო განკუთვნილი.

შორს რომ არ წავიდეთ და მხოლოდ XII საუკუნეზე შევჩერდეთ, დმანისის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაამტკიცა, რომ არა-თუ თბილისში, რომელიც დედაქალაქი იყო და რომელიც კარგად უნდა ყოფილიყო მოწყობილი და, მართლაც, კარგად იყო ყოველმხრივ უზრუნველყოფილი, დმანისშიც, რომელიც მაღლობ ადვილას მდებარეობდა და ამასთანავე პროვინციულ ქალაქს წარმოადგენდა, არა ერთი აბანო ყოფილა: ერთი შუაგულ ქალაქში, მეორე გარე უბანში, ხეც გამოღმა, რომელშიც მისგლა შეეძლოთ, რასაკვირველია, მხოლოდ ხიდის წყალობით. ხიდიც ყოფილა და შემდეგ რამოდენიმე ნაწილისაგან შემდგარი აბანოც, როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად მოწყობილი. იქ ნაპოვნი ფულის მიხედვით ადვილად შეიძლება აბანოს დთარბილება და ამ მხრივ ეს ძველი საინტერესოა.

ამგვარად, საერო ნაგებობათა შორის აბანოსაც თავისებური ნაგებობა ჰქონია ქართული მშენებლობის ხელოვნებაში. ეს აბანოები შედარებით მერმინ...

დელი ხანისაა. არმაზის არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ აბანოები უკვე ძველ ხანაში არსებობდა. ამასთანავე ეს ნაგებობა ბერძენ-რომაელთა ტერმების გვემაზე ყოფილა მოწყობილი. საგულისხმოდ ნაშთები, საკმაოდ კარგად დაცული, უკვე აღმოჩენილი არის და დასათვალისწინებლად საინტერესოა, მით უფრო მოძველები კვლევა-ძიებისათვის. ეხლაც უკვე მოიპოვება ცბობა, რომ ამის მსგავსი ნაგებობა სხვაგანაც ყოფილა საქართველოში, ისე რომ ამ აბანოების აღმშენებლობასაც თავისი ისტორია ჰქონია. აქაც შესაძლებელია რამოდენიმე საფეხური იყოს აღბეჭდილი. ერთი, ალბათ, ბერძნულ-რომაულზე უფრო ადრეული უნდა იყოს; მეორე ამ ბერძნულ-რომაული ხანისა და მესამე—არაბულ-სპარსული ხანისა არის. შემდეგ უკვე ცალკეა აღსანიშნავი XVII—XVIII სს. აბანო, რომლის მსგავსი ნაშთი მეფე ერეკლესეულს თელავის სასახლეშია დარჩენილი.

აბანოების შესახებ ჩვენ ბლომად მოგვეპოვება ცნობები. ფარსადან გორჯიჯანიძესაც აქვს ერთი ასეთი უწყება: „კახი ბატონი მეფის ერეკლეს ძე, მეფე იმამყული-ხან... ქალაქს აბანოში შევიდა“-ო (ფ. გორჯიჯანიძე, 569). ვეფხისტყაოსანში ხომ შოთას ისე აქვს ნაგულისხმევი, რომ ყველა, ვინც მოვიდოდა სტუმრად, უჭებულად ჯერ აბანოში უნდა წასულიყო. ტარიელმა და აფთანდილმა—

„გამოისვენეს მას ლაშით ფრიდონის მასპინძლობითა,
აბანოს ჰბანა, ააგნა შესამოსლისა ძღვნობითა“.

(აბულ. 1311, 1-2; კაკ. 1335; საიუბ. ვამოც., 1385).

ამრიგადვე ირკვევა, რომ სხვა შემთხვევაშიც, მაშინდელი კულტურული საზოგადოებისათვის, აბანო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

შეძლებული ადამიანისა და ოჯახის პატრონისათვის მაშინ კარგად მოწყობილი საჯინიბოც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა, რათგან ძველად მიმოსვლა, რასაკვირველია, უმეტესად ცხენით იცოდნენ. მაგალითად, ვეფხისტყაოსანშიც ნესტანის გაპარებაზე ფატმაში ამბობს:

„შეველ ფიცხლა საჯინიბოს, ავკენ ცხენი უკეთესი“-ო

(აბულ. 1131, კაკ. 1154; საიუბ. ვამ. 1201).

ამ საჯინიბოში საუკეთესო ცხენები იყო და ის იქვე სასახლის ახლოვე იმყოფებოდა, მაგრამ საჯინიბოები, სადაც ცხენთ-მომშენებლობა წარმოებდა, რასაკვირველია, ქალაქში, ქალაქს გარეთ ჰქონდათ ხოლმე.

საყურადღებო ცნობები ამ საკითხის ვასაშუქებლად გიორგი მესამის ერთიან სიგელში მოიპოვება. ირკვევა, რომ მეცხენეობის რთული მეურნეობა ყოფილა, რომლის წარმოების წესები და თვით ამ საქმის ორგანიზაცია ამ სამეურნეო დარგისა, მაშინდელი საქართველოსათვის უაღრეს მნიშვნელობას კარგად ცხადყოფს, მაგრამ ეს უკვე მეურნეობის ისტორიას ეხება.

ახლა რომ მოკლედ სამეურნეო ნაგებობათა სახელების განხილვასაც შევუდგეთ, ბოხელი და ფარეხი უკვე ნახსენები გვქონდა, რომელთაგან ერთი—ბოსელი მსხვილფეხა საქონლისათვის განკუთვნილ ნაგებობას წარმოადგენს და მეორე—ფარეხი—წვრილფეხა საქონლისათვის. ასე ესმოდათ ისტორიულ ხანაში, მაგრამ ძველად ამ ტერმინებს, როგორც ჩანს, ასეთი მნიშვნე-

ლობა არ ჰქონია: ფარეხს ზოვადი მნიშვნელობა ჰქონდა და ბოსლისაგან სხვა მხრივ განსხვავდებოდა. ეს საყურადღებო საკითხია, მაგრამ აქ რთული ფილოლოგიური მასალებისა და საბუთების გამოყენება იქნება საკირო, ამიტომ აქ ამ საკითხს არ შეეხები.

მესაქონლეობის წარმოებისათვის განკუთვნილ ნაგებობათა ჯგუფს საფურცე ეკუთვნოდა. დაეით აღმაშენებელი თავის 1123 წლის ანდერძში ამბობს: „ასი ფური მომიცნებია, რომელ თრიალეთის მთასა, სოფელსა ბჭითსა და ბჭითს ზეთს სოფლებს და მთასა საფურესა მუხრანს დგეს“-ო.
(შიონღ. საბ. 17).

კარი მეორე

ქალაქი და მისი ნაგებობანი

1. ქალაქის დამახასიათებელი ნიშნები

საქალაქო წესწყობილების განვითარებასთან ერთად ქალაქის ნაგებობა-თა მშენებლობის საქმე, რასაკვირველია, უნდა დაწინაურებულიყო. ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება სტრაზონის თხზულებაში, ცხადად მოწმობენ, რომ უკვე პირველ საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საქალაქო დაწესებულებანი და საქალაქო დაწესებულებათა ნაგებობანი ძალიან მაღალ დონეზე უნდა ყოფილიყვნენ საქართველოში. სამწუხაროდ, ჩვენ ბევრი არაფერი გვაქვს შენახული, ჯერჯერობით მაინც ბევრი არაფერია აღმოჩენილი, რომ ამ საკითხის გასაშუქებლად ნივთიერი, ხელმისაქიდი ფაქტები გვქონდეს. მაგრამ ის მასალები, რომლებიც წყაროებში არის გაბნეული, მაინც საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, რა შეადგენდა საქართველოში ქალაქის დამახასიათებელ თავისებურებას, რა ნაგებობანი უნდა ყრფილიყვნენ აუცილებლად ქალაქში და რაზე უნდა ეზრუნა ქალაქის დამაარსებელს იმ შემთხვევაში, როდესაც ის ძველი ქალაქების გვერდით ახალს ააჩვენებდა. საბედნიეროდ, ჩვენ ასეთი ცნობები მოგვეპოვება. არსებობს ერთი წარწერა, რომელზედაც პირდაპირ აღბეჭდილია კიდევ, თუ როგორ გაუცია განკარგულება საქართველოს მთავრობის სათავეში მდგომ პირს, მეფეს, რომ ქალაქი აგებულიყო და როგორ ააგეს ეს ქალაქი; რა ნაგებობისათვის მიუქვევიათ ყურადღება. მართალია ეს წარწერა, ატენის სიონის წარწერა, მეთერთმეტე საუკუნისაა, მაშასადამე, საქართველოს ნივთიერი კულტურის ისტორიისათვის საკმაოდ შოგვიანებული ცნობაა, მაგრამ მაინც იქ საყურადღებო გარემოებანი არიან აღბეჭდილნი, რომელნიც რეტროსპექტიულად შესაძლებელია უფრო ადრინდელი ხანის გასათვალისწინებლად იყოს გამოყენებული.

უპირველესად საყურადღებოა თვით ის ტერზინი, რომელიც იხმარებოდა ამ ნაგებობათა მთელი კომპლექსის აღსანიშნავად — ქალაქი. ქალაქის ეტიმოლოგია გარკვეული არ არის. თავის დროზე აკადემიკოსმა ნ. მარმა წამოაყენა დებულება, რომ ეს ასურულ ქარქა-სთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რომელიც ერთგვარად მოზღუდვილობის გამოხატველი უნდა ყოფილიყო. შემდეგში ეს თავისი ეტიმოლოგია მანვე თვითონ უარყო და იმ დებულებას იცავდა, რომ ეს სიტყვა ნასესხები არ უნდა იყოსო, უნდა ითქვას, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელდება, რათგან ეტიმოლოგია არც პირველსა და

არც მეორე შემთხვევაში მინცდამინც ისეთი დამაჯერებელი არ არის, რომ დანამდვილებით რისიმე თქმა შეიძლებაოდეს. არც ასურულში მოეპოვება მას თავისი ეტიმოლოგია და ჯერჯერობით არც ქართულში უჩანს სრულებით დამაჯერებელი ეტიმოლოგია. ამას შესაძლებელია თავი დავანებოთ ამჟამად, რამდენადაც რეალური მნიშვნელობა, თუ რას გულისხმობდა ქალაქი, მინც საკმაოდ კარგად ირკვევა.

ჩვენ ერთი საყურადღებო ცნობა გვაქვს, რომელიც, ერთი მხრით, «მოქცევაჲ ქართლისაჲს» მატრიანშია დაცული და, მეორე მხრით, შატბერდულს «წაწინოს ცხორება»-შიც გვხვდება. უკანასკნელ ძეგლში ნათქვამია: «წაწინოს თავსა ციხისასა, პირველ მცხეთისასა, კოშკსა მას მაღალსა, ბრინჯთა მათ ქუეშს, ბრატმან მეფისა საგრილთა და სასუენებელთა ჯდა» (Опис. II, 767).

ამგვარად, ცნობა თვალწინ გვიშლის ასეთ სურათს: ნინო მცხეთის ციხის თავს, მაღალი კოშკის ქვეშ მდგომს „ბრინჯთა“ ხის ქვეშ საგრილთაში მჯდარა. მასასადამე, რაღაც ნაგებობა უნდა ყოფილიყო, რომელც ბრატმან მეფის აგებული ყოფილა. რომელი ბრატმანი უნდა იგულისხმებოდეს აქ? ეს «მოქცევაჲ ქართლისაჲს» მატრიანის შემდეგი ცნობითგან ირკვევა კარგად: «მეფობდა ბრატმან, რომელსა ზე მცხეთას ქალაქი დაეწყო»-ო (Опис. II, 709) [ე. ი. როცა ბრატმანი მეფობას შეუდგა, მის მეფობაში, მცხეთაში ქალაქი დაიწყო]. ამრიგად, მცხეთა არსებობდა, მაგრამ ის ჯერ ქალაქი არ იყო და ქალაქის აღშენება მხოლოდ შემდეგში იწყება.

ცხადია, რომ ქალაქს მოსახლეობის გარკვეული კომპლექსისათვის რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რაღაც დამახასიათებელი თვისება იყო საჭირო, რომ ის ქალაქად გამოეცხადებინათ. აქ აღნიშნულია: «მცხეთას ქალაქი დაეწყო», ე. ი. რომ რაღაცის აგება დაიწყეს. რა უნდა იგულისხმებოდეს, როგორ უნდა გაეიგოთ, თუ ქალაქის ნიშანდობლივ თავისებურებას რა შეადგენდა?

ატენის სიონის 1060—68 წ. წარწერაში საყურადღებო ცნობა მოიპოვება იმის გამოსარკვევად, თუ რა შეადგენდა სახელდობრ ქალაქის მშენებლობას აუცილებელს კუთვნილებას. ბაგრატ მეოთხეს ბრძანება ვაჟცია, რომ ატენში ქალაქი აეშენებინათ. ატენი წინადაც არსებობდა, ამაზე ვაციალებით ადრე აგებული ძეგლიც. ატენის სიონი გვაქვს იქ დაცული, მაგრამ ატენი მაშინ ქალაქი არ იყო და ბაგრატ მეოთხეს უბრძანებია, რომ იქ ქალაქი აეშენებინათ. წარწერაც გვაქვს შენახული, რომელშიც ქალაქის ერთი ამგვებთაგანია, ატენის ციხისთავი მოგვიხსრობს: როდესაც ბაგრატ მეოთხემ ატენში ქალაქის აშენება გვიბრძანა, «მე...ატენისა ციხისთავმან ავაგენ სახლი და ქოლბაგი მას ჟამსა, ოდეს... შეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს... მიოიანს პატრონსა ჩემსა, სეფესა ზუარსა შიდა ქალაქისა შენებაჲს... ვითა სწაიდა მჟაფობასა. მათსა, ეგრე ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვწყაღნა მეფობამან მათმან: სასახლენი ადგილნი და საქოლბაგენი მკვდრდნებიერობით გზობნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენებაჲ შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქოლბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა

ატენისსა“-ო (იხილე ჩემი „К вопросу о времени построения храма в Ате-
нах“: X. B., т. I. 289—290).

ზემომოყვანილი წარწერთგან ირკვევა, რომ ქალაქის შენებად, ანუ დაბის ქალაქად ქცევა, მარტო სტიქიური და ბუნებრივი, თანდათან ზრდის შედეგები არ იყო ხოლმე, არამედ შესაძლებელია ქალაქი ერთდროულადაც, მთავრობის განკარგულებით, მეფის ბრძანებითაც ყოფილიყო შექმნილი. ამასთანავე ზოგი ქალაქი, შესაძლებელია, იმდენად მომცრო ყოფილიყო, რომ სეფე-ზერის ფართობზეც-კი დატეულიყო.

საყურადღებოა, რომ ზემომოყვანილ ცნობაში, ატენში ქალაქის აშენების შესახებ, დასახელებულია დარბაზი, სასახლეები ადგილნი და საქალაქბაგენი და ამასთანავე იქვე აღნიშნულია, რომ ასეთი ადგილები ბაგრატ IV იმპატორის დაურჩებია, „რომელთაცა შენებად შექმლო“ და ერთს ასეთს დასაჩუქრებულთაგანს, ატენის ციხისთავს, ნათქვამი აქვს კიდევ: ნაწყალობე ადგილზე „ავაგე სახლი და ქულბაგი“-ო.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ქალაქში უნდა მოქალაქეთა სახლები და ქულბაგები ყოფილიყო. ამას გარდა მეფის სურვილისამებრ ხომ დარბაზიც აუშენებიათ! სამწუხაროდ, არა ჩანს, სამეფო დარბაზია ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი, თუ საქალაქო. მართალია, იმისდა მიხედვით, რომ ატენის ციხისთავი დარბაზსა და ქალაქზე ცალ-ცალკე ლაპარაკობს და ამბობს, „ავაშენეთ ქალაქი და დარბაზი“-ო, და თითქოს ისე გამოდის, ვითომც, რომ დარბაზი ქალაქში-კი არ უნდა ყოფილიყო აგებული, არამედ ქალაქისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ რაკი წარწერის წინა ნაწილითგან ჩანს, რომ დარბაზიცა და ქალაქიც სწორედ ერთსა და იმავე ადგილზე, „სეფესა ზუარსა შიდა“, ყოფილა აგებული, ისე გამოდის, თითქოს სმ წარწერაში ქალაქი მოზღუდვილი ადგილის მნიშვნელობითაა ნახმარი და დარბაზი, თუმცა ქალაქის მშენებლობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ამ მოზღუდვილი ადგილის გარეშე ნაგებობად იყო ნაგულისხმევი.

ამგვარად, ჩვენ თვალწინ ქალაქის შენება იწყება. ატენი საკმაოდ ცნობილი ადგილი იყო, რაც თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ იქ ისეთი შესანიშნავი ძეგლი იყო აგებული, როგორც ატენის სიონია. იქ მოსახლეობა არსებობდა, მაგრამ მაინც ის ქალაქი არ ყოფილა. თავისთავად ცხადია, რომ ჯერ დაბა იქნებოდა, მერე ქალაქი. მეფეს იქ თავისი „სეფე-ზვარი“ ჰქონია, ე. ი. საკუთარი სამეფო ზვარი ჰქონია. ქალაქის შენების განკარგულება რომ გაუტეა, ბაგრატ მეოთხეს ამის განხორციელება გარკვეული პირობისათვის მიუზღვია. რით დაუწყიათ ამ გეგმის განხორციელება? აქ ნათქვამი არის, რომ, ავაშენე დარბაზი და ქალაქიო. ქალაქი და დარბაზი თითქოს სხვადასხვა ნაგებობაა, ერთი-ერთმანეთისაგან თითქოს განსხვავებულ ნაგებობას უნდა წარმოადგენდეს. ამგვარად, დარბაზი თითქოს ამ შემთხვევაში არ უნდა გულისხმობდეს ქალაქის დარბაზს, როგორც ჩვეულებრივ იყო ხოლმე [მაგალითად, თბილისში იყო ამირას დარბაზი, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან კარგად ნაგები უნდა ყოფილიყო].

ხელა გავარკვიოთ, თუ რა იყო ქალაქისათვის დამახასიათებელი. ამ წარწერიდან ეს საკმაოდ კარვად ირკვევა.

ამ მიზნის განსახორციელებლად მეფეს ჯერ ერთი გარკვეული ფართობი — სეფე-ზვარი, დაუთმოა. რასაკვირველია, შესაძლებელია, ზვარი მოზრდილი ყოფილიყო, მაგრამ რაც უნდა მოზრდილად წარმოვიდგინოთ, მაინც ჩვენი თანამედროვე წარმოდგენით, ქალაქისათვის შესაფერისი ფართობი აქ საგულისხმებელი არ არის. ამგვარად, ატენი პატარა ქალაქი უნდა ყოფილიყო. ატენის ხეობა ძალიან ვიწრო ხეობაა. ამიტომაც, ბუნებრივი პირობების გამო, ეს ქალაქი უმჯველია პატარა ქალაქად უნდა ვიგულისხმოთ.

რაკი ქალაქი სეფე-ზვრის ფართობზე აუფიათ, ცხადია, რომ სეფე-ზვარი უნდა გავკაფათ. ბაგრატ მეოთხეს ამისთანავე „სასახლენი ადგილნი და საქულებავენი“, მიუცია, ორი რამე, რაც ქალაქის შენებისათვის აუცილებლად საჭირო იყო. საფიქრებელია, რომ სასახლე და საქულებაქე ადგილები ნაწილობრივ მაინც ვაკაფული სეფე-ზვრის ფართობი უნდა ყოფილიყო. აგებას რომ შესდგომიან, სასახლე ადგილზე, როგორც ირკვევა, სახლი აუფიათ და საქულებაქე ადგილზე-კი ქულბაქეები.

სახლის აგება ქალაქისათვის არაფერს ნიშნავდა, არ წარმოადგენს. ქალაქის მთავარი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობდა, რომ ქალაქში საქულებაქე ადგილები უნდა ყოფილიყო. ქულბაქე სპარსული სიტყვაა. ქულბეჰ — სპარსულად სავაჭრო ადგილს, დუქანს ნიშნავს. ამ დროს, ე. ი. შუათე-მეთერთმეტე საუკუნეში ქულბაქე იხმარება. ამგვარად, ქალაქის სასაზღვრად ანუ ატენის ქალაქად გადასაქცევად, ქულბაქეში ააგეს. მეფეს ასეთი ადგილები იმითვის დაურჩებია, რომელთაც „შენებაჲ შეეძლოთ“, ე. ი. კვლასათვის-კი არა, არამედ მხოლოდ იმითვის, რომელთაც ქალაქისათვის შესაფერი შენობების აგება შეეძლოთ.

ბუნებრივად იბადება სეკითხი, — მაშ სახლებს აშენება რისთვის-ღა იყო საჭირო? ცხადია, რაკი ატენში მოსახლეობა წინათაც იყო და მას სახლკარი ექნებოდა, მაგრამ, როდესაც ატენი ქალაქად უნდა ქცეულიყო, ახლების აგება მაინც საჭირო გამხდარა: ერთი მხრით, საფიქრებელია, მოსახლეობისა და დაწესებულებებისათვის განკუთვნილი, მეორე მხრით, შესაძლებელია, მოქალაქეთათვისაც, რათგან საქალაქო სასწავლების აგება სოფლის სახლებისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ჩვენ ამის დამადასტურებელი პირდაპირი ცნობებიც მოგვიჩვენება. ერთ საბუთში („ძეგლი ერისთავთა“) არის ნათქვამი: „ავაგებ დარბაზი ტფილის ქალაქურისა წესითა“-ო, ე. ი. ისეთი, რომელსაც სრულეებით გარკვეული ხუროთმოძღვრული თავისებურება უნდა ჰქონოდა. სამწუხაროდ იმის გადაწყვეტა, აუ რით განსხვავდებოდა ქალაქურა ნაგებობა ჩვეულებრივისაგან, არ შეგვიძლია. მომავალში ნაქალაქრების გათხრის დროს შესაძლებელია რაიმე ნაშთი აღმოჩნდეს და მაშინ ამის რეალურად განსაზღვრაც შესაძლებელი შეიქნეს, მაგრამ ამჟამად დანამდვილებით არაფერი ვიცით.

ქალაქს, როგორც სავაჭრო ცენტრს უმჯველად სათანადო ნაგებობანიც უნდა ჰქონოდა. იქ ქალაქის დარბაზიც უნდა ყოფილიყო, ქალაქის მოხელეთათვის განკუთვნილი შენობებიც; რასაკვირველია, სახაუაც, რომ ქალაქში

საქონლის შემოტანისა და გატანის დროს ბაჟი გადახდებიან. შემდეგ საკოშრე დაწესებულება, სადაც სახელმწიფო სასწორი იყო და გასაყიდ სხვადასხვა საგნებს სწონდნენ.

შემდეგში, XVII-სა და XVIII სს-ში საკოშრეს მაგიერ ტერმინად საყაფო შემოდის, ხოლო ქულბაქეს მაგიერ ამავე საუკუნეებში დუქანი ჩნდება და, ცხადია, რაღაც განსხვავება უნდა ყოფილიყო ძველ ქულბაქსა და მერმინდელ დუქანს შორის. აქაც იმის განსაზღვრა, თუ რით განსხვავდებოდა ძველი ქულბაქი მერმინდელი დუქნისაგან, რეალურად ამკამად ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ მომავალი კვლევა-ძიება, ცხადია, რომ ამის განსაზღვრის საშუალებასაც მოგვცემს.

ქალაქი უზენადაც იყო დაყოფილი. უბნებს, რასაკვირველია, თავისი კარიჭკონდათ. თითოეულ უბანს თავისი სახელიც ჰქონდა, რომელიც მის ნიშანდობლივს თავისებურებას გამოხატავდა. რაკი ქალაქის მოსახლეობა ზოგან ტომობრივაცა და სარწმუნოებრივაც განსხვავებული იყო და ზოგ ეროვნებასა და სარწმუნოების მიმდევარს ცალ-ცალკე ჰქონდა ხოლმე ქალაქში სამოსახლო ადგილი არჩეული, ამიტომაც უბნების ტომობრივად, ანდა სარწმუნოებრივად განმარჩეველი სახელებიც შეიქმნა. მაგალითად ლეონტი მროველს დასახლებული აქვს უბანი ჰურიათა (ცა მჟთა #, №12, გვ. 14), ხოლო «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს მატიანეში გვხვდება მოგუთა უბანიც იმავე ქალაქში (Опис. II, 750). ამათგან პირველია, ცხადია, ჰურიებს ჰქონიათ ბინადრობა, მეორე უბანიც მოგუთაში ყოფილა დასახლებული, ე. ი. ცეცხლ-თაყვანდამცემელთ უცხოვრიათ. მცხეთაში ამაჲს გარდა ცხოვრობდნენ სპარსელები და ასურელები, ხელოსნები, მეჩქეპეები და შემდეგ მოხელეებიც. რასაკვირველია, სპარსელები უფრო მეტი იყვნენ, რათგან V—VI სს. სპარსულ მოსახლეობას სასანიანთა სამეფოს წარმომადგენელი მარზაპანი უმაგრებდა ზურგს, რომელიც თბილისში ცხოვრობდა და რომელსაც მცხეთაში თავისი წარმომადგენელი ჰყავდა. ისინი ცალკე უბანში იყვნენ, რომელსაც მოგუთა უბანი ეწოდებოდა. თითოეულ ამ უბანთაგანს თავისი სახელიც ჰქონდა, თავისი კარიც მოუპოვებოდა, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ.

ქალაქებისა და სოფლების უბნები უპირველესად ადგილმდებარეობით განსხვავდებოდნენ. ქალაქ-სოფლების კიდებზე მდებარე და გაშენებულ უბნებს გარეუბანი ეწოდებოდა. ყოველს დასახლებულ ადგილს თავთავისი გარეუბნები ჰქონდა და მცხეთაშიც მოხსენებულია ვარეუბნისა ეკლესია (შატბ. ნინოს-ცა, Опис. II, 721).

მდებარეობისდა მიხედვით ქალაქისა და სოფლის უბნები ოთხად იყოფებოდა: არსებობდა წინა-უბანი და უკანა-უბანი ისევე, როგორც იყო შუა-უბანი-ცა და ვარე-უბანი ანუ ვარეთ-უბანი-ც. «ძველი ერისთავთა»-ს შემატანე მოგვიანრობს, რომ ქსნის ერისთავს ბრძოლის შემდეგ არაგვის ხეობაში სხვა ციხეებსა და სასახლეებს გარდა დარჩენია „ციხენი უკან-უბნისა, სახლი ნაგაფოვანისა და სახლი წინაუბნისა“ (ქკპი II, 16,4-3 ქვ.).

უბნები არსებობდა და ეხლაც არსებობს სოფლებშიც, მაგრამ ქალაქის უბანი მიინც განსხვავდებოდა სოფლის უბნისაგან. ქალაქის ზრდასთან ერთად

ოცვლებოდა მისი უბნების რაოდენობაცა და გეგმაც. მაგალითად, ცნობა გვაქვს, რომ თბილისში ორი ზღუდე იყო. ერთი უფრო ვიწროდ შემოვლებული, მეორე უფრო ფართოდ. ცხადია, რომ ვიწროდ შემოვლებული ზღუდე პირვანდელი ფართობის განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო. როდესაც თბილისი გაიზარდა და მოსახლეობა იმდენად გადიდდა, რომ ამ ვიწროდ შემოღარგულ ფართობში მოსახლეობის დატევა უკვე შეუძლებელი შეიქმნა, გარეთუბნები გაჩნდა. მეორე, თანდათან ეს გარეთუბნები ქალაქის საზღვრებში მოექცნენ და როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, მათაც ზღუდე შემოიავლეს. ამგვარად, ქალაქი-უბნები გეოგრაფიული დანაწილებისა და ისტორიულ, თანდათანობით სხვადასხვა გარემოებათა წყალობით გაჩენის პარაცესის შედეგი იყო.

უბნებს გარდა ქალაქში, რასაკვირველია, ქუჩებიც არსებობდა, რომლებსაც მაშინ შუკა ეწოდებოდა. ამის შესახებ ვეფხის-ტყისანში ერთი საყურადღებო ტაეპი მოგვეპოვება. სატაეითიგან დაბრუნებას ძლევაშოსილი (ჩუჩიელი ასე უამბობს ავთანდილს:

„ჩემთა მკვრეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი“,

(აბულ. 419., ქაქ. 444, სიიუბ. გამ. 473).

უფრო საფიქრებელია რომ უნდა იყოს „ქალაქის შუკა და ბანი“ რათგან ქალაქის მოცვა როგორ შეიძლებოდა? ცხადია, ქუჩაში იმოდენა ხალხს მოუყრიდა თაეი, რომ ქდევა არ ყოფილა. ამგვარად, ქალაქს უეჭველად უნდა ჰქონოდა შუკა და, რასაკვირველია, რამდენადაც ის დაწინაურებული და მაღალი კულტურის ქალაქი იყო, იმდენად მისი შუკაც ნაგებობას წარმოადგენდა.

დღევანდელი თბილისის ისტორიკოსის ერთი ცნობა მოგვეპოვება, რომ XII საუკუნეში გზებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ისტორიკოსი ამბობს: „რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ჰენილ ყენა“-ო მშენდესი ქვა *54. გვ. 322) [ე. ი. რამოდენნივე გზაზე, რომლებზედაც სიარული ძნელი იყო, ალბათ იმიტომ, რომ ოღრო-ჩოღრო იყო, ქვაფენილი დაუფიქ]. ამ შემთხვევაში ისტორიკოსი საქალაქთაშორისო მიმოსვლის გზებს გულისხმობს, საქარაენო გზებს, მაგრამ, ცხადია, რომ თუ საქართველოს მთავრობა საქალაქთაშორისო გზებზე ასე ზრუნავდა, მით უმეტეს, საფიქრებელია, რომ ქალაქებშიც ქუჩები მოკირწყლულ-ქვაფენილყოფილი უნდა ყოფილიყო. ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ქართული ქალაქის ძველი ქუჩის ნახვა შეგვეძლოს, დმანისის არქეოლოგობრმა გათხრამ შეგვამდგინა და ამანაც დაამტკიცა და დადასტურა ისტორიკოსის ცნობა: მართლაც, ქალაქის კარებთან იქ ქუჩა აღმოჩნდა, რომლის ქვაფენილყოფილობის ნაშთიც საკმაოდ კარგად იყო შენახული.

ჩვეულებრივ ქალაქი ვარემოზღუდვილი იყო ხოლმე, ამით ის სოფლისაგან განსხვავდებოდა. შესაძლებელია, სოფელსაც ჰქონოდა სიმაგრე, ჩვეულებრივ კოშკი, მაგრამ ოდნავ კარგად მოწყობილი ქალაქი უეჭველად მოზღუდვილი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ვალავანი უნდა ჰქონოდა შემოვლებული. წმ. ნინოს ცხოვრებაში-ნათქვამია: „დავდეგ ახლოს კერპისა მის, ნაპარალსა ზღუდისასა“ (ცმ ნინოჲსი, შატბ., Опис. II, 751); „დაარღუნა ზღუდენი იგი კარმან სასტიკმან“ (ib. Опис. II, 755). რაკი ვალავანი იყო, მას კარებიც უნ-

და ჰქონოდა. იმასდა მიხედვით, თუ რამდენად დიდი იყო ქალაქი და იმასთან დაკავშირებით, თუ რა და რა მიმოსვლის გზები იყო ამ ქალაქის არსებობისათვის აუცილებლად საჭირო, ქალაქის ზღუდეც, სავაჭრო და მიმოსვლის გზების-დაგვარად, იყო კარგადად დაყოფილი.

რამდენიმე კარი ქალაქს შეუქველად უნდა ჰქონოდა. მცხეთაში, მაგალითად, სამი კარი ყოფილა, თბილისში-კი—5 იყო. ცხადია, ეს ხუთი კარი შემდეგში იქნება გაჩენილი, თავდაპირველად უფრო ნაკლები იქნებოდა.

უბნებისათვის, მდებარეობის მიხედვით შექმნილ სახელებს ვარდა, აგოეთვე ტომობრივობისა და სარწმუნოებრივი მიკუთვნილობის გამომახტველი სახელებიც არსებობდა; მაგალითად, მცხეთაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობდა უზანი ჰურიათა. ეს სახელი შემდეგში ზოგან გეოგრაფიულ სახელადაც იქცა, მაგალითად კახეთში, — სოფელი ურიათუბანი. იქვე მცხეთაში იყო მოგვთა უზანიც. ცხადია, ურიათუბანში თავდაპირველად ებრაელებს უცხოვრიათ, ხოლო მოგვთა უბანში ცეცხლთაყვანისმცემლები იქნებოდნენ.

ამგვარად, ქალაქის ნაგებობის მაშინდელ თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ მოსახლეობა დაჯგუფებული იყო, ერთი მხრით, ტომობრივად და თანამეტომენი კიდევ ერთი-ერთი-ერთი-ერთის გვერდით დასახლებას რჩებოდნენ. როდესაც ებრაელი მოდიოდა მცხეთაში, ის თავის თანამოძმეთა უბანს ეძებდა და, თუ ის მცხეთაში დარჩებოდა, იმავე უბანში იშენებდა სახლს. რასაკვირველია. იმიტომ-კი არა, რომ სხვაგან არ შეეძლო აშენება, არამედ, იმიტომ, რომ მაშინ ასეთი წესი იყო. ძველიდანვე სხვაგანაც და საქართველოშიც ამავე წესს მისდევდნენ. მეორე მხრით, დაყოფა სარწმუნოებრივი მიკუთვნილობის მიხედვითაც ყოფილა. მოგვთა უბანი, ცხადია, რომ უმოთაგრესად სპარსელებისაგან უნდა ყოფილიყო დასახლებული, მაგრამ ცეცხლ-თაყვანისმცემლები მარტო სპარსელები არ იყვნენ, იმიტომ რომ ცეცხლ-თაყვანისმცემლობა საქართველოშიც იყო გავრცელებული და ქართველებიც იყვნენ ბლომად ამის მიმდევარნი და, რათგან თითოეულ ამ სარწმუნოების აღმსარებლობის მიმდევარს თავისი სამლოცველოც ჰქონდა, ამიტომ. რასაკვირველია, ცეცხლ-თაყვანისმცემელს, თუნდაც რომ იქ არ ეცხოვრა, შეუქველია კავშირი უნდა ჰქონოდა მისი მოძღვრების მიმდევართა მოსახლეობით დასახლებულ უბანთან. ჩვენ მართლაც შეგვიძლია ესლავე აპრიორულად გადავწყვიტოთ, რომ უბნების დანაწილება და სახელები, მარტო ცარიელ სახელებად არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. არამედ თავისებურება უნდა ჰქონოდა ნაგებობის მიხედვით, თუნდაც რომ მარტო სამლოცველო ავიღოთ, ქრისტიანთა უბანში ეკლესია იქნებოდა, ებრაელთა უბანში ბაგინი იქნებოდა, მოგვთა უბანში სავაჭრული იქნებოდა, — განსაზღვრული ნაგებობანი, რომლებიც გარკვეულ ხუროთმოძღვრულ თავისებურებას მიანიჭებდა თითოეულ ამ უბანს.

ქალაქი, ვითარცა ვაჭრობისა და წარმოების ცენტრი და, სოფელთან შედარებით, მოჭარბებული სიმდიდრის შემცველი ადგილი, რასაკვირველია, უნდა დატული ყოფილიყო. ქონების დატულობის საერთო წესებს ვარდა, ძველად თითოეულ ქალაქს თითონაც უნდა ეზრუნა ამოზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქალაქისათვის ირჩევდნენ ისეთ ადგილს, რომელიც ერთი-მხრით ვაჭ-

რობისა და მიმოსვლისათვის იყო მარჯზე, მეორე მხრით-კი მოსახლეობას საშუალებას აძლევდა აგრეთვე თავდასხმისაგანაც უზრუნველი ყოფილიყო. ამიტომ ქალაქი ან მაღლობ ადგილას იყო ხოლმე აგებული, ანდა მას უეჭველად უნდა ზღუდვ და ციხეც ჰქონოდა და მცველებიც ჰყოლოდა. აი, მაგალითად, შოთას რა აქვს ქაჯეთის ქალაქზე ნათქვამი:

„მოვიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან“

(აბულ. 1317,3; კაკ. 1341; საიუბ. გამ., 1391).

რატომ? იმიტომ რომ ქალაქი დაცული უნდა ყოფილიყო.

ვეფხისტყაოსანში მეორე ადგილიც მოგვიპოვება, სადაც მაშინდელი ქალაქის გარეგანი სახეც არის კარგად აღწერილი: ტარიელთან წარგზავნილს წერილში ნესტანს თავისი ტყვეობის ადგილი, — ქაჯთა ქალაქი, — ასე აქვს დახასიათებული:

„ციხეს ვხი ხვომ მალაღსა, თვალნი ძლივ

გარდასწვდებიან,

გზა გვირავითა შემოვა, მცველნი მუჟ. ზედა დგებიან,
დღისით და ღამით მოყმენი ნობათსა არ

დასცდებიან“

(აბულ. 1228,1-3; კაკ. 1252; საიუბ. გამ., 1300).

ფატმანისაგან წარგზავნილმა ორმა შავმა მონამაც ქაჯთა ქალაქი ასე ასწერა: „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:

ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მალაღს და გრძელია,

მას კლდესა შიგან გვირავი, ასაძრომელი ჯვრელია..

გვირავის კარსა ნიადგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები,

ათიათსი ჭაბუკი დვას, ყველაკაი ხსიები,

ქალაქის კართა სამთავე სამათას-სამათასები“-ო

(აბულ. 1172,1-3 და 1173,1-3; კაკ. 1195 და 1196; საიუბ. გამ., 1242, 1243).

მაშასადამე, ქალაქს მაღალი ციხე აქვს, რომელსაც მეციხოვნე ჯარი იცავს. მას, ამას გარდა, გვირავიც აქვს და ქალაქში მხოლოდ გვირავით შეიძლება ასვლა. ყველგან ასე იყო თუ არა? ცხადია, არა. აქ ჩვენ ქაჯთა ქალაქის აღწერილობა გვაქვს, მაგრამ მაინც ქალაქის გვირავის სანახავად ქაჯეთში წასვლა საჭირო არ არის; საკმარისია, უფლისციხეში მივიდეთ და გვირავს, რომლითაც ქალაქში აღვიდნენ, იქ ვნახეთ. ამჟამად ეს გვირავი სრულებით ჩუფშხილია, კიბის საფეხურებიც-კი ძლივსა ემჩნევა, მაგრამ წინათ ამ გვირავს საფეხურებიც ჰქონია. ცხადია, ქაჯეთის ქალაქის გვირავიც ისე არ იქნებოდა, რომ იქ აღამიანს, თუ მტერი არ იყო, შესვლა არ შესძლებოდა.

ამგვარად, ქალაქისა და მოსახლეობის სიმდიდრის დასაცავად განსაკუთრებული ღონე და საშუალება იყო ნახმარი. ამიტომაც ქალაქს, რასაკვირველია, ზღუდვ უნდა ჰქონოდა. ასეა სწორედ მცხეთაც აღწერილი და ასევე არის ხოლმე სხვა ქალაქებიც წარმოადგენილი. თბილისის შესახებაც გვაქვს ცნობა როგორც ძველი, ისე მერმინდელიც. ყველა ამ ცნობებში აღნიშნულია, რომ ქალაქი თბილისი დაცული იყო მშინაც, როდესაც თბილისი მთლიანად ქვის ქალაქს წარმოადგენდა. მაგალითად, ბულა-თურქმა თბილისში შემოსევის

დროს, თბილისის გადაბუგვა იმის გამო მოახერხა, რომ მთელი ქალაქი ხის შენობას წარმოადგენდა, თვით ციხე-კოშკები ხისაგან ყოფილა აგებული. მეფეებრობ, ეს შეტარებით მერმინდელი მოვლენა უნდა ყოფილიყო, მეექვსე-მეშვიდე საუკუნის დამდეგს მომზადარი, თბილისის განადგურების შემდგომ, როცა ჯიბლუ-ბაკანმა და ერეკლე კეისარმა თბილისი აიღეს და გაანადგურეს; საფიქრებელია, რომ ამის შემდეგ ქალაქის ზღუდის განახლება ვერ შესძლეს და ხის ნაგებობა დარჩა. ასეა თუ ისე, მაშინ, როდესაც ხის მასალა უმთავრესადაა ასაშენებელ მასალას წარმოადგენდა, ამ შემთხვევაში ხისაგან გაკეთებული ზღუდე მაინც არსებობდა.

ჯავახეთის ახალქალაქის შესახებ, «მოქცევაჲ ქართლისაჲ»-ს მატიანეში გვაქვს შემდეგი ცნობა, რომელიც დაახლოებით 1047 წ. შეეხება: „იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ეამსა უზღუდო იყო“ (მტწე ქ. მ. მ. დწესი ქ. ცა * 486, გვ. 260; ანა დწესი ქ. ცა 186, 1).

აქედან ჩანს, რომ ახალქალაქი თუმცა ქალაქად იყო გამოცხადებული, მაგრამ ახალი ქალაქი იყო მაინც და ჯერ ზღუდე არ ჰქონია. ზღუდე ჯერ დამთავრებული არ იყო და, როდესაც არფარსლან სულტანი 1054-5 წელს „წავილა ჯავახეთს, და მოადგა ახალქალაქს... რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა გარდასრულ¹ იყო ახალქალაქი, ვერლარა დაუდგეს ბრძოლითა“ (მტწე ქ. მ. მ. დწესი ქ. ცა * 497, გვ. 269; ანა დწესი ქ. ცა 191, 17-21), [ე. ი. მცხოვრებლებმა ვერ მოახერხეს წინააღმდეგობის გაწევა შემოსული მტრისათვის, იმიტომ რომ, მართალია, ზღუდე იმ დროს უკვე ჰქონდათ, მაგრამ ჯერ კიდევ მტკიცე ზღუდე არ იყო და იმიტომაც მისი დაცვა ძნელი იყო]. ამგვარად, ახალი ქალაქი რომ შენდებოდა, შესაძლებელია პირველ ხანებში ვერ მოასწრეს ზღუდის გაკეთება, მაგრამ მერმე, უეჭველად აგებული უნდა ყოფილიყო, თუნდაც არა მტკიცე. რამდენადაც გაიზრდებოდა მისი მნიშვნელობა, იმდენად ზრუნავდნენ იმაზე, რომ მას მტკიცე ზღუდე ჰქონოდა, რადგან ქალაქის დაცვა მხოლოდ ამაზე იყო დამყარებული.

ამგვარად, ქალაქის ნაგებობათა გარეგნულ თავისებურებას მოზღუდვილობა წარმოადგენდა. ზღუდე და ციხე უეჭველად უნდა ჰქონოდა ცოტათი მაინც მოზრდილ ქალაქს.

2. ქალაქის მთავარი ნაგებობანი

ამ დარგის ტერმინებს შორის ერთი მხრით გვაქვს ქალაქი, მეორე მხრით — ციხე, ზოგჯერ ციხე ქალაქთან არის შეერთებული, თითქოს ციხე და ქალაქი დაპირისპირებულიაო. ქალაქი, რასაკვირველია, უმთავრესად სავაჭრო და ადმინისტრატიული ცენტრი უნდა ყოფილიყო; ციხეს-კი უმთავრესად სამხედრო დანიშნულება ჰქონდა. მაგრამ ქალაქებსაც ჰქონდათ ციხე და ზღუდეც მოეპოვებოდათ, თუმცა არა ერთი ცნობა გავაჩნია, რომლითანაც ჩანს, რომ უზღუდო ქალაქებიც არსებობდა და ზოგიერთ მათგანს არც ციხე ჰქონია. მაგალითად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ახალქალაქის შესახებ ნათქვამი

¹ ანა დწესი ქ. ცაშია: გასრულებულ.

არის, რომ როდესაც XI საუკუნეში ჯავახეთს თურქები შემოესივნენ, მაშინ ჯერ კიდევ ჯავახეთის ახალქალაქი გასრულებული არ იყო ზღუდითა, ჯერ კიდევ ზღუდე არ იყო დამთავრებული (გვ. 40). მაშასადამე, მანამდე ქალაქი იყო, მხოლოდ ციხე და ზღუდე ჯერ არ ჰქონია; ეკონომიურ ცენტრად ქვეყნულა, მაგრამ სამხედრო თვალსაზრისით ის დაცული არ ყოფილა და ამიტომ დაზარალებულა კიდევ.

რასაკვირველია, ყველა დიდ ქალაქს, როგორც, მაგალითად, თბილისს, ქუთაისს, ჩვეულებრივ შექველად ციხე და კოშკები უნდა ჰქონოდა. ქალაქის აგებულების მთავარი თვისებებისა და აუცილებელი კუთვნილების გასათვალისწინებლად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ატენის სიონის კედელზე დაცული და ჩვენ მირ ზემოთ მოყვანილი წარწერაა საყურადღებო. როგორც ამ წარწერითგან ჩანს, ქალაქის აგების შესახებ რომ ბრძანება გაუცია ბაგრატ მეოთხეს, პირველი საზრუნავი დარბაზისა, სასახლეთა და ქულბაქთა აგება ყოფილა [სადიქრებელია, რომ აქ ქალაქის დარბაზი უნდა იგულისხმებოდეს. ქულბაქი, როგორც აღვნიშნეთ, სპარსული სიტყვაა, სავაქრო სასლოსა ნიშნავს, იმასვე რასაც შემდეგში დუქანს უწოდებდნენ; არც დუქანია ქართული სიტყვა, ქართულად სავაქროს, საფარდულე ანდა ფარდული ეწოდებოდა]. ამრიგად, ქალაქის ნაგებობისათვის დამახასიათებელ თავისებურებად აღებ-მიცემობისათვის განკუთვნილი შენობებისა და დაწესებულებათა არსებობა უნდა იქმნეს მიანელოლი.

ქალაქები სადიდითაჲ, დანიშნულებითაცა და მნიშვნელობითაც განსხვავდებოდნენ ერთმანერთისაგან. ყველაზე უფრო დიდს, მთავარ ქალაქს, რომელშიც პოლიტიკური მმართველობის ცენტრი იყო მაშინაც დედაქალაქი ეწოდებოდა. მას ეხლაც ასევე ვუწოდებთ. ქალაქების სიმრავლე, რასაკვირველია, თვით ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულ სიმაღლეზე დამოკიდებულია. საყურადღებოა ისტორიკოსის მსჯელობა დედაქალაქის შესახებ, რომლის მაშინდელი რაობის წარმოდგენაში აქ ნახმარი სიტყვები გვშველის. ლეონტი მროველს მცხეთაზე ნათქვამი აქვს: „ვინაცა იყუს მცხეთასა, რეცა თავადს იგი იყუს სხუათა ზედა, და... იგი იყუს მანაგებელი და ბრჭე სხუათა ქართლისქიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთაჲსა, და უწოდეს დედაქალაქად“ (ცა მეთა #107, გვ. 8). ამრიგად, მცხეთის დედაქალაქობა იმაზე იყო დამყარებული, რომ იგი, ჯერ ერთი, „განდიდებული იყო უმეტეს ყოველთა ქალაქთა“, მეორე მხრით, იქ უფროსი („რეცა თავადი“, ე. ი. როგორც უფროსი) ცხოვრობდა, რომელიც მანაგებელი და ბჭე, ე. ი. შენთანხმებელი და მოსამართლე იყო. მაშასადამე, მცხეთა სავაქრო, ადმინისტრაციული და სასამართლო ცენტრი ყოფილა.

ამგვარად, დამთავრებულსა და წესიერად მოწყობილ ქალაქს უნდა ზღუდე ჰქონოდა და ზღუდესთან ერთად შექველად ციხეც. მართლაც, არ მოიბოგება საქართველოში ქალაქი, რომელსაც ნაგებობის სახით მიინც ციხის ნაშთი შენახული არ ჰქონდეს.

ციხე სხვადასხვანაირი არსებობდა. ორი ტერმინი გვქონდა ჩვენ ქართულად—ციხენი და სიმაგრენი. ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ დავით აღ-

მწიგნობელმა „ნებიერად აიხუნა ციხენი და სიმაგრენი“ ჰერეთ-კახეთისანიო (ცა მთ მფსა ღოსი, მმ ღფსი ქცა *526, გვ. 293) [ე. ი. როგორც ჰნებადღა, როგორც მას სურდა, ისე „აიხუნა“, აილო, და დაისაკუთრა კახეთისა და ჰერეთის ციხეები და სიმაგრენიო].

ცხადია, ციხე და სიმაგრე განსხვავებული უნდა ყოფილიყო ერთმანეთისაგან. მართლაც ასეთი ორი ტერმინი ყველა ენაში არსებობს — ციხე და სიმაგრე. რას უნდა ნიშნავდეს სიმაგრე რეალურად, სამწუხაროდ ამის განსაზღვრა ამჟამად არ შეგვიძლია. ხოლო სხვადასხვა ხანაში ციხე რანაირი იყო, ეს კარგად ვიცით. რამდენი მთავარი ნაწილისაგან შედგებოდა იგი, ესეც ჩანს წყაროებიდან, ხოლო როგორი იყო სიმაგრე როგორც ნაგებობა, ამაზე ჯერჯერობით არც ერთ წყაროში არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. ერთი რამ მაინც უცილობლად შესაძლებელია ესლაც აღინიშნოს: სიმაგრე ზოგადი ცნების ვამომხატველია და ამიტომაც უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა.

ციხე მნიშვნელობისდა მიხედვით, ან ჩვეულებრივი იყო, ან „თავადი ციხე“ იყო. თავადი ციხე სამხედრო და დაცვის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო. ლ. შროველის ცნობით აზომ მცხეთაში „დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქალაქისასა, — თავადი ციხე, რომელ არს არმაზი“ და დანარჩენი სამი ციხეო (ცა მფთა * 114, გვ. 15). ანდა ჟერისთავთა ძველ-შიც ნათქვამია... „დარჩეს ერისთავთა ზემოსა თავადი ციხე ქვენიფნეს და სახლები და ციხე ქოლოთისა, ციხენი ისროლისანი, ციხე ბენშუფსა“-ო (ქცბი II, 16,4-5 ქვ.), როგორც ვხედავთ ციხეები ბლომად არის ჩამოთვლილი, მაგრამ მხოლოდ ერთს ეწოდება თავადი ციხე, რომელიც, რასაკვირველია, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

რისთვის იყო ციხე? მას სამეგარი დანიშნულება ჰქონდა: ერთი მხრით, ის დასაცავად იყო განკუთვნილი, მეორე მხრით, როგორც მაშინ უწოდებდნენ, საგუშაგოდ, მესამე მხრით, შეუიარაღებელი ხალხის სახიზნარად, თავის შესაფარებლად. „მოვიდოდა შაჰინ-შა ფიცხლად ლაშქრითურთ... ციხესა საგუშაგოდ გუშაგმან მტუერი დინახა, მივიდა და ზარდის მოაქსენა: „მტუერი ჩანს, რომელ ცად გაიწვეისო, და უღონიოდ შაჰინ-შა მოვა“... (ვისრამ. I გამ. გვ. 201; II გამ., გვ. 146). სპარსულადა:

براه اندر چو دوی گرد لشکر
 زدند دایه‌بان از دز نگه کرد همه سپه ابری بدید از لشکر گرد
 سپهبد در آن گاه همه آمد به پیروزی شه‌شاه
 (თ. 1-3, ქალ. 187 6-4 ქვ.).

ვისრამიანიდან ამოღებული ეს ამონაწერი ამ ციხის გარეგნულ სახისადა და დანიშნულების გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს, ციხე დასაცავად არის განკუთვნილი და, თუ ციხემდე მიუშვებენ მტერს, მერმე, რასაკვირველია, დაცვა ძელი იქნება. ამიტომაც ციხეს სხვადასხვა ადგილას თავისი მთალო ნაგებობა ჰქონდა, რომელთაც ჩვენ ესლაც კომუკებს ვუწოდებთ. კომუკი უძვე-

ლეს ქართულ მწერლობაში არ გვხვდება, პირველად ეს ტერმინი მეცხრე საუკუნეში შემოდის სპარსეთითგან და არაბეთითგან. მანამდე-კი ამგვარივე ნაგებობის აღსანიშნავად სხვა ტერმინი არსებობდა. ამ კოშკებში გუშაგები იდგნენ. გუშაგი მოხელე იყო, რომელსაც მუდამ გზაზე უნდა სქეროდა თვალი: თუ გზაზე ვინმე, ან რამე საეჭვო გამოჩნდებოდა, როგორც ამ შემთხვევაში — მტკერი (ცხადია, მრავალრიცხოვანი მგზავრი უნდა ყოფილიყო). სანამ ამ მრავალრიცხოვანი მგზავრის ვინაობა და სადაურობა გამოიკვებოდა, უნდა განგაში აეტეხა, რომ მტკელები მომზადებულიყვნენ და იმისდა მიხედვით, თუ რა გამოიკვებოდა და ვინ იყვნენ მომავალნი, შესაფერისად დახვედრა მოესწროთ და მოეხერხებინათ.

ამგვარად, ციხეში საგუშაგო იყო, ე. ი. ადგილი, სადაც გუშაგები იდგნენ. რა ეწოდებოდა იმ მაღალ ნაგებობას, საითგანაც გზები ჩაქნდა და დამკვირვებელს ადვილად შეეძლო დაენახა და შეეტყო, თუ საითგან მოელოდა ქალაქს განსაცდელი? შემდეგში, როგორც აღვნიშნე, ამას კოშკი ეწოდებოდა, მაგრამ ძველად, მაგალითად, რომ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საუკუნის ძეგლები ავიღოთ, ვერსად კოშკს ვერ ვიპოვით. კოშკის მაგიერ, ჩვენ იქ გოდოლი გვაქვს¹, ხოლო მეცხრე საუკუნის ძეგლში, უკვე კოშკი მოგვეპოვება. მაგალითად, «შატბერდისეულ წმინდა ნინოს ცხოვრებაში» სიღონია ამბობს: ვისილე წაინინო „თავსა ციხისასა... მცხეთისასა კოშკსა მას მაღალსა“ (Опис. II, 767). როგორც აღვნიშნეთ, ეს მეცხრე საუკუნის ძეგლია და ამ დროს უკვე კოშკს ხმარობდნენ, მაგრამ ძველ ძეგლებში, როგორც ვთქვით, გოდოლი გვაქვს. შემდეგდროინდელ ძეგლებშიც შევხვდებით ხოლმე გოდოლს, რაც მისი მწერლის განსწავლულობასე მიგვითითებს. ვახტანგ გურგასალმა „შექმნაკარი იგი ოცეთისანი, რომელთა ჩუენ დარაინისად უწოდთ, და აღაშენსქა მას ზედა გოდოლინი მაღალინი და დაადგინნა მცველად მახლობელინი იგი მთეულნი“² (არსენი კათალიკოზი, ცა წყა ნინოსი, საეკ. მუხ. გამ., გვ. 118).

შათელიც ხმარობს გოდოლს «აბდულმესიაში»:

„ძირმტკიცედ გოდოლად,
ზედ კართა ზღურბლად
ცის კამარათა სჩან ხარ ზესთ მღეგად“ (T. IV, მკ; 61, 1).

ან კიდევ: „მგედრად ქველობით,
უძლეველობით,
სახედ უსწორო
ანაგებითა
უფლად სპასნეტთა
თვით ქალაქეტთა
აქესლა გოდოლინი
ანაგებითა (19, 1-2).

ამგვარად, დავით აღმაშენებლის დროსაც გოდოლი იხმარება კიდევ. მაგრამ, ცხადია, უკვე როგორც მწიგნობრული ტერმინი. ეს ტერმინი შემდეგშიც-კი იყო შერჩენილი.

საგულისხმო გარემიებაა, რომ როდესაც ქართულს პირველად შეუთვისებია კოშკი, ის თურმე იმავე მნიშვნელობის ტერმინი არ ყოფილა, რა მნიშვნე-

¹ შდრ. მაგალითად, „დაბადების“ მწმობანი, ნ. საძიებელში, სიტყვა გოდოლი.

ნელობაც გოდოლსა ჰქონდა, არამედ განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონია თითოეულს მათგანს. ამას «იერუსალემის წარტყუნება» ცხად-ყოფს, რომელშიც ეს ორი ტერმინი ერთსა და იმავე წინადადებაში ერთად არის ნახმარი: «ყოველთავე კოშკითა და გოდოლთა მისთა (ე. ი. იერუსალემისათა) დგა თუთოეულსა ანგელოზი“-ო (Tr. IX. იბ 10-11). ამიტომ ჯერ კიდევ გამოოსარკვევია, თუ რით განსხვავდებოდნენ რეალურად გოდოლი და კოშკი ერთმანეთისაგან.

გოდოსიდან ნაწარმოებია გოდლოხანი. იგი ეწოდებოდა იმ პირს, რომელსაც თავისი გოდოლი, კოშკი ჰქონდა. სხვათა შორის, მთაშიც იყო სიფლები და ზოგიერთი საგვარეულო გოდლოსნად წოდებული, შემდეგ ქოთლოსნად ქცეული.

თუმცა გოდოლი მესუთე, მეექვსე, მეშვიდე საუკუნის ძეგლებში გვხვდება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამ ცნების გამოსახატავად არც ის უნდა იყოს ერთადერთი და უძველესი ტერმინი. ჩვენს მთიელთა ნაგებობაში, ხევსურეთსა და აგრეთვე სვანეთში, სახლებს ოთხკუთხი კოშკები აქვს. რა ეწოდება ამას? ამჟამად თუშეთში მას ქავი ჰქვია. ქავი, უეჭველია, წარმომდგარი უნდა იყოს ირავე ტერმინითაგან, რომელზედაც ჩვენ ესლა საუბარი გვაქვს. როგორც გოდლოსანიდან კოთლოსანი არის წარმომდგარი, ქავიც ამ ქავთლოსანიდან უნდა იყოს წარმომდგარი. ქავი ამ გოდლის სახელის შემოკლებული ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს. ამგვარად აქაც ჩვენ გოდლის ანარეკლი გვაქვს შერჩენილი. საეჭვოა, რომ ეს იმ ოთხკუთხი კოშკის სახელი ყოფილიყო, რომლებითაც ჩვენი მთიელების ნაგებობაა შემკული და რომელიც ასე დამახასიათებელია და განმასხვავებელი. ეს რომ ნაგებობის სახეობის ძველისძველი ნაშთი უნდა იყოს, ქსენოფონტეს ცნობითგან ჩანს, რომელსაც აღნიშნული აქვს, რომ როდესაც ეს ათიათასი მეომრათურთ ერთნიოგან საბერძნეთში ბრუნდებოდა, სომხეთზე გავლისას სოფლებში მაღალკოშკებიანი სახლები ნახა, რომლებიც საფიქრებელია რომ. ჩვენს მთიანეთში, მაგ. ხევსურეთში, დაცული კოშკებიანი სახლების მსგავსი იქნებოდა.

სვანეთში ასეთი კოშკების სახელად მურყვამი გვაქვს დაცული. მურყვამი, ან მურყვანი, უნდა ყოფილიყო სწორედ ის ტერმინი, რომელიც ასეთ კოშკს მარტო სვანეთში-კი არა, არამედ მოელს აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ჰქმეოდა. ეს იქითგან ჩანს, რომ ხევსურული, ფშაური და თუშური წარმართული სარწმუნოებრივი წარმოდგენით „პირი-მზე“-ს ღვთაებას ეწოდება მურყვანოსელი. აქამდე მურყვანოსელი (სრულებით გაუფგებარი იყო. თუ რას ნიშნავდა, და თვით ხალხისთვისაც ეს წოდებულება გაუფგებარია. ის ამ წოდებულობას ღვთაებისათვის ხმარობს, მაგრამ რატომ ეწოდება ასე, თითონაც არ იცის. ეს არც გასაკვირველია, რათგან ეს სიტყვა ცალკეულად უკვე აღარ არსებობს, ძველისძველი გამონათქვამის ნაშთად არის ქცეული. მურყვანოსელი, უეჭველია, მურყვამიდან არის ნაწარმოები, და იმ პირსა ნიშნავს, რომელიც მურყვამის, ანუ კოშკის მფლობელია, ამ შემთხვევაში ღვთაებას, რომელსაც კოშკი აქვს. ღრუბელთა ბატონს ხომ ხალხური რწმენით ბროლის კოშკი ჰქონდა და მისი ასული კამარ-გეთოც ბროლის კოშკ-

ში იჯდა! ტერმინი „მურყვნოსელი“ ისევეა ნაწარმოები, როგორც „ქოთლოსანი“ ან „ქავალოსანი“.

ამგვარად, კოშკსა და გოდოლზე უწინარეს, როგორც ჩანს, ზღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში ასეთი ნაგებობას მურყვამი ეწოდებოდა. სახელის შეცვლასთან ერთად, შესაძლებელია, თვით ნაგებობის გეგმა. ანდა გარეგნულობაც შეცვლილიყო და მართლაც, თუ დავუკვირდებით, ერთი მხრით, უფრო ძველი ხანის ოთხკუთხი მოყვანილობის კოშკები გვაქვს, მეორე მხრით-კი, უფრო მოგვიანებით, მრავალი მოყვანილობის კოშკებიც ჩნდება. რაკი სვანეთში მურყვამი ოთხკუთხის კოშკს წარმოადგენს, ამიტომ ოთხკუთხი კოშკების თავდაპირველი სახელი მურყვამი უნდა ყოფილიყო, რომლის მრავალ მოყვანილობას ეწოდა ჯერ გოდოლი და შემდეგ კოშკი. გოდოლსა და კოშკს შუაგულ უნდა ყოფილიყო განსხვავება, მაგრამ ჯერჯერობით თვით განსხვავების ნიშანდობლივი თვისება ვერ ირკვევა.

გოდოლიცა და კოშკიც შესაძლებელია ზღუდესთანაც ყოფილიყო დაკავშირებული, მაგრამ შესაძლებელია სრულებით განცალკევებულადაც მდებარეყო. იოანე ბუქაძის აღაპში აღნიშნულია, რომ მან „მონასტერსა შინა დადგა კოშკი აღუღდისაჲ კარგი და სხუანი... მრავალნი ნაშენებნი შინა და გარე აღაშენნა“-ო (ათონის კრებ., გვ. 226, § 43).

ამგვარად, გამოთქმით „კოშკი დადგა ზოუდისაჲ“ ის გარემოება აქ აღნიშნული, რომ კოშკი შესაძლებელია უხლუდოც, ცალკეულ ნაგებობადაც ყოფილიყო.

სახელმწიფო ციხეებს გარდა, დაწესებულებათა, აზნაურთა სავარეულოებისა და კერძო ბირებისა და მესაკუთრეთა ციხეებიც არსებობდა. მათ შორის მონასტრებსაც არა ერთი ციხე ჰქონდათ. ჩვენამდე მოაღწია კიდეცაწ მომღვიმის მონასტრის მოღვაწის, მიქაელ მემღვიმის შედგენილმა ერთმა საბუთმა, რომელშიც ციხის აგების ამბავი აღწერილი. მასში ზოგერთი ფრიად საყურადღებო ცნობა მოგვუბოვება. მიქაელ მემღვიმე მოგვითბრობს: „ჩავე (sic) მე მიქაელ მემღვიმე და... დაუწყე ჩემსა მამულსა შიგან ციხესა აგება. დავდგი ქვეისა კერძოდ: უკეთესი კოშკი შიგნით და გარეთ უკეთესი სახიზნო ცხევრელთა ჰქონდეს. დავიდევ ერთი დღე ანუელი ციხისა ბეგარი“-ო (შიომღ. ისტ. საბ. 2) [აქ მოხსენებული ცხევერი, სოფლის სახელია, ცხევრელები — სოფლელების სახელია]. ამგვარად, მიქაელ მემღვიმეს სამონასტრო მამულში ციხე აუგია. ამ ციხეში ორგვარი კოშკები — შიგნითა და გარეთა — ყოფილა. თითქოს გაუფებარია, კოშკი რატომ უნდა ყოფილიყო გარეთა, თუ იგი ციხესთან იყო დაკავშირებული. გარეთა კოშკის დანიშნულება სხვა იყო: ის სახიზნო კოშკი ყოფილა. გარეთა იმიტომ იყო, ციხეზე მოშორებით იდგა: ბრძოლა რაც უფრო შორს იქმნებოდა, უკეთესი იყო.

ამგვარად, ერთი განსხვავება ციხეთა შორის მდებარეობაზე იყო დამყარებული, — იყო შიგნითა და გარეთა კოშკები, შემდეგ, მეორე განსხვავება ღირსებაზე იყო დამოკიდებული, არსებობდა უკეთესი და ჩვეულებრივი კოშკები. უკეთესი ჩვენ ესლა შედარებით ხარისხის გამოხატველად გვესმის, ძველად-კი ქართულში უკეთესი ნიშნავდა საუკეთესოს. მაგალითად, ერთი უკეთეს-

სი ცხენი იმას-კი არ გულისხმობდა, რომ ცუდთან შედარებით უკეთესი იყო, არამედ საუკეთესო ცხენს ნიშნავდა. ამნაირად, იყო უკეთესი კოშკი და ჩვეულებრივი კოშკი. ცხადია, რომ კოშკის უკეთესობა გარეგნულადაც და თავისი ნაგებობითაც უნდა რითიმე განსხვავებული ყოფილიყო. მას, ალბათ, ისეთი თვისება ჰქონდა, რომელიც მას უკეთესად ხდიდა. მაგრამ საშუალოდ ჯერ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, რომლის მიხედვითაც ამ ღირსების ნიშანდობლივი თვისების გამოჩენა იყოს შესაძლებელი.

საყურადღებოა მესამე განსხვავებაც: ერთი „უკეთესი კოშკი შიგნით“ ყოფილა და ერთი „უკეთესი კოშკიც გარეთ“, რომელსაც სახიზნო კოშკი სწოდებია.

კოშკები ამგვარად სახიზნოც ყოფილა. რას ნიშნავს ეს სახიზნო კოშკი? შეხიზვნა ესლაც არსებობს, ასე რომ მნიშვნელობის გაგება ადვილი არის. სახიზნო კოშკი ისეთ კოშკსა და ისეთ სადგომს გულისხმობს, რომელშიც, სამხედრო განსაცდლის დროს, მახლობელი სოფლების მოსახლეობა უნდა აყრილიყო და შეხიზნულიყო, რომ მტრისაგან თავი დაეცვა. ის ბრძოლისთვის-კი არ იყო სავანებოდ განუყოფელი, არამედ უმთავრესად თავშესაფრად. ცხადია, ასეთი კოშკის ნაგებობა საბრძოლო კოშკისაგან უნდა განსხვავებული ყოფილიყო, შტი ფართობიც ჰქონოდა და საცხოვრებელი ადგილნაგებობაც. ამის გამო სახიზნო და საბრძოლო კოშკებს გარეგანიც (მეტადრე-კი შინაგანი) თვისებებიც უნდა განსხვავებული, სხვადასხვანაირი ჰქონოდა.

ამ კოშკებს გარდა ციხე-ქალაქის ზღუდესა და ციხეს ჯეროვან ადგილის ბურჯებიც ჰქონდა. უძველეს ხანაში ქართულ წყაროებში ტერმინი ბურჯი არ გვხვდება, მაგრამ XI—XII სს-ში უკვე მოგვეპოვება. ბურჯი ციხის ზღუდის გასწვრივ გარკვეულ მანძილზე გამოწეულს მომრეკალებულ, ან ოთხკუთხედიან საბრძოლველ ნაწილს ეწოდებოდა. ბრძოლისათვის, რასაკვირველია, უკეთესი იყო, კედლის ზოგიერთი ნაწილი უფრო წინ ყოფილიყო წაწეული, რომ იქითგან სროლა მტრის წინააღმდეგ უფრო გაადვილებული ყოფილიყო. კოშკი, ჩვეულებრივ, ყოველმხრივ დახურულ ნაგებობას წარმოადგენდა, ბურჯი-კი წინიდან იყო შემოვლებული. ბურჯი ზღუდესა და ციხეს ჰქონდა. ის ჩვენ ვეფხის-ტყაოსანშიც გვაქვს აღწერილი. ფრიდონი, მაგალითად, ქაჯთა ციხეში შესასვლელად თავის მეგობრებს ურჩევდა:

„აწ ვინცა ვიცი თ უკეთე შეტყორცა სადებელისა,
მან ერთად ბურჯსა გარდგადლოთ წვერი საპლისა გრძელისა,
მას ზედა გავლა ასრე მიჩნს, ვითა გარბენა ველისა,...

შიგან ჩივბლტები კისკასად, ვეციემი მსგავსად ქარისა,

ლაშქართა დაეჭკოც, გაეხავამ,—ნახოთ ვალემა კარისა“ (აბულ.

1321, 1-2 და 1322, 2-3; უფ. 1345 და 1346; საიუბ. გამ., 1395—1396).

ამგვარად, ბურჯი, ციხეს უეჭველად აქვს და ბურჯი სწორედ ისეთი მომადლებული, გამოწეული ადგილია, რომელზედაც შესაძლებელია ადამიანმა საბელი გამოახას. საბას განმარტებით „ბურჯი სხუათა ენა, უმთავან მოსული... და კედლისასა გოდლედი ჰქვან“ (ლექსიკონი). საიდან არის ამოღებული გოდლედი, არ ჩანს, ჯერჯერობით ძეგლებშია მოსაძებნი: მაგრამ

ბურჯი მართლა უცხო სიტყვა არის, სპარსულშიც მოიპოვება, ძირი მას ინდო-ევროპული აქვს (გერმანული Burg — „ბურჯ“).

ძველ ქართულში, ბურჯს გარდა, გვაქვს ბურლოცა და გვაქვს პირლოც. ათონის აღაპებში წერია, რომ სჯემონ ჭყონდიდელის გაზრდილმა ნიკოლოზმა რომ „ეკლესიამ მთავარანგელოზთა და აღაშენა... მერმე გარეთსა ლაყუასა და მართებით, იგი კუთხი ბურლო და აღამაღლა, რამეთუ დია მდაბალი იყო“—ო (ათონ. კრებ., გვ. 254, § 144). ამგვარად, ნიკოლოზს ეკლესია აუგია, მაგრამ რადგან ეკლესიის დაცვა იყო საჭირო და კუთხი¹ კი დაბალი ყოფილა „ბურლოდ აღამაღლა“—ო.

გრიგოლ და იოანე ქუბულისძეთა შესახებაც ნათქვამია, რომ მიი „ნიკოლ-წმიდად, მეტოქი და სოფელი, ყურსალთა მიერ სრულიად აოჯრებულს, მათითავე სავმრითა აღეშენა ბურლო და დადგმითა, რათა უშიშ იყუნენ მბრძოლთაგან“ (იქვე, გვ. 256, § 145). ცხადია, ეს იგივე ტერმინია, მხოლოდ ფონეტიკურად განსხვავებული. ბურლოს გარდა ჩვენ გვაქვს პირლოც. ეს, უეჭველია, ბერძნული პირკოს — არის. პირლო ნახშირია პატრონის ქაინოსროს აღზრდილის ამბროსის აღაპში, სადაც აღნიშნულია, რომ მან „პორტაიტისა ღმრთისმშობლისა... ეკლესიასა ზედა პირლო აღაშენა და გააქმავრა თოფითა“—ო (ათონის აღაპ., გვ. 267, § 163). უკვე ის გარემოება, რომ დამატებული არის — „გამავრა თოფითა“, ცხად-ყოფს, რომ ეს გამავრებული ნაგებობა იყო და ეკლესიასაც ჰქონია ასეთი ციხის ან კოშკის მსგავსი მოწყობილობა, რომელიც საშუალებას აძლევდა დაეცვათ ეს ნაგებობა მტრისაგან. პირლო, ექვს გარეშეა, ბერძნული სიტყვაა, რომელიც კოშკს ნიშნავს.

ქალაქის ზღუდეს, რასაკვირველია, უნდა კარებაც ჰქონოდა; უამისოდ მისი წარმოდგენა შეუძლებელია. ქალაქის კარნი ყველგან გვხვდება, ყველა ძეგლებში და, როგორც აღვნიშნეთ უკვე, მცხეთაში სამი კარი იყო. წმინდა ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია: „სამთავე კართა (ჭელიშ ქალქისათა) სცა... და დაღწუნეს კარნი ქალაქისანი“ (ე. ი. მცხეთისანი); ც^ა ნინოასი, Опис. II, 777). იმავე ძეგლში მოგვეპოვება მეორე ადგილი: „სახლი ელიოზისი იყო ქალაქსა შინა, დასავალისა იყო კარსა მოგუეთისასა, მტკუარსა ზედა“ (მტ^ა შინს ც^ა, Опис. II, 786). აქ დასახელებულია ამ კარის სახელიც — კარი მოგუეთისა. მოგვეთი, რასაკვირველია, მოგვეთა უბანს გულისხმობს. მოგვეთა უბანს თავისი კარი ჰქონდა და მოგვეთა, ანუ მოგვეთის კარი ეწოდებოდა. იმის მიხედვით, თუ რომელი ეროვნებით იყო დასახლებული ესა თუ ის უბანი, ან იმისდა გვარად, თუ რომელ მიმართულებასთან ან გზასთან იყო დაკავშირებული, კარის სახელიც იცვლებოდა ხოლმე. მაგალითად, თბილისში არსებობდა განძის კარი: „მივიდეს განძისა კართა კერძო მეშნა ბოცოს ძე...“ (ყამთაალმწერელი. შ^ა მ^ა ღ^ა მ^ა ქ^ა * 64ს, გვ. 575). ეს აღმოსავლეთისაკენ მდებარე ქალაქის კარი უნდა ყოფილიყო, განძისაკენ მიმავალ გზასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს აგრე-

¹ კუთხი — ს მნიშვნელობის შესახებ საუბარი იქ გვექნება, სადაც ნაგებობათა ნიწილები და მისი ტერმინები გვექნება განმარტებული.

თვე თაბორისა და წყალ-თბილის კარი და ამგვარივე განსხვავებული სახელები არსებობდა სხვა შემთხვევებშიც.

ქალაქის კარი ვისრამიანშიც გვხვდება: „რა ქალაქისა კართა ვამოვიდა, ვითა ფრთოსანი, მოვიდოდა ხუარასნიცე“ (ვისრამიანი, I გამ. 336; II გამ. გვ. 242), შემდეგ — „ცხადად მოვიდოდა შარისა გზასა და მარტო შემოვიდოდა ქალაქისა კართა...“ (იქვე, 411).

კარები ერთნაირი არ იყო. კარი უეჭველად განსხვავებული იყო როგორც ნაგებობის, ისე დანიშნულების მხრივ. ორგვარი კარი არსებობდა. იყო „დიდნი კარნი ზოლდისანი“ და „ცოტანი კარნი“. მაგალითად, ვაჰანის მონასტრის განგებაში სათქვამია: „დიდნი კარნი ზოლდისანი დიდთა მარხუთა... ნუ განეხუმიან, ცოტათა კართა იარებოდენ, თზნიერ[კ] ველწიფე, ანუ დიდებული არ შემოვიდოდეს“-ო (შიომღ. ისტ. საბ. 43=ლ. მუსხელიშვილის გამ., 90,6) [დიდ მარხვის დროს დიდი კარები ზოლდისა ნუ გაიღებო, თუ რომ მეფე არ მობრძანდეს ან დიდებული. თუ მეფე მოვიდა, ეს დიდი კარი უნდა გაეღოთ, თუ არა „ცოტა კარი“]. რაკი ცოტა ძველ ქართულში პატარას ნიშნავდა, ამიტომაც ცოტა კარი უნდა პატარა კარად გავიგოთ. ამგვარად, არსებობდნენ დიდნი კარნი და ცოტანი კარნი.

ვანტანგ VI-ის „დასტურლამალში“ დასახლებული არის სამეფო სასახლის დიდი კარი, რომელსაც თავისი მცველი ჰყოლია, იქ სათქვამია: „ჯარჩები, თალიშები და ისაულები გარეთ დიდის კარის ყაფიჩთან დადგებოდნენ“-ო (გვ. 54)¹.

კარს, რასაკვირველია, კლიტე უნდა სდებოდა. კლიტე ორგვარი მნიშვნელობით იხმარება ქართულში: კლიტე ძველ ქართულში გასაღებს ნიშნავდა ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში ამ სიტყვის მნიშვნელობა ებლაც არის დაცული. მაგრამ მოგვებოვება ისეთი ძეგლებიც, რომლებშიც კლიტე ბოქლომს გამოაზნაბავს, ამაში დასარწმუნებლად ვეფხის-ტყაოსნის იმ ადგილის მოყვანაც კმარა, სადაც ავთანდილს ჭაჯთა ციხე-ქალაქში შესვლაზე აქვს საუბარი: იქ შევალ „კლიტეთა დავლელ წ. ვავახვამ, ჰნახთ გაღება კარისაღ“ (ანულ. 1327, 3, კაკ. 1351; საიუბ. გამ. 1401.). აქ კლიტე შოთას, უეჭველია, ბოქლომის მნიშვნელობით აქვს ნახმარი.

კლიტე და ვასალები, როგორც ცნობილია, ამოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში სულ სხვადასხვანაირად ესმით. ამ ორი სიტყვის წინანდელი მნიშვნელობის გამოსარკვევად სვიმეონ მესვეტის ცხორების ქართულ თარგმანში შემდეგი ადგილი მოიპოვება. იქ მოთხრობილია, რომ მონასტრის აშენების შემდგომ „ნაკლულევანობისათჳს წყლისა ქმნეს უკანა კერძო კონჭისა მის კლდესა მას შინა ლაკუაჲ, შესაკრებელი წყალთაჲ, და აღიგოს წყლითა და იხუმედეს მისგან საქმესა მონასტრისასა. ხოლო ძმთა მათ შექმნეს კარი მასზედა კლიტითა, რადთა ერი იგი მომავალ-ო არა შევიდეს მუნ მოსაწყინებელად ნათა“. ვნების კვირაიკეს სვიმეონ მესვეტის მონასტრის ძმბათავის უა-

¹ სხვა მოწმობანი კარის შესახებ ნ. საძიებელში, სიტყვა კარ-ზე.

ქვამს: „წარიღეთ გასაღებელი და განაღეთ კარი ლაკუსად და დაუტევეთ იგი ღებული“ (Keimena I, ც-ა სუმიონ მესუეტისაჲ, გვ. 25Է).

ამ ამონაწერის მთელი შინაარსითგან ჩანს, რომ კლიტე კარს ზედ ედებოდა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ნათქვამია: „შეჭმეს კარი მას ზედა კლიტითა“-ო. გასაღებელი-კი კლიტით დაკეტილი კარის გაღებისათვის იყო განკუთვნილი. ზემოთყვანილითგან ცხადი ხდება, რომ ძველად კლიტესა და გასაღებელს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონია, როგორც კლიტესა და გასაღებს აღმ. საქართველოში ამჟამად აქვს.

სახლის ნაგებობის ტექნიკური მხარის გასათვალისწინებლად საგულისხმოა, რომ კარი სახლში თურმე გარეთკენ იღებოდა და ამიტომაც მის დასახურავად უკმოკშევა ყოფილა საჭირო. ფატმანს, მაგ., ნათქვამი აქვს: ნესტანის მიმყვანთ რომ ჩემი თვალყურისდევნება ვერ შეეძინათ,

„უკმოვიტაშ კარი ჩემკენ მითა ჰვრეტა ვერა. სცენსა“ (აბულ. 1063, 4; კაკ. 1088, საიუბ. გამ. 1132).

ქალაქის კარები დიდი და ცოტა, ანუ პატარა, სხვადასხვა დანიშნულებისათვის არსებობდა: დიდი კარი დიდი მოძრაობისათვის იყო, მაგალითად, როდესაც მრავალრიცხოვანი მგზავრი, ან ჯარი უნდა შემოსულიყო ან გასულიყო, როდესაც ქარავანი, ან ურუმები შემოვიდოდა თუ გავიდოდა; ცოტა კარი-კი ჩვეულებრივ მოსიარულეთათვის იყო დანიშნული. რაწამს შებინდებოდა ერთსა-ცა და მეორესაც ჰკეტავდნენ და სანამ ცისკარი არ დაიწყებოდა, მანამდე კარების გაღება არ შეიძლებოდა. წელიწადში მხოლოდ ერთად ერთი დღე იყო, როდესაც დამე ქალაქის კარი ღია იყო ხოლმე — აღდგომა დამეს. ამასთან დაკავშირებით ერთი საყურადღებო ცნობაც-კი გვაქვს დაცული, რომ არადგელის მმართველი აღდგომა დამეს მოულოდნელად ქ. ანისს თავს დაესხა, როდესაც ყველა ქრისტიანე ეკლესიაში იყვნენ და კარები ღია იყო, სპარსელები ამის წყალობით თავისუფლად შეიჭრნენ ქალაქში და ხალხი ვაწყვიტესო. ჩვეულებრივ-კი კარები დაკეტილი იყო და სანამ რიყრაჟი არ დაიწყებოდა, ქალაქში არავის შეუშვებდნენ. რიყრაჟი დაიწყებოდა თუ არა, მაშინვე კარებს აღებდნენ, რასაკვირველია, თუ გზაზე დიდი რაოდენობით არაიან განდებოდა. მაშინ გუშავები ვალდებულნი იყვნენ მოსალოდნელი განსაცდელის შესახებ სათანადო პირებისათვის შეეტკობინებინათ, რომ ან საბრძოლველად, ან დასახვედრად მომზადებულიყვნენ.

დიდი და ცოტა კარის მევიერ, შემდეგში უკვე სხვა ტერმინი ჩნდება: ვვაქეს ბჰისკარი, რომლისგანაც შემდეგში ჭიშკარია წარმომდგარი. ბჰე და ბჰენი ძველ ქართულში თავისთავად ნიშნავდა კარს და კარებს¹. მაგალითად, ძველ ქართულში გავრცელებული იყო გამოონათქვამი — „ბჰენი ჯოჯოხეთისან“ (არქიპიერატკონი, მ-გ), ე. ი. ჯოჯოხეთის კარები. ბჰისკარი და კიშკარი უმთავრესად დიდი კარის მნიშვნელობა ჰქონდა. მარტივი კიშკარიც არსებობდა და რთულიც. რთული კიშკარი ორ სხვაგვარ ნაგებობასთან ჩანს დაკავშირებული. ნიკორწმინდის XI ს. სიგელში ნათქვამია: „შეგ-

¹ სათანადო მოწმობანი წყაროებიდან ნ. ს ა ძ ხ ბ ე ლ შ ი, სიტყვა „ბჰესთან“.

ქმენ საწირუს... სხუად სახლი სამზარაულოჲ: ა: და შევქმენ ჭიშკარი ბო-
სელ-ქორედიანი : ა:“ (ქვ-ბი II, 48).

გალანინანს, იუ ეზო-შემოღობილს სახლს ძველად ბჭისკარი ჰქონდა, რომლის ანარეკლსაც დასავლეთ საქართველოში დღევანდლამდე დაცული ტერ-
მინი ჭიშკარი წარმოადგენს. XVIII ს. ქართულ ძეგლებში ასეთივე, ეზოში შესავალი კარების აღსანიშნავად აღმოსავლეთ საქართველოში ალაყაფის კარი გვხვდება. თეიმურაზ II-ესაც „სარკე თქმულთა“-ში აღნიშნული აქვს, რომ ეკ-
ლესიითგან გამოსული ჯვარდაწერილი, სახლში მიმავალი მეფე-დედოფალი „რბ მივიდნენ, ალაყაფის კარს დაუქერს ყაფიჩები, მეფეს სთხოვენ სათხოვარსა“ და, როდესაც მეფე „მათ უბოძებს სათხოვარსა“, მხოლოდ მაშინ „მათ განუ-
ლონ კარი“ შექორწილებსაო (თეიმურაზ მეორე, თხზულებანი, გ. ჯა-
კობიას რედაქციით, თბ. 1939, გვ. 60).

ალაყაფის კარი-ს პირველი სიტყვა ალაყაფი, არც ცალკეულად და არც კართან დაკავშირებით, არც ბჭე-ს ქვეშეც, ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში არ მოეპოვება.

ალაყაფი ვახტანგ VI-ის დისტურლამალში „სასახლეების რიგის“ აღ-
წერილობაში გვხვდება; იქ ნათქვამია: „თუ ბატონმა ალაყაფის აიგინის შუა სახლში მეჯლისი ბრძანოს“-ო, ანდა „თუ ბატონმა ალაყაფის შუა სახლში (სულხან მდივნის ხ.: „ალაყაფის აიგინში“) მეჯლისი ბრძანოს“-ო (გვ. 5, 9-2 და 131-132). აქედან ჩანს, რომ ალაყაფი რაღაც განსხვავებული კარები უნდა ყოფილიყო; ალაყაფს აიგინი ჰქონია და ალაყაფის შუა სახლიც ყოფილა, სადაც მეჯლისის გამართვაც-კი შეიძლებოდა.

ალაყაფის კარი-ს ტერმინში, ალაყაფი, ცხადია, კარის განმარ-
ტება უნდა იყოს. ეს სიტყვა არაბულია და ٱلأقفاب-ის მრავლობი-
თი რიცხვის ფორმაა. თვით ლაყაბ ნართაულს სახელს, მეტ-სახელს, წოდე-
ბულებასა და საპატიო სახელს ჰნიშნავს; ხოლო მისი მრავლობითი რიც-
ხვის ფორმა ٱلأقفاب თურქულად მეფის, ან სულტნის ბრძანებისა, თუ ფირმანის, გინდს წერილის, ანდა საერთოდ ნაწერის შესავლის აღმნიშნე-
ლ ტერმინად არის ქცეული (იხ. ცენკერის თურქულ-არაბულ-სპარსული ლექ-
სიკონი). ქართული ტერმინი ალაყაფის კარი-ც შემონათქვამისდა მიხედ-
ვით; თავდაპირველად „საპატიო შესავალი კარი-ს“ აღმნიშნელი უნდა ყო-
ფილიყო და მხოლოდ შემდეგში უნდა ჰქონდეს მას ზოგადად ეზოს დიდი შე-
სავალი კარების მნიშვნელობა მინიჭებული.

შესავალი საკმაოდ დიდ მანძილს შეიცავს; კარიც უნდა იყოს შესა-
ვალთან, მაგრამ კარს გარდა, როგორც ჩანს, აიგინიც, სახლიცა და სასახლეც-
კი არსებობდა. სპარსულ მინიატურებს რომ დავუკვირდეთ, ამგვარი ნაგებობის სურათს შევამჩნევთ, და წარმოვიდგენთ, თუ როგორი იყო ალაყაფი. იქ კარგად ჩანს ისეთი ნაგებობა, რომელიც აიგინად გამოდგება და სასახლედაც.

1735 წლის ქვეშ, სეხნია ჩხეიძეს ნათქვამი აქვს: „მოვიდა ქალაქს თამაზ-ხან დიდისა დიდებითა; გაუშალეს მოქალაქეთ ფიანდაზი ციხის კა-
რიდამ ალაყაფის ჩარდახამდის, დადგა ჩარდახში და შიგნით არამი დააყენა“ (ს. ჩხეიძე, 339). ამგვარად, ალაყაფი წარმოადგენ-

და დიდ ჩარდახს, რომელშიც დგომა და ცხოვრება შეიძლება
ბოდა.

3. ქალაქის საჯარო და საზოგადოებრივი ნაგებობანი

საქართველოში არც ერთი ქალაქი არ არის შერჩენილი ნანგრევების სა-
ხითაც კი, რომ ძველი ქალაქის გეგმისა და მთავარ ნაგებობათა აღდგენა იყოს
შესაძლებელი. ამ მხრივ სომხეთს საუცხოვო ძველი ჰქონდა — ანისი, რომ-
ლის გათხრით განსვენებულმა აკად. ნ. მარმა თავიც ისახელა და მეცნიერე-
ბასაც პირველხარისხოვანი ძველი შესძინა. ვისაც ეს განათხარი ქალაქი, მიწის
წიალიდან კვლავ აღმოჩენილი თავისი თვალთ უნახავს, არას დროს არ დაა-
ვიწყდება ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენდა ნანგრევები. ანისის
ბედი ტრავიკული იყო იმ მხრივ, რომ ოდესღაც ახლად აღორძინებული სომ-
ხეთის სამეფო დედაქალაქი ჩაუვარდა შემდეგ უცხოელებს, ჯერ ბიზანტიე-
ლებს, შემდეგ თურქებს, მერმე საქართველოს სამფლობელოში შემოვიდა და
შემდეგ, უკვე მონღოლთა ბატონობის შემდგომ, მის დაქვეითებასთან ერთად
რალაც უნდა მომხდარიყოს. გადმოცემით, ვითომ კატასტროფიული მიწისძვრის
შედეგად მოეღო ბოლო ამ დიდსა და მაღალხარისხოვან კულტურის მქონებელ
ქალაქს. ანისის გათხრა რომ დამთავრებულიყო, ამას ქართული მატერიალური
კულტურის ისტორიისათვისაც უარესი მნიშვნელობა ექნებოდა. მახლობელ
აღმოსავლეთში ბევრი აო მოიპოვება ასეთი ძველი. ანისის გათხრით შესაძლე-
ბელი იყო აღამიანს წარმოედგინა XI, XII და XIII სს-ის მახლობელი აღ-
მოსავლეთის, ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში არსებული ქალაქები. ჩვენთვისაც,
რასაკვირველია, ბევრი დასკვნის გამოცვანა შეიძლება. სამწუხაროდ, ის ეხ-
ვა მიტოვებული არის, იმაზე არაფერ არ ზრუნავს, თურქეთის ხელშია და ყო-
ველგვარი მუშაობა შეჩერებულია. უდიდესი ნაწილი იმ ფოტო-სურათებისაც,
რომელიც არსებობდა, დაიღუპა.

საქართველოში არც ერთი ამგვარი ქალაქი არ არსებობს. ერთადერთი
იმედი ჩვენ გვქონდა დმანისისა, მაგრამ მისმა გათხრამ ვერ გაამართლა მთლიან-
ად იმედი, რამდენადაც ის განადგურებული აღმოჩნდა. რასაკვირველია, ჯერ
კიდევ არქეოლოგიური კვლევა-ძიება არამც თუ დამთავრებული არ არის, არა-
მედ, შეიძლება ითქვას, მხოლოდ დაწყებული იყო და შეწყდა, მაგრამ ცენ-
ტრალური ადგილის გათხრა მაინც ბევრს არაფერს საიმედოს იმ თვალსაზრი-
თ, რითაც ანისს ჰქონდა მნიშვნელობა საქალაქო კულტურის გამოსარკვე-
ვად, ის არ გვაძლევს. არსებობს მეორე ქალაქიც — თმოგვი (ჯავახეთში),
რომლის არქეოლოგიური კვლევა-ძიებით შესაძლებელია საკმაოდ საინტერესო
ძველები აღმოჩნდეს, რადგან ის მართლაც კატასტროფული მიწისძვრის შექ-
მდგომ დაიღუპა XI-სის მეორე ნახევრის დამლევს და შთაინთქა. ცხადია, რომ
ამის შემდგომ იგი გათხრილი არ იქნებოდა და მიწის წიაღს, შესაძლებელია,
დაზიანებული, მაგრამ ქალაქის ნაგებობათა გეგმები და შენობების ნაწილები
დაცული უნდა ჰქონდეს. თუ მომავალში თმოგვის გათხრა მოხერხდა, მაშინ
იმედი, ზოგჯერ გამორჩეულია. თავისდათავად ცხადია, რომ თმოგვის შედარება

არ შეიძლება, რასაკვირველია, ისეთ ქალაქთან, როგორც ანისი იყო. ანისი სომხეთის დედაქალაქი და დიდი სავაჭრო ცენტრი იყო, იმ დროს, როდესაც თმოგვი ჯავახეთის მნიშვნელობის ქალაქი იყო. მაინც პროვინციული ქალაქის სურათი და გეგმაც რომ წარმოგვიდგეს, ამასაც, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

ასეთი მასალების უქონლობის გამო ჩვენ იძულებული ვართ მხოლოდ იმ ცნობებით დავეყვაროთ, რომლებიც წყაროებში მოგვეპოვება. რეალური მნიშვნელობა ამ ტერმინებისა შეიძლება მხოლოდ დაახლოებით იყოს გამოაკვეული, ესე იგი, რას ნიშნავდა თითოეული მათგანი, ამის გამოკვეთვა შეგვიძლია, მაგრამ როგორი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, ამის გადარწმუნება, რასაკვირველია, მხოლოდ მის შემდგომ იქნება შესაძლებელი, თუ ოდესმე ამ ნაგებობათა ნივთიერი ნაშთი იქნება აღმოჩენილი.

ქალაქი ორგანოს ცენტრს წარმოადგენდა. ერთი მხრით ქალაქი ყოველთვის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, — დედაქალაქი მთელი სახელმწიფოსი, დანარჩენი ქალაქები-კი სხვადასხვა საერისთავებისა და თემებისა. ამიტომაც იქ, რასაკვირველია, შესაფერისი ნაგებობანიც უნდა ყოფილიყვნენ: სამეფო სასახლე, მოხელეთა და სხვადასხვა დაწესებულებების ნაგებობანი. იქ-კი, სადაც პროვინციული ცენტრი იყო, ცხადია, შესაფერისი თანამდებობის პირის სასახლე და სამმართველო იქნებოდა. ამას გარდა უცილობელი ცნობა გვაქვს, რომ სასამართლოსაც თავისი ნაგებობა მოეპოვებოდა, სააჯო კარც არსებობდა. სააჯო კარი იმ დაწესებულებას ეწოდებოდა, რომლის სახელი სამეფო კარის, ე. ი. სასახლის, მსგავსად არის ნაწარმოები და ამიტომაც ამ დაწესებულებასაც სასახლესავით თავისი ნაგებობა უნდა ჰქონოდა. შემდეგ საქურჭლეს, ხალაროს, ზარდახანსაც, რომელთა შესახებაც პირდაპირი ცნობები მოგვეპოვება, თავისი ნაგებობანი ჰქონდა. სამწუხაროდ სახელების მეტი ამ შემთხვევაში არაფერი ვიცით. თავისდათავად ცხადია, რომ საქურჭლე, სალარო და ზარდახანი უნდა დაცული ყოფილიყო, რათგან იქ განძეულობა ინახებოდა. პირველი ორი — სახელმწიფო ხაზინას წარმოადგენდა, მესამე — იარაღისა და საქურჯლის საწყობი იყო. საფიქრებელია, მათ შესაფერის ნაგებობაც უნდა ჰქონოდა. მართლაც, ტარიელმა და ავთანდილმა:

„პოვეს ერთი ზარდახანა, აბჯრისათვის ახლად ქმნილი,

მუნ აბჯარი ყოვლიფერი ასრე იდვა, ვითა მწნილი,

შიგან ერთი კიღობანი დაბეჭდილი, არ გაჴსნილი...

კიღობანი გაჴსნეს, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი“ (აბულ. 1294, 1296; კაკ. 1318, 1320; საიუბ. გამ. 1367, 1369)

თბილისში არსებობდა ჯერ კიდევ არაბთა ბატონობის ხანაში, იმ დროითგანვე მოყოლებული, როდესაც იგი თბილისის საამიროს ცენტრს წარმოადგენდა, ამირას დარბაზი. მას შემდგომ, რაც დავით აღმაშენებელმა ეს დედაქალაქი საქართველოს დაუბრუნა, ამირთ-ამირას წოდებულება და თანამდებობა არ მოსპობილა და, საფიქრებელია, რომ ამირთ-ამირას დარბაზი, ანუ სასახლეც უეჭველად უნდა ყოფილიყო. ატენის ქალაქად აშენების მომთხრობელს წარწერაშიაც ხომ, როგორც დავრწმუნდით, დარბაზის აგების გარემოება აღნიშნული.

მეორე მხრით, როგორც ვიცით, ქალაქი ვაჭრობა-მრეწველობის ცენტრ-საც წარმოადგენდა. ამიტომაც ქალაქში შესაფერისი დაწესებულებანიც იყვნენ. აქი ქალაქის აღწერილობაში ბაზრები და მოედნები ყოველთვის დასახელებულია კიდევ.

სიტყვა ბაზარს მეთორმეტე საუკუნეში ვხვდებით, მაგრამ, რომ V—VI—VII სს-ის ძეგლები ავიღოთ, რასაკვირველია, იქ ძალიანაც რომ ძებნა დაუწყეთ, ბაზარს ვერ ვიპოვით. მოედანიც აგრეთვე ძველ ხანაში უცნობი ტერმინი იყო. ის შეთვისებულია სპარსულითგან და ამგვარად დაკავშირებულია არაბთა ბატონობის ხანასთან, როდესაც პოლიტიკურად ბატონობდნენ არაბებმა, მაგრამ როდესაც შემდეგში კულტურულადაც და ტომობრივადაც სპარსელები სპარობდნენ, ამიტომაც სპარსული იყო გავრცელებული.

ქალაქში რომ შუკეები და ბაზარი იყო და უკვე XII ს-ში უკანასკნელი ტერმინი საქართველოშიც ყოფილა შეთვისებული, ეს შოთას თხზულებითგანაც ჩანს. დღისით მოქალაქენი თავიანთ საქმეებს ბაზარში აწარმოებდნენ, სადაც თავიანთ შუკეებში ქულბაქები ჰქონდათ. ნესტანი, ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი რომ ქ. მულღაზანხარში მივიდნენ, მათ სანახავადო

„მოატყდეს მოქალაქენი, დაავდეს მუნ ბაზარია,

შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოვლგნით მჭვრეტელთა ჯარია“ (აბულ. 1385,4 და 1386,1; კაკ. 1409 და 1410; საიუბ. გამ. 1450-1461).

რა სახელი ეწოდებოდა ძველად ბაზარს და მოედნებს? ამის გამოჩვევის საშუალებას უფრო ადრინდელი ძეგლები აძლევს მკვლევარს. ბაზრის შიგვირ იქ ნახმარია **სავაჭრო**. მაგ., „იერუსალემის წარტყუნვის“ აღწერილობაში, რომელიც ქართულად ნათარგმნ ძეგლს წარმოადგენს, ნათქვამია: იერუსალემში რომ სპარსთაგან დახოცილებს ვმარხავდით, „ვპოვეთ სავაჭროს ოცდაათურამეტი სული“-ო (იერუს. წარტყ. TP, XI, მბ, 29-30). ქართული სავაჭროს შესატყვისად აკად. ნ. მარტი სრულიად სამართლიანად რუსულად „**на рынок**“ (გვ. 61), ე. ო. ბაზარს ხმარობს.

ეფთვიმე მთაწმიდელის „მცირე სჯულის კანონშიც“ ნათქვამია: „ბარვის ჭელეწიფების საღმრთოსა წიგნისა, ანუ ძეგლისა სჯულისა, ანუ ახლისა დახევად და დაჭრად და მიცემად წიგნების მმოსველთა სარჩულად შესამოსლისა, ანუ რომელთა იგი ატარ სახელედების, ანუ სხუასა სადა სავაჭროსა, გარნა თუ სრულიად ატოცილ იყოს, ანუ დასოლვებულ იყოს და არღარა სავაჭარ იყოს საკითხავად“-ო (§ 5).

სავაჭროს გარდა და გვერდით საფარდული-ც გვხვდება უძველეს ქართულ ძეგლებში. მაგ., ღვინის საფარდული იმავე ზემოაღნიშნულს ძეგლში გვაქვს დაცული: „ხუცესსა ანუ დიაკონსა, ანუ სხუასა ვის მღვდლობისა პატივითა პატივცემულსა, არა ჭელეწიფების ღვინის საფარდულისა მოგებად, რომელსა ეწოდების კაპილიონ, რამეთუ შესღვადცა ესევითარსა ქულბაგსა არა ჭელეწიფების მღვდლთა, ვითარ უკუე მოიგოს ესევითარი სავაჭრო“-ო (§ 10).

ღვინის საფარდული უღრის ბერძნულს *καπηλιων ἐργαστηριον*—კაპულიონ ერგასტერიონ-ს (§ IX), ხოლო ქულბაგი *καπηλειον*—„კაპულიონ-ს, ანუ საშუალო საუკუნეების გამოთქმით კაპილიონ-ს.

საეკატრო ზოგადი სახელია, ნიშნავს ადგილს, რომელიც ვაჭრობისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ იმავე დროს ჩვენ გვაქვს საეკატრო სახლიც. ტერმინი, რომელიც აგრეთვე უძველეს ძეგლში, სახარებაშია ნახმარი და მერმინდელი ქულბაქის მაგიერია. ვეფხის-ტყაოსნის ავტორისათვის ქალაქის საეკატრო სახლები დაეკავშირებულია ბაზართან:

„მოატყდეს მოქალაქენი, დაავდეს მუნ ბაზარია,

შუკათა მოდგეს ვაქარნი, ყოვლგნით შვერეტელთა ჯარია“ (აბულ. 1385, 4 და 1386, 1; კაკ. 1409 და 1410; საიუბ. გამ. 1460-1461).

ვაჭრები ბაზარში იმყოფებოდნენ და ყოველთვის, როდესაც უნდა შეკრებილიყვნენ, რასაკვირველია, უნდა ბაზარი მიეტოვებინათ, თუ სადმე შუკათა აღმოჩნდებოდა რაიმე საინტერესო. ამრიგად საეკატრო სახლი იმ ნაგებობის სახელი იყო. სადაც ვაჭრობა წარმოებდა. როგორც ეფთვიმე მთაწმიდელის ნაშრომითგან, ზემოთ მოყვანილითგანაც ჩანს, საეკატრო სახლი მერმინდელს, სპარსულიდან ნასესხებ სიტყვას ქულბაქს და უფრო გვიანდელ დუქანს უდრის.

ქულბაქი სპარსული ტერმინია, რომელიც იმავე საეკატრო სახლს ნიშნავს. IX ს-გან მოყოლებული ვხვდებით ამ სიტყვას. შემდეგდროინდელ ძეგლებშიც ამგვარადევა.

ქულბაგი თუმცა IX ს-ითგან არის შემოსული, მაგრამ მას საეკატრო ჯერ კიდევ მთლიანად ვერ მოუსპია, მხოლოდ შემდეგში ისპობა ის საეკატრო XII, XIII სს-შიცა და ესლაც გვხვდება, მაგრამ ყველა ასეთს შემთხვევაში საეკატრო უკვე საქონელს, და ისიც ისეთ საქონელს ნიშნავს, რომელიც გაყიდული უნდა ყოფილიყო. ძველ ძეგლებში-კი საეკატრო დაწესებულების ნაგებობის, მალაზიის, დუქნის აღმნიშვნელი იყო.

ეფთვიმე მთაწმიდელი, რასაკვირველია, ამ სიტყვებს როგორც ცოცხალ ტერმინებს ხმარობს და ეს გარემოება ცხად ყოფს, რომ X ს-ის დამლევს და XI ს-ის დამდეგს საეკატრო და დვინის საფარდული ჯერ კიდევ იხმარებოდა, მაგრამ რომ აიღოთ სხვა ძეგლი, საერო თხზულება, იქ საფარდულს ვერ იპოვით. ასე რომ სპარსული ტერმინი იმარჯვებს და მთელ ასპარეზს იპყრობს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ატენის სიონის იმ წარწერაში. რომელშიც მოთხრობილია ქალაქის აგება, სწორედ ამ საეკატრო დაწესებულებისათვის განკუთვნილ ნაგებობათა შესახებ პირდაპირ არის ნათქვამი ქულბაქი, საეკატრო-კი მოხსენებული არ არის.

ქულბაქი შემდეგ საუკუნეებშიც—XI-XII-XIII სს-ში,—გვხვდება უკვე როგორც ერთადერთი ამ ცნების გამოხატველი ტერმინი შემდეგდროინდელი ძეგლები, XIV—XV სს-ისა, ძალიან ცოტა გვაქვს, ამიტომაც ვადაპირით ძნელი სათქმელია, როდის ქრება ქულბაქი და როდის შემოდის დუქანი, ამის განსაზღვრა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ამრიგად ოთხი ტერმინი გვაქვს: საეკატრო, საფარდული. შემდეგ ქულბაქი და დუქანი. რით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველი, კარგი, ყოველ შემთხვევაში თავისი ცნებისათვის შესაფერისი ტერმინი არსებობს, მაგრამ ამის მაგიერ ჯერ ერთი უცხო სიტყვა შემოდის, მერმე, მეორეც ემატება:

თუ ქუღბაქმა მოსპო სავაჭრო, ქუღბაქმა რაღა დაუშვაღ დუქანს, რომ უკანასკნელმა აჯობა. აქ საყურადღებო ის არის, შეიკვალა თუ არა თვით ნაგებობაც, როდესაც ახალი ტერმინი შემოდიოღა, შემოქმონღა თუ არა, ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვრებაში ახალი რამ ყოველ ახალ სინონიმურს უცხო ტერმინს?

სავაჭროს თან შეღარებით, საფიქრებელია, რომ ახალი რამ უნღა ყოფილიყო გამოხატული „ქუღბაქი“-თ. სავაჭრო სასანიანთა ხანასთან დაკავშირებული ქართული ტერმინია. ქუღბაქი-ღი ჩნდებღ ე. წ. ახალი სპარსულის ხანაში, რომელიც არაბთა კულტურის შემოქრასთან არის დაკავშირებული და საშუალო საუკუნეების მაჰმადიანურ საქალაქო კულტურის ანარეკლს წარმოადგენს. რამდენადღ იქ თავისებურებღ იყო შექმნილი, საფიქრებელია, რომ ქუღბაქი ხუროთმოძღვრულადღ, როგორც ნაგებობაც, ძველი სავაჭროს სავან, რომელიც ძველ საქართველოში ჯერ კიდევ სტრაბონის აღწერილობის მიხედვით მოიპოვებოღა და შემდგომიღ მეშვიღე საუკუნემღე, რასაკვირველია, უნღა ყოფილიყო განსხვავებული.

ქუღბაქები სხვადასხვანიარი იყო სხვადასხვღ დანიშნულებისღა მიხედვით. მაგალითად, XVIII ს.-ის დამდგვის ქართველი მწერლის სიტყვით „ყვენენ ქუღბაქნი მკერვისღ, კონისღ, მაზმისღ, გალატოზისღ და ხუროსიღ“ (მოხილვღ წმინღთთღ და სხუათღ აღმოსავლეთისღ ადგილთღ ტიმოთესგან ქართლისღ მთავარ-ღებისკოპოსისღ, თბილისი, 1852, გვ. 43—44). ყველღ ის სახელები, რომლებიც დართული აქვს ამ ქუღბაქს, რასაკვირველია, უცხო სახელებიღ. ძველად მათ ნაცვლად სხვღ სახელები გვექონღა. ამჟამად იმის გამოკვევღ, თუ რით განსხვავდებოღა სხვადასხვღ ხელობის მიმღვეარ და სხვადასხვღ სავაჭროს მქონებელ მექუღბაქეთღ, თუ ვაქართღ ქუღბაქები, არ შეგვიძლია. ანისის სომხური წარწერებიღან ირკვევღ, რომ მთელი უბნები და ქუღბები იყენენ გარკვეული ხელოსნებისღ და სხელოსნობების მიხედვით. მათ სახელებიც ჰქონღღა. შემდგდროინდელი ქართული საბუთების მიხედვითაც ირკვევღ, რომ თბილისშიც ასევე ყოფიღღ, წაგრამ უფრო ძველი ხანის წარწერები არ მოგვეპოვებღ, საბუთებიც დაცული არღღ და ამიტომ იმის გამოკვევღ, რღ დღ რღ სახელები არსებობღღ, ამის მთლიანად აღდგენის საშუალებას ეხლღ მოკლებული ვართ.

რღ თქმღ უნღღ, ქუღბაქები სხვადასხვღ სიღდიღსღ და ნაგებობის თვისებებითაც ყველღ ერთიარი არ ბქნებოღღ. განსხვავებღ დამოკიდებული იყო, რასაკვირველია, იმაზე, თუ რომელი ადგილის ქუღბაქი იყო. ქუღბაქები სოფლებშიც არსებობღღ და ქალაქშიც. ცხადღ, რომ სოფლის ქუღბაქი ვერ შეედრებოღღ ქალაქის ქუღბაქს. უცილობელია, რომ ატენის ქუღბაქი თბილისის ქუღბაქებს ვერ შეედრებოღღ ისევე, როგორც თვით თბილისშიცღ და სხვღ დიდ ქალაქებში დიდვაჭრების ქუღბაქები ჩვეულებრივი ვაჭრებისღს. პირველთღ ქუღბაქები უფრო მოზრდილი და ფართო იქნებოღღ, ვღღრე მეორეთღ. ცხადღ, ისეთს შეძლებულ დიდვაჭარს, როგორიც თბილისელი ზანქან ზორაბაბელი იყო, რომელსაც საღღღმციემო საქმეები უცხოეთშიც ჰქონიღღ და ამისთვის ისეთ შორეულს ქვეყნებშიც-ღი უვღღღ, როგორიც იმ ხანაში საქართველოსთვის რუსეთი იყო, კარგი და ფართო სავაჭრო სახლებიცღ და საწყობებ-

ბიც არა ერთი ექნებოდა. მისი ქულბაქი ჩვეულებრივი ვაქრის ქულბაქისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული იქნებოდა.

რასაკვირველია, ასეთს ქულბაქებსაც ჩვეულებრივს კარებს გარდა დიდიც, ბჭეც ექნებოდა. ქართულ ორიგინალურ წყაროებში ჯერ არსად მოგვეპოვება ისეთი ადგილი, სადაც აღწერილი გვექონდეს ბჭიანი ქულბაქი, მაგრამ ტერმინი ბჭენი ქულბაქისანი რომ იმ ძველ ხანაში ქართულად უხმა-რიათ, ეს სუმიონ მესუეტის ცხოვრებითანაც ჩანს, სადაც შემდეგია ნათქვამი: „მათ დღეთა კაცი ვინმე ვაქარი ანტიოქიელი“ სნეულებისაგან განიკურნაო და სამადლობლად მან „შექმნა ხატი... და დადგა იგი ბჭეთა ზედა კერძო ქულბაქისათა, რომელი იგი ედგა საშუალ ოდენ ქალაქსა. აღვილსა საჩინოსა“ (ც.ე სუმიონ მესუეტისა: Keimena 292, § 135). აქ საყურად-ღებო ცნობა მოიპოვება. ცხადი არის, ყოფილა დიდვაქარი, მას თავისი ქულბაქი აქვს ქალაქის შუაგულში, ისიც „საჩინოსა აღვილსა“, ე. ი. ყველაზე უფრო საუკეთესო ადგილზე, რომელიც თვალში ეცემოდა ადამიანს, და ჰქონია ისეთი ქულბაქი, რომელსაც ბჭენი არა ერთი ჰქონია. დაუდგამს ხატი „ბჭეთა ზედა კერძო ქულბაქისათა“. ამგვარად, ზოგიერთ ქულბაქს კარის მავიერ ჰქვს ჰქონია, ე. ი. დიდი კარები. ცხადია ეს ქულბაქი დიდი სავაჭრო სახლი უნდა ყოფილიყო, კარგად მოწყობილი. ასეთი ტერმინი რომ ქართულში არ ყოფილიყო, მთარგმნელი იხმარდა იმ ბერძნულ ტერმინს, რომელიც დედანში მოიპო-ვებოდა. ხოლო ეს გარეგნობა უფლებას გვაძლევს დაეასკვნათ, რომ ასეთი ქულბაქებიც უნდა ყოფილიყო საქართველოში ცნობილი.

ქულბაგის მაგიერ შემდეგ საუკუნეებში ამ სიტყვის უკვე გაასპირატებუ-ლი ფორმა ქულბაქი ვგვხვდებით, რასაც შემდეგში დუქანი სცვლის. საგულის-ხმოა, რომ თუმცა უკვე XVII ს-ის ძეგლებში მოგვეპოვება დუქანი და შაჰნავა-ზიანში ფეშანგს ნახმარია აქვს („დუქან-ბაზარი გამართა ბალახანითა ზე-ნითა“: § 178; შდრ. გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამ., § 179, 2), მაგრამ ძველ მწერლობის მცოდნე ტიმოთე მიტროპოლიტს თავის მოგზაუ-რობაში ისევ ქულბაქი აქვს ამ ცნების გამოსახატავად გამოყენებული. მისი ცნობით ათონის ქართველთა მონასტერში „ქულბაქნი მკერველისა, ტო-ნისა, მაზმინისა, გალატოზისა და ხუროსი სხუათა ქართველთა“ აშენებული ყოფილა (ჩუბინი. ქრესტომ. 141-142, შდრ. 1852 წ. გამოც., გვ. 43-44). ფეშანგის ვახტანგ V-ზე შემდეგი აქვს ნათქვამი:

„ტფილის ქალაქი შეამკო, არ ითქმის კაცთა ენითა,

დუქან-ბაზარი გამართა ბალახანითა¹ ზენითა,

ყოფილა(?) უცხოს თემთაგან, აიგსო მუდამ დენითა“ (შაჰნავაზ.

§ 178; შდრ. გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის გამ., § 179).

ეს ცნობა საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ აქ მოხსენებულია დუქანი, აღწერილია თბილისი და აღნიშნულია, რომ თბილისი შეამკოთ, არა-

¹ ბალახანა სპარსული ტერმინია, ზევითს სახლსა ნიშნავს. აქიდან არის წარმომდგა-რი რუსული драгошник: ბალახანა, ბალხან და მერმე ბალკონ. ეს არის სახლი, ზე-ვით დადგმული, სვეტებიანი ნაგებობა. როგორც ეტყება, ეს მოსწონებია შაჰნავაზიანის ავ-ტორს. მისი მსგავსი ნაგებობა საქართველოშიც არსებობდა — ქორი, მაგრამ, როგორც ჩანს, მისგან სპარსული ბალახანა განსხვავდებოდა.

შელ საყურადღებოა იმითაც, რომ მისგან ცხადი ხდება, რომ საქალაქო სავაჭრო ნაგებობათა სფეროშიც მომხდარა ცვლილება. ამგვარი ახალი სიტყვის შემოსვლა მართლაც დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ხუროთმოძღვრების მოხრეწილებასთან.

XVII ს-ში, როსტომ მეფიდან მოყოლებული, სპარსული კულტურის გავლენა მეტად ძლიერია და ამის შემდგომ შეუჩერებელი, წამოღვევი ნაკადის სახით, შეიძლება ითქვას, ნიაღვარსავით, იპყრობს მთელ საქართველოს ასპარეზს. ამ დროიდან მოკიდებული სუყველაფერი, რაც დაკავშირებულია ვაჭრობასთან, დუქნად იწოდება. რასაკვირველია, რაკი ვაჭრობის მდგომარეობა გაუმჯობესებულა, დუქან-ბაზარი დაწინაურებულა, თვით მედუქნეებისა და ვაჭრების მდგომარეობაც ქონებრივად დაწინაურებული უნდა ყოფილიყო და მათი ნაგებობაც შესაფერისად ყოფილიყო მოწყობილი. ამგვარად, მოქალაქეთა სახლებსაც სხვანაირი იერი უნდა მიეღო. რანაირი ნაგებობა იყო ძველად, ამაზე უწინარეს, ცნობები ამის შესახებ არ მოგვეპოვება, ვარდა იმისა, რომ დარბაზოვანი წესია მოხსენებული. როგორც ეტყობა, სახლი ვაჭართა სანაქებო ნაგებობა ყოფილა თბილისში, მაგრამ რა შეადგენდა მის დამახასიათებელ თავისებურებას, ამის განსაზღვრა არ შეგვიძლია.

ფეშანგი ამბობს: ვახტანგ V-ის დროინდელი თბილისის

„სახლი ვაჭართა ვით გიქო, როგორც მორქუთ აქუს თალარი,
მორქმა, სიმდიდრე ზღუისაებრ უყრია იმათა ლარი;

თუალ-მარგალიტი უზომო, თუ როგორ განათალარი (შაჰნავაზ.

§ 181).

აქ „სახლი ვაჭართა“ აღწერილობის მიხედვით ორგვარად შეიძლება იქნეს გაგებული, ერთი მხრით, როგორც მათი სავაჭრო ნაგებობა, მეორე მხრიდან კი სახლი, სადაც თითონაც ცხოვრობდნენ. ამ ნაგებობის საქებურ თავისებურებად ფეშანგი თალარსაც სთვლის. ჩვენ რომ გვცოდნოდა თალარის მნიშვნელობა, მაშინ შეგვეძლო გამოგვეკვია ზოგიერთი დამახასიათებელი თვისება. რომელიც ამ ნაგებობაში იყო ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით. შაჰნავაზიანის ლექსიკონში ს. იორდანიშვილს თალარის რაობა ასე აქვს განმარტებული: „ფანჩატური, ფოთლოვან ტოტებით დასურული ქობი (უკედლებო)“-აო (გვ. 207). მაგრამ ეს განმარტება თხზულების ხეიმომოყვანილ ადგილებს სრულებით არ უდგება, რათგან იქ არავითარ ფოთლოვან ფანჩატურზე არ შეიძლება ავტორს ჰქონიდა საუბარი. ცხადია თალარი სულ სხვას უნდა ნიშნავდეს. შესაძლებელია, თალარს ფანჩატურის მნიშვნელობა ჰქონდეს სადმე სხვანაირ, მაგრამ საქალაქო ნაგებობისათვის, ვაჭრობის სანაქებო შენობისათვის თალარს არ შეიძლება ასეთი მნიშვნელობა ჰქონდეს. რას ნიშნავს სახელდობრ, პირდაპირ განსაზღვრა არ შეგვიძლია, მაგრამ არც იმ განმარტების შეწყნარება შეიძლება, რადგან ის არ შეეფერება რეალურ შესაძლებლობას.

ქალაქებში სავაჭრო დაწესებულებებს ვარდა, სადაც ჰყიდდნენ, რასაკვირველია, არსებობდნენ ნაგებობანი, სადაც ინახავდნენ, ე. ი. საწყობები. იყო აგრეთვე ქარხნებიც, სადაც ამზადებდნენ. ძველად სულ სხვანაირი სახელები იხმარებოდა ამ ცნების გამოსახატავად. რომ ავიღოთ „წელმწიფის კარის ვარი-

გება“, იქ საფარეშოს შეეხვდებით. საფარეშო ეწოდება სახელოსნოს, სადაც რამეს ამზადებდნენ. იყო, მაგალითად, სამკერვალო-საფარეშო და სხვაგვარებიც. ფარეშო არაბული სიტყვაა, მსახურს ნიშნავს: საფარეშო-კი იმას, რაც სამსახურისათვის არის საჭირო. თავისთავად ცხადია, ეს ტერმინი არ შეიძლება იყოს ყოფილიყო არაბთა ბატონობის უწინარეს. ის სახელი, რომელიც ამ ცნების გამოსახატავად ყოფილა წინათ მიღებულია, ერთ ძველში გვაქვს კიდევაც დაცული. მისი სახელი სახლი სამსახურებელი იყო, რაც ნისიმეს წამებაშია ნახმარი, საიდანაც კარგად ირკვევა ამ ტერმინის რეალური მნიშვნელობა. იქ ნათქვამია: ტაბელთა დედათა მონასტერში რომ მოვიდა ნისიმე და „უხუცესსა მონასტრისასა“ მოახსენეს ეს ამბავი, „ვითარცა ისილა დედოფალმან, თქუა: „ესე ქალი მიღებულ არს, არამედ დაესუათ სახლსა სამსახურებელსა. და ყვეს ეგრეთ და მუნ იყოფოდა. ჟამსა ძილისასა შევიდის და მერმე განვიდის და ჰმსახურებენ ყოველსავე: ცომსა ზელდა და პურსა იქმოდა და ყოველთა დათა ჰმსახურებდა... ოდესმე აღილის კოკაჲ და განვიდის ვაგრე მონასტრით და ასუმნ წყალსა უცხოთა მოგზაურთა“ (ცჲ ნისიმეს: Keimena 205, § 7 და 8). აქედან ჩანს, რომ სახლი სამსახურებელი იმ ნაგებობას ეწოდებოდა, რომელსაც შემდგომი სახაბაზო ერქვა¹.

დანიშნულებისდა მიხედვით განსხვავებული სახლი სამსახურებელი არსებობდა. ზოგად სახელს გარდა ცალკეული დანიშნულებისათვისაც შესაფერისი ტერმინები იყო. მაგალითად გვაქვს **სამწიფნობრე**. სპარსთაგან იერუსალიმში დასოცილნი „ვპოვეთ სამწიფნობრესა ნეაწმიდისასა სამეოცდართო სული“-ო (იერუს. წარტყ. TP, IX, მბ, 27—28). აკად. ნ. მარს სამწიფნობრე რუსულად **სასწავლებლად** („в училище святой [церкви] новин“) აქვს ნათარგმნი, მაგრამ განმარტებული არ არის, თუ რატომ უნდა იყოს ასე ვაგებული ამ ტერმინის მნიშვნელობა (გვ. 61). არა მგონია ეს თარგმანი სწორი იყოს. **მწიფნობარი** ძველ ქართულში სულ სხვას ნიშნავდა, იმ ხანაში მწიფნობარი იმ პირს ნიშნავს, რომელიც წიგნებს, საბუთებს წერდა, ე. ი. მწერალს ნიშნავდა. სამწიფნობრე ამგვარად სასწავლებელი კი არ უნდა იყოს. არამედ ისეთი დაწესებულება, სადაც წიგნებს წერდნენ.

შემდეგ გვაქვს **საჯორცეც**, რომელიც იერუსალიმის წარტყენვაში გვხვდება: „ვპოვეთ საჯორცეს ცხრაას ოცდა ერთი სული“-ო (TP, IX, მგ, 3—4). საჯორცეს აკად. ნ. მარსი სთარგმნის „в рѣдѣ мясников“ (იქვე, 61). საჯორცე მერმინდელის საყასბოს უდრის. საჯორცე რომ მარტო ნათარგმნი ზნეულების კუთვნილებას არ წარმოადგენს ეს ქართული ტოპონიმიკითაც შეიძლება დამტკიცდეს. საქართველოში არსებობს რამდენიმე ალაგი, რომლებსაც საჯორცე ეწოდება. ცხადია, რომ იქ საყასბოთა ცენტრი უნდა ყოფილიყო. აზრს უყარა და არც, მაშასადამე, საყასბო ქართული სიტყვა არაა. ძველი ქართული ამის შესატყვისი ტერმინი საჯორცე-ა.

¹ სახაბაზო ქართული სიტყვა არაა. იგი არაბულია, სპარსულით შემოხული ქართულია. ძველად პურის მცხოვრელი ეწოდებოდა, ისევე როგორც ვნლაც უწოდებენ სოფელში.

კიდევ მრავალი სხვადასხვა ასეთი სამსახურებელი სახლი იყო. მაგ., საზეთე. საზეთე ქალაქებშიცა და სოფლებშიც არსებობდა. საზეთეს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: საზეთე ეწოდებოდა იმ ადგილსაც, სადაც ზეთსა ხდიდნენ და, რასაკვირველია, იმ საეპროსაც, სადაც ზეთს ჰყიდდნენ. საზეთეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ძველ საქართველოში, სადაც, რასაკვირველია, ისე უარბად არ ხმარობდნენ კარაქს, როგორც ეხლა. საერთოდ ძველ საქართველოში გავრცელებული იყო ზეთი, უმთავრესად ნიგვზისა და სელისა. სელის ზეთის წარმოებით საქართველოს მთიანეთი იყო განთქმული, როგორც მაგ., წალკა და სხვ... საზეთეები მონასტრებსაც ჰქონდა. ასე მაგ., შიომღვიმის მონასტერს საზეთენი არა ერთიცაჲ ჰქონია. ეს დავით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძითანაც ჩანს, სადაც მეფე ამბობს: „სხუა ნაბჭობი¹ და ქულობაქთაჲ და საზეთეთაჲ და წიქვლთაჲ ყოველი შესამოსლად განეყოფოდის“ მონასტრის ძმობასაო² (შიომღ. საბ. 17). საზეთე ათონის ქართველთა მონასტერშიც ყოფილა საგანგებოდ მოწყობილი. იგი „ათონის ალაბებშია“ აღნიშნული: როდესაც პავლე ათონის ქართველთა მონასტრის მამასახლისობას თავი დაანება, მაშინ მან ჩავებაბრა სამონასტრო „საზეთე ზეთითა დიდითა ვითარ ხუთასითა მეტრითა“³ სავეო (ათონ. კრებ. 264, § 158).

არსებობდა აგრეთვე სახუარბლე და ხაფქვილეც. ქართველთა მონასტერს ათონის მთაზე პავლე მამასახლისის მთავარმამობის უკანასკნელ წელიწადს ჰქონდა თურმე „სახუარბლე ხუარბლითა, ვითარ ათასხუთასისა მოდითა და საფქვირლე სავსე ფქვილითა“ (ათონ. კრებ. 264, § 158).

შემდეგ არსებობდა საიფქლე. იფქლი ეწოდებოდა პურეულს, რომელიც დიკასა და სხვაზე უფრო მაღალხარისხისა იყო. იფქლი საუკეთესო პურეულის ჯიშის სახელია, რომელიც ეხლა მხოლოდღა ხევსურეთშია შერჩენილი. საიფქლე ნაგებობას საიფქლე ხარო ერქვა. იგი სკმეონ მესუეტის ცხოვრებაშია აღწერილი: „მცირედ იფქლი დაშთომილ იყო ხაროთა შინა მონასტრისათა“ და ძმები გაპირვებაში ჩავარდნილან. მაგრამ სკმეონ მესუეტემ უთხრაო: „არა მოაკლდეს ხაროსა მას საიფქლესა იფქლი თქუენი, უკუეთუ დაითმინოთ... და უკეთუ ურჩიქმნეთ... აჰა ესერაოთ ხანი გზანი უდაბნოსა ამას... მოუწოდა... ძმასა ანტონის, რომელი იყო იფქლსა ზედა და უბრძანა მას, რათა შეკრიბოს მარცული იფქლისაჲ, რომელი დაშთომილ არს ხაროსა მას შინა საიფქლესა“: შემდეგ უთხრა მასვე: „წარვედ და მოაკუმიე ხაროსა მას შინა და განაბნიე მარცულად ესე მას შინა და დაჰკრძალე კარი. ღლოო მან ყო ეგრე“. მერმე სკმეონმა „უბრძანა ძმასა მას, რათა წარვიდეს და იხილოს ხაროჲ იგი საიფქლე“ (Keimena, 271—272, § 105).

¹ „ნაბჭობი“ ეწოდება სასამართლო ჯარიმას. ბჭობა ძველ ქართულში სულ სხვას ნიშნავდა. პნირად მოსდით შეცდომა, სხვანაირად ესიოთ, ბჭობა ფიქრს კი არა, გასამართლებას ნიშნავს, ბჭე კიდევ — მოსამართლეს. ნაბჭობი სასამართლოს დაფუძნებით მოსჯილ გადასახადს ეწოდება.

² ახრი ამ ადგილისა შემდეგია: „საეპრო სახლიდან, ზეთის სახდელი სამსახურებელსა სახლიდან და ქულობაქიდან რაც შემოვიდოდა, მთელი ფული უნდა მოხმარებოდა ბერების ტანისამოსის სყიდვას.

³ მეტრი აქ, რასაკვირველია, საზომია.

ჩვენთვის ამ ცნობას იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ტერმინი არის მოხსენებული, საიფქლე ხარო, და რეალური მითითებაც აქვს დაცული, რომლითგანაც ირკვევა, რომ საიფქლე ხაროს კარი ჰქონია, ხოლო ეს კი ისე არ უნდა გაეიგოთ, როგორც თანამედროვე ქართულის მნიშვნელობით შეიძლება წარმოვიდგინოთ, არამედ როგორც ნაგებობა.

ღვინისათვის განკუთვნილი ნაგებობანი მრავლად უნდა ყოფილიყო საქართველოში. ის ტერმინები, რომლებიც ეხლაც გავრცელებულია მათ აღსანიშნავად, ძველადაც არსებობდა: მარანი, ადგილი, სადაც ღვინო უნდა ყოფილიყო დაყენებული და საწნეხელი, ადგილი, სადაც სწურავდნენ. მარანის შესახებ XI ს-ის ერთ ძველში ნათქვამია: „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისა: და დავფალ შიგან ჭური: (10) და დავდგი ზედა ბეღელი სერხული: (ქვები II, 46); „ზნაქუს... დავფალ მარანსა შინა ჭური: (იქვე, 46); „ნიკოლოსწმიდას შევექმენ... მარანი ქვითკირია: და დავფალ შიგან ჭური ნავარძული: ივ: (16)“ (ქები II, 46). ღვინის შესახავად განკუთვნილ ნაგებობას მარანს გარდა სავაჭინეც ეწოდებოდა, ათონის ქართველთა მონასტერში მანც. პავლე მთავარმამას რომ წინამძღვრობისთვის თავი დაუწებებია, მას თურმე ძმობისათვის ჩაუბარებია „სავაჭინე ღვინითა საყოფინელითა ქამამდენ“ (ათონ. კრებ. 264, § 158), ე. ი. ახალ მოსავლამდე, სავაჭინეჯერჯერობით არა ჩანს საქართველოში დაწერილ ძეგლებში.

იმ ცალკეულ სავაჭრო დაწესებულებებსა და სამსახურებელ სახლებს, რომელთაც ძველად სახლი სამსახურებელი ერქვა, შემდეგში საფარეშო და სულბოლო დროს ქარხანა ეწოდება. ქარხანა იმასვე ეწოდებოდა, რასაც ძველად საფარეშო ერქვა და სადაც ამზადდნენ სუყველაფერს. მას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია, როგორიც ეხლა აქვს. ეს იყო სახელოსნო, სადაც დიდი რაოდენობით ამზადდებდნენ ხოლმე ვასაყიდად განკუთვნილ საქონელს. ქარხანა სპარსული სიტყვაა; ქარ სპარსულად საქმეს ნიშნავს, ხანა — სახლს, სადაც რამეს აკეთებდნენ.

ამას გარდა არსებობდა სავაჭრო სადგები სახლები, ე. ი. საწყობები, ცხადია. დიდი ვაჭრებისათვის განკუთვნილი. საბას ცნობით ამას ზოგადად ხულა ეწოდებოდა: „ხულა — სახლი სავაჭროს სადგები“ (ლექსიკ.). ძეგლებში ჯერჯერობით არ შეგვხვედრია არც ერთი ადგილი, სადაც ეს ტერმინი ამ მნიშვნელობით იყოს ნახმარი, მაგრამ ყველა სხვა მაგალითის მიხედვით შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ საბას იგი ამოღებული უნდა ჰქონდეს რომელიმე ძეგლითგან აღნიშნული მნიშვნელობითა და ხსენებული ცნების გამოსახატავად.

საწყობებისათვის საქარავნო საქონლის დასაცავად, იხმარებოდა ძველი ბერძნული ტერმინი ჰანდოქიონ, რომელიც V—VIII სს-ის ძეგლებში გვხვდება. IX და X სს-ში უკვე ფუნდუჯი გვაქვს, იგივე ტერმინი, მაგრამ უკვე ფონეტიკურად შეცვლილი. სომხურშიც არის ეს ტერმინი. საინტერესოა, რომ იტალიელებს აქვთ — ფონდოკო, რაც ბერძნულიდან არის წარმომდგარი.

რამინმა „ყოველთა გზათა ზედა თვითო ფუნდუჯი საქარავნო ააგო და სოფლები შესწირა მგზავრთა მადლისათვის“ (ვისრამ, I გამ. 451, II გამ. გვ. 321), ნათქვამია ვისრამინში. სპარსულად-კია:

بهر راهی رباطی کرد و صاتی نشسته بر کنارش راهبانی

(თ. 50 წი, ქალ. 396)

აქ ფუნდუკი საქარავენო არ არის; ნათქვამია მხოლოდ სახლები ააგოვო, ასე რომ ფუნდუკი საქარავენო ქართველი ავტორის მიერ ნახმარი ტერმინია.

ვეფხისტყაოსანში გვაქვს ამ მხრით. საინტერესო სურათი აწერილი. ავთანდილმა რომ თავისი ვინაობის გამომჟღავნება გადასწყვიტა, ფატმანს უთხრა:

„გონივარ ვინმე ვაჭარი, პატრონი ქარავენისა;

მე ვარ სპასპეტი მალღისა მეფისა როსტევეანისა,

თავეადი სპისა დიდისა, მათისა შესავანისა,

მაქვს პატრონობა მრავალი საქუთქლე-ზარდახანისა“.

(აბულ. 1192, კვ. 1215; საიუბ. ვამ. 1252).

აქ ორი ხელობისა და ორი წრის ადამიანია დაპირისპირებული: ვაჭარი და სპასპეტი. ვაჭარი პატრონია ქარავენისა, სპასპეტი-კი ზარდახნის პატრონი. რასაკვირველია, დიდ-ვაჭართაგანი ქარავენის პატრონი იყო. უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ ძველად მგზავრობა დიდი რაოდენობით იცოდნენ, იმიტომ, რომ არც ისე უშიშარი საქმე იყო მგზავრობა უცხო ქვეყანაში. გვაქვს ცნობები, რომ სამასი კაცი ერთად იყრიდა ხოლმე თავს. იყო ქარავენის უხუცესი, რომელიც ამ ხალხის გაძლოლასა და უზრუნველყოფას კისრულობდა. შესაფერისი პირობები არსებობდა ამისთვის; მან გზები იცოდა, შეთანხმებული იყო იმ სადგომების პატრონებთან, სადაც უნდა ჩამომტარებულენ დროგამოშვებით. სამასი მგზავრისათვის სამასი აქლემი და სახედარი იყო საჭირო. აქედან ადვილად წარმოსადგენია, რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ის ნაგებობა, რომელიც დაიტევდა ამოდენა მგზავრსა და ამოდენა საქონელს, რომელსაც უნდა ჰქონოდა შესაფერისად მოწყობილი საჭმელ-სასმელი.

ფუნდუკი საქართველოშიც იყო, რასაკვირველია, და ჩვენ გვაქვს ცნობაც (ნ. გვ. 28), რომ თამარმა ჯაფახეთის გზის უაღრესი მნიშვნელობის გამო ეკონომიური თვალსაზრისით პირდაპირი გზა გააყვანინა თბილისიდან ჯაფახეთში და ორი საქარავენო ფუნდუკი ააგებინა. ფუნდუკი ძველად სხვადასხვანაირი ყოფილა: ერთი მათგანი განსაკუთრებით ქარავენებისათვისა დამექარავენეთათვის ყოფილა დანიშნული. მას საქარავენო ფუნდუკი ჰქმნიდა „ვისრაიანში“ გვხვდება ეს ტერმინი. ვახელმწიფებულს რამინზე იქ ნათქვამია: „ყოველთა გზათა ზედა თვითო ფუნდუკი საქარავენო ააგო“-ო (I გამ. გვ. 451, II გამ. გვ. 321).

ფუნდუკი განსაზღვრულ ხანამდე გვხვდება, IX—XII სს-ის ძეგლებში უფრო მეტად მოიპოვება. XV ს-შიც უნდა ხმარებულყო, მაგრამ ძეგლებით ამის დამტკიცება შეუძლებელია, რადგან ამდროინდელი ძეგლები ცოტა გვაქვს. XVII ს-ში უკვე ფუნდუკის ხსენება აღარაა, ის მხოლოდ ნაკითხმა ხალხმა იცის; როგორც მაგ., ვახუშტი ისტორიკოსმა. ამ დროს ეს მაგიერად უკვე ქარავენარაია გახვდება. ფ. გორგიჯანიძეს, მაგ., ნათქვამი აქვს: „როსტომ მეფემ განჯის გზაზე, ვატეხილს ხიდს ზეით, დებედაზე... სოფელი და ქარავენარაია ააშენა, რომ მგზავრი არ გაისარჯოს, სადგომი და საჭმელი მზათ დახვდეს-ო“ (გვ. 533). ეს ნაგებობა მართლაც შე-

¹ კ. ა. ვამ.—ზარდახანისა, საიუბ. გამ.-ში —ზარდახანისა.

სანიშნავი ყოფილა. მის შესახებ ჩვენ ცნობა მოგვეპოვება როგორც სხვა ქართულ წყაროებში, ისე აგრეთვე უცხოელ მოგზაურთა თხზულებაში. შარტის აქტს იგი აღწერილი, რომელსაც სურათსაც კი ურთავს.

ქარვანსარაია სპარსული სახელია—„ქარავან სარაია“ (کاروان سراي) „სარაი“ სასახლეს ნიშნავს. ქართულად ის სრავ-ს სახით გვაქვს შეთვისებული: ეს სასახლე-სარაია, მაშასადამე, ქარავნისათვის განკუთვნილი ნაგებობაა; როგორც ვხედავთ, ეს სასახლე საკმაოდ დაქვეითებულა¹. გაქართულების გზით. ფონეტიკური ცვლილების ნიადაგზე, „ქარავანსარაი-საგან“ ქარვანსლა არის წარმომდგარი², ამგვარად XVII ს-ში ფუნდუკის მავიერ ქარვანსარაია არის. საფიქრებელია, რომ ის XVI ს-შია შემოსული, მეორე ნახევარში მაინც. ამ საუკუნის პირველნახევარმდე-კი, საგონებელია, ფუნდუკი არსებობდა, რაც მეომე ცოცხალი სიტყვა აღარაა.

შემდგომი ტერმინი, რომელიც ძველ ხანაში (XII ს.) იყო ხმარებული ხანაგა-ა. ხანაგა განსხვავდება ქარვანსარაიასაგანაცა და ფუნდუკისაგანაც იმ მხრივ, რომ ის სასტუმროს წარმოადგენდა მგზავრებისათვის. ხანაგა ნახმარია ფეხის-ტყაოსანში. სპარსულად, როგორც აღვნიშნე, ის სულ სხვას ნიშნავს, დერვიშების თავშესაფარს ეწოდებოდა³. ქართულად-კი არავითარი კავშირი დერვიშებთან ამ ხანაგას არა აქვს, ის მგზავრების ჩამოსახტომი ჩვეულებრივი სასტუმროა. ფატმანი ავთანდილს მოუთხოვობს: ერთხელ საღამოს

„წავდეგ წინა დარაჯავთა, კარი მიჩნდა ხანაგისა...
მოვიდა სითმე ღარიბი, მონა მოყვსითა სამითა,
მონა, მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხაითა.
სასმელ-საჭმელი მოიღეს, ქალაქს ნასყიდი დრამითა,
სმიღეს, სჭამდეს და უბნობდეს, სხდეს მხიარულნი ამითა“ (აბულ. 1146, 2-1147; კაკ. 1169-1170; საიუბ. გამ. 1216-1217).

არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ დერვიშების თავშესაფართან ამ ხანაგას კავშირი არა აქვს. ოთხი მგზავრი მონა, აქ რომ გვხვდება, სხვა მნიშვნელობით არის ნათქვამი. „მონა“ ნიშნავს ქვეშევრდომს, მგზავრს, რომელიც მოსული იყო ერთი ქვეყნიდან—ქაჯეთიდან, და მას სამი თანამგზავრი ჰყავდა. „მონა მონურად მოსილი“ — სამგზავრო ტანისამოსით მოსილი მგზავრი. [სამგზავრო ტანისამოსი ხამი ყოფილა. ხამი ძველ ქართულში უნემ, შედარებით დაბალ-ხარისხოვან მასალას ეწოდება. რასაკვირველია, რადგანაც მგზავრობის დროს ტანისამოსი უფუქედებოდათ, მით უმეტეს როდესაც აქლემებზე იხსნდნენ, მას გაუფრთხილებოდნენ, და ამიტომ სამგზავროდ ხამი ტანისამოსი სცმევიათ].

¹ ეს სიტყვა შეთვისებული აქვთ რუსეთშიც, — каравансараи იგივე სიტყვაა, რომელიც თურქების გზითაა შესული. თურქებს თავის მხრივ სპარსელებისაგან აქვთ მიღებული. რუსებს ცალკეც აქვთ сараи, რომელიც სასახლის აღმნიშვნელი იყო ძველად, მაგრამ ესლა სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.

² იგი საბას ლექსიკონშიაც არის შეტანილი: „ქარვანსლა — სხუათა ვნაა, ქართულად ფუნდუკი ჰქვია“ — ი (ლექსიკ.)

³ იუსტ. აბულაძეს ხანაგა განმარტებული აქვს: დერვიშების მონასტერია-ი (ვეფხისტყაოსნის ლექსიკ.).

ხანაგა სასტუმროსაგან იმ მხრივ განსხვავდება, რომ ის ურესტორანია. ეხლაც ხომ არსებობს სასტუმრო, სადაც არ არის სასმელ-საჭმელი. ჩამოხტებოდნენ ქალაქში, ყიდულობდნენ სასმელ-საჭმელს და შეექცეოდნენ; თანაც თავიანთი მგზავრობის ამზავს უამბობდნენ ერთმანეთს და კარგად ატარებდნენ დროს. ხანაგა XI—XII სს-ში გვხვდება, უნდა ვიფიქროთ XIII სს-შიც იქნებოდა, მაგრამ შემდეგში აღარაა.

ქალაქშივე იყო გლახაკთა თავშესაფარი, რომელსაც ძველად სხვა სახელი ჰქონდა. ეს ცნობა ჩვენ პეტრე ქართველის ცხოვრების სირიულ ტექსტში მოგვეპოვება: დიდ რაკურს გლახაკთა თავშესაფარი აუგია (ცა პეტრე ქართ., ასურ. ტექს. 7, 14 = გერმ. თარგ. 17). პეტრე ქართველის დედას, ბაკურდუხტის მოგზაურთათვის სასტუმროები და საავადმყოფოები აუშენებია (იქვე, ასურ. ტექს. 12, 11-13 = გერმ. თარგ. 20). აი, აქ ჩვენ გვაქვს ძალიან საყურადღებო ცნობა, რომელიც გვახსენებს გამოვარკვიოთ, რა სახელი უნდა ჰქონოდა ამ ნაგებობას. ამისათვის ჩვენ მართლაც მოგვეპოვება ქართული ტერმინები. გლახაკთათვის განკუთვნილი თავშესაფარის პირველი სახელი ყოფილა სავლახაკთა ქალაქისაჲ.

სავლახაკთა ქალაქისაჲ ესმეონ მესუეტის ცხოვრებაშია ნახმარი. იქ მოთხრობილია: „იყო კაცი ვინმე... რომელსა ერქუა დომინოს. და იყო იგი მამასახლისი სავლახაკოსა ზედა ქალაქსა, რომელსა ჰრქჳან ლოსნიდო. და აღსრულ იყო კოსტანტინეპოლისს შეკრებად საქმრისა გლახაკთა მათთათჳს“. იქ იუსტინიანე კეისარს იგი მოსწონებია და ანტიოქიის პატრიარქად დაუნიშნავს. როდესაც იგი უკან ბრუნდებოდა, „ერთარ შემოვიდა იგი ქალაქად, იხილნა გლახაკნი მსხდომარენი ბჭეთა ზედა ქალაქისათა“. ეს არაფრად მოსწონებია მათს მოულოდნელად გაპატრიარქებულს, ყოფილს მამასახლისს, და ამიტომ, რომ თვალთვან მოეწორობინა, „შეურაცხ-ყენა ზიანი და უნდა, რათამცა მიცვალნა იგი აღვილით მათითო სხუად“-ო (ცა სემიონ მესუეტისაჲ, Keimena 250, § 61). აქითგან ირკვევა, რომ ამ სავლახაკოში საწყლების თავშესაფარის მეტი არაფერი ყოფილა: დღისით ისინი გარეთ გამოდიოდნენ თურმე და მათხოვრობდნენ. ამ სავლახაკოს მამასახლისს ჰქონია სასხრები, მაგრამ რამდენად ეხმარებოდა ამ გლახაკებს, არ ირკვევა. ყოველ შემთხვევაში, რომ ის მაინცაღამინც ძალიან გულმოდგინე არ უნდა ყოფილიყო თავისი უბედური მცხოვრებლებისა, იქითგან ჩანს, რომ ეს ხალხი რომ ქალაქის კარებთან დაჰხვედრია, არაფრად მოსწონებია, იმიტომ რომ პატრიარქად იქცა და ყველამ იცოდა, ვინც იყო წინათ. ამის გამო გადაწყვიტა სავლახაკო სხვაგან გადაეტანათ, ხოლო სადაც ამ დაწესებულების ნაგებობა არსებულა, საკმაოდ კარგი ადგილი ყოფილა.

ჩვენთვის მთელი ეს ამბავი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც სირიულ წყაროში დაცულ საქართველოს შესახები ცნობისათვის ვპოულობთ შესატყვის მაშინდელ ქართულ ტერმინს — სავლახაკოს. იქვე არის აღნიშნული, რომ ბაკურდუხტის საავადმყოფოებიც აუგია. ამ ცნობას გარდა ჩვენ, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაშიც მოგვეპოვება ცნობა, რომ დავითმაც ააგო საავადმყოფოებიო. რა ეწოდებოდა დავით აღმა-

წენებლის მიერ აგებულ დაწესებულებას, ჩვენ ვიცით, და კიდევაც გვეჩვენება ამის შესახებ ქვემოთ საუბარი, მაგრამ ამ სახელს გარდა უფრო ადრინდელ ძეგლებში და მერმინდელშიც საავადმყოფოს მავიერ სასნეულო გვხვდება. საავადმყოფო ძველ ქართულში არ იხმარება. ავად შეიძლება ცოტა ხანს იყოს კაცი და მერმე კარგად გახდეს, ამისათვის საჭირო არც იყო, რომ სადმე დაწოლილიყო. საფუძვლიან მძიმე ავადმყოფობას სნება ეწოდებოდა, ხოლო ავადმყოფს — სნეული. სასნეულო ეწოდებოდა იმ ნაგებობას, სადაც სნეულები იყვნენ მოთავსებული. სასნეულო არსებობდა როგორც ქალაქში, ისე აგრეთვე დიდ მონასტერთან. მაგ., ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში ნათქვამია: „ამან შიქელ მოგუტა პერპერად: ი: (10) სასნეულო ეს საშენებლად და აღაშენა კალაეროდ სახლი საძირკველითა“—ო (ათონ. კრებ. 223, § 32).

იოანე შეყენებულზე მის ცხოვრებაში მოთხრობილია, რომ იგი თავის საშობლოთგან „მარტო ივლტოდა... და აღჯდა ნაცსა და მოვიდა იერუსალმდ და დაადგრა იგი სასნეულოსა მას, რომელი ეშენა ევდოკიას. და იყო სასნეულოსა მას შინა მცირე ეკლესიაჲ წმიდისა ვიორგისი და იყოფოდა მუნ შინა მრავალ უამ... და ოდეს იყო სასნეულოსა მას შინა... დამესა ერთსა ცამოვიდა შორის მას ეზოსა სასნეულოჲსა“ (ცა იუ შეყენებულისად: Keimena, 17. თავი დ და ე). აი აქ მოხსენებულია სწორედ საქალაქო სასნეულო, რომელიც ბიზანტიის დედოფალს ევდოკიას აუშენებია. ის დიდი ნაგებობა ყოფილა, მას თავისი ეზო ჰქონია და, რასაკვირველია, შესაფერისად უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

სასნეულო ტიპოთესაც აქვს თავის მოგზაურობაში ნახმარი. მისი ცნობით, ათონის ქართველთა სავანეში „სასნეულო და ამის კერძონი გოდოლნი და სენაკები განუახლებია მეფესა აღექსანდრეს, თუთ მას, რომელიცა რუისის საყდრის კარზედ სწერია“—ო (ჩუბინ. ქრესტ. 141-2).

სასნეულოში დასნეულებულნი იმყოფებოდნენ, ხოლო თვით ამ დაწესებულებას შესნეულე ჰყავდა ისევე, როგორც თავისი შემოსავალიც ჰქონდა ხოლმე. მაგ., ათონის ქართველთა ძმობას აღაპებში ოქროპირ ხარაზზე აღნიშნული აქვს: „ამისვე ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი ვანუწესენით. სასნეულოს წმიდისა ირინეს ხატსა, რათა შემდგომად მისსა ვინცა შესნეულე იყოს, იგი ეურვოდის, დასნეულე ბულთა აჯმარებდის“—ო (ათონ. კრებ 256-257, § 146). ეს სასნეულო, როგორც ეტყობა, ირინეს სახელზე ყოფილა აგებული. ხატებს ძველად სწირავდნენ ხოლმე; ამისთვის სიგელი იწერებოდა იმ წმიდანის სახელზე, რომელზედაც მიკუთვნებული იყო. მაგალითად, შიომღვიმის მონასტრის თუ სწირავდნენ, იწერებოდა, რომ ვწირავ შიოსო, თუმცა შიო დიდი ხანია აღარ არსებობდა. მაგრამ ასეთი წესი იყო — იურიდიულ პირად ითვლებოდა ის, ვინც დაშარსებული იყო, ან რომლის სახელზედაც იყო დაარსებული. შეუწირავთ ეს ზეთისხილი, „რამათა შემდგომად მისსა ვინცა შესნეულე იყოს, იგი ეურვოდის, დასნეულე ბულთა აჯმარებდის“—ო. აქითგან ჩანს, რომ ეს ზეთისხილი უნდა მიერთობოდა დასნეულებულთათვის. შესნეულე მოუვლიდა, რასაკვირველია, ამ ზეთისხილს და მოახმარებდა ავადმყოფებს.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი კი ცვიაზობს, რომ მან „აღმაშენა ქსენონი, ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თუთო სახითა სენითა განცილინი, და მოუშზადა ყოველი საჯმარი მათი, უნაკლულად და უზუებით, განუჩინა შესავალნი დამალუაწინი მათნი ყოვლადე. თუთ მივიდის, მოიხილნის, მოიკითხნის და ამბოარს უყვის... განამჯნის მოთმინებისა მიმართ, მონახის თუთსითა ცეცხლთა ცხედრები, სამოსელი და საგებელი, პინაკი და ყოველი საჯმარი მათი, მისცის“... (*528, გვ. 295; ანა დ'ფლის ქცა, გვ. 210). ძალიან საყურადღებო ცნობაა იმ მხრივ, რომ ირკვევა, დავით აღმაშენებელს არა ერთი ქსენონი აუგია. ქსენონი ბერძნული სიტყვაა, მაგრამ ბერძნულად სხვას ნიშნავს. ქართულად საავადმყოფოს ნიშნელობა აქვს. „ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა“ მოწმობს, რომ საავადმყოფო მშენებრივი ნაგებობა ყოფილა, ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით ლამაზი და საყურადღებო. „შემსგავსებულსა ადგილსა“, ისეთ ადგილს მიათითებს, რომელიც ავადმყოფთათვის შესაფერისი იყო, მაშასადამე, უზრუნია მასზე, რომ მართლაც კარგი ჰაერა ყოფილიყო. იქ „შეკრიბნა ძმანი თუთო სახითა სენითა განცილინი“, ე. ი. ავადმყოფნი, რომლებსაც სხედასხვა ავადმყოფობა ჰქონდათ. მათ „მოუშზადა ყოველი საჯმარი... უნაკლულად“. საჯმარი ეწოდება იმას, რაც აღამიანს ესაჭიროება — სინოვავე, კურჯელი, ავეჯი, თეთრული. დათვალე რება თვით და „მონახის თუთსითა გელითა ცხედრები, სამოსელი და საგებელი“-ო, ე. ი. განიჯავდა თავისი ხელით „ცხედრებს“-ო. ცხედარი ნიშნავს სარეცელს, ჩვეულებრივ — ლოჯინს, ე. ი. იმ ადგილს, რომელზედაც ლოჯინს დააგებდნენ.

ამგვარად, დავით აღმაშენებელს აუშენებია საავადმყოფოები, უზრუნველუყვია ყოველმხრივ და შემდეგ დროგამოშვებითაც მიდიოდა და ამოწმებდა, როგორ უფლიან, ასრულებენ თავის მოვალეობას პირნათლად თუ არაო. ასეთ დაწესებულებას ჰყოლია ზედამდგომელი, ე. ი. გამგენი, რომელსაც ის ჰქონიათ ჩაბარებული „განაკრძალნის ზედამდგომელი მათნი“. ცხადია, ექიმებიც, ე. ი. მკურნალებიც უნდა ყოფილიყვნენ. სინჯავდა, კარვას უქლიდნენ თუ არა, სისუფთავე იყო დაცული თუ არა, მაშასადამე, მკაცრი მეთვალყურეობა ყოფილა. ამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასენეულოები და ქსენონები ნაგებობანი ყოფილან, უეჭველად მაღალ დონეზე დაყენებულნი.

საერო ნაგებობათა შორის, რომლებიც ჩვენ ვანიხილეთ, უნდა დასახელებულ იქმნეს აგრეთვე დიდ შენობათათვის, სასახლეებისათვის განკუთვნილი ზღუდის ნაგებობანი. რაკი სასახლეებსა და დიდ შენობებს ჩვეულებრივ ვარეთგან ზღუდე ჰქონდა, ამიტომ ეზოს გარშემოვლებული კედელიც ნაგებობათა ცალკეულ სახეობად იქცა. მას გაღაფანი ეწოდებოდა. უბრალო მარტივ ნაგებობას გარდა მხატვრულად მორთული ვალავანიც სცოდნიათ მაშინდელს საქართველოში. ასეთი ვალავანი ჰქონია, მაგ., შემოვლებული XII ს-ის საქართველოს მეფის სასახლეს. აკი შავთელი ამბობს: სასახლემო.

(აბდულ-მესია, 39,1) უპირველესად.

„თუ... უქია რანი?

ვალავანი სასახლემანიო“.

ამგვარად ეს გალავანი იმდენად განსხვავდებოდა ჩვეულებრივი გალავნებისაგან, რომ ყურადღებას იპყრობდა უნებლიეთ თავისი შემკულობით. რანაირი იყო ეს შემკულობა, ამის გამოკრევეა, რასაკვირველია, ამჟამად არ შეგვიძლია, მაგრამ თავისთავად სხვათა ცნობა საყურადღებოა, რამდენადაც შესაძლებლობას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ მაშინ მარტო საცხოვრებელი შენობების მხატვრული თვისებებით შემკობაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ გალავანსაც განსაკუთრებული ყურადღება ჰქონია მიუყრდნობილი. ამგვარი ნაგებობა მთლიანად წარმოადგენდა ერთს მხატვრულ ერთეულს. ამ მხრივ, ცხადია, რომ ხუროთმოძღვარს გაუთვალისწინებია ის ვარემოება, რომ, თუ კარგ ნაგებობას კარგი ვარემო არა აქვს, მაშინ, რასაკვირველია, შესაფერისი შთაბეჭდილება წაიშლება და ის ღირსება, რომელიც მთავარ ნაგებობას აქვს, უქვეყნია შებღალული იქნება.

დაწინაურებული მოქალაქობრივი, კულტურული ყოფა-ცხოვრება უწყალსადენოდ და სარწყავ-არხებოდ წარმოადგენელია და საქართველოშიც ძველად მშენებლობის ეს სახეობა ძალიან გავრცელებული და დაწინაურებული ყოფილა. მოგვეპოვება საყურადღებო ცნობები როგორც არხების შესახებ, ისე წყაროებისა და წყალსადენების შესახებ. ეს საკითხი უშუალოდ აღმშენებლობასთან დაკავშირებული არაა და, თუ ამჟამად სიტყვას მიაჩნვ ვაგდებთ, იმდენად, რამდენადაც „წყაროს თულნი“, როგორც უწოდებდნენ წყაროს იმ გამოსავალ ადგილს, საიდანაც წყალს ავსებდნენ, აგრეთვე შემკული იყო ხოლმე. ჩვენამდე რამოდენიმე ისეთმა ძეგლმა მოაღწია, რომლებიც დაზიანებულია. ერთი მათგანის სურათი მოყვანილი აქვს განსვენებულ აკად. ნიკო მარს თავის „საეშეთ-კლარჯეთის მოგზაურობაში“. ეს წყარო თლილი ქვით არის გამოყვანილი, შემკულია ცხოველის თავით და წინ პატარა აბაზანა მოებოვება ასახვებად.

ადვილი წარმოსადგენია, რომ ქალაქში გაცილებით უფრო საინტერესო უნდა ყოფილიყო ასეთი წყაროებისა და წყალსადენების გამოსავალი ადგილის შემკულობა. „წყაროს თულნი“ ძველ ქართულში ხშირად მოგვეპოვება წყაროს მაგიერ და ეს ძველისძველი გამონათქვამია, რომლის პარალელები ჩრდ. კავკასიის ენებშიაც მოგვეპოვება. სპარსულთან დაკავშირებულ ქართულ თხზულებაშიც, ვისრამიანში, ნახმარია ეს ტერმინი:

„რაზომნიცა ციხენი და ქალაქნი ააშენნა, ყოელგან წყაროს-თვალნი გამოადინნა“ (ვისრამ. I გამ. გვ. 452; II გამ. გვ. 322). სპარსულადაა:

هزاران چشمه و دریاچه در این شهر و اد بسیار (ქალ. ასია)

(თ. 171 ქვ.; ქალ. 391)

ამრიგად ძველ ხანას გარდა XII ს-შიც გვაქვს ეს სიტყვა.

ხელოვნურად გამოყვანილი წყაროს წყლის სახელად ძვ. ქართულში ს. ორბელიანის ცნობით, ღრუდო იხმარებოდა. მას თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „ღრუდო... არს ორმო-და-ორმო ამოთხრილი და გამოჭურვითი წყალთ პოვნისათჳს ურწყულთა ადგილთა, რომელსა სპარსნი ქარიზს (ქაპრიზს) უწოდენ; ხლო მსოფლიონნი ღრუდოსა უწოდენ მდინარისა კიდეთა წყაროსა, გამომდინარესა კლდისა გურულთაგან, ზამთარ ცეცხთა საბუნავოსა“ (ლექსიკ.).

წყალსადენების შესწავლისათვის ჯერ, რასაკვირველია, საკმაო მასალა არ მოგვეპოვება, მაგრამ ის, რაც სხალტის წყალსადენში მოგვცა, კარგად მოწ-

ქობს, თუ რამდენად მაღალ დონეზე ყოფილა ეს დარგი ჩვენში დაყენებული. წყალს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა, ერთი მხრით როგორც სასმელს, მეორე მხრით როგორც სარწყავს და ამ ორივე დანიშნულებისათვის სხვადასხვა ნაგებობა მოიპოვებოდა.

ჩვეულებრივ არხს გარდა, რომელიც მიწაში გაჭრილ კალაპოტს წარმოადგენდა, წყლის სადენად ბელონურად მაღლა ნაგები კალაპოტიც კეთდებოდა, რომელსაც ლათინურად აკვედუკები ეწოდებოდა. ქართულადაც ასეთ რუს თაგისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა და რუხხმული ერქვა. საბა ამბობს: „რუს ხმული მაღლა შეშენებული რუ“ არისო (ლექსიკ.).

რუ ქართული სიტყვა არ არის, სპარსულია. რუ სპარსულად მდინარეს ნიშნავს. რევედენ, რო ძირი არის, მიმდინარეობას ნიშნავს და უძველეს ქართულ ძეგლებში არც გვხვდება. რადგან ეს სიტყვა მერმინდელი ტერმინია, ის ახალი სპარსული უნდა იყოს. მეცხრე საუკუნეზე ადრე ის სავულებელი არ იყო და მართლაც ამ საუკუნეზე ადრინდელ ძეგლებში არცა გვაქვს. ახალი სპარსულის დასაწყის ხანაში ეს ტერმინი უკვე მოიპოვება. რუს მაგიერ რომ გვაქვს ქართულ IX ს-ის ძეგლებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲჲ“ მატეიანეში აღნიშნულია: აღექსანდრე მაკედონელმა „დასცა ვენაჲი და რომა გამოიღო ქსნითა და დასხნა კაცნი მერუენი“ (Опис. II, 708). რუსა და წყალსადენებზე მზრუნველობისათვის, რასაკვირველია, სავანგებო ცოდნა იყო საჭირო. იყვნენ განსწავლულნი ხელოსნები, რომელთაც ეს საქმე კარგად ჰქონდათ შესწავლილი. თამარ მეფის, შიო მღვიმლისა და ანტონ ჭყონდიდელის შეწირულების წიგნებში კარგად არის აღწერილი, თუ როგორ ყოფილა ეს საქმე მოგვარებული საქართველოში. განსწავლული უნდა ყოფილიყვნენ თვალყურის სადევნელად. მონასტრისათვის შეწირული წყალსადენისათვის თითო პირი, რომელთაც კარგად უნდა სცოდნოდათ ეს ხელობა და, თუ მცირე რამ შესაკეთებელი იყო, უნდა გაეთვებინათ. ამისათვის მათ ჰქონდათ მიღებული მონასტრისაგან მიწა, რომლის შემოსავლითაც უნდა დაეფარნათ ის ხარჯები, რაც მათ დასკირდებოდათ ხოლმე. თუ დიდად შესაკეთებელი იყო, მაშინ მონასტრისაც უნდა მიეღო მონაწილეობა მუშაობაში. XII ს-ის ცნობილ ქართველ მოღვაწესა და ფილოსოფოს ნიკოლოზ გულაბერიძეზე ათონის აღაპებში აღნიშნულია: „ნიკოლოზ გულაბერისძემან მოგუცა მისივე (თამარ მეფის) :კ: (20) პერპერაჲ რუჲსაი წაჯღომილისა შესაკაჲმაჲვად და წისქელისა და ბოსტნისა შესაქმნელად“ (ათონ. კრებ. გვ. 259, § 153). ამგვარად, მონასტრის რუ ჰქონია, ეს რუ წახდენიათ, ე. ი. გაჰფუჭებიათ, და ამ რუს შესაკეთებლად ოცი ოქროს ფული შეუწირავს თამარს. ეს რუ ერთი მხრით ბოსტნისათვის გამოუყენებიათ, ხოლო მეორე მხრით წისკვილისათვის.

წყალსადენებს გარდა ბაღებსა და წალკოტებში აუზებშიც ჰქონდათ. შავთელსაც აქვს ნათქვამი, რომ საქართველოს მეფის სასახლეში საქებური იყო

„მტილ-სამოთხენი,
თვალთ სამოთ ხენი
ზედ ავაზანთა

შექმნულობანი“ (აბდულ-მესია 39, 1—2).

ავაზნი აქ აუხსა ნიშნავს. მტილი კი იმასვე ნიშნავს, რასაც შემდეგ ბალი ეწოდებოდა. ბალი ქართული სიტყვა არ არის, არც მტილია ქართული. სამოთხე ეწოდებოდა ისეთ ბალს, რომელიც განკუთვნილი იყო დროს გასატარებლად, სადაც დარგული იყო თვალთა საამოდ ხენი, ე. ი. ხეხილი კი არ იყო, არამედ ზეგები თვლის საამოდ. ავაზანს, ცხადია, თავისი შემკულობანი ექნებოდა.

ასეთ ავაზანებს გარდა არსებობდა აგრეთვე წყალთა შესაკრებელი, რომელსაც ლაკვა ეწოდებოდა: ლაკვა ლათინური სიტყვაა [ლაკუჭ (ანტიოქი სტრატეგი, TP., IX, გვ. 13), lacus, lacus; lacus — წყლის შესაკრებელი, თხრილი, ორმო]. ეს ტერმინი მოგვეპოვება როგორც ნათარგმნს, ისე ქართულ ძეგლებშიც. იერუსალემში „ეპოვეთ ლაკუათა შინა მომწყდარი ორას სამოცდა ათხუთხმეტი სული“-ო, ნათქვამია „იერუსალემის წარტყუენავაში“ (TP, IX, მბ, 22), ცნობა, მაშასადამე, გვეუბნება, რომ იერუსალემში მდინარე არა ჰქონიათ, ჩვეულებრივ წვიმის წყლით წასულან იოლად, მას სვამდნენ და აგროვებდნენ ადრის დროს. წელიწადში იქ, მართლაც, ორჯერ იცის ადრეები, რომლის დროსაც კლდეში გამოქვამულ საცაეებში ანუ ლაკეებში აგროვებენ წყალს. მათში წყალი კარგად ინახება, თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში.

ლაკუა და მისი აგებულება კარგად არის აღწერილი სვიმონ მესეციტის ცხორებაში. იქ ნათქვამია: „ვითარ იგი აღეშენა მონასტერი იგი და მოამზადეს ადგილი იგი სუეტისა მის მოქმენით და აღაშენეს მცირე იგი კონქი მარჯუნ ადგილსა მის სუეტისასა აღმოსავლით კერძო, კუალადცა ნაკლულევანებისათჳს წყლისა ქმენეს უკანა კერძო კონქისა მის კლდესა მას შინა ლაკუა, შესაკრებელი წყალთა და აღივსო იგი წყლითა, და იხუმევედეს მისგან საქმესა მონასტრისასა. ხოლო ძმათა მათ შექმნეს კარი მას ზედა კლიტითა, რათა ერი იგი მომავალი არა შევიდეს მუნ მოსაწყინებლად მათა“-ო (Keimena 258, § 84).

როგორც ვხედავთ, ეს რთული ნაგებობაა, უბრალო ჭას კი არ წარმოადგენს, არამედ ის კლდეშია ამოკვეთილი ისე, რომ აქვს კარი, იკეტება და, მაშასადამე, შესაფერისი მოწყობილობის ნაგებობა ყოფილა. რასაკვირველია, ასეთი ლაკეები უფრო ისეთ ადგილას იყო საჭირო, სადაც წყლის ნაკლებობა ძალიან საგრძნობი იყო. საქართველოში ცივი წყაროების სიმრავლე ისეთ გაკვირვებაში არ ჩაავდებდა ადამიანს, და არც ბერ-მონაზვნებს, რა მდგომარეობაშიც ასურეთსა და ეგვიპტეში იმყოფებოდნენ, მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოშიც, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, მოიპოვება ადგილი, სადაც წყლის ნაკლებობა ძალიან საგრძნობია, როგორც, მაგ., ვარეჯის მონასტერში, უდაბნოში. ამიტომ ამ გვარი ლაკეები აქაც უნდა ყოფილიყო.

თავისთავად ცხადია, რომ წყარო მარტო დასალევად კი არ იყო საჭირო, არამედ სხსუფთავის დასაცავად, მისგან წყალსადენები გაჰყავდათ აბანოებისათვის, რაზედაც საუბარი უკვე გვქონდა.

წიქვილზე ბევრგან გვაქვს ცნობები, მაგრამ სამწუხაროდ ამ წიქვილების აღწერილობა მათში არა ჩანს. ერთადერთი რაც შეიძლება ითქვას, ისაა რომ წიქვილი სხვადასხვა სიღიღისა არსებობდა. სიღიღის საზომად თუა-

ალი იყო ძველადაც მიღებული. მაგ. ათონის ალაპებში მოხსენებულია: მონასტრის ძმამ ბასილმა „შემო[ს]წირა ეკლესიასა ორი თუალი წისკელი-ო“ (ათონ. კრებ. 234, § 70). „ორი თუალი წისკელი“ ნიშნავს, რომ საუბარია ერთ წისკელიზე, რომელშიაც ორი თვალი ბრუნავდა.

არსებობს ერთი საყურადღებო ცნობა, რომლითაც ირკვევა, რომ საქართველოში (დედაქალაქი უნდა იყოს ნაგულისხმევი) საერო ნაგებობათა შორის ყოფილა იპოდრომებიც. იპოდრომი მოხსენებული აქვს შავთელს: თუ გუქო რამეო, უბირველესად სასახლეები და

„გალავანისა შემკულობანი...“

კართა სტოვანი,

ერთა სტოლანი

იპოდრომისა განხმულობანი“—ო (39, 1-3).

„იპოდრომისა განხმულობანი“ იპოდრომის სიფართოვეს ნიშნავს. იპოდრომი ბერძნული ტერმინია ἵππους-„ჰიპოს“ ცხენსა ნიშნავს. ხოლო ἄρματα-„დრომოს“—სარბიელს. იპოდრომი უდრის ზედმიწევნით ქართულ ტერმინს ცხენთსარბიელს. უყვე თვით ტერმინი იპოდრომი გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ქართველ მეხოტბეს ბიზანტიაში კარგად ცნობილი ნაგებობის მსგავსე ცხენთსარბიელ უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი. სად იყო ეს იპოდრომი, თბილისში თუ ქუთაისში, ან იქნებ ორივეში, არა ჩანს, მაგრამ თავისთავად თვით ცნობაც ასეთი ნაგებობის არსებობაზე იმდროინდელ საქართველოში ფრიად დამახასიათებელია მაშინდელი ქართული კულტურის ისტორიისა და სამოქალაქო ნაგებობათა სახეობათა გასათვალისწინებლად.

მაგრამ იპოდრომს გარდა, ქართულად ასპარეზი და ცხენთსარბიელიც არსებობდა. ამათგან ასპარეზი სპარსული სიტყვაა და ტერმინია (اسبز) —ასპ“ სპარსულად ცხენს ნიშნავს); ცხენთსარბიელი ნამდვილი ქართულია: ტერმინების ასეთი სიუხვე ამ ერთნაირი დანიშნულების ნაგებობისათვის, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ქრონოლოგიურ განსხვავებას გარდა რაიმე განსხვავება უნდა ყოფილიყო თვით ნაგებობათა შორის. სპარსელებს ძალიან უყვარდათ ცხენების შეჯიბრება და ესმოდათ ამ გასართობის მთელი მომჯადოებელი მნიშვნელობა, მაგრამ როგორ ჰქონდათ მათ მოწყობილი ასპარეზები, ჯერ არ ვიცით. ის-სურათები, რომლებიც ჩვენ დაცული გვაქვს სასანური ხანის ცხენისა და ეტლის გამოსახულების სახით, უცნობელ საბუთად შეიძლება იქნეს გამოყენებული იმის დასამტკიცებლად, რომ მათი ასპარეზები, ალბათ, კარგად იქნებოდა მოწყობილი. მომავალში გამოსარკვევი იქნება სამი სხვადასხვა წარმოშობისა და დროის სიტყვის ქართულში არსებობა, თვით ნაგებობათა ამ სახეობაშიც დროთა განმავლობაში მომხდარი რაიმე სურთომოდერული ცვლილებების მომასწავებელი უნდა იყოს, თუ არა.

შეწამებულთა და დამნაშავეთა დასამწყვედევად განკუთვნილ შენობას „ოთხთავსა“ და უძველეს ძეგლებში ეწოდება **საპყრობიდეა**; ასევე ჰქვიან შემდეგშიც და ეს ტერმინი ქართულს დღევანდლამდე აქვს შენარჩუნებული.

ამ ძველისძველ ქართულ ტერმინს გარდა შემდეგში შემოდის სადღღე-ჯოა, რომელიც უკვე VIII ს-ის დამლევის ძეგლში გვხვდება და თამარის ისტორი-

კოსსაც აქვს ნახმარი. იოანე საბანისძის თხზულებაშია („ცხ“ა ჰამო ტფილელისა“) მოხსენებული თბილისს, ისანში, სადილეგო, საგოდებლის გვერდით. საგოდებელი სასაფლაოს ნიშნადა, ხოლო სადილეგო იმ ადგილს, სადაც დილეგები იყვნენ. დილეგი სპარსული სიტყვაა, ტუსაღს ანუ პურობილს ნიშნავს. სადილეგო-კი, მაშასადამე, საპურობილე იქნება. რაკი ეს ტერმინი ახალი სპარსულია¹, ამიტომ შესაძლებელია ის გაჩენილიყო იმ ხანაში, როდესაც ახალი სპარსული ჩნდება. საყურადღებოა, რომ ეს ტერმინი ასე ადრეა შემოსული ჩვენში, რაც VIII ს-ის დამლევს უკვე მოგვეპოვება. ჩანს, ის არაბთა კულტურასთან ერთად არის შემოსული თბილისში. მართალია, არაბები VII ს-ის დამპყრობლები იყვნენ, მაგრამ შემდეგში მათ შორის გაძლიერდა სპარსული ელემენტები და ამ გზით შემოვიდა თბილისში სპარსული ენა და ტერმინოლოგია. ასე შემოვიდა, მაშასადამე, სადილეგო ჩვენში.

შესაძებ ტერმინი, რომელიც პურობილთა ჩასახმელი და მოსათავსებელი ადგილის სახელად იხმარებოდა ძველად, საკანია. იგი გვხვდება ჩვენ ვეფხისტყაოსანშიცა და ვისრამიანშიც „იგი ჰამო დარბაზი, მისგან გასახარებელი, საკანად აუჩნდა“ (ვისრამ. I. ვამ., გვ. 190; II ვამ., გვ. 139). სპარსულად ამ საკანის შესატყვისად ნახმარია ჰა, რომელიც თხრილს წარმოადგენს. ვეფხისტყაოსანში ასეთი ადგილი მოგვეპოვება: „ავთანდილ სარკმლით უჭვრეტდა, ტყვესაკანით ნაზატები“ (აბულ. 219,1; კაკ. 244; საიუბ. ვამ. 267). აქითგან ჩანს, რომ საკანში ჩვეულებრივ ტყვეებს სხამდნენ, იმდენად დამნაშავეთათვის ის არ უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, რამდენადაც ტყვეებისათვის.

დასასრულ, გვაქვს აგრეთვე **საპატიმროც**, რომელიც ისევეა ნაწარმოები, როგორც საპურობილე, ე. ი. პატიმრებისათვის დანიშნული.

უნდა ითქვას, რომ ასეთი სიუხვე, ოთხი ტერმინის არსებობა, შემთხვევითი გარემოების შედეგი არაა. საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შემომოყვანილი ტერმინების რეალური მნიშვნელობაც აქვს განმარტებული და ის განსხვავებაც, რომელიც ამ ტერმინებს შორის არსებობდა. ის გვიხსნის: „საპურობილე [ნი] განიყოფებიან სამად: დილეგად, საკანად და საპატიმროდ. დილეგი არს სახლი საპურობილე შემორკილებულთანი, — საკანი არს საპურობილისა ფსკერთა ქვეშე ბნელი საპურობილე და საპატიმრო საპურობილე — სახლი ვსნილი უჯაკო⁴-ო.“

შემომოყვანილ ტერმინთაგან საპურობილე და საპატიმრო ერთნაირად ნაწარმოები დანიშნულების გამოხატველი ტერმინებია: პირველი პურობილთათვის, მეორე პატიმართათვის. **პურობილი**, საბას, შესაქმეთა 1ჟ, 20-ისა და მათეს 27, 15-ის დამოწმებით, განმარტებული აქვს როგორც „შეზოროკილებული, გინა პატიმარი“, პატიმარი-კი მისივე სიტყვი „შეუკრავად პურობილი“-ს აღმნიშვნელი იყო (ლექსიკ.). ამრიგად პურობილის განმარტებაში ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობაა.

¹ რომელი ლექსიკონით ხელმძღვანელადა ავტორი, არა ჩანს. არც ცენკეჯარსა და არც ვულერსს ასეთი სიტყვა არ მოუპოვება (რედ.).

მიოლად სწორი არც საკნის განმარტებაა. ვეფხის-ტყაოსნიდან ირკვე-
ვა, რომ საკანში სრულებით მარტო დამნაშავეებს არ სხამდნენ, შესაძლებელია
დამნაშავეებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ აქ პირდაპირაა ნათქვამი: „ავთანდილ
სარკმლით უჭვრეტდა, ტყვე საკნით ნააზატები“. „ტყვე საკნით ნააზა-
ტები“ საკნიდან განთავისუფლებულ ტყვეს აღნიშნავს. აღამიანს რომ საკნიდან
გამოშვებენ, ის ხარბად უყურებს ხოლმე ქვეყანას და ესაა აქ მხატვრულად
გადმოცემული. ამგვარად საკანი პატიმრის დასამწყვდევად აღვილია, ის შე-
საძლებელია მართლაც მიწის ქვეშ, იატაკის ქვეშ მოთავსებულ საპყრობილეს
წარმოადგენდა, რასაც თითქოს უდგება ის გარემოება, რომ მის ფარდად სარ-
სულში ჭა არის ნახმარი ვისრამიანში. ძიძა მწუხარე ვისს ეუბნება—„რა ეგრე ხარ,
ვითამცე საკანსა ჰზი და არა მირავს ქალაქსა“ (ვისრამ. I გამ., გვ. 62; II
გამ., გვ. 62). სპარსულადაა: *سازمان تو مرا در آن جایی که* (ქალ. I, 110 ქვ. თ.
122a). ჭა ამ შემთხვევაში ჯურღმელის მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგ-
რამ ის სარტო დამნაშავეთათვის არ ყოფილა განკუთვნილი, არამედ ტყვეები-
სათვისაც.

4. გზები და ხიდები

იხვევ, როგორც შემდეგში, ფართო და საუკეთესო გზატკეცილს შარა, ან-
და შარაგზა ეწოდებოდა. XI ს-ში ასეთ გზას პრქმეგია ფოლოცი სამეფოა. ეს
ტერმინი გ. ხუცეს-მონაზონს აქვს ნახმარი, გიორგი მთაწმიდელის სიკვ-
დილის გამო დაწერილს გოდებაში. მას ნათქვამი აქვს: ისეთი უებრო მასწავ-
ლებლისა და წინამძღვრის მოწაფენი „ესრეთ მესსა შინა უწინამძღრო იქმნეს,
და ესე სადა? — ფოლოცთა შინა სამეუფოთა“ -ო (ც-ე გ-ი მთაწმ-დელ-
სა. გვ. 33).

შარაგზისავე მნიშვნელობით სამეფო გზა-საც ხმარობდნენ. ეს ტერმი-
ნიც იმავე გ. ხუცეს-მონაზონს აქვს ნახმარი. გ. მთაწმიდელის დაუც-
ხრომელი სმწერლობო მოღვაწეობის დასახასიათებლად მას ერთგან ნათქვამი
აქვს: „არა იუ მთაწმიდასა და შავსა მთასა ოდენ თარგმნა..., არამედ საშე-
უფოსა გზას... ანტიოქიას, სეიმონ წმიდასა და კალიპოსს და სხუთთა ესევი-
თართა ადგლთა“-ო (ც-ე გ-ი მთაწმ-დელსა, გვ. 310).

ფოლოცნი ქ. თბილისშიც იხსენიება (ქამთაღმწ., მ-მ დ-ფსი ქ-ცა
*748, 749, 753, გვ. გვ. 576, 577, 579): „გლახაკნი ღამით ფოლოცთა
(ტფილისს) შნა ვიდოლიამ“ (ib. * 872, გვ. 716).

ხიდებსაც რომ ყურადღება ჰქონია მიქცეული ძველად ჩვენში, ეს დავით
აღმაშენებლის ისტორიიდანაც ნათლად ჩანს: დავით აღმაშენებელმა „აღმაშენა
რაოდენნი ქიანი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზონი, საწყინოდ
სავალნი, ქუაქენილ ყუნა“ (ც-აბ მ-თ მკ-სა დ-თსი, მ-მ დ-ფსი ქ-ცა *554,
გვ. 322; ანა დ-ფსი ქ-ცა, გვ. 227, 28).

კარი მესამე

საკულტო ნაგებობათა აღმნიშვნელი ტერმინები

1. საკულტო ნაგებობანი ზოგადად

საქართველოში სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა სარწმუნოება იყო გავრცელებული. უძველეს ხანაში იყო წარმართობა, შემდეგში ცეცხლთაყვანისმცემლობა შემოვიდა, მერმე კიდევ ქრისტიანობა გავრცელდა. როდესაც საქმადიანობა გაჩნდა, მან აგრეთვე შემოიტანა ისეთი ნაგებობანი, რომლებიც მათი სარწმუნოებისათვის იყო განკუთვნილი. თვით საქართველოსათვის ასეთი ნაგებობა დამახასიათებელი არ იყო. მართალია, თბილისში არსებობდნენ აზგვარი ნაგებობანი არაბთა ბატონობის დროს, რაც შემდეგში ქართველებმა დაანგრიეს, მოსპეს და XVII ს-ში კვლავ იქმნენ აგებული, მაგრამ მხოლოდ მაჰმადიანებისათვის და უმთავრესად უცხოეთიდან მოსული დამპყრობლებისათვის იყვნენ დამახასიათებელი. ჩვენთვის მათი აღმნიშვნელი ტერმინებიც საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ხუროთმოძღვრების ისტორიაში უნდა მოგვეპოვებოდეს ყველა ნაგებობის აღმნიშვნელი ტერმინები.

წარმართობასთან დაკავშირებული ტერმინებიდან უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ბაგინი. უძველეს ხანაში სარწმუნოებრივი დანიშნულების ნაგებობისათვის ეს ტერმინი ყოფილა მიღებული. მაგალითად, მცხეთაში დასაქვითით „ქარსა მოგუეთისასა მტკუარსა ზედა“, სადაც ელიოზის სტლი იდვა, იმის მახლობლად „იყო მცირე ბაგინი სამარჯვოდ“ და „ხე იგი კილა-მოდა... დგა ქარსა ზედ ბაგინისასა“ რომელიც ამჟღავნებდა მთლ ამ შენობასა და სტოვასა ბაგინისასა“ (შატერდ. ცად ნინოსი, *Opic.* II, 786). ამ შემთხვევაში ბაგინი გულისხმობს ებრაელთა სამლოცველოს, ე. ი. შესაკრებელს, და უძველეს ძეგლებსა და ამ ხანის ძეგლებშიც ბაგინი საერთოდ წარმართების, არაქრისტიანების სამლოცველოს ნიშნავდა. მაგრამ უძველეს ძეგლებში, რომლებიც, როგორც ჩანს, V—VI ს-ისა უნდა იყოს, ხაშტობის ძეგლებში, ბაგინი ეკლესიას ნიშნავდა, ე. ი. სამლოცველოს აღმნიშვნელიც იყო¹.

ძველადვე ბაგინი მეორე ტერმინის, საკერპოს შესატყვისადაც გვხვდება ნახმარი, ე. ი. იმ სამლოცველოსი, რომელშიც კერპები იყვნენ დადგმულნი და სადაც თავყვანს სცემდნენ კერპებსა საკერპოდ და ბაგინი სინონიმებადაც არიან ნახმარი: „მიიწვია მეფე იგი ტაძარსა მას კერთასა, პრეჟა

¹ ნ. სხვა მოწმობანი სიტყვა „ბაგინზე“ საძიებელ ში.

წდასა მას: „ჰხედავა, ვითარ-ესე პირად-პირად გამოწერილ და აღმ-
კულ არიან შშენებული ესე და ფოლოცნი ესე მარმარინოფენილ-
ნი, სუეტნი და სუეტისთავნი ოქროცხეზულნი და... ტაძარი-ლა
ესე ესრტნი შუენიერ არს ხილვად. განჩინებულ არს, რამეთუ დიდებულსა ამას
ღმერთსა აპოლონს წეს-არს თავყუანის-ცემად. ესე ვითარცა თქუა, უბრძა-
ნა მეფემან მან მეკერპეთა მათ განღებად კართა მათ ბაგინისათა და
განახუნეს. ჰრქუა მეფემან... „შევედ და იხილე დიდებული საკრველი ქმული
ტაძრისა მის აპოლონისი, რამეთუ ქუემო ოქროთა მოძერწული
არს, ხოლო აპოლონი ყოვლადე ოქროთა გამოქედილი არს... შევიდა
მოწამე იგი ქსი ტაძართა მათ კერპთასა ხილვად აპოლონისა“ (წ 2). „გა-
მოვიდეს ბაგინისა მისგან კერპთასა. უპურა წელი მეფემან მან წდასა
ფილექტიმონს და მივიღოღეს ერთად, და... მიიწია მეფე იგი ტაძართა მათ
თქსთა“-ო (წ 3: წამება ფილექტიმონისი: Keimena; გვ. გვ. 133—134 და 135).
ამგვარად, აქ აღწერილია აპოლონისადმი განკუთვნილი საპოლოცელო, რომელსაც
ტაძარი ეწოდება (ისევე როგორც ეს მეფის სასახლესაც ერქვა), რომელიც
ამავე დროს საკერპოდ არის წოდებული და ბაგინადაც. აქითგან ჩანს,
რომ ბაგინს ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია, საერთოდ სარ-
წმუნოებრივი მიზნისათვის განკუთვნილი ნაგებობის, სა-
მლოცველთა აღსანიშნავად ხმარებულა.

საკერპოთა ფილექტიმონის წამებაში სხვაგანაც გვხვდება. იქ სწერია:
„წარვიდა ყრმა იგი და მიიწია საკერპოსა მას აპოლონისსა და ადგილ-
იპურა და უბრძანა მოყვანებად უმთავრესისა მის მცველთაგანისა და
და ჰრქუა: „განვიღე მეკარი საკერპოთა მისი“... მცველთა მათ ყრმად,
...შუეტევეს სახლსა მას კერპთასა“-ო (Keimena; გვ. 154, წ 30). საკერპო
ხშირად გვხვდება სხვა ძეგლებშიც. საკერპოთა, როგორც თვით სახელითგანაც
ჩანს, კერპისათვის განკუთვნილი შენობა იყო. საბასეს ტერმინი ასე აქვს
განმარტებული: „კერპი აჩრდილი არსებისა, გინა წარმოით ცრუ ღმერთი,
გინა წელით ქნილი“-ო (ლექსიკ.). ეს განმარტება ჩვენს ლექსიკოგრაფს ესაიას
10,11-ითა და შესაქმებას 31,19-ით აქვს დამოწმებული.

საკერპოს გარდა აგრეთვე არსებობდა ძველად ტერმინი საზორველიც.
იმ ადგილს, ანდა ნაგებობას, თუ ნაგებობის ნაწილს, სადაც მსხვერპლს სწი-
რავდნენ ღვთაებას, ეს სახელი, საზორველი ერქვა. ეს ტერმინი საბასაც
აქვს ლექსიკონში შეტანილი III მეფეთა 7,48-ის დამოწმებით და ნათქვამია
შესაწირავი არისო, ხოლო „საზორავი დასაწველია“-ო (ლექსიკ.).
I ეზრას 3,3-ზე დაყრდნობით).

ქრისტიანობასთან ერთად ჩვენში შემოდის მანამდე, სრულიად უცნობი
სიტყვა ეკლესია. ეკლესია ბერძნულად შესაქრებულს ნიშნავდა. ამ სიტყ-
ვას ძველ ქართულში სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონია, მაგ., ყრილო-
ბა როდესაც იმართებოდა სოლმე, იმ ადგილს ეკლესია ეწოდებოდა და თავდა-
პირველად საერთოდ ეკლესია შესაქრებელი სახლის სახელიც იყო. ამავე ცნე-
ბის გამოსახატავად მეორე ტერმინიც არსებობდა—სინაგოგე, რომელიც

შესაკრებლად არის ნათარგმნი ქართულად. ეს ბერძნული სახელი სხვა ენებშიც ვხვდებით სამლოცველოს აღსანიშნავად იქცა, სოლო ქართულში არა.

V ს-ის საქართველოში სარწმუნოებრივი დანიშნულების შენობებს ქრისტიანეთის ეკლესიანი (იაკობ ხუცესი, წმბდ შუშანიკისი) და სამარტვილენი (იქვე) ეწოდება. შუშანიკს თავის ვამაზდიანბულის ქმრის, ვარსკენ პიტიახ-ვისათვის საყვედურით შეუთვლია: „მამაჲნ შენჲან აღჲმართან სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშქნა და შენ მამისა შენისა საქმენი განჲრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი“—ო (იქვე, გვ. 5, შდრ. ილ. აბულაძის გამოც., IV 21). ეკლესიანი და სამარტვილენი V ს-ის ძეგლებში ჩვეულებრივი მოვლენა და ამ დროიდან მოყოლებული ძალიან გავრცელებულიცაა. ეკლესია—სა და სამარტვილეს შორის არსებითი განსხვავებაა. ეკლესია საერთო სამლოცველოა, სამარტვილე—კი მარტვილთათვის ანუ წამებულთათვის განკუთვნილს პატარა ნაგებობას წარმოადგენდა.

ამგვარად, სამლოცველოების აღსანიშნავად ქრისტიანობის ხანაში სამი სხვადასხვა წარმოშობის ტერმინი გვექონდა: უძველესი—ბაგინი იყო, რომელსაც ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა; შემდეგ შემოდის ეკლესია, ბერძნული ტერმინი, რომლის გარდა სამლოცველოს აღსანიშნავად ტაძარიც იხმარებოდა. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით საერო ნაგებობათა ისტორიის განხილვიდან, ტაძარი პირველად სამოქალაქო ნაგებობის სახელი იყო, სასახლეს ნიშნავდა, რაც თანდათან გამოყენებული იქმნა საეკლესიო ნაგებობისათვის.

იმ გარემოებას, რომ ერთიდაიგივე ნაგებობისათვის სამი სხვადასხვა წარმოშობის ტერმინი მოგვეპოვება, დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და მაშინ საშუალება გვექნება გამოვარკვიოთ, თუ საეკლესიო ხუროთმოძღვრება რამდენი ნაკადისაგან უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოში. ერთის მხრივ არის ბაგინი, წარმართული სამლოცველოს სახელი, მაშასადამე, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ იმ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, რომელიც ჩვენში გაჩნდა, უძველესად წარმართული ხანის ხუროთმოძღვრების წვლილი უნდა იყოს შეტანილი. სხვაგანაც ასე იყო, ყველგან წარმართობამ უანდერძა ქრისტიანობას ის ხუროთმოძღვრება, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას ჰქონდა ქრისტიანობამდე.

შეორე ტერმინი, ეკლესია, ბერძნულია. ცხადია, ის ბერძნულიდან მომდინარეობს. ეს ტერმინი იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ რადგან ქრისტიანობა საქართველოში საბერძნეთიდან შემოვიდა, ამ ახალ მოძღვრებასთან ერთად ბერძნულ ქრისტიანობასთან დაკავშირებული ხუროთმოძღვრების ნაკადიც უნდა იყოს შემოსული.

დასასრულ, ტაძარიც, რომელიც სასახლის აღმნიშვნელი იყო, ხოლო შემდეგში საეკლესიო ნაგებობისა, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უნდა შესულიყო სასახლეების ხუროთმოძღვრების ელემენტები.

ამ სამი სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ელემენტების შეერთებით არის წარმოდგარი და გაჩენილი, უძველესი, ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება.

2. ქრისტიანული საღვთისმსახურო ნაგებობანი

საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში უმთავრესი ადგილი ღვთისმსახურების ტაძრებს უჭირავს. შემდეგ მონასტრებსა და სამონასტრო სხვადასხვა შენობას. ღვთისმსახურების ტაძრებს საქართველოში „ეკლესია“ და „საყდარი“ ეწოდებოდა. მთავარ ეკლესიას კათოლიკე ეკლესია ეწოდებოდა, რომელშიც ჩვეულებრივ ეკლესიის სათავეში მდგომი საქეთმპყრობელი სწირავდა ხოლმე. ასე, მაგ., მცხეთაში იყო კათოლიკე ეკლესია. „კათოლიკოს“ ნიშნავს საერთო ეკლესიას, საყოველთაოს და, ამგვარად, კათოლიკე ეკლესია ნიშნავს საერთო ეკლესიას. სომხურად ამ კათოლიკეს თავისებური მნიშვნელობა მიენიჭა ხუროთმოძღვრებაში, გუმბათს ნიშნავს და შემდეგ გუმბათიანი ეკლესიის ტერმინად არის ქცეული.

ეკლესიისა და საყდრის მნიშვნელობით სიტყვა „ტაძარი“-ც იხმარება. მაგ. მეღქმისედეკ კათალიკოსი ამბობს: „ღირს ვიქმენ საკეთ პყრობად წინდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოესა ეკლესიისა“-ო (სიგ. 1020 წ., ქრელი II, 31; ნ. ბერძენიშვილის გამ. „მუხ. მოამბე“ VI, 288); ასევე გელათის ეკლესიის შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამბობს: „ტაძარი ყოვლად წმიდისა ღისმშობელისა“-ო (მშ დფსი ქცა *526, გვ. 294; შდრ. ანა დფსი ქცა გვ. 209). მაგრამ ეს სიტყვა „ტაძარი“, როგორც აღენიშნეთ, სასახლეს ნიშნავს ჟუძეველეს ქართულ მწერლობაში, პიტიანხის სასახლეს კერძოდ შუშანიკის მარტილობაში. ამგვარივე მნიშვნელობა აქვს ტაძარს გრიგოლ ხანძთელის ცნაშიც, სადაც ერთხელ მოხსენებულია აშოტ კურაპალატის ტაძარი (გვ. იმ, თავი ია, 17), ხოლო ნეორედ დიდ აზნაურის ტაძარი (იბ. კნ, თავი კვ, 7), სასახლე.

ეხლა ეკლესიასა და საყდარს ერთისა და იგივე მნიშვნელობით ხმარობენ ხოლმე ლაპარაკში, მაგრამ წინათ და ძველ საქართველოში ორივე სიტყვა სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელი იყო. ეკლესია საღვთისმსახურო ტაძრის ზოგადი სახელი იყო, „საყდარი“-კი განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარებოდა. საყდარი ეწოდებოდა ისეთ ეკლესიას, რომელიც ეპისკოპოსის ან კორეპისკოპოსის საჯდომად ითვლებოდა. ძველ ქართულში „საყდარი“ თავდაპირველად საჯდომს ანუ ტახტს¹ ეწოდებოდა, ამიტომ ასეთ ეკლესიას საეპისკოპოზო საყდარი ერქვა.

რომ ჩვენი ახსნა სწორია, ის შემატანის შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: ლეონ მეფემ „აღაშენა ეკლესია მოქციისა და შექმნა საყდრად საეფისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებითა“-ო (მატნე ქდ, მშ დფსი ქცა *457, გვ. 233; შდრ. ანა დსი ქცა, გვ. 170). ნათქვამს ადასტურებს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაც: „იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღმწნებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა“ (ცდ გვლ ხნძთსა, გვ. ლ, თავი კვ, 35).

¹ ტახტი სპარსული სიტყვაა. შემოდის IX ს-ში. IX ს-მდე მის მაგიერ ყველგან საყდარი იხმარებოდა.

როცა ეკლესია საეპისკოპოსო საჯდომად იყო განკუთვნილი, ისტორიკოსი მას პირდაპირ საყდარს ეძახის, მაგ. გიორგი აფხაზთა და ქართველთა მეფემ „აღაშენა საყდარი ქყონდილისა, შექმნა საეფისკოფოსოლ“—ო (მტნე ქვ, მშ დწესა ქცა, *452, გვ. 229; ანა დწესი ქცა, გვ. 167), ბაგრატ III „აღაშენა საყდარი ბედისისა, შექმნა საეფისკოპოსოლ... ეკლესია[დ], აკურთხა და დასუა ეფისკოპოსი“-ო (ibid., *471, გვ. 245, ანა დწესი, ქცა, გვ. 177). მეფე ბაგრატ III ააშენა და „აკურთხა ეკლესია ქუთათისისა“ (ib., *471, გვ. 245; ანა დწესი ქცა, გვ. 177—78), გიორგი I მეფობაში ეს ტაძარი იწოდება „საყდრად“ (ib., *480, გვ. 253; ანა დწესი ქცა, გვ. 162), ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი ან თვით ბაგრატს [ან] გიორგის საეპისკოპოსო საჯდომად გაუხდით. „ქუთათელი მთავარ ეპისკოპოზი“ მოხსენებულია თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში (მშ დწესი ქცა *625, გვ. 400).

მოიპოვება ერთი შემთხვევა, როდესაც საყდარი საეპისკოპოსო ეკლესიაზე არ არის ნათქვამი: დავით კურაპალატმა „აღაშენა მონასტერი და საყდარი ღთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“-ო (მტნე ქვ, მშ დწესი ქცა, *462, გვ. 237, ანა დწესი ქცა გვ. 172), მაგრამ აქაც თვით ტაძარი „ეკლესიად“ იწოდება და არა საყდრად, ხოლო იგი ამასთანავე, როგორც ღვთისმშობლის სახელობის საყდარი, სწორედ არის ტახტი ანუ „საყდარი ღვთისა“.

ქართველი ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, რომ მეფე დავით V, ლაშას ძემ, „იწყო შლად საყდართა საეფისკოფოსოთა“ (მშ დწესი ქცა, *851, გვ. 696), ხოლო როცა შვილი ულუ-დავითისძისა გარდაიცვალაო, „გვამი ყრმისა გიორგისი დასვენეს საყდარსა სიონისასა“ (იქვე *852, გვ. 697). იმავე ავტორის მოხსენებული აქვს „საყდარი ტბეთისა შაგშეთს“ (იქვე, *837, გვ. 683)¹. როგორც ვიცით, თბილისის სიონი და ტბეთის ტაძარი მართლაც საეპისკოპოზო საჯდომები იყო.

ამგვარი მნიშვნელობა ამ ტერმინს დაახლოებით XIV ს-მდე ჰქონდა. XIV ს-ში უკვე ირევა საქმე და საყდარი და ეკლესია სინონიმად არიან. ქცეული ისევე, როგორც ეხლა ჩვენ საყდარი გვესმის როგორც ზოგადი სახელი, რომელიც იგივე ეკლესიას, ისევე ამ XIV ს-დან მოყოლებული ირევა ამ სიტყვების მნიშვნელობა და საყდარი საეპისკოპოსო ეკლესიას კი აღარ გამოხატავს, არამედ ზოგადად ეკლესიის აღმნიშვნელი სახელის როლს ასრულებს². ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საყდარი, როგორც ტახტის აღმნიშვნელი, ტახტმა მოსპო, სპარსულიდან შემოსულმა ამ სიტყვამ განდევნა საყდარი, რაც ზოგად ტერმინად იქცა და მას ეკლესიის სინონიმობა დაეკისრა.

3. ტაძართა სახეები

ეკლესიები და საყდრები ერთიერთმანეთისაგან გეგმით განირჩევიან. რა და რა გეგმის ტაძრები მოიპოვებოდა საქართველოში და რა სახელი ერქვა თითოეულ მათგანს? ქრისტიანობის პირველი ხანის დროინდელი შენობები შენა-

¹ სხვა მოწმობანი ნ. საძიებელში, სიტყვა „საყდარზე“.

² სათანადო მოწმობანი ნ. საძიებელში, სიტყვა „ეკლესიაზე“.

ხული არ არის. კირიონ ქართლის კათალიკოსის წერილიდან ჩანს, რომ მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 35 საეპისკოპოსო სამწყსო ითვლებოდა (იხ. ჩემი *История церковного разрыва между Грузией и Арменией*. «Изв. Импер. Акад. Наук», 1908 წ., გვ. 514), მაშასადამე, ამდენივე საყდარი უნდა ყოფილიყო. იმ დროს სხვებზე უფრო განთქმული „მცხეთის ჯუჯარი“ და „მანგლისის ჯუჯარი“ იყო (*ყ.რ.გ. ქ.ე.ქ.ი.ე.* 1904). „ჯუჯარი მცხეთისაჲ“ მოხსენებულია ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშიც. რომ სახელი „ჯუჯარი“ ზემოაღნიშნულ საყდრებს თვით ტაძრის გეგმის გამო მიაკუთვნეს და ყოველ შემთხვევაში არ ეწოდებოდა, იმითაც მტკიცდება, რომ მანგლისის ტაძარი „ეკლესიად“ იწოდება (არსენი კუხი „ცხება წაწნსი“, საეკლ. მუხ. გამ., გვ. 39). მაგრამ შემდეგ ზოგიერთს ეკლესიას ეს გეგმის დამახასიათებელი სახელი საკუთარ სახელად შეპირა. ერის ამგვარსავე შემთხვევას ხუროთმოძღვრებაში ქვემოთაც ვნახავთ. საბა ორბელიანიც თავის შოგზაურობაში, იტალიის სხვადასხვა ტაძრების აღწერილობაში, აღნიშნავს ხოლმე: „ეკლესია... ჯუჯარის სახელდ აწმენებინათ“, ეკლესია „ჯუჯარის სახელდ იყო“-ო (მოგზაურობა ევროპაში, „ცისკარი“ 1852 წ. № 2, გვ. 27 და № 3, გვ. 35). მაგრამ ეს თავდაპირველად აგებული მცხეთისა და მანგლისის ჯუჯარის ეკლესიები აღარ არსებობენ. შატბერტი დისერტულ წაწინოს ცხოვრებიდან ჩანს, რომ პირველად აშენებული ეკლესია ხისა იყო (Опис. II, გვ. 776, 780), „ქუემოა ეკლესიაჲ“ (Опис. II, გვ. 719), რომელიც „დაეცა“ (მქცჲ ქჲ, Опис. II, 721) და ხელმოვირდ „აღაშენა ქუემოა ეკლესიაჲ ვახტანგ მეფემან“ (ibid., 722). „ზემოა ეკლესიაჲ“ კი აშენებული იყო „ქეთათ“ (შტს წაწნს ცჲ, Опис. II, 719).

ამგვარად, ჯუჯარი ეწოდებოდა ჯვრის გეგმაზე აგებულ ეკლესიას. ჯუჯარი საერთოდ ძველ ტერმინია, წარმართულ თაყვანისმცემლობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ის იმდენად ფართოდ გავრცელებული ტერმინი ყოფილა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაშიც ვადასულა. ოსებსაც აქვს ეს ტერმინი შეთვისებული. რადგანაც ოსურში „ჯ“ არაა, ამიტომ „ძუჯარს“ უწოდებენ საერთოდ სამლოცველოს.

ჯუჯარის გეგმის ეკლესიებს გარდა საქართველოში გავრცელებული იყო ეკლესიების „სიონად“ აშენება. სიტყვა სიონი-ც გეგმის განსაკუთრებული სახის დამახასიათებელი სახელია. „სიონი“ ქართულად „ბაზილიკასა“ ჰნიშნავდა. ეს, როგორც თვით იმ ეკლესიების გეგმით მტკიცდება, რომელთაც „სიონი“ ეწოდებოდა, ისე ერთი ბერძნული თხზულების ქართულ თარგმანიდან: „უწყება და თხრობა აღშენებისათჳს... აია სოფიას ტაძრისა“, სადაც ქართულს წინადადებას „აღაშენა ..სიონად“ (იხ. ე. თაყაიშვილის *Описание рук. инш. расиростр. грам. т. I, вып. 4, გვ. 586*) ბერძნული დედნის „დრომიკა“-ს უდრის (Th. Preger. *Scriptores originum Constantinopolitanarum, Bibliotheca... Teubneriana, fasc. prior, გვ. 74*), რაც „ბაზილიკასა“ ჰნიშნავს. ურბნისის ტაძარსაც, რომელიც დიდებული ნამდვილი უგუმბათო „ბაზილიკაჲ“, სახელად „სიონი“ ჰქვიან და, როგორც თვით ამ ეკლესიის უძველესი წარწერიდან ჩანს, იმავეითვე „სიონად“ იწოდებოდა (ეს წარწერა იხ. ე. თაყაიშვილის არქეოლ. მოგზაურობანის წ. I, გვ. 43, 44, 46).

ყურადღების ღირსია, რომ ჩვენი მატრიანების ცნობით იმავე დროს, როცა „ჯვარის“ სახის ეკლესიებს აშენებდნენ, „სიონადაც“ უშენებიათ; მაგ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მოგვითხრობს, რომ სამოელ კათალიკოზის დროს „ტფრლისისა მკვდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწყეს «შენებად» (სამი ქვა, 34) და ეს დიდი ეკლესია „ტფილისის სიონი“ იყო (ib., 36; Опис. II, 725). თბილისის „სიონი“ ეხლაც გუმბათიანი „ბაზილიკის“ გეგმისაა. უჯანშერსაც აღნიშნული აქვს, რომ „მცხეთას მეფემან ვახტანგ ალაშენა ეკლესია მოციქულთა, სუეტო ცხოველი... რომელ არს სიონი დიდი“ — ო (ჯუანშერ, ცა ვხტნგის 391, გვ. 179; ანა დფსი ქცა, გვ. 135). მართლაც, როგორც ვიცით „სვეტი-ცხოველი“ ეხლაც „დიდი სიონი“ გუმბათიანი „ბაზილიკაა“. „სიონად“ იწოდება აგრეთვე ბოლნისის და ჩხიკვთას ეკლესიაც (ე. თაყაიშვილი, Арх. Закавказья, II, 10; სქს სძელნი I, 307,—1749 წ. საბუთი).

„სიონი“ ჰქვია, დასასრულ, ატენის დიდებულ ტაძარსაც, მაგრამ ეხლანდელი ატენის „სიონი“ გეგმით ბაზილიკის სახისა არ არის, მაგრამ, უეჭველია, რომ ამგვარი შეუთანხმებლობა მის სახუროთმოძღვრებო სახელსა და აგებულობას შუა იმ ეკლესიის მგრძინდელი გადაკეთების დროს უნდა მომხდარიყოს. რომ ატენის სიონი გადაკეთებულია, ეს გარედანაც ავიტყვებთ ცხადად ეტყობა, მაგრამ ამის საუკეთესო საბუთი ამ ტაძრის აღმშენებლის ქანდაკებაა, რომელიც აღმოსავლეთის კედელზეა შენახული: იქ აღმშენებელს ხელში ეკლესია სულ სხვა სახისა უჭირავს, ვიდრე ეხლაა და უფრო გუმბათიანს სიონს, „ბაზილიკას“ მიაგავს. როგორც ჩანს, ატენის „სიონი“ ჯვარის გეგმაზე შემდეგ გადაუკეთებიათ¹.

ტაძრების სხვა სახეობათა დანარჩენ ტერმინებს ჩვენ შემდეგში განვიხილავთ. როდესაც უკვე საუბარი გვექნება შენობათა და ნაგებობათა ნაწილების ტერმინების შესახებ.

4. მონახტრები და მათი ნაგებობანი

ქრისტიანობის გარკვეული ხანიდან მოყოლებული, IV ს-დან იწყება მოძრაობა ე. წ. მეუღაბნობის სახით. მეუღაბნოენი სტოვებდნენ რაც მათ ამ ქვეყნად მოებოვებოდათ და მიაშურებდნენ უღაბნოებს იმ რწმენით, რომ აღაშინანს საკუთრება ანგარებას აჩვევს და ვისაც ზნეობრივი და სარწმუნოებრივი დაწინაურება სურს, უნდა ყველაფერი მიატოვოს, უღაბნოში წაიხდეს, რათა ამქვეყნიურ განსაცდელს მოშორდეს და თავისი შრომით ირჩინოს თავის თავი. სარწმუნოებრივი ელფერი ჰქონდა ამ მიმართულებას, მაგრამ სოციალური მოძრაობა იყო. IV ს-ში ის ჯერ ასურეთსა და ეგვიპტეში გაჩნდა და შემდეგ, რადგან ბევრი მიმბაძველი აღმოუჩნდა, რადგან გმირობად იქმნა ცნობილი და გმირული საქციელი კიდევ ყოველთვის იზიდავდა ასეთებს, ამიტომ ამის წყა-

¹ როდესაც ჩვენ წარწერებში ვკითხვლობთ, რომ „ავავე სიონი“-ო, ეს იმას ნიშნავს, რომ ბაზილიკა იყო აგებული. საყურადღებო გარემოებაა ამ მხრივ ატენის მაგალითი. ატენს „სიონი“ ეწოდება. ამჟამად ის არ წარმოადგენს ბაზილიკას, მაგრამ სახელი ცხადყოფს, რომ ის, რაც ამ ადგილას წინათ აგებული ყოფილა, უძველად ბაზილიკა უნდა ყოფილიყო.

ლობით ასეთი მოძრაობა ყველა ქვეყანაში გაჩნდა და ამ მოძრაობასთან უდაბნოებიც შეიქმნა.

უნდა გვახსოვდეს, რომ უდაბნო სხვანაირი იყო ასურეთსა და ეგვიპტეში და სხვაგვარი საქართველოში: საქართველოში უდაბნო ნამდვილ უდაბნოს არ ჰგავდა. ეგვიპტესა და ასურეთში მართლაც უდაბნო იყო, სადაც მწირი ქვეყანა იყო და ადამიანის საცეხები თითქმის არ მოაპოვებოდა და რომელშიც არსებობა მართლაც ძნელი იყო. საქართველოში ასეთი უმცენარეულო და უწყლო ადგილები ძალიან ცოტაა და ჩვენი უდაბნოები ხშირად წალკოტს უფრო მიაგავს, ვიდრე ეგვიპტისა და ასურეთის უდაბნოებს. ჩვენში ცნობილი იყო გარეჯის უდაბნო და შემდეგში განთქმული კლარჯეთის უდაბნო: თურქებმა „მასვე (ივანობა) დღესა დაწუეს ქუთათისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი“ (ცა მთ მფსა ღთსი, მშ ღფსი ქა *514, გვ. 282; ანა ღფსი ქა, გვ. 201). გარეჯის უდაბნო ყველაზე მეტად მიაგავს იმ სამხრეთი ქვეყნების უდაბნოებს. ზაფხულში აქ მართლაც ჯოჯოხეთია, მცენარეები ხმება, წყლის ნაკლებობა ძალიან საგრძნობია და იქ მცხოვრები მეუდაბნოენი იმ მეუდაბნოებს მიაგავდნენ.

საყოჩაღლებო გარემოებაა, რომ იმის მიუხედავად, რომ ხალხი გაურბოდა კულტურას, როგორც ანგარებისთან, სიმდიდრესთან და ფუფუნებასთან დაკავშირებულ შემაცთუნებელს, ამ უდაბნოშიც ადამიანმა ვერ მოიშორა კულტურისადმი მიდრეკილება და თანდათან იქაც გაჩნდა ნაგებობა. ჯერ ხისა იქ, სადაც ტყე იყო, ხოლო კლდოვანს ადგილში, როგორც მაგ., გარეჯის უდაბნოში—გამოქვაბულების სახითამგვარად, მეუდაბნოეთა მოძრაობამაც სურთომოდღერებაში თავისებურება შექმნა.

ამ მოძრაობის მეორე საფეხური სამონასტრო მოძრაობა იყო. სამონასტრო მოძრაობა უფრო მაღალი საფეხურია კულტურის განვითარების ამ სფეროში და ამ მოძრაობამ სურთომოდღერების უძვირფასესი ძეგლები დავეიტოვა. ამიტომაც გათვალისწინებული უნდა გვექონდეს ამასთან დაკავშირებული ნაგებობების სხვადასხვა სახეობათა ტერმინები.

უდაბნოსა და მონასტერს ვარდა კიდევ სხვადასხვა სახეები არსებობდა: ლავრა მაგალითად, რომელიც ბერძნული სახელია. ლავრა ეწოდებოდა მრავალრიცხოვანი ბერების შემცველ დიდ მონასტერს და, რასაკვირველია, შესაძლებლად ნაგებიც უნდა ყოფილიყო. საქართველოში ლავრა ცოტა იყო. ლავრად მიჩნეული იყო შიო მღვიმის მონასტერი, ათონის მთაზე ქართველთა მონასტერი, ხოლო დიდი ათანასეს ბერძნული მონასტერი რომ იყო ათონზე, სწორედ დიდი ლავრის სახელით იყო ცნობილი.

ლავრა იერუსალემის წარტყუნებაში გვხვდება. ეს თხზულება, მაგ., ასე იწყება: „თქმული ნეტარისა სტრატეიისი მონაზონისაჲ, რომელი მკვდრ იყო ლავრასა მამისა ჩუენისა საბაქსსა“-ო (TP, IX, ა 2—3).

მონასტრებში ყოველგვარი დანიშნულებისათვის ცალ-ცალკე ნაგებობა არსებობდა, რათგან იქ თავმოყრილი იყვნენ შედარებით მრავალრიცხოვანი ბერები. მაგალითად, ათონის ქართველთა მონასტერში სამასი ბერი იყო. შიო მღვიმის მონასტერში გადმოცემით ვითომ ათასობითაც-კი უნდა ყოფილიყვნენ

ბერები, მაგრამ მგონია, რომ ეს რიცხვი გადაჭარბებული უნდა იყოს, ხოლო, აქაც რომ ასობით იყვნენ, ეს უეჭველია.

თუ ჩვენ წარმოვიდგინოთ, რომ დღეში სულზე ოთხი გირვანჯა პური ცხვებოდა, ადვილად გასათვალისწინებელია, თუ რამდენად დიდი მეურნეობა იქნებოდა მონასტერში. იმიტომაც ეწოდება ქაშას ქართულად პურის ქაშა, რომ პურს ქართველი ძალიან ქარბად ეტანებოდა და უპუროდ, რაც უნდა ჰქონოდა, მაინც კვებდა არ მიაჩნდა. სამასი სულისათვის მარტო პურის გამოცხობა სომ სათანადო მეურნეობასა და ნაგებობას მოითხოვდა! ამგვარად სა-მონასტრო ცხოვრებამ წარმოშვა მრავალი მოთხოვნილება, რომლის დაკმაყოფილება იყო საჭირო.

ეკლესიას გარდა, რომელიც მონასტრებს გარდა ხომ სხვაგანაც არსებობდა და საერისკაცო მოპოვებოდა, უნდა ბერების საცხოვრებლად განკუთვნილი ყოფილიყო ცალკეული შენობები, სენაკებად წოდებული, შემდეგ — განმარტობული, მარტოპყოფთათვის განკუთვნილი ნაგებობანი, რომელთაც თავ-თავიანთი სახელები ჰქონდათ. ასეთი იყო **სადაყუდებულო**, ანუ **სოხასტრი**, **სადაყუდებულო** ქართული სიტყვაა; ისეთ ნაგებობას აღნიშნავს, სადაც ბერი შედიოდა და იშვიათად უნდა გამოსულიყო იქიდან. დაყუდება ძველ ქართულად გაჩუმებას ნიშნავს. ასეთ ბერებს აღტქმა ჰქონდათ დადებული, რომ არ უნდა ელაპარაკნათ სხვებთან, რათა ცოდვა არ ჩაედინათ. მაშინ ფიქრობდნენ, რომ რაც უფრო მეტს ილაპარაკებს ადამიანი, უფრო მეტ ცოდვას ჩაიდენს, მღუშობიერება ოქრო არის. ამიტომაც დაყუდებულობა განსაკუთრებულ სახეობა იყო სამონასტრო მოძრაობისა. ცხადია, მღვთმარგობა ისეც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ყველა დაყუდებული დადუმებული იყო. სკემონ მესვეტე, მაგალითად, დაყუდებული იყო, მაგრამ იმაზე მეტი სიტყვები იშვიათად თუ ვისმე წარმოუთქვამს, მან დიდძალი თხზულებები დაგვიტოვა.

სოხასტერი, რომელიც ჩვენ შიო მღვიმის მონასტრისადმი ბოძებულს დავით აღმაშენებლის ანდერძში (1123 წ. შიო მღვიმის საბუთები) გვხვდება, ბერძნული ტერმინია, წარმომდგარია ესდუხასტერიონიდან (*ἑσυχαστήριον*). ესდუხე მღუშობიერებას, დაყუდებას ნიშნავს. „ესდუხასტერიონ“ ისეა წარმომდგარი, როგორც „მონასტერიონ“ და საყუდებულოს შესატყვისს წარმოადგენს. ამრიგად, რაკი ბერძნული ტერმინია შემოსული, საფიქრებელია, რომ ნაგებობის მხრივაც რაღაც თავისებურება უნდა ყოფილიყო შემოსული ამ ტერმინთან ერთად.

შემდეგ მონასტერს უნდა ჰქონოდა, რასაკვირველია, საერთო შესაკრებელი, სადაც ბერებს შეეძლო თავის მოყრა საერთო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ამას **საკრებულო** ეწოდებოდა. **საკრებულო** დიდია და მცირეც არსებობდა. საკრებულო დიდი და მცირე იერუსალემის წარტყენვაშია დასახლებული: „ვპოვეთ საკრებულოსა მცირესა ორას და ორი სული და ვპოვეთ საკრებულოსა დიდსა სამას და ათშუდმეტი სული, და ვპოვეთ ეკლესიასა შინა წმიდისა სერაპიონისსა სამას ოცდა ათერთმეტი სული“ სპარსთაგან დახოცილი (TP, XI, მგ, 14-16). აქად. მარს რუსულ თარ-

გმანში აქვს „На месте малых сборищ.. На месте больших сборищ (იქვე, გვ. 62).

საკრებულო ს გარდა მოგვეპოვება ქართული ტერმინიც—სამამოჲ. სამამოჲ გ. მთაწმიდელის საისტორიო ნაშრომში გვხვდება. მაგ., იქ მოთხრობია, რომ დამნაშავე მონაზონს დასასჯელად „სამამოსა მიიყვანის და უბრძანის განრთხმად“, და როდესაც ის ამ ბრძანებას აასრულებდა, „ერთი ძმად თავესა უმჭირავენ და ერთი ფერკთა და ერთთა ჩოვსა ზედა მიამთხვან ლუედითა“—ო (ცხად იესი და ეცესი, 39) [ე. ი. დააწვედნენ, ერთი თავს დაუჭერდა, რომ არ აგარდნილიყო, ერთი ფეხებს, და შემდეგ იწყებოდა დასჯა, სცემდნენ ლედით ანუ თასმით]. ძალიან სასტიკი სასჯელი არსებობდა მონასტრებში. გ. მთაწმიდელის მოთხრობით ასეთი ცემის შემდეგ, 30-40-50 დარტყმის გამო ორი კვირის განმავლობაში გასისხლიანებული იწვნენ ხოლმეო.

მაგრამ სამამოს ყოველთვის ასეთი დანიშნულება-კი არ ჰქონია, არამედ გ. მთაწმიდელისავე სიტყვით, როდესაც ეფთვმე მთაწმიდელს რომელიმე საპატიო სტუმარი ეწვეოდა, მაშინ სატრაპეზოში-კი არა, არამედ „ქიდე შეუკაზმეიდენ პურსა: გინათუ სამამოს, ანუ თუ სადაცა ენებოს, რათა არა დაეყოვნოს ძმათა სატრაპეზოს მიზეზისათჳს შრომისა“ (იქვე, 40) [ე. ი. სტუმარი რომ მოვიდოდა, მაშინ მას მასპინძლები საქმელს მიართმევდნენ სატრაპეზოში კი არა, სადაც ყველა ბერები ჰმდნენ, რადგან სტუმარს ისე ჩქარა ვერ ააყენებდნენ, ხოლო ბერებს-კი მალე უნდა ექამათ, რაც საქმელი ჰქონდათ, იმისათვის, რომ სამუშაოზე უნდა წასულიყვნენ]. ბერებს თავისი სამუშაო ჰქონდათ, თავის დროზე უნდა ექამათ, თავის დროზე უნდა წასულიყვნენ სამუშაოზე და თავის დროზე უნდა დაეძინათ. მკაცრი წესები იყო. ამიტომ ეფთვმე მთაწმიდელი რჩებოდა, რომ სტუმარი თუ მოვიდოდა, სატრაპეზოში კი არ შეეყვანა, არამედ—სამამოში. საპატიო სტუმარს, ცხადია, სამამოში საცემად არ წაიყვანდნენ და ამიტომ სამამო ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ საპატიო სადარბაზოს წარმოადგენდა, აგებულს მონასტრში. მამა ეწოდებოდა მამასახლისს და სამამოც უნდა იყოს აღმნიშვნელი იმ ტერმინისა, რომელიც განკუთვნილი იყო ერთი მხრით საპატიო სტუმრების მისაღებად, მეორე მხრივ აგრეთვე საერთო საკითხებზე მოსალაპარაკებლად. ეს პირდაპირ არის ნათქვამი; როდესაც ეფთვმეს ძმობასთან სამონასტრო საქმეებზე მოსალაპარაკებელი ჰქონდა, „უკუეთუ საკრებულოჲ რადმე არნ, ძმათა უკმის, რომელთა აქუნ მის საქმისა მეცნიერებაჲ... და მთ თანა დაიურვის სამამოს [იქვე, 41]. აქედან ჩანს, რომ სამამო საკრებულო დარბაზს, საპატიო სტუმრების მისაღებას და საერთო სამონასტრო საქმეებზე მსჯელობისათვის განკუთვნილ ნაგებობას წარმოადგენდა. რატომ იყო, რომ იქვე სჯიდნენ ხოლმე დამნაშავე პირებს? იმიტომ, რომ მონასტრის მამასახლისი უფროსი იყო მონასტრისა; და სასჯელი, ძალიან სასტიკი და მკაცრი, რომელიც შემოღებული იყო მონასტრში, მაშინდელი მოძღვრებით იმიტომ კი არ იყო დაწესებული, რომ შური ეძიათ, არამედ რომ გამოესწორებიათ. ამიტომ სრულებით დამამკიცრებლად არ მიაჩნდათ; თუ დამნაშავე პირს დასჯიდნენ ასეთ საპატიო ადგილას. ამით თვით ნა

გებობას არაფერი დაუწავდებოდა და, თუ ის პირი გამოსწორდებოდა, მიზანი მიღწეული იყო ხოლმე.

სახუროთმოდერებო ტერმინია აგრეთვე ჯერაკუშია. განსაკუთრებული გეგმის შენობის სახელი ჩანს ის ქართულში. ეს სიტყვა ჯერჯერობით შენახულია ორს თხზულებაში — „წარტყუენვაჲ იერუსალმისაჲ“-ში (იხ. TP, წ. IX, გვ. 46, 7, 11) და საბა ორბელიანის ლექსიკონში, რომელიც ამასთანავე ამ ტერმინის ნამდვილს მნიშვნელობას გვიხსნის. „ჯერაკუშია“ ბერძნული სიტყვაა, ბერძნულად *γυρακωμειον* — „გერაკომეიონ“ — მოხუცებულთა თავშესაფარსა ჰნიშნავს (H. Mapp, *Antioch Stratig.—Pleneninge' Isrucasalima*, TP. წ. IX, გვ. 12 და *Du Sang'e. Glossarium*)¹. ნათარგმნ თხზულებაში, „წარტყუენვაჲ იერუსალმისაჲ“-ში, ორჯერ არის ეს ტერმინი ნახმარი: „ვბოვეთ ჯერაკუშიასა მას შინა პატრიარქისასა სამის და ათურამეტი სული“-ო; „ვბოვეთ ჯერაკუშიასა მეფისასა შუდას და ოთხმეოც სული“-ო (TP, IX, გვ. 46, 7-8 და 9-10). აქცე უეჭველია „ჯერაკუშია“ შენობის ერთგვარ სახისა და სახუროთმოდერებო ტერმინად უნდა ჩათვალოს. სამწუხაროდ, *Du Canges*-ს და სხვებსაც (არც ბ. კონდაკოვს *Памят. Христ. искусства на Афоне, Арх. путеш. по Сирни и Палестиня, Македония*, არც დიოს *Manuel d'art Byzatin*) ამის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი. ქართულად-კი, როგორც ს. ორბელიანის სიტყვებიდან ჩანს, „ჯერაკუშია“ მართლაც განსაკუთრებული სახუროთმოდერებო ტერმინი ყოფილა: „ჯერაკუშია“ — ამბობს საბა — „სვეტებთა ზედა კამარათა შეჰკერენ და შუა ადგილსა დაუტოებენ და გარემოს სასახლეს აღაშენებენ. შუა ადგილი არს ჯერაკუშია“ (ლექსიკ.). როგორც ვხედავთ, ჯერაკუშია სრულიად გარკვეულ გეგმაზე აგებული შენობის სახელი ყოფილა. ასეთი ნაგებობა მართლაც არსებობდა (ჩვენსანის რიგზე აშენებული ფლორენციის 1420 წ. სახსლე: O. Hartmann, *Stilkunde*, გვ. 138 და სურ. 142) და ესლაც არის იტალიაში შენახული. ასეთი ნაგებობა იყო თუ არა ძველად „ჯერაკუშია“, ამის თქმა დანამდვილებით არ შეგვიძლია. საფიქრებელია სახელის მიხედვით, რომ ის მოხუცებულთათვის განკუთვნილი იყო, ე. ი. უფროსი პირებისათვის, მაგრამ რაკი არის ნახმარი ერთი მხრით ჯერაკუშია პატრიარქისა და ჯერაკუშია მეფისა, სამონასტრო ნაგებობა არ უნდა იყოს.

სამონასტრო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მრავალი სხვადასხვა სახეობის ნაგებობა უნდა ყოფილიყო. უკვე აღვნიშნეთ, რომ ბერები ცხოვრობდნენ სენაკებში. იოანე შეყენებულის ცხოვრებაში შემდეგი ცნობა მოგვეპოვება: „მისცა მას (იოანეს) მამამან ჩუენმან საბა სენაკი, რომელსა შინა დაეყუდდოს. და ვითარ შეიპყრა იოვანე სენაკი და მოიღო ბრძანებუა დაეყუდებინაჲ, დაყო სამი წელი სენაკსა შინა ესრე სახედ: ხუთთა მათ დღეთა კვრიაქსა შინა არა გამოვიდის, არცა ვინ იხილის და არცა ქამის რაჲ, ხოლო შაბათსა და კვრიაქსა იგი შევიდის უწინარს ყოველთასა ეკლესიად

¹ ნ. მარის თქმით ამ ტერმინის თავკიდური ჯ ქართულში ბერძნული გ-ს მაგიერ ისევეა, როგორც არაბულშიო. მაგრამ ამასთანავე შენიშნული აქვს, რომ ამ ხანის სინის მიხისა და სხვა სავანეების ქართულ ძეგლებში ხშირად არის ხოლმე ბერძნული გ ქართულად ჯ გადმოცემული, მაგ.—გერასიმე-ს მაგიერ ჯერასიმე სწერია (იერუს. წარტყუენ. TP, IX, გვ. 12).

და ყოველთა უკუანაღთ გამოვიდის“-ო (Keimena, გვ. 18, თ. ც). სენაკი ძველის ძველი სიტყვაა, რომელიც მოგვეპოვება ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში.

სენაკს გარდა X—XI სს-ში გვაქვს კელიონი, ბერძნული ტერმინი, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო უმთავრესად საბერძნეთში არსებულ ქართველთა მონასტრებს შორის. მართლაც, ათონის მთაზე სენაკი იმდენად გავრცელებული არა ჩანს, რამდენადაც კელიონი. ათონის ქართველთა მონასტრის ეს შენობები არაერთხელ ყოფილა ცუდს მდგომარეობაში. მაგ. გრიგოლ და იოანე ქუაბულის-ძეთა ღვაწლზე ამ სავანის აღაპებში აღნიშნულია, რომ „რავდენსაჲმ კერძსა მონასტრისასა, სი გ რ ძ ი თ ა უ ა მ თ ა თ ა, და ძ უ ე ლ ე ბ უ ლ ი კ ე ლ ი ნ ე ბ ი, და ც ე მ ა დ მ ი ა ს ლ ე ბ უ ლ ი, მათთავე საჭმრითა აღეშენა, რიცხვით კლ“ (ათონ. კრებ. 256, § 145).

შენობები და ნაგებობანი ცეცხლისაგანაც არაერთხელ ზიანდებოდა, იქაც-კი, სიდაც მათს ვანმარტოებულად დგომას თითქოს ამ მხრით [ისინი] უნდა უზრუნველ იყო. ათონის ქართველთა მონასტრის ძმობას აღაპებში აღნიშნული აქვს, რომ „ოდეს კელიონი და გუეწუნეს და მონაზონნი აღმოსავლეთს გაგვზანენით, თამარს (მეფეს) მოეცა“ დიდი შემოწირულებათ (ათონ. კრებ. 258—259, § 153). ათონის ქართველთა მონასტრის ძმობას, პავლე მამასახლისის მეთაურობით, იოანე მწიგნობართ-უხუცესის დიდი დამსახურების შესახებ, სხვათა შორის, აღნიშნული აქვს: „მას უამსა, ოდეს მანქანებითა ბოროტთ დასაბამისა ეშმაკისაათა კელიონნი მონასტრისა ჩუენისანი გარდამჟღარაქმნენს, მშინ... უღონოებისა ფრიალისაგან მოცუულთა სამნი ძმანი აღმოსავლეთს გაგვზანენით“ დახმარების სათხოვნელად-ო (ათონ. კრებ. 261, § 155). აღნიშნული ცნობებითგან ირკვევა, რომ კელიონი ორგვარი ყოფილა—ხისაცა და ქვის ნაგებობაც.

ყველა ბერი სენაკს ან კელიონში არ ცხოვრობდა. მაგ., ეფთჳმე მთაწმიდელის შესახებ სრულებით გარკვეული ცნობა გვაქვს, რომ ის გოდოლში ცხოვრობდა: „საყოფელი სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა“-ო (ცჳ იესი და იფსი, 35). ამ გოდოლს, ანუ კოშკს, შიგნით კიბე ჰქონდა მაღლა ასასვლელად. ეს კოშკი ეხლაც დაცულია და ზღვას გადაჰყურებს. აქიდან საუხუბო გადასახედა და ეფთჳმე მთაწმიდელიც აქ აღიოდა და მუშაობდა ხოლმე,—თარგმნიდა და წერდა. საერთოდ, ქართველ ბერებს უყვარდათ სა-მონასტრო ცხოვრების სიმკაცრესთან ერთად ესთეტიკური გემოვნების შეზავებაც. ისინი ირჩევდნენ ღამაზ ადგილებს, რომ დამტკპარიყენენ ბუნების მშვენიერებით. ეფთჳმე მთაწმიდელიც ამავე მოძღვრების მიმდევარი იყო. ჯერ კიდევ ადრე გრიგოლ ხანძთელმა კანონად დააწესა საქართველოში, რომ სამონასტრო ადგილები არჩეული ყოფილიყო იქ, სადაც მხიარული ბუნება იყო, რათა სასიამოვნო ყოფილიყო ადამიანისათვის იქ ყოფნა. მართლაც, ის საყოფელი, სიდაც ცხოვრობდა ეფთჳმე მთაწმიდელი „სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა“. ამას გარდა გვაქვს იმის აღწერილობა, რომ, როდესაც ეფთჳმე ათონელი მორჩა სამონასტრო საქმეებს, „აღვიდა რაჲ გოდოლად და დაჰჳსა კარი მოწაფემანი და თჳთ შთავიდოდა თჳსსა სენაკსა და, ვიჳარცა მცირედ შთავლო კიბეთა გოდოლისათა, შეემთხვა მას... მონაზო-

ნი და ჰრქუა, ვითარმედ: წინაშე მამისა აღვალ და მიჟამე“ (ც“ჲ იეს“ბ და ეფსი, გვ. 54). აქიდან ნათლად ჩანს, რომ გოდოლი მაღალი ყოფილა, სადაც კაცი კიბით უნდა ასულიყო. ზევით სართულში ეფთჳმე მთაწმიდელი ცხოვრობდა, ხოლო ქვევით მისი მოწაფე ბერი, რომელიც მას ემსახურებოდა. ამგვარად, ესეც სენაკად ითვლებოდა. მაგრამ ის მიინც სხვანაირი ყოფილდა სხვანაირადაც უნდა ყოფილიყო მოწყობილი.

ძველს წერილობით ძეგლებში ხშირად შეხვდება ადამიანი ტერმინს ეგუტერი (ც“ჲ გ“ლ ხნძსა, გვ. ჟო და იდ), ანუ, როგორც შემდეგ წერდნენ ხოლმე, ეკუტერი (1441 წ. სიგ., ქ“ბი II, 249), ეკუდერი (1433 წ. შეწირულობის წიგნი, ქ“ბი II, 241; 1526 წ. სიგელი, ქ“ბი II, 368; წალენჯიხის ეკლესიის 1636 წ. წარწერა, Brosset, Voyage, neu, rap., 12); ევქტერიც-კი მოიპოვება (სიგ. 1526 წ., ქ“ბი II, 368). ეს სიტყვა ბერძნულიდან არის შემოიხიზნული (იხ. H. М а р р, ТР, წ. VII, გვ. LXIII) და, როგორც გ“ლ ხანძთელის ცხოვრებითგან ჩანს, სამლოცველოს ნიშნავდა: „მონასტერსა შინა სენაკებსა თანა. ეგუტერსა ჟამის საწირავად ნუ ვინ აღაშენებს... ამის მიზეზისათჳს, რამეთუ რდეს დეკანოზთან ჟამის-წირვისათჳს ჟამსა ჰრეკოს, მაშინ ყოველი მღვდელი მუნ არა მივიდენ, არამედ თჳსთა ეგუტერთა დადგენ ჟამის-წირვად“-ო (გვ. ჟო). ამ წინადადებითგან ცხადად ჩანს, რომ ეგუტერი ხშირად სენაკებში, ეკლესიის მოშორებით, ყოფილა, სხვათა შორის სულის მოსახსენებლადაც, მაგრამ მოიპოვებოდა თუ არა იმ დროს ისეთი ევქტერებიც, რომელნიც ეკლესიაზე იყენენ მიშენებული, ამისი გადაჭრით თქმა არ შეიძლება. მერე-კი ეგუტერი ჩვეულებრივ ეკლესიაზე იყო. ხოლმე მიდგმული და განსაკუთრებული დანიშნულებაც ჰქონდა. ამ დროს ეგუტერი საგვარეულო დასასაფლავებელი ადგილი, ანუ საგვარეულო საძვალე იყო, ეს შემდეგი საბუთებით მტკიცდება: თაჳა ზედგინიძე თავის 1433 წ. შეწირულობის წიგნში ამბობს, რომ იქ, სადაც „პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს, მათ თანა დასაფლავებად... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ეკუდერი აეაგე“ ჩემ საძვალედაო (ქ“ბი II, 241); წალენჯიხის ეკლესიის 1636 წ. წარწერაშიაც ნათქვამია „პირველად ჩეენისა მამისა და პაპისა ეკედერი, ეს წინა ეკედერი იყო, და სრულობით ჩეენი ნათესავი... იმ წინა ეკედერში და[ი]საფლ[ა]ვე[ი]ობდეს“-ო (Brosset, Voyage, neu, rap., 12). ამავე წარწერიდან ჩანს, რომ იმისდა მიხედვით, თუ რომლის მხრით იყო მიშენებული ეგუტერი, იგი იწოდებოდა ან „წინა ეკედერად“ ან, ალბათ, „უკანა ეკედერად“.

წ. მონასტრების სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი

აღნიშნულთ გარდა ჩვენ გვაქვს აგრეთვე ტერმინები, რომლებიც სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა გამოსახატავად იხმარებოდა. მონასტრებს დიდი მეურნეობა ჰქონდათ და ამასთან დაკავშირებით მრავალგვარი დაწესებულებაც არსებობდა. მეტად საინტერესოა ამ სამონასტრო მეურნეობის შესწავლა. მაგრამ ეს საკითხი ეკონომიურ ისტორიასთანაა დაკავშირებული და ამჟამად ამაზე ლაპარაკის გავრძელება შეუძლებელია:

მონასტრებს დიდი მეურნეობა ჰქონდათ (გგულისხმობ მრავალრიცხოვანი შემადგენლობის მონასტრებს) და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მათ, რასაკვირველია, ამ დანიშნულების დასაკმაყოფილებლად, მრავალგვარი შენობები უნდა ჰქონოდათ. ჩვენ, ამ ნაგებობათა სახელები მოგვეპოვება, მაგრამ ძნელი სათქმელია, კოველთვის გულისხმობს თუ არა სახელი თავისთავად ცალკეულ ხუროთმოძღვრულ ნაგებობას, თუ შესაძლებელია ერთნაირ სახელში მოთავსებულიყო ერთ გვერდზე აგებული სხვადასხვა დანიშნულების შენობა; ყოველ შემთხვევაში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ყველა ის სახელები, რომლებიც ძეგლებში მოგვეპოვება, რომ მომავალში, როდესაც არქეოლოგიური კვლევა-ძიება და ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაშთების შესწავლა დაწინაურდება, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეარდეთ სოლმე—შევძლოთ იმის გაგება, თუ რა ნაგებობაა დარა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდეს მას.

თუ ჩვენ გვეკოდინება მეურნეობის რა დარგები არსებობდა, მაშინ შესაძლებელია ადამიანი უფრო ადვილად მიუხვდეს, თუ რა დანიშნულება უნდა ჰქონოდათ იმ ნაგებობებს, რომლებიც სხვათაგან თითქოს გაუგებარნი უნდა ყოფილიყვნენ.

სამონასტრო მეურნეობა ორ მთავარ დარგად იყოფოდა, ორ მთავარ სამეურნეო დარგის მოხელეს ჰქონდა ჩაბარებული. ერთს ეწოდებოდა იკონომოსი, შემოკლებულად—იკონომოსი, ხოლო მეორეს კელარი. მთელი მეურნეობის მოვალი ხელმძღვანელი იყო თვისთონ მამასახლისი, რომელიც უფრო ხშირად ღიკლი იკონომოსი იყო ხოლმე, ასე რომ მას გავლელი ჰქონდა ის სამეურნეო სკოლა, რომელიც საჭირო იყო, რომ ადამიანს მეურნეობის ცოდნა შეეძინა.

იკონომოსს თავისი სფერო ჰქონდა მეურნეობაში, კელარს-კი თავისი განსხვავებული მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული. იმ ცნობებში, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება წყაროებში, კარგად არის დასახელებული სხვადასხვა დაწესებულებები, რომლებიც მათ ექვემდებარებოდა, და ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს ვაფითვალისწინოთ ამ ტერმინების მნიშვნელობა და, შეძლებისდა გვარად, ვამოგვარკვიოთ ავრეთვე, იყო თუ არა ამგვარი ნაგებობა; მომავალში, რასაკვირველია, თუ რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს, იმ ჩვეულებრივი ტერმინების გარდა, რომლებიც ეკლესიისა და სენაკების სახით წარმოვივლიდებოდა ხოლმე, კიდევ სხვა შენობები ან სხვა პატარა შენობები აღმოჩნდება, რომელთა დანიშნულება გაუგებარი იქნებოდა.

გიორგი მთაწმიდელს ძალიან საყურადღებო ცნობები მოეპოვება იმის გასათვალისწინებლად, თუ რადარა დაწესებულება ჰქონდა ისეთს დიდ მონასტერს, როგორიც ათონის ქართველთა საფანე იყო. მისი სიტყვით იკონომოსისა და კელარის საქმეები ასე ყოფილა დანაწილებული: „საბარ იკონომოსისა და საწანგროს და საჯორე და სამჭედლო და ხურონი და კადაფატნი და მანდრინნი და ეენაჭნი და მენავენნი—ესე იკონომოსისა განსაგებელნი იყვნეს. კელარსა ვენაჭთა ზედა ყურძნისათჳს არა ჰქონდა ველმწიფებამ, ეგრეთვე იკონომოსსა ხილისათჳს... რაცა ვის ეპარებინ, კულარი იურენ იკონომოსსა თანა და მარასახლისსა“—ო (ცე იესი და ეფმსი, 50).

ერთის მხრივ, მასხადამე, არის **საპაროკონომოსო**. შესაძლებელია აღმნიშნავს ვფიქრა, რომ საერთოდ საპაროკონომოსო ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მთლიანად იკონომოსის ემორჩილება, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იქ ცალკეული დაწესებულებები ყოფილა: ჯერ, **საწანგრო**. ეს ტერმინი ნაწარმოები უნდა იყოს წანგრისაგან, რაც წალის ბერძნული სახესხვაობაა; ამრიგად, საწანგრო ფესხაცმლის შესაკერავი სახელოსნო უნდა ყოფილიყო, ალბათ იქ საწყობიც ექნებოდათ. შემდეგ, **სამჭედლო**; ცხადია, რომ სამჭედლო და საწანგრო რითიმე განსხვავებული უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმით, რომ სამჭედლოს უნდა ჰქონოდა შესაფერისი მოწყობილობა ცეცხლისა და ღუმელისათვის, შემდეგ ბოლის გასვლისათვის, ხოლო საწანგროს, თავისთავად. ცხადია, სულ სხეანიერი მოწყობილობა ექნებოდა.

„სხუაჲ კულა საკმარი იკონომოსისაგან ითხოვიან: გინათუ მფუნი, გინათუ ჩაფლანი, გინათუ ტყავი, გინათუ საბლები, გინათუ ხელი,—ესევეთარი იკონომოსისაგან ითხოვან“—ო (ცდ იესი და ეფთისი, 51).

ეს ცნობა ცხადად აპტიცებს, რომ ამ დაწესებულებებს მართლაც სრულებით გარკვეული სამეურნეო დარგის საქმიანობა ჰქონიათ დავალებული. თუ ვისმეს დასკირდებოდა მოგვნი (მოგვი ძველ ქართულში მართო ცეცხლთაყვანისმცემლობის ჭურუმს—კი არ ეწოდებოდა, არამედ მაღალყელიან ფესხაცმელსაც ნიშნავდა), გინა ჩაფლანი (ჩაფლანი მეგრულში ესლაც ცოცხალი სიტყვაა, დაბალს, უყელო ფესხაცმელს ნიშნავს; ის სხვა ძეგლებშიც გვხვდება), ანდა საბელი, ხელი, როგორც ვხედავთ, ყველაფერი ეს იკონომოსისაგან უნდა მოეთხოვათ.

სამონასტრო სამეურნეო დაწესებულებათა შესახებ ცნობები ათონის აღმნიშნავშიც მოგვეპოვება, სადაც ნათქვამია, რომ ქართველთა მონასტრის წინამძღვარს პავლეს, მამასახლისობისაგან გადადგომის დროს, ახალი მამასახლისისათვის ოქმით ჩაუბარებია მიწელი ქონება; აქ ჩამოთვლილია დაწესებულებანიც და ის, რაც მათში იყო დაცული. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ რაღარა, ნაგებობა თუ არა, დაწესებულება მინც უნდა ყოფილიყო: „სახუარბლუ ხუარბლთა... და საფქვილე სახე ფქვილთა, სავაჟინე ღვინთა საყოფინელითა ჟამამდენ და საზეთე ზეთითა... საკონომოსოჲ ჭურჭლითა, სამესითოჲთა და კანაფითა, ფისითა ოღროჲ და რკინითა ქეღლითა და უჭედელითა და ამლახტითა...“ (ათონის კრებული, 264, § 158):

ამგვარად, საიკონომოსო, ანუ საპაროკონომოსო, ერთგვარი ნედლეულის საწყობს წარმოადგენდა. იქ დაცული იყო ყველაფერი, რაც—კი საჭირო იქნებოდა რომ დაემუშავებინათ მეურნეობის სხვადასხვა დარგებისათვის. თითოეულ ამ დაწესებულებას იკონომოსი აძლევდა მასალას.

შემდეგ, ვკითხულობთ ამავე წყაროში: „სამამო, საგებელითა ახლითა, ლათანითა მელისაჲთა ახლითა, სადოშიაროს, რომელ მივითუალეთ პერაჲ მ“ და სხვაო (იქვე, გვ. 264, § 158).

სამამოს შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება საისტორიო ძეგლებში; სამამო ისეთ შთაბეჭდილ-

ბას ახდენს, რომ ის ან ცალკე ნაგებობა იყო, ან დარბაზი, რომელშიც მამასახლისი იღებდა ხოლმე სტუმრებს, მართავდა კრებებს ქმობისათვის და შემდეგ, როგორც დავრწმუნდებით, აგრეთვე დამნაშავე ბერებსაც სჯიდა: მაგრამ აქ სამამოს სულ სხვანაირი დანიშნულება უჩანს; ძნელი სათქმელია, შემთხვევით იყო იქ ჩალაგებული ამ აღრიცხვის დროს მთელი ის მასალა, რომელიც აქ არის დასახელებული, თუ იქვე იყო დაცული.

სადოშიარო, როგორც ქართული სამართლის ისტორიაში მაქვს განმარტებული, ბერძნულ-ქართული ტერმინი არის; მიჯნით „დოხეიონ“ ეწოდება სამონასტრო საღაროს. ბერძნული „ხ“ საშუალო საუკუნეებში გამოითქმოდა როგორც „შ“. სადოშიარო ამგვარად ბერძნული სიტყვა „დოხეიონ“-ითგან ნაწარმოები ტერმინი არის და უდრის ქართულ საღაროს.

ცხადი არის, რომ საღარო, სადაც დაცული იყო ფული; განმეულობა, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქვები, რაც-კი მოეპოვებოდა მონასტერს, უშუალოდ სხვანაირად უნდა ყოფილიყო მოწყობილი, რომ ის უზრუნველი ყოფილიყო ყოველგვარი ბოროტმოქმედებისაგან.

ამ დაწესებულებათა გარდა არსებობდა სხვა დაწესებულებებიც, რომლებიც ემორჩილებოდნენ უკვე კელარს. როგორც ჩვენ დავრწმუნდით, იკონომოსს უმთავრესად მასალის შემცველი სხვადასხვა დაწესებულება ექვემდებარებოდა და კელარს-კი პირიქით, თავისი დარგი ჰქონდა. კელარს უმთავრესად გადაცემული ჰქონდა კვებასთან დაკავშირებული ყველა საწყობი.

გიორგი მთაწმიდელის მოწმობით, „გინა შინა მონასტერსა, გინა გარე მეტოქთა (მეტოქი მონასტრის ფილიალს წარმოადგენდა), კელარისა გან[ს]აგებელნი იყვნეს, გინა თუ ზეთისხილი იყვის, გინა თუ ნივთი, გინა თუ სხუად სილი. ოდენ კულა რადმე წა[რ]საცემელს და საჭმარარს, კელარსა ვაეზრახის იკონომოსი. ხოლო ზღეს მოიფიფის, კელარნი ზედასზღად ვავიდოდინ მეტოქთა და მოჭნახედიდინ ხილნართა“ და, როცა ხილი მომწიფდებოდა და შემოვიდოდა, „ყოველი კელარსა შე[უ]ვიდოდა და უხუებით ჰქონდა მისაცემელი სატრაპეზოსი[ა]“-ო (ცდ იე[ს]ი და ეფ[შ]ისი, 50-51). ამავე ავტორის სიტყვით, „მაშინ წესი ესე იყო, რომელ კელარისადა დაემცნა წინამძღუარსა საჭმარისა მიცემა და ძმათა და ჯელოსანთადა“ (იქვე, 51).

აქ განმარტებულია, რომ კელარს ემორჩილებოდა ყოველნაირი ხილნარი, ყოველგვარი ნარგავობა, რომელიც ამ ხილისათვის იყო განკუთვნილი, ნივთი, მავალითად ნივთი აქ ძველი მნიშვნელობით არის ნახმარი. ჰველ ქართულში ნივთი იმასვე ნიშნავს, რასაც ეხლა დასავლეთ საქართველოში; აღმოსავლეთ საქართველოში კაკალს რომ უწოდებენ—კაკლის ხეს, ეს მემრინდელი მნიშვნელობაა; ძველად ნივთი და ნივთის ხე ეწოდებოდა. ამრიგად ყოველნაირი ნარგავი ამ კელარს ემორჩილებოდა; მეურნეობას ის არ აწარმოებდა. მეურნეობის მაწარმოებელი იკონომოსი იყო, ხოლო კელარი ბუღალჯურს ადევნებდა, რომ ეს ხილნარი სრულად შემოსულიყო; ათვალეირებდა და აყენებდა ზედამხედველებს. შემდეგ, როდესაც დადგებოდა რთველი, როგორც ძველად ამბობდნენ, მაშინ აგროვებდა და იცავდა მოსავალს თავის საწყობში.

ამგვარად საკლროს საწყობები უმთავრესად ხილისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი.

საკლროში დაცული იყო მეურნეობის მთელი მარაგი და ხილეული. ამის შესახებ სრულიად გარკვეული ცნობა მოგვეპოვება: „საკლრო მსა წესი ესრეთ გეწესა, რათა საქმელსა არა იქმოდინ... აპოთიკი და ბოსტანი და წისქვილი კელრისა საურაენი იყენეს (ცა იესი და ეფსი, გვ. 49—50).

აპოთიკი საწყობს ნიშნავს, აქიდანაა წარმოდგარი აფთიაქი. თავდაპირველად აფთიაქი წამლების საწყობს ნიშნავდა. თვით სიტყვა ბერძნულია: *ἀποθήκη* — „აპოთეკე“. ამრიგად კელარს ექვემდებარებოდა ბოსტანი და წისქვილიც, ისე როგორც ხილეულობა.

მგონია, ეჭვი არ უნდა არსებობდეს, რომ ხილის საწყობები სხვანიარად უნდა ყოფილიყო აგებული, ვიდრე სატხოვრებელი ან სხვა რაიმე დანიშნულების ნაგებობა.

არსებობდა, რასაკვირველია, დაწესებულებაც, სადაც ამ მასალას იყენებდნენ გამოსაკვებად. გიორგი მთაწმიდელი ამბობს: „საკლრო მსა წესი ესრეთ გეწესა, რათა საქმელსა არა იქმოდინ, გარნა თუ უტხოზი იყენიან, ანუ შმრომელნი ვინმე“-ო (ცა იესი და ეფსი, 49).

საქმლის მოსამზადებლად-კი სამზარეულოები არსებობდა. იგივე ავტორი მოგვითხრობს: ეფთუმე მთაწმიდელი „შევიდის... სამზარეულოს, და უკუეთუ კოკობნი იხილნის ცეცხლის კიდესა, იკითხის მზარეულისაგან, თუ ვისნი არიან, და უკუეთუ უძღურთანი იყენიან, მიუშვს; უკუეთუ კულა ნაყროვებთ-თ[ა] ვინ იქმნ, ზოგჯერ ვარე განთხევაა უბრძანის და ზოგჯერ საეროსა საქმელსა თანა ჩასხმა“-ო (იქვე, 45).

სამზარეულოს გარდა არსებობდა სატრაპეზო, შეიძლება ითქვას, ყველაზე დიდი ნაგებობა სამეურნეო დაწესებულებათა შორის სამონასტრო ფართობზე. მაგრამ სატრაპეზო ჩვენ მხოლოდ X, XI და შემდგომდროინდელ საუკუნეებში გვხვდება. უფრო ადრინდელ ხანაში, IX საუკუნეში, საოსტიგნეა იხმარება. ეს ტერმინი, უჭველია, ეოსტიგანისაგან უნდა იყოს ნაწარმოები, რაც აკად. ნ. მარსაც აქვს აღნიშნული. ეოსტიგან სომხურად არის დაცული,—ნიშნავს უფროსს, მონასტრის უფროსს უნდა გულისხმობდეს, მაგრამ ქართულად სრულიად გარკვევით სატრაპეზოს მნიშვნელობა აქვს მიღებული. სატრაპეზოს მნიშვნელობით საოსტიგნეა ნახმარია ვ. მერჩულის თხზულებაში. საგულბისმოა, რომ საოსტიგნოს სახით, ეს ტერმინი ს. ორბელიანსაც აქვს შეტანილი, მაგრამ მისი განმარტებით ეს სიტყვა ვითომც საკუქნაოს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (ლექსიკონი). საკუქნაო-კი, ამავე მეცნიერის გააზრებით, „საქმელთ“ სამარხავი სახლი“-იყო (იქვე). გ. მთაწმიდელი მხოლოდ სატრაპეზოს ხმარობს. მას, მაგალითად, ნათქვამი აქვს: თუ ვინმე ბერთავან. ერთვხისი შენიშვნის შემდგომ დაშლილს კიდევ ჩაიდენდა, სასჯელად „სატრაპეზოს[ა] არა შეუშვს, არამედ ვმელისა პურისა ქამაა განუწესის მას დღესა“-ო (ცა იესი და ეფსისი, 36, 37, იხ. აგრეთვე 40). ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით იგივე ისტორიკოსი მარტივად ტრაპეზსაც ხმარობს (გვ. 37, 39, 40).

სატრაპეზო დიდი ნაგებობა უნდა ყოფილიყო, ჩვეულებრივ გრძელი, და რადგან ბერები როგორც მოწაფეები ისე იხსდნენ ხოლმე. ამიტომ ერთმანეთის პირდაპირ დიდი ნაგიდები ჰქონდათ. როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებიდანვე ჩანს. ათონის ქართველთა მონასტერში ორი ასეთი დიდი მაგიდა ყოფილა და თითოეულს მაუგანს თავისი უფროსი ჰყოლია. რადგან სამასი ბერი იყო, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა არ მიდიოდა სატრაპეზოდ, იმიტომ რომ ზრგი მონასტრის გარეშე დაწესებულებაში იყო და მეურნეობას ემსახურებოდა, მაგრამ ორასი კაციც რომ წარმოედგინოთ, ასი კაცი ერთ მაგიდაზე, ასი კაცი მეორე მაგიდაზე, ადვილად შეიძლება მიყვებოდნენ, რამდენად დიდი უნდა ყოფილიყო ეს სატრაპეზო, რამდენად მოზრდილი ნაგებობა უნდა ყოფილიყო საოსტიგნე. საოსტაგნე, თუ შემდეგისათვის გამოირკვა, რომ ტაო-კლარჯეთის ტერმინოლოგიისათვის არის მარტო დამახასიათებელი, მაშინ მაინცა და მაინც დიდი ნაგებობა არ არის საგულისხმებელი, რათგან ტაო-კლარჯეთში ძალიან პატარა მონასტრები იყო. იქ ბერები დიდი რაოდენობით არ ყოფილან. მაგრამ დასავლეთ საქართველოში, მაგალითად გელათში, უძველესი სატრაპეზო დიდი ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

რეგორ იყო მოწყობილი საჯაყინე, ჩვენ ამის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება. მარანს წარმოადგენდა იგი, თუ სხვა რაიმეს [ძნელია თქმა], მაგრამ, რადგანაც ის ლეონოსთან არის დაკავშირებული, ამიტომ ამის მსგავსი იქნებოდა.

6. საკულტო დანიშნულების სხვა შენობები

ეკლესიას ძველად არ სჭირდებოდა ის შენობა, რომელიც შემდეგში, XIII საუკუნიდან საპირო ვახდა—სამრეკლო. სამრეკლო იმიტომ არ არსებობდა, რომ ზარებიც არ იყო. ენიანი ზარები XIII საუკუნის მეორე ნახევარში შემოიღეს. ყველა ისტორიული წყაროების ცნობებით, რომლებიც ჩვენ საქართველოში დაცული გვაქვს, ცხადად მტკიცდება, რომ რეკვა-კი არსებობდა, მაგრამ ზარის საშუალებით არა, არამედ სარეკელას საშუალებით. ჩამოკიდებული იყო ძელი, ე. ი. ფიცარი, და ამ ფიცარს ხის უროს ურტყამდნენ ხოლმე. სარეკელათი შეატყობინებდნენ, რომ დადგა ლოცვის დროო. ამას რეკვა და სარეკელა ეწოდებოდა. რეკვა ძველ ქართულში დაკაკუნებას ნიშნავს, მეტს არაფერს. სახარება-ოთხთავში ნათქვამია: „ირეკით და ვანგელოთ“-ო, ე. ი. თუ დააკაკუნებთ, კარი გაველებათო. შემდეგში შემოდის ლითონის ფიცარი, რომელსაც ხის მაგიერ ხმარობდნენ და ამგვარად ხის უროს უკაკუნებდნენ ხოლმე.

დასავლეთ ევროპაში, პირველი ზარად XII საუკუნეში ჩნდება. ჩვენ უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ზარი წინააღაც არსებობდა, მაგრამ სულ სხვანაირი მოყვანილობისა იყო—მას ენა არ ჰქონდა და უმთავრესად ცხოველებისათვის ხმარობდნენ, აქლემებისათვის; და ეხლაც, სადაც აქლემებია გავრცელებული, ზანზალაკები აქვთ ხოლმე. ასეთ ზანზალაკს ენა არა აქვს, შიგნით ერთმანეთს ზედება მარცვლები და ამგვარად ხმაურობს. სწორედ ამგვარი მოყვანილობის პატარა ზანზალაკები იყო ძველადაც, მაგრამ ეკლესიისა-

თვის ის გამოსადეგი არ იყო, იმიტომ რომ ვერაჲინ გაიგონებდა ასეთი ზარის სმას და არც იხმარებოდა. როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ ევროპაში XII საუკუნეში გაჩნდა ზარი, ჩვენში იგი XIII საუკუნეში, პირველ ნახევარში თუ ა.ა. მეორე ნახევარში მაინც იყო შესაძლებელი, თუმცა დანამდვილებით ამის თქმა შეუძლებელია, რათგან ამის შესახებ ცნობა წყაროებში ჩვენ არ მოგვეპოვება.

ამგვარად, სამრეკლო, როგორც ნაგებობა, უნდა გაჩენილიყო XIII საუკუნის შემდეგ, XIV—XV საუკუნეებში. თუ რომ სამრეკლოდ გამოყენებული არ არის რომელიმე სხვა ძველი ნაგებობა, ეს გარემოება უფლებას აძლევს ყოველ მკვლევარს, როდესაც სამრეკლოს ხედავს, დაათარილოს ის იმ მხრივ, რომ არ შეიძლება XIII საუკ. აღრინდელი იყოს. მაგრამ, ჩვენ ისეთი შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც სხვა დანიშნულების შენობა, როცა ზარი შემოვიდა, გამოყენებულ იქნა სამრეკლოდ, მას შემთხვევით დაადგეს ერთი სარტული და იქ მოათავსეს ზარი.

წარმართობის ხანის ნაგებობის ზოგადი სახელი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაგინი იყო, მაგრამ წარმართობის გარდა ჩვენში გავრცელებული იყო ცეცხლთაყვანისმცემლობაც—მ ა ზ დ ე ი ა ნ ო ბ ა. მასდღიანები კერპთაყვანისმცემლებად არ ითვლებოდნენ. ეს განყენებული მოძღვრება იყო. მისი მიმდევრები აღმერთებდნენ ცეცხლს, მზეს, ჰაერსა და მიწას. მათ თავიანთი სამლოცველო ჰქონდათ, რომელსაც თავისი ტერმინი გააჩნდა: მის აღსანიშნავად ჩვენ გვაქვს საგზებელი. გზებზე ძველ ქართულში ანთებდას ნიშნავს; და აგზო—დაანთოთ. საგზებელი უდრის ბერძნულ *εὐαγγελία*-ს, ე. ი. იმ ნაგებობას, რომელზედაც ჩვეულებრივ ე. წ. დაუცხებელი ცეცხლი ენათო. სპარსელების, მაშინდელი ერანელების რწმენით ცეცხლი არასოდეს არ უნდა ჩამქრალიყო კერაში, საგზებელში. კერაში რომ არ უნდა ჩამქრალიყო ცეცხლი, ეს საერთო სიმბოლიური რწმენა და გამოხატულება იყო იმისა, რომ ოჯახი არსებობს. საგზებლის დაუცხებლობა სარწმუნოებრივ მოთხოვნილებას წარმოადგენდა.

საგზებელი უფრო შენობაში უნდა ყოფილიყო, ვიდრე ცალკე ნაგებობად. თვით საგზებელისათვის განკუთვნილ შენობას თავისი სახელი ჰქონდა. მის ტერმინად ნახმარი არის საცეცხლე. ეს ტერმინი ჩვენ მოგვეპოვება ქართულ ფისრამიანში: „მაშინვე ციხისაგან ვისი ჩამოვიდა და ჯიმშედის აგებულსა საცეცხლესა მივიდა ლოცვად...“ (ფისრამიანი, I გამ. 438; II გამ. 312). აქვე არის ცეცხლთაყვანისმცემლობის (ძროს გავრცელებული) ლოცვის წესიც აღნიშნული: „...შესაწირავი გასცა დია უამრავი და ზროსა და ცხუარი მრავალ“ დავოცეს გლახათათის“ (იქვე).

ჩვენ «ვახტანგ გორგასალის ცხოვრებაშიც» მოგვეპოვება ცნობა, რომ ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი დაეფლა გუამი წმიდისა რაქდენისი“ (ცა ვახტანგ გრგასალისა *392, გვ. 179; ანა დფლისი ქცა .136). რადგან რაქდენი წამებული იყო, ამიტომ ააშენა იქ, სადაც „საგზებელი ცეცხლისა“ იყო. აქ თითქოს საცეცხლეს მნიშვნელობით არის საგზებელი ნახმარი. საცეცხლე რომ გვაქვს ნახმარი XII საუკუნის ძეგლში,

ვისრამიანში, მოხსენებული, ის შესაძლებელია მერმინდელი, ხელოვნურად შექმნილი ტერმინი იყოს. ამის შესატყვისად სპარსულ ვისრამიანში გვაქვს „ატეშგაჰ“. ატეშგაჰ ნიშნავს ცეცხლის ადგილს, საცეცხლეს, ასე რომ სწორად არის გადმოცემული ეს ტერმინი. მაგრამ ქართულად ჩვენ ძველად საგზებელი გვაქვს. არსებობდა თუ არა იმ დროს, როდესაც საგზებელი იყო, საცეცხლე, ამის გამორკვევა მომავლის საქმეა, იმ დროისა, როდესაც მეტი ძეგლები აღმოჩნდება.

ამ ტერმინებს გარდა ჩვენ გვაქვს საზოგადოებრივი „...დაეცნეს...კერპნი არმაზისინი... და იაერა იქმნეს ბომონნი, ბაგინნი, საზოგადოებრივი დე სამა სახურებელნი მათნი“ (სიგ. მცხ. 1408 წლ., ისტ. საბ. III, 6). საზოგადოებრივი ეწოდებოდა იმ ნაგებობას, სადაც მსხვერპლად შესაწირავ საქონელს ჰკლავდნენ და სწირავდნენ ხოლმე. ძველი ებრაული და წარმართული შეხედულებით ასე იყო მიღებული: როდესაც ცხოველს დაკლავდნენ, გარკვეული ნაწილები უნდა შეწირულიყო ღვთაებისათვის და ისინი უნდა დაეწვათ. ამრიგად, იმ ნაგებობას, სადაც ეს შეწირულება ხდებოდა, საზოგადოებრივი ეწოდებოდა.

ცეცხლთაყვანისმცემლობა რომ მოისპო, VII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოში მაჰმადიანობა შემოდის და მაჰმადიანობასთან ერთად ჩნდება აგრეთვე ტერმინი, რომელიც წინათ უცნობი იყო. ეს არის მიზგიითი. მიზგიითი იგივე არის, რასაც ეხლა მეჩეთს უწოდებენ. მიზგიითი ძველი არაბული გამოთქმა არის. ქართველებს თვითონ მიზგიითები არ ჰქონიათ, თუმცა იოვანე სბანისძის თხზულებითგან ჩანს, რომ VIII საუკუნის ქართველთა შორისაც მაჰმადიანობა გავრცელებული ყოფილა. თბილისში, ალბათ, ექნებოდათ მიზგიითი, როდესაც არაბები აქ ბატონობდნენ, შემდეგში-კი მისი არავითარი კვალი არ ჩანს, და ფრანგი მოგზაურის თხზულებიდანაც ვიცით, რომ XVII საუკუნეში, თბილისში, ქართველები მაჰმადიანებს ნებას არ აძლევდნენ რომ მიზგიითი აეგოთ და ყოველთვის ამ ნიადაგზე იდელი ბრძოლა სწარმოებდა, მხოლოდ ბოლო დროს მოახერხეს მათ მისი აგება.

მიზგიითთან არის დაკავშირებული ტერმინი საყივარი. საყივარი ქართული ტერმინი არის და უდრის არაბულ მინარეხს, სპარსულად რომ მინარეტი ჰქვია. ქართულად მინარეხ იხმარება, მაგრამ ნამდვილი მისი ქართული შესატყვისობა, საყივარია. მინარეხ იმისათვის არის განკუთვნილი, რომ ერთი მსახურთაგანი ავიდეს ხოლმე მასზე, ყურანის გარკვეული ადგილი წაიკითხოს, და კეთილმოიწმუნე მაჰმადიანები სალოცავად მოიწვიოს. ის იქიდან გაჰქვივის და ამიტომ ეწოდება მას საყივარი, ე. ი. იგი ის შენობაა, საიდანაც გაჰქვივან. ამ დანიშნულების მქონებელ ნაგებობას გამოხატავს კოშკის მსგავსად, მრგვალად აგებული შენობა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თვით მიზგიითთან არის დაკავშირებული, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ახლომდგომი კოშკის სახითაც არის ხოლმე აგებული.

ქართულ წყაროებში ორივე ხსენებული ტერმინი გვხვდება. მაგალითად: მანელი მელიქი ქართველთა მცველების ვერაგულად ამოწყვეტისათვის მოკლეს და „საყივარსა, რომელსა მენარა უწოდეს, ზედა ჩამოჰკიდეს“ (ისტორიი და აზმნი, შშ დფსი ქცა *717, 523—524).

სარწმუნოებასთან იყო აგრეთვე დაკავშირებული ნაგებობა, რომელიც მიცვალებულთა დასაფლავებლად იყო განკუთვნილი, — ეგრეთწოდებული **სამარხავი** და **აკლდამა**. აკლდამა ებრაული სიტყვა არის; „აკელდამ“ — *aqeldam* ნიშნავს სისხლისათვის განკუთვნილ სახლს, ისეთ ადგილს, სადაც მიცვალებულებს ასაფლავებდნენ ხოლმე. ეს ტერმინი ქრისტიანობასთან ერთად უნდა იყოს შემოსული, მაგრამ ქართულ აკლდამას თავისებური მნიშვნელობა მიენიჭა.

სამარხავი ზოგადი ნაგებობაა, სადაც მარხავდნენ ხოლმე ერთი სავაგრო-ულოს წევრებს. ეკვდერიც ეწოდება ხოლმე შემდეგში ასეთ ნაგებობას. ისე კი. **სამარხავი** ნიშნავს ისეთ ნაგებობას, სადაც მიცვალებულთ უნდა შენახული ყოფილიყო; თავდაპირველად მას ასეთი დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მარხვა ძველ ქართულში შენახვას ნიშნავს და არა დასაფლავებას. ამით გარდა ჩვენ გვაქვს ორი ტერმინი: დაფლვა და **დამარხვა**, საფლავი და **სამარე**. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. **დამარხვა** ნიშნავს შენახვას; „**დამარხე** სიტყვები ჩემია“, არის ნათქვამი. ეს ტერმინი შემდეგში ყურძნის ჯიშის სახელადაც გვაქვს; „**სამარხავი**“ ეწოდება ისეთი ყურძნის ჯიშს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ინახებოდა. დაფლვა-კი შესანახად არ იყო განკუთვნილი.

ამგვარად, აქ ორი სხვადასხვა დასაფლავების წესი არის, რამდენადაც დასაფლავებისათვის საჭირო არის მხოლოდ საფლავის ამოტხრა, **სამარხავი**-კი გულისხმობს უკვე ნაგებობასაც და უმჭველია უნდა გავრცელებული ყოფილიყო ჩვენში და გვაქვს კიდევ დაცული ძეგლებში ისეთი ადგილები, სადაც სრულებით ცხადად არის გარჩეული **საფლავი** და **აკლდამა**, **სამარხავი** და **საფლავი**. რამინმა ვისისთვის „**სამარხავი** ააგო მისადღე შესაფერად კარგი ოქროსა და ლავეარდისა...“ (ვისრამ. I გამ. 455; II გამ. 324).

სპარსთაგან იერუსალემში დახოცილნი „რომელნიმე საფლავთა შინა და აკლდამათა დავმარხენით“-ო (იერუს. წარტყ.: TP. IX, § 19—20). ეს ორი ტერმინი ერთი და იგივე მნიშვნელობისა რომ ყოფილიყო, ერთსა და იმავე წინადადებაში არ იქნებოდა ნახმარი.

კ ა რ ი მ ე რ ო ს ე

საკულტო ნაგებობათა ნაწილში

1. სააღმშენებლო ხელოვნების ზოგად ცნებათა ტერმინები

ქართული ხელოვნების შესწავლისათვის ნაგებობის ტერმინოლოგიის ცოდნას, როგორც უკვე არა ერთხელ აღვნიშნეთ, უაღრესი მნიშვნელობა აქვს. მოგვეპოვება წარწერები და ძეგლებში დაცული აღწერილობა იმ შენობების შესახებ, რომლებიც ეხლაც არსებობს. ხშირად ამ წარწერებისა და ცნობების შინაარსი არ გვესმის, რადგან ტერმინების მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია. ქართულ ნაგებობათა ტერმინოლოგია ძალიან მდიდარია და ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ საეციალურ ტერმინოლოგიაში თუ სიღარიბე ჩანს, ამაში ბრალი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ წინაპრებს არ მიუძღვის, არამედ თვით ჩვენ.

სააღმშენებლო ხელოვნებას ძველ ქართულში ხურობა ეწოდებოდა. იგი ორ დარგად იყოფოდა; იყო ქვით-ხურობა და ხით-ხურობა. ამ ორგვარი დარგის არსებობასთან დაკავშირებით ორგვარი ტერმინოლოგია არსებობდა. ქვიტკირის ნაგებობისათვის ცალკე ტერმინოლოგია იყო, ხის ნაგებობისათვის კი განასხვავებული. მათ შორის საერთო ტერმინებიც არსებობდა, მაგრამ ბევრი რამ არის, რაც ხის ხურობაში მოიპოვებოდა და ქვით ხურობისათვის სრულებით უცნობი და გამოუსადეგარი იყო. მომავალში ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ქართული სააღმშენებლო ხელოვნების საფუძველს ხით ხურობა წარმოადგენდა და ქვით ხურობის ტრადიცია იქიდან მომდინარეობს. ბევრი რამ, რაც ხის ნაგებობაში მოგვეპოვება, სწორედ ძველი ხანის ნაშთს წარმოადგენს. ჩვენ ვხმარობთ სიტყვებსა და ტერმინებს, რომელთა თავდაპირველი მნიშვნელობა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, მაგრამ როდესაც გავიგებთ ამ სიტყვების მნიშვნელობას, მაშინ ცხადი გახდება, რომ ეს ტერმინები შეიძლება გაჩენილიყო იმ ხანებში, როდესაც ხისაგან აგებდნენ ხოლმე შენობებს.

იმის წყალობით, რომ საერო ნაგებობათა ნაშთები ძალიან მცირე რაოდენობით არის დარჩენილი, მიწის ზევით მაინც, ჯერჯერობით, და იმიტომაც, რომ ეკლესიას უკეთესად ჰქონდა დაცული საბუთები და ეხლაც ბევრ მათგანს მოუღწევია, ჩვენ უკეთესად ვიცით ძველი ხანის საკულტო ნაგებობათა ტერმინოლოგია, ვიდრე საერო ნაგებობისა. ერთი რამ მაინც არის სასურველი. უნდა ვიუქროთ, რომ საერო ნაგებობაშიც მთავარი ტერმინები ერთნაირი უნდა ყოფილიყო. თვით საეკლესიო ხუროთმოძღვრებას ეს ტერმინები საერო

სუროთმოდერებისაგან ჰქონდა შეთვისებული, იქითგან მომდინარეობდნენ ისინი. ნაკლის უარყოფა მინც არ შეიძლება, მაგრამ მისი შეესება ადვილად ხერხდება იმის წყალობით, რაც ჩვენ ხალხში გვაქვს დაცული¹.

ნაგებობათა ნაწილების სახელების განხილვას ორი ქართული ტერმინის გათვალისწინებით დავიწყებთ. ესენია: შენება, შსნება, როგორც ძველ ქართულში ამბობდნენ, და აგება. თავდაპირველად მათ შორის განსხვავება ყოფილა, მაგრამ მასზე ჩვენ საუბარი გვექნება მაშინ, როდესაც თვით ნაგებობათა ტექნიკური ორგანიზაციის განხილვაზე გადავალთ.

საქართველოს ბუნებრივი პირობების გამო შენობის აგება ხშირად შეუძლებელი იყო ისე მარტივად, როგორც ვაკე ადგილებზე შეიძლება აგებულყო. ჩვეულებრივ საძირკვლისათვის თხრიან მიწას და საფუძველს დებენ ხოლმე. სადაც ვაკე ადგილია, ეს მოსახერხებელია, მაგრამ სადაც ფერდობებია, და საქართველოს უდიდესი ნაწილი ასეთ მთავორიან ადგილს წარმოადგენს, იქ, რასაკვირველია, ეს მოუხერხებელი იყო და ამიტომ ნიადაგის ხელოვნურად შექმნა ხშირად და ბევრგან აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. აი, ამას ეწოდებოდა ძველად „ჭუჭყანისა დავაკება“.

გვაქვს ერთი საყურადღებო ცნობა, რომლითგანაც ჩანს, რომ ასეთი ხელოვნური ნიადაგის მომზადება 30 წლის განმავლობაში წარმოებდა. ვისაც უნახავს ფერდობიანი ადგილები, ადვილად წარმოიდგენს, რომ მართლაც დიდი შრომა იყო საჭირო, სანამ ვაკე ადგილი შეიქმნებოდა. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, ატენის სიონი ვნახოთ და დავრწმუნდეთ, რომ ამ უზარმაზარი შენობის ნახევარი თითქმის მთლიანად ხელოვნურ საფუძველზე არის დამყარებული.

ყოველი შენობა ორ მთავარ ძირითად ნაწილს შეიცავს — საძირკველსა და საფუძველს. ჩვენ ეხლა ხშირად ვერ ვარჩევთ ამ ორ ტერმინს ერთმანეთისაგან, მაგრამ ძველად სრულებით ადვილი გასარჩევი იყო. საძირკველზე იყო დამყარებული საფუძველი, მაგრამ საფუძველს საძირკველი ვერ დამყარებოდა. საძირკვლის ჩაყრა შეიძლებოდა, საფუძველისა-კი დადებია. „ექლესისა საფუძველი დადებ“ (მქცქ 12, Опис. II, 720). ასევეა ბიბლიაშიც: „ვისითა ბრძანებთა აშსნებთ სახლსა მგას, ანუ ვისითა სიტყუთა დასდევით საფუძველი მისი?“ (II ეზრას, 6, 11); „მე განგიზაღვ შენ ანთრაკი ქვად, და სა-

¹ მთელი ჩვენი შეცდომა, როდესაც ახალ ქართულ ტერმინოლოგიას ვქმნიდით მცენიერების ყველა დარგში, უმთავრესად ტექნიკური დარგებისათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით მას, რაც ხალხშია მემკვიდრეობით დარჩენილი ძველი ქართული ტერმინების მარაგის სახით, და ხელოვნურად ესაზღვრავდით და ვთარგმნიდით (უმეტეს ნაწილად რუსულიდან) სრულიად მექანიკურად, მაშინ როდესაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მოგვეპოვებოდა ქართულად. სრულებით არავითარი საჭიროება არ არსებობდა, რომ ან ჩვენი თავი შეგვეწუხებინა ამ შეთხებით, ან ხალხი შეგვეწუხებინა ახალი, მათთვის სრულებით გაუგებარი ტერმინების ათვისებით. ამჟამად ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ განათლებული ხალხი ხმარობს ერთ სამეცნიერო ტერმინოლოგიას, ხალხისათვის გაუგებარს, ხოლო ხალხი კიდევ თავისას, რომელიც გაუგებარია განათლებული ხალხისათვის. ამოცანას წარმოადგენს, ცხადია, რომ ერთიანი, მთლიანი, ძველ მარაგზე დამყარებული ტერმინოლოგია შეიქმნეს.

ფუძველად შენდა საფირონი, და აღვაშენე არდაბაგნი შენნი იასპინითა, და ბქენი შენნი — ქვანი ბროლისანი, და ზღუდენი შენნი — ქვისა რჩეულისანი“ (ისაია 54, 11—12-ოშქ.). თვითონ საფუძველი სწორედ ამას ნიშნავს: ფუძე „ღება“ ზმნისაგან არის ნაწარმოები, ე. ი საფუძველია ის, რაც დასადებად არის განკუთვნილი. შენობის „დაწყება“ (ცა გვლ ხნაქსა, ლგ) შეიძლება მხოლოდ „საფუძელის დადებით“ (ცა სრპნსი, 26,43). ჯერ საძირკელისათვის ამზადებდნენ ნიადაგს, გათხრა იქნებოდა საძირო თუ სქლოვნურად ამოყვანა, შემდეგ იწყებოდა ჩაყრა ან აშენება და მერმე, საძირკველი რომ ამოყვანილი იყო, იწყებოდა საფუძველი. საფუძველი ჩვენში საფუძულების მსგავსი იყო, რომელზედაც დამყარებული იყო შემდეგ კედელი.

ყოველ ნაგებობას სხვადასხვა ნაწილებთან ერთად ჰქონდა თავისი განლაგება, რაც დამყარებული იყო იმაზე, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მათ. ეკლესიის თავისი გეგმა მოეპოვებოდა, საპლოცველოს — თავისი. სხვა ნაგებობასაც დანიშნულებისდა მიხედვით სხვანაირი გეგმა უნდა ჰქონოდა. შენობის აგება იწყებოდა მას შემდეგ, როდესაც გეგმა არსებობდა. ამის შესახებ ჩვენ სრულად ვარკვეული ცნობები გვაქვს. ბასილ ზარზემელს აქვს აღნიშნული და ვიორგი მერჩულის თხზულებითგანაც ჩანს, რომ არამც თუ გეგმა ჰქონდათ ზოგადად წარმოდგენილი, არამედ მოდელბსაც-კი აკეთებდნენ წინასწარ.

საძირკველს ჰქონდა ქვაკუთხედი. ქვაკუთხედის დადებით იწყებოდა და იწყება ყოველთვის საძირკელის ჩაყრა და ამ ქვის ჩადებას ჩვეულებრივ საპატიო კაცს სთხოვდნენ ხოლმე ამშენებლები. საძირკველს ჰქონდა, ვგონებ, ბალავარი-ც. ბალავარი საინტერესო ტერმინია, რომლის სადაურობა ძნელი გამოსარკვევია, ჯერჯერობით მაინც. ამას ისიც ართულებს, რომ მისი მნიშვნელობა ორგვარია. წარწერათა მთელ რიგში ბალავარი საძირკვის ქვას ნიშნავს, ამგვარ გვაქვს ერთი წარწერა, რომელშიაც „ბალავარი“ იმ ქვაზეა თითქოს ნათქვამი, რომელიც საძირკველთან სრულებით არაა დაკავშირებული, არამედ ეკლესიის შესავალი კარების თვად არის დადებული. ესაა კუმურდოს ეკლესიის 964 წლის წარწერა, სადაც ნათქვამია: „იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საფუძველი ამის ეკლესიისაჲ ჯელითა ჩემ ცოდელისა სკოტრისათა... ერისთობასა ზუასსა, ესე ბალავარი მან დადვა“ (Mat. XII, 37). ქართლსა და კახეთში ეხლა ბალავარს შენობის კედლების ზემოთა ნაწილს, რომელზედაც კოქები იწყობა, აგრეთვე კოკებს შუა ამომწეხულს ქეთთორსაც ეძახიან. ამგვარ მნიშვნელობას უახლოვდება სიტყვა ბალავარი კუმურდოს ხსენებულ წარწერაში. საბა ორბელიანის სიტყვით ბალავარი არის „საძირკელის ქვა დიდ-დიდი“, მაგრამ ქვის ზომას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა¹. ყოველ შემთხვევაში, ის ქვა, რომელზედაც კუმურდოს წარწერაა ამოჭრილი, ნათლად არა ჩანს, თუ როგორ მოხდა

¹ თუმცა ბუსეროიძე ტბელის თქმით ის მცირე არა ყოფილა: დანუშავებული უხარმანარი ქვა ბოლოვ-ბასილმა „დადვა ბალავარად კარსა დასავალისასა, რლ არს მცირედ-ლა უნაკლულევანეს ათერთმეტისა მტკავლისა“-ო (ქპბი II, 115; ლ. მუსხელიშვილის გამ., გვ. 59).

ეკლესიის შესავალ კარებთან; ძნელი სათქმელია, თავის ალაგას არ არის იგი, გადაკეთების დროს მოექცა იქ, თუ ბალავარი სრულიად არ არის დაკავშირებული საფუძვლის დადებასთან.

სამირკველს რომ ამოიყვანდნენ მიწის პირად, შემდეგ ზოგჯერ კედელს, პირდაპირ სამირკველის გასწვრივ, აიტანდნენ ხოლმე, ხშირად-კი ჯერ ერთ-ორ პირს საფეხურის მსგავსად შემოავლებდნენ და მერმე მხოლოდ აიტანდნენ სწორე კედელს. ასეთს გარშემოვლებულ „შეკიბულს“ (საბა, იხ. აღსავალი) ხარისხი (ც^ა სრპ^ნსი, 43) ეწოდებოდა, ბერძნულად ძესლიძეძუჯ-„სტილობატეს“. ბასილი ზარხმელი მოგვითხრობს, „წარემართა შენებდა იგი ეკლესიისა... საფუძვლით და ხარისხითაგან ილუწოდა კაცი იგი“-ო (ც^ა სრპ^ნსი, 43). მართლაც ზარხმის ეკლესიას აქვს სამირკველზე დამყარებული ასეთი შეკიბული — „ხარისხი“, როგორც მტკიცდება უვაროვის აღწერილობაში დართული სურათით (Mat. IV, taб. XXIII). ეკლესიის ხარისხი, როგორც ჩანს, ძალიან მიღებული ყოფილა ქართულს ხუროთმოძღვრებაში და ეხლაც ბევრგან არის შენახული, მაგ., ჯვარის ეკლესიაში მცხეთის მახლობლად, კუმურდოში (Mat. XII, taб. VI, სურ. 12), წყაროსთავში (Mat. XII, taб. IX, სურ. 18), ჩახუხში (ქიანლის-ალთში) (Mat. XII, 87, სურ. 61), ნიკორწმიდაში (Mat. IV, taб. XLV), ატენში (Mat. IV, taб. LI), იკორთაში (Mat. IV, taб. LIII), ბეღიაში (Mat. III, taб. XVII), ბაგრატის ტაძარში ქუთაისში (Mat. III, 32, სურ. 14), მარტვილში (Mat. III, 47, სურ. 35).

საფუძველსა და ხარისხზე დამყარებული კედელი შეიძლებოდა სხვადასხვაგვარად ყოფილიყო ნაშენი: ცალპირადა და ორპირადა. „ცალპირი კედელი სულ თეთრის მარმარილოსი“-ო, ამბობს ერთგან ს. ორბელიანი თავის წიგნში: „მოგზაურობა ევროპაში“ (ცისკ. 1852 წ. № 1, გვ. 7). თუ ასეა, მაშასადამე, შეიძლებოდა „ორპირი“ კედელიც ყოფილიყო.

დიდს შენობაში სიმკვიდრის გულისათვის კედლის ქვები „რკინითა მოქლონითა ურთიერთას შექვიდონი არიან და აღდულებულითა ტყვიითა დამარებულ“ (აია სოფ. 594=დიეგესის 91, § 13), რკინის საღებავით და ტყვიით შეკრული არიან ხოლმე. ასეთი რამ, მართლაც, მცხეთის ჯვარში მოგვეპოვება, კლდისაქენ გადაშვერილ კედელში. ხოლო როცა ქვას ქვაზე ადებდნენ „სამსჭულითა დამსჭულვიდეს“ (აია სოფ. 590)... [სამსჭვალი ძველ ქართულში ლურსმანს ნიშნავდა. ლურსმანი შედარებით გვიან შემოდის; VIII ს-ზე ადრე არ იხმარებთ. ის ქართული სიტყვა არ არის, არაბულია. ძველს ქართულში მხოლოდ სამსჭვალი გვაქვს, და სამსჭვალით რაკი ამარებდნენ, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ მიწის ლურსმანი იყო].

ჩვეულებრივ დიდი და მოზრდილი ეკლესიები სამ უმთავრეს ნაწილად იყვნენ ხოლმე გაყოფილი სვეტებით. სუეტი, სვეტი (შტსი წა ნინოს ცა 48, 49, Опис. II, 776; ურბნისის სიონის ასომთავრ. წარწერა, ე. თაყაი-შვილის არქ. მოგზ. I, 43; აია სოფ. 586—588, 590, 592, 594—596, 599) უდრის ბერძნულს *κίον*—„კიონ“-ს (Διήγησις 67, 79, 85, 88, 93, 94, 98 და 106) და ძრგლ—„სტელე“-ს (ibid. 74). სვეტი რამდენისამე ნაწილისაგან შედგებოდა და თითოეულს ნაწილს თავისი საკუთარი სახელი ჰქონდა ხუროთ-

მოძღვრებაში. თუმცა ზოგჯერ სვეტი პირდაპირ იატაკზეც იყო ხოლმე დადგმული, მაგრამ უფრო ხშირად სვეტს თავისი განსაკუთრებული საფუძველი ჰქონდა ხოლმე, რომელზედაც იგი დაყრდნობილი იყო. ამ საფუძველს „სვეტის ხარისხი“ ერქვა. მცხეთის პირველი ეკლესიის აშენების აღწერილობაში ნათქვამია: „სუეტი იგი... დადგა ხარისხსა თუხსა ზედა“-ო (შტუნი წა ნინოს ცა 48—49, Опис. II, 781), „სუეტი ...დადგა ზედა ხარისხსა მას... ხარისხად იყო ძირი [იგი] მისი, რომლისაგან მოკუთუთლ იყო სუეტი იგი“-ო (ibid. 48, Опис. II, 780). სვეტის ხარისხნი ნახმარია «დაბადების» ქართულს თარგმანშიაც და იქაც (გამოსლ. თ. XXXVII 3, 6, 7, 11) ბერძნულს თარგმანის „ბაზის“-ს უდრის. თუმცა ზოგჯერ სვეტს ზემოდან არა ეხურა რა, მაგრამ ჩვეულებრივ სვეტს სარკველი უნდა ჰქონოდა და ამ სარკველს ეწოდებოდა „თავი სვეტისაჲ“, „თავნი სვეტისანი“ (აია სოფ. 586, 594). ბერძნულად ამას „კეფალაჲონ“ ეწოდებოდა: *κεφαλαίον*, *κεφαλή* „ჰე კეფალე ტეს კონოს“, „ჰაჲ კეფალაჲ ტონ კონიონ“ (დიეგესის 93, § 15), ხოლო ლათინურად — *capitellum*; გერმანულად — *Kapital* და ფრანგულად — *chapiteau*.

ამას გარდა სვეტისათვის ჩვენ გვაქვს საბურავი და ბულაური. „საბურავნი სუეტის თავთა ზედა“ (III მეფეთა, თ. 7 § 44) = *εξ σφραγδων των σπλγων επί των κεφαλων των σπλγων*. საბურავი *επίκελαιον* „აბაკი“-ს უნდა უდრიდეს. ბულაური «დაბადებაში» აქვს დასახელებული საბას, მაგრამ ჯერჯერობით ის ხელნაწერი, რომელსაც ის იმოწმებს, ამას არ ადასტურებს. სხვა ყველა შემთხვევაში საბას მითითება წყაროზე სწორი არის და არავითარი ეჭვი არ შეიძლება იყოს, რომ აქაც უნდა ჰქონოდა საფუძველი. ბულაური ეხლაც ცოცხალი სიტყვაა ხალხში. გამიგონია დურგალ დანი აშვილისაგან ასეთი განმარტება ბულაურისა: „სვეტის თავზე მოთავსებული კედელია. სვეტის მსგავსი მოყვანილობისა, მაგრამ განიერი“-ო. ხის ნაგებობაში ყოფილა უმთავრესად გავრცელებული. ბულაურს შემდეგ მნიშვნელობა ეცვლება და ბულაურად თითქოს თვით ის ჩუქურთმა და სახეები იწოდება, რომლებიც გამოყვანილია ხოლმე სვეტის თავის ზედა ნაწილზე. დარბაზებში იყო ძალიან გავრცელებული. ქართლში და კახეთში რომ დარბაზები იყო, სწორედ ასეთი აქრელებული ბულაურები ჰქონდათ და ამიტომ ბულაური საქართველოს ისტორიის ზოგიერთ სანაშში ამ მნიშვნელობით გვხვდება, მაგრამ თავდაპირველად მას სხვანაირი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი „აბაკის“ ქართული შესატყვისია.

სვეტს, თუ რომ ქეითორითა და აგურით არ იყო აგებული, ქვისას აშენებდნენ. ამას „ქვის სუეტი“ (დომენტი კუხის სიგელი, ქ. კბი II, 490) ეწოდებოდა. იგი ხშირად მთელი ქვისა იყო და ამიტომ სვეტს დადგმა „აღმართვა“ (აია სოფ. 591, 595) სჭირდებოდა. მაგრამ შეიძლება „სვეტები კედლისა“ (ს. ორბელიანი, მოგზ. ეგრ. „ცისკ.“ 1852 წ. № 4, გვ. 50) ყოფილიყო. ხშირად სვეტები კედელში იყო დატანებული, ან არადა კედელზე იყო მიდგმული, ასეთ სვეტებს „კედელზედ აყრდნობილი“ (ს. ორბელიანი, მოგზ. ეგრ., „ცისკ.“ 1852 წ. № 4, გვ. 54) ეწოდებოდა. ამ აყრდნობილს (კუთხედინანს) სვეტებს თანამედროვე ევროპულს ხუროთმოძღვრებაში პილასტრი (იტალ. *pilastro*, ფრანგ. *pilastre*, გერმ. *Pilaster*, *Wandpfeiler*) ჰქვია.

7. მატერიალური კულტურის ისტორია I.

სვეტები ან ერთ ხაზზე, გასწვრივ იდგა ხოლმე, ან „შუა მოვლით“, „მრგვლად“, „მოვლებული“ (ს. ორბელიანი, მოგზ. ვერ., „ცისკა“, 1852 წ. № 2, გვ. 31 და № 1, გვ. 3); ამასთანავე ან ერთობრად იყო ხოლმე ამართული, ან ორბირად, ანდა ოთხბირად-აც (ს. ორბელიანი, მოგზ. ვერ., „ცისკა“, 1852 წ. № 1, გვ. 3). როგორც გასწვრივ, ისე მრგვლადაც მოვლებული (ib.). ამას გარდა ამართული და აყრდნობილი სვეტები შეიძლებოდა ან თითო-თითო ყოფილიყო, ან ორ-ორი სვეტი მდგარიყო ერთად. ს. ორბელიანის სიტყვით „ორი რამ ტალი სუეტნი ამართულნი“ „ყოყდან“-ად იწოდებოდა (ლექსიკონი).

სვეტები, რასაკვირველია, ასე თუ ისე ვადაბმული და დამაგრებული უნდა ყოფილიყო. ამისათვის-კი საჭირო იყო ან „გარდასადებული სუეტისაჲ“ (III მეფეთა. თ. 7, 16—17) ან „შესაკრავი“ (III მეფეთა 6, 10) ან არადა „შენადგამი“ (აია სოფ. 594=„ქუქისის“, დიეგესის 93, § 15). ხუროთმოძღვრებამ უძველესი დროითგანვე ორგვარი ვადაბმა იცის: მარტივი და ბრტყელი, ბანური, და მეორე — უფრო რთული, კამარისანი (ს. ორბელიანი, ქ. ლექს., იხ. სიტყვა „მუბა“). ბანური სახურავი უმეტესად დარბაზებში გვაქვს დაცული; უფლისციხის დარბაზი სწორედ ამგვარი ყოფილა, სვეტები იყო, მაგრამ ბანური სახურავი ჰქონდა მას.

„კამარა“ უძველესი დროითგან გავრცელებული ტერმინია ქართულს ხუროთმოძღვრებაში (ნ. ცა სრპნსი, 26). ცისკამარა კარგად გვიხსნის, თუ რანაირად ჰქონდა ქართველს წარმოდგენილი მისი მოყვანილობა, მაგრამ კამარა მინც სხვადასხვანაირი იყო. ქართული კამარა ბერძნულის ამავე სიტყვას უდრის, მაგრამ ზოგჯერ (აია სოფ. 589, 591, 499). „ათვისს-საც“ (დიეგესის 106, 81, 85 § 10) აღნიშნავს.

რაკი ამარა ნახევარწრის მსგავსად ვადაბანილი და დაყრდნობილი არის ხოლმე, ან სვეტებსა ანდა კედლებზე, ამიტომ კამარის „შეკერა“ (აია სოფ. 586) შეიძლებოდა და არა ვადება. ჩვეულებრივ უფრო ხშირად სვეტებს კამარებითა ჰკრავდნენ ხოლმე. ამას ერქვა „შეკერვა კამართა“ (აია სოფ. 587=დიეგესის 75). როდესაც შენობა ქვით იყო ნაგები, მაშინ „საკამარე ქვა მოხრილი იყო“ ხოლმე და ამგვარ საკამარე ქვას ს. ორბელიანის სიტყვით „ხოში“ (I ნეშტთა 29, 2) ეწოდებოდა (ლექსიკ.). ამგვარი მოხრილი საკამარე ქვა არის მაგ. ნახმარი მცხეთის სვეტიცხოვლის გარეთა ბჰის კარზე და ეხლაც მშვენიერადაა შენახული (იხ. სურათი Натроев, Светицховели, გვ. 162, სურ. 36). სვეტები და კამარა იმითმ არის ზოლმე შენობაში, რომ თითოეულმა მათგანმა რიტეირთოს სიმძიმე ზედა კერძი ეკლესიისა“ (აია სოფ. 593), ან სხვა რომლისაზე შენობისა, და სქელი კედლების მაგიერ ამგვარი სუბუქისა და ჰაეროვანი აგებულობით მეტი ადგილი, მეტი მშვენიერება და სილამაზე მისცემოდა ნაშენობას.

იმისდა მიხედვით, თუ რაოდენი სიმძიმე უნდა ეტვირთა კამარას, ჰკრავდნენ ხან ჯაბალ კამარას-ს (ს. ორბელიანი, მოგზ. ვერ., „ცისკა“. 1852 წ., № 3, გვ. 60), ხან „მალას“. ამას გარდა კამარები ერთეირთმანეთისაგან მოყვანილობითაც განირჩეოდა. ხუროთმოძღვრებაში ბევრგვარი მოყვანილობა

ცნობილი, მაგრამ ქართულ ხელოვნებაში სამნაირი კამარა გვხვდება. რომელთა სახელებია: „კამარა მრგვალი“ (ს. ორბელიანი, მოგზ. ევრ., „ცისკა“, 1852 წ. № 1, გვ. 8); ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნახევრად მრგვალი, ნაღისმაგვარი და შვილმაგვარი მოყვანილობის კამარა. კოსტანტინეპოლის დიდებული წა სოფის აღწერილობაში მოხსენებულია „კამარა პილაკისა“ (აია სოფ. 586). ამ სიტყვის ქართული მნიშვნელობა ს. ორბელიანს მოყვანილი არა აქვს, იგი იხსენიებს სიტყვას „პილიკი“, მაგრამ ამისა ახსნაც მეტად ბუნდოვანია. ხოლო ქართული თარგმანის „კამარა პილაკისა“ ბერძნული დედნის „კულირიკოს“-ს (დეგესის 75) ან ცილინდრიანს უდრის. ამიტომ ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ კამარა პილაკისა მრგვალს ან ჩარდახოვანს კამარას ნიშნავდა.

კამარა ტერმინი შემდეგ ხანებში ქრება. როდის ქრება ის საბოლოოდ და როდის შემოდის ახალი მის მაგიერი ტერმინი თადი, რომელსაც ჩვენ ეხლა ვხმარობთ, ჯერ ჭამორკვეული არაა. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ საბა ორბელიანს თალი არა აქვს შეტანილი ლექსიკონში. ძნელი დასაჯერებელია, რომ იმ დროს თალი არ ყოფილიყო. ეს სიტყვა ქართული არ არის, თურქულიდანაა შემოსული, მაგრამ თვით ტერმინი შექვევლია უფრო ადრე უნდა იყოს შეთვისებული, მხოლოდ მწერლობაში რატომღაც აღნიშნული არაა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კამარა ქართულ მეტყველებაში გამჭრალი სიტყვაა, ნაგებობის ტერმინად ის უკვე აღარ გვაქვს. მთელ საქართველოში ხელოვნობისა და შინამრეწველობის ზეპირგადმოცემთა შგვროების დროს გამოირკვა, რომ კამარასოფლის მოსახლეობის მეტყველებაში აღმშენებლობის ტერმინად აღარ იხმარება და საერთოდ უკვე მიმკვდარებული სიტყვაა. მხოლოდ ორ თემში ჩანს იგი ოდნავ შერჩენილი. ქვემო რაჭაში კამარა ბუხრის წინა თაღს ეწოდება (გვ. 29), შიგნით კახეთში-კი კამარა თითქოს „ავკნის რკლებს შუა გადებული ხიდი“-ს სახელად არის ქცეული, რომელიც „ხელის გადასადებად“ არის განკუთვნილი (გვ. 68).

საგულისხმოა, რომ საბაჰს „კამარის“ მნიშვნელობა ასე აქვს განმარტებული (III მეფეთა 5, 3-ის დამოწმებით): „კამარა—კონქი, გინა ხულა“ (ლექსიკ.). ამავე ავტორის სიტყვის-კი „კონქი—კამარა“-ვეა. მეორე მხრით მალაქონქს წარმოადგენდა **საფსალმუნე-ც**, რომელზედაც დან. 3, 5-ის დამოწმებით ნათქვამია: „ესე არს წერილთა აღმოსაკითხავი მალალი კონქი, გინა ყოელი სამწყობრო“-ო (ლექსიკ.). კამარის განსამარტავად საბასავან დასახელებული მეორე ტერმინის ხულა-ს შესაბამე-კი მასვე უწერია „სახლი სავაქრის სადები“-ო (ლექსიკ.). ამ განმარტებითან ჩანს, რომ სავაქრო საქონლის საწყობად განკუთვნილს შენობას ჩვეულებრივ კამაროსანი საბურავი ჰქონია.

კამარა შეიძლება მრგვლად ნახევარსფეროს მსგავსადაც ყოფილიყო შეკრული. ხშირად შენობაში რამდენიმე ან მრავალი პატარა „მოსწორებულ“-ი (ს. ორბელიანი, მოგზ. ევრ., „ცისკა“, 1852 წ., № 4, გვ. 3) ერთი ზომის კამარაა ხოლმე შეკრული სვეტებზე და ერთი შუაგულში დიდი. კამაროსანს სვეტებსა და სვეტებს შუა ცარიელი ადგილი იყო და ამგვარს „სვეტ-

თა და სვეტთა საშუალოთა ადგილთა ტაძრისათა და მისთანათა“-ს ორბელიანის სიტყვით „ხორში“ ეწოდებოდა.

ხშირად ერთს პირს კამაროსანს სვეტებზე კიდეც „ზედა სვეტებს“ (აია სოფ. 592), ან „ზეითი სვეტებს“ (ს. ჩხეიძე 323), აღმართავენენ ხოლმე. ამისათვის თავდაპირველად, რასაკვირველია, ქვედა სვეტების კამარებზე სწორი ნიადაგის შექმნა იყო საჭირო. ამგვარს ნიადაგს, რომელზედაც ზედა, ანუ ზეითი სვეტები უნდა ყოფილიყო დადგმული, ქართულად „საქცეველი“ (აია სოფ. 592) ერქვა. იყო „მეორე საქცეველი“, რომელიც ბერძნული დედნის „ჰუპერონ“-ს (დიეგესის 88. § 11) უდრის, ხოლო თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში „იარუს“-ს ეძახიან. სწორედ „მეორესა საქცეველსა“ აღმართულ იყო ხოლმე „ზედანი სუეტნი დამართებით. კამარათა ზედა“ (აია სოფ. 592). ამ ზედა სვეტებსაც კამარებითა ჰკრავდენენ ხოლმე. ამგვარს მეორე საქცეველის სვეტებიან-კამაროსან სადგომს საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში თავისი განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა. იქ იდგნენ ქალები, პატივცემული მანდილოსნები, და ამ ნაწილს ერქვა „პატრონიკე“ (აია სოფ. 702), „პატრონიკონი“ (აია სოფ. 594), ხოლო თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში „ხორებს“ უწოდებენ (ფრანგ. Choeur). რომ პატრონიკონი სწორედ ამგვარ სადგომსა ჰნიშნავდა და არა სსსამართლო ადგილს, როგორც ეგონა ს. ორბელიანს, ეს, სხვათა შორის, შემდეგი წინადადებიდანაც ჩანს: სოფიას ტაძარში „მეორესა საქცეველსა აღმართნეს ზედა სუეტნი დამართებით კამარათა ზედა და დაბურეს პატრონიკონი“-ო (აია სოფ. 592).

ქართულ მწერლობაში „პატრონიკონ“-ს გარდა იხმარება იგივე სიტყვა „პატრონიკე“-ს სახით (წარტყუენვად იერუსალემისად, ნ. მარის ვამრ, TP, IX წ., გვ. 62 შენ.). ამავე ძეგლში გვხვდება საპატრონიკონი: სპარსთა მიერ დახოცილი „ვპოვეთ აღგმსა საპატრონიკეთასა ზედა სანათი სული“-ო (TP, IX, გვ. 13). ნ. მარი სთარგმნის „на ступенях Воскресения“, მაგრამ აღნიშნული აქვს, რომ თითონაც სათუოდ მიაჩნია და ვერ გადაუწყვეტია, თუ რეალურად რის აღმნიშნული უნდა იყოს. იგი ფიქრობს, რომ აქ ვადამწერის შეცდომა უნდა გვექონდეს დედნის „აღგმსა პატრონიკეთასა“-ს მაგიერ. იგი ფიქრობდა, რომ ეს ტერმინი შესაძლებელია დამახინჯებული ბერძნული წმკითა — „ბათრონი“-ისაგან იყოს წარმომდგარი, რომელიც საფეხურსა და კიბეს ჰნიშნავდა (იქვე, გვ. 62). საქცეველი ძესაც აღნიშნული აქვს, რომ მაქსიმე აღმსაარებელის ცხორების ქართული თარგმანის „პატრონიკეთა მის ეკლესიასათა“ უდრის ბერძნული დედნის „ენ კატეხუმენიო ტეს ეკლესიას“ (Иер. хан., გვ. 335), ხოლო „კატეხუმენ“-ად იწოდებოდა სწორედ იმგვარი სადგომი ქალებისა და კათაკმევლთათვის ეკლესიაში, როგორც იყო ზემოაღწერილ მეორე საქცეველზე მოთავსებული სვეტებიან-კამაროსანი პატრონიკონი. ქართულ ხელოვნებაშიაც მიღებული იყო „პატრონიკე“-ს აშენება და ეხლაც მშენებელად არის შენახული მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, წრომში (იხ. სურ. Mat. IV, თაბ. LXI), ტბეთში (იხ. სურ. Mat. IV, თაბ. XLII), თილვაში (იხ. სურ. Mat. IV, თაბ. LVII), სათარაში (სურ. Mat. IV, გვ. 83, თაბ. XXVII) და ბელიაში (Mat. III, 27).

სექტებზე დამყარებული და კამაროსანი ნაგებობის სართული, რომელსაც პატრონივე ეწოდებოდა, დამახასიათებელია ძველი ქართული ნაგებობისათვის. შემდეგში იგი უკვე სრულიად ქრება და XV ს-ში, როდესაც შეუდგენენ განადგურებულ ნაგებობათა აღდგენას, ალექსანდრე დიდის მეფობაში, მაშინ არა ერთი ამისთანა პატრონიკის აღდგენა მოახერხეს.

ყურადღების ღირსია, რომ ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში სიტყვა თალი შეტანილი არა აქვს. ცალკეულად მაინც ეს გარემოება იმის მომასწავებელი მაინც უნდა იყოს, რომ, თუ ეს ტერმინი XVII ს. უკვე ჰქონდა ქართულს შეთვისებული, მაინც ჯერ იშვიათი სიტყვა უნდა ყოფილიყო. თალი მთელს საქართველოშია გავრცელებული, სვანეთს გარდა, სადაც ამ ცნების გამოხატავად ტერმინად ხენიანგ-ს ხმარობენ.

თალის ნაწილებსაც თავისი სახელები აქვს: არსებობს თალის ფევი (ქიზ.) ანუ ფეხები (გარ. კახ.), რომელსაც მეორე სახელად ფაია-ც ეწოდება ქიზიყში. ფაია სპარსული სიტყვაა და იმასვე ნიშნავს, რასაც ქართული ტერმინი. თალის ბალიშიც იხმარება ტერმინად (ქვზ.). ხალხური განმარტებით ფაია არის თითქოს „იგივე თალის ბალიში, ანუ ფევი-კედელი, რაზედაც უნდა დებულა არის თალი“ (ქიზ. 53). მაგრამ ნამდვილად თალის ბალიში და ფეხი მაინც ერთმანეთისაგან განსხვავდება, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად უნდა განსხვავებული ყოფილიყო. თალის ბალიში მართლაც კედლის იმ ფენის სახელია, რომელსაც თალის ფეხები ებჯინება, ანუ საითგანაც უკვე თალის ფეხები იწყება, ხოლო თალის ფეხები დასწვრივი მიმართულებით მდებარე თალის ქვედა კიდურებია. ამას გარდა თალს, რა თქმა უნდა, გვარლებიც აქვს და შუაგული-ც, რომელსაც ჯიქას უწოდებენ გარეკახეთში (გვ. 51). თალის შუაგულზე მოყვანას იქ ჯიქაზე მოყვანას ეძახიან. დასასრულ თალის ლურსმანი-ც არსებობს (ქიზ.); იგია შუაგულის შემკერელი, ზოგჯერ ოდნავ წარმოზიდული, სოლისებრივი მოყვანილობის ნაწილი. გარეკახეთში თალის ფეხებს თითქოს თალის ფუნჯები ჰქვიათ (გვ. 50), მაგრამ რაკი ფუნჯი ქიზიყში „დაკბული კედელი“-ს სახელია (ქიზ. 50), და ფუნჯს ასეთი მოყვანილობა შიავავს კიდევაც, ამიტომაც უფრო საფიქრებელია, რომ თალის ფუნჯი ნამდვილად თალის ფეხის სინონიმი-კი არ უნდა იყოს, რომლის აზნაირად ამოყვანა არც შეიძლება, არამედ თალის ბალიშის, ე. ი. თალის ფეხის საყრდნობის წყობის გამომხატველი ტერმინი უნდა იყოს. მართლაც მას ხშირად ასეთი წყობა ჰქონდა.

თალებს აკეთებენ ფაცრიხას, როდესაც ხის ნაგებობაა, და აგურისა და ქვისას (ქ. იმერ. 14, გ. კახ., ქ. იმერ. 48 და ქიზ. 14). არსებობს სხვადასხვა ნაწილის თალიც. უმათერსად ფანჯრის თალია ხალხურ მეტყველებაში ცნობილი (ქ. იმერ.), შემდეგ კარების თალი (ფშავ. 15) და ბუხრის თალი ისევე, როგორც ზოგან აივნის თალიც (ქ. იმერ. 37 და 16).

თალებს სხვადასხვა მოყვანილობა ჰქონდა და აქვს საერთოდ. ამას გარდა, მათ სხვადასხვანაირი სიმაღლე (ქიზ. 54) და სივანეც ჰქონდა. ამისდა

გვარად არსებობს აგურიანი, აგურნახევრიანი (გარე-კახ. 51 და ქიზ. 52) და ორაგურიანი თალი (ქიზ. 52). ამაზე მეტი მიღებული არ არის და, რასაკვირველია, არც ექნებოდა მნიშვნელობა, რადგანაც თაღისა და კამარის დანიშნულებმა, განტიერთოს შენობა: ხოლო, თუ სქელი იქნებოდა, მაშინ დეკარგებოდა მნიშვნელობა.

თალიც სხვადასხვანაირი არსებობს. არის ვაკე თალი (ქიზ.) და თავგადმოყვანილი თალი. ვაკე თალი ისეთია, რომელიც ერთ ხაზზეა ამოყვანილი. თავგადმოყვანილი თალი-კი ისეთია, რომელიც ცოტა წამოწეულია. შემდეგ მოიპოვება ადლიანი თალი-ც, რომელსაც განმარტების მიხედვით „სიმაღლეს ციდას აძლევენ“ (ქიზ.). მთლად ნათელი ეს განმარტება არ არის. ციდა საზომია; სიმაღლეს პატარას აძლევენ და ადლიანი რატომ უნდა ერქვას, ძნელი გასაგებია. მერმე არსებობს კიდევ—განიერი თალი და ვიწრო თალი (ქიზ.), სწორე თალი (ქიზ.) და აწეული ანუ მიყუდებული თალი (იქვე), კოლორი ანუ მრგვალი თალი (ქართ.). კოლორი თალი საინტერესო ტერმინია. „კოლორ“ სომხურად მრგვალს ნიშნავს. (ყურძნის მრგვალ მარცვალსაც „კოლორ“ ეწოდება სომხურად). ტერმინი რომ ქართლში არ იყოს ჩაწერილი და ქართლში არ იყოს გავრცელებული, შესაძლებელია უშუალოდ სომხურთან დავეკავშირებინა, მაგრამ ეს ძნელი გამოსარკვევია. დასასრულ მოიპოვება კვვრცხის თალი-ც (ქართ.), უ. ი. ისეთი მოყვანილობისა, როგორიც კვვრცხია.

შემკულობის თვალსაზრისით არსებობს შემდეგნაირი თაღები: დაჭრელებული (ქ. იმერ. 27), ანუ მოჭრელებული (იქვე, 21) და ჩუქურთმიანი თაღი. (ქ. რაჭა. 10). ჩუქურთმიანი თაღები შეიძლება ჰქონდეს, რასაკვირველია, ქვისა და ხის ნაგებობას. აგურის ნაგებობაში აღმშენებელს საშუალება ეძლევა გამოიყვანოს ის, თუ ვალესილი იქნება.

თაღის გასაკეთებლად საჭირო იყო თაღის ჩარჩო. ძველად ამას კალაპოტი ეწოდებოდა. დავით აღმაშენებლის ანდერძში მხოლოდ ასეთი ტერმინია ნახმარი. თანამედროვე მეტყველებაში კი ჩარჩო იხმარება, რადგანაც თაღის ჩარჩოზე გადავლება (ქიზ. 52), ანუ გადატანა (გარ. კახ. 51), ანდა გადაყვანა (ქ. იმერ. 21), თაღის გამოყვანა (ქ. იმერ. 37) და თაღის შეკვრა (ქიზ. 54, ქ. იმერ. 37) მართო ამ ჩარჩოს დადგმით შეიძლება. ამგვარად, თაღის აგებისათვის ჩვენ გვაქვს რამდენიმე ტერმინი—გადავლება, გადატანა, გადაყვანა, გამოყვანა და, ბოლოს, თაღის შეკვრა. თაღის დამთავრების პროცესს თაღის შეკვრა ეწოდებოდა, ისე როგორც ძველად—კამარის შეკვრა.

ფეხის თაღის ბალიშზე ამოყვანას თაღის დაბჯენა ეწოდება (ქიზ. 53). როდესაც ერთად შეყრილი სამწილედი თალი გამოჰყავდათ, მაშინ ამაზე ამბობდნენ: თაღის შეკვრა სამივე კედრით, ე. ი. სამივე მხრით (ქ. იმერ. 37).

თაღის შეკვრა-გაკეთებმს შემდგომ იწყებოდა თაღის შესწორება (გ. კახეთი, 51) და სულ ბოლოს თაღის ხაკოჟედ მოყვანა (გ. კახ. 51), როდესაც ნაგებობას ბანური, ანდა ფერდობიანი სახურავი უნდა ჰქონოდა. რასაკვირველია, თაღის გაშრობა (შ. კახ. 48) აუცილებელი პირობა იყო, რომ ჩარჩოს გამოყვანა შესაძლებელი გამხდარიყო.

როდესაც თაღის გაკეთება უკვე აგებულ შენობაშია საკირო. ან განზრახული, მაშინ ასეთ სამუშაოს თაღის ჩაშენება ეწოდება (ქ. იმერ. 47).

2. შენობის ნაწილები

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს სტოა. ქართულს ძველ შწერლობაში ეკლესიასთან ერთად სშირად იხსენიება სტოა-ც (სიგ. 1020 წ. მელქიზედეკ კათალიკოზისა, ქქბი II, 31), ანუ როგორც უფრო ჩვეულებრივ ეწოდება, ხოლმე სტოკაჲ (ცჲ გგლ ნძთსჲ, გვ. მგ; III მეფეთა, თ. 6 § 5; აია სიუთიას აღშენ. 589, 593, 598). ამ სიტყვის გამოთქმა შემდეგ, როგორც ჩანს, უკვე XI ს. შეიცვალა და შტოდ გარდაიქცა (კუმურდოს XI ს. წარწერა, Mart. XII, 41; ცჲ იესი და ეფსი 35; ცჲ სრპნსი 44). სტოაჲ, სტოკაჲ, ანუ შტოჲ, ეტყობა ეკლესიებს სპარტეველოში სშირად ჰქონდათ ხოლმე მიდგმული, და ტაძრების აღწერილობების ძველ საბუთებში ამ სიტყვას სშირად ვხვდებით ხოლმე. გიორგი მერჩული მოგვითხრობს, მაგ., რომ მერეს „დეკანოზიცა მიიწია სტოკასა ეკლესიასა“ (ცჲ გგლ ნძთსჲ, გვ. მგ), ბასილი ზარზმელიც ამბობს: „აღაშენა (ეკლესია) შტოთურთ“ (ცჲ სრპნსი 43), „აღეშართეთ... ჯუარო..., საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიასა“-ო (ცჲ სრპნსი 44). გიორგი მთაწმიდელსაც აღნიშული აქვს, რომ ეფთუჲე, თუ „ოდეს მცირე რაჲმე საქმე არნ..., მოზიდნის ნელიად და შტოსა გაიყვანის... თუთ გაივდის შტოსა“-ო (ცჲ იესი და ეფსი, 35); კუმურდოს XI ს. წარწერიდან ვიცით, რომ ბაგრატის დედას დედოფალ მარიაშაც აუშენებია შტოჲ (Mart. XII, 41).

მაგრამ სტოკაჲ მარტო ეკლესიის განსაკუთრებულ ნაწილს არ შეადგენდა. იგი შეიძლებოდა სხვაგვარ შენობაშიც ყოფილიყო. შატბერდისეულ წაწინოს ცხოვრებაში მოხსენებულია სტოკაჲ ბაგინისა (გვ. 54, Опис. II, 726), ებრაელთა სამლოცველოსი, ხოლო შეათელს „აბდულ-მესიაში“ საქართველოს მეფის „ქართა სტოკანი“ (ნ. მარის გამოც., გვ. კხ) აქვს ნაქები. რას ნიშნავს ეს სიტყვა? ზემომოყვანილი მაგალითებითგანც ჩანს, რომ სტოვა შესავალის მსგავსი რაღაც შენობა უნდა ყოფილიყო. ნათარგმნ თხზულებებში სტოკა ხან ბერძნულსავე „სტოას“ ეთანასწორება (აია სოფ. აღშ. 593, 598 = Διήγησις 90 § 12, 103 § 26), „ნართექს“-ს (აია სოფ. 589 = Διήγησις 81) ხან „მელატრონ“-ს (III მეფეთა, თ. VI § 5, შტრ. ბერძ).

ბერძნულში სტოა სვეტებიანი დერეფნის მაგვარს შენობას, შესავალს ერქვა. იგივე „შესავალის“ მნიშვნელობა ჰქონდა ბიზანტიის ხუროთმოძღვრებაში ნართექსსაც. დუ კანეის სიტყვით [იგია] „ecclesiae vestibulum, porticus quae Aedis sacrae portis observatur vδρμῆξ extra aedem fuit, non intra (Glossarium). „სტოვანი გარემოს ტაძრისა“-ც (III მეფეთა, ან § 5) შეიძლება ყოფილიყო არამც თუ სხვა ქვეყნებში, არამედ თვით საქართველოშიაც. მელქიზედეკ კათალიკოზი თავის 1020 წ. სიტყვებში ამბობს, რომ მან მცხეთის კათოლიკე ეკლესია „გარეშემო სტოათა მოქმნითა“ გაამშენებია (ქქბი II, 31). შტოჲ ანუ სტოჲ შეიძლებოდა სხვადა-

სხვაგვარი ყოფილიყო, ან „დიდი სტოვაჲ“ [იხი სოფ. 589=გწაჲჲჲჲ ვაძმჲჲჲჲ (Διήγησις 81)] ან პატარა. ან კიდევ „საჩინოა შტოჲ“ (ჯე სრპნსი 44).

სტოვას დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენდა, რომ იგი სვეტებიანი, გვერდებზე ღია კამაროსანი შენობა იყო და ტაძრის ან სასახლის („კართა სტოვანი“) შესავალად ან გარემოსავლელად ითვლებოდა. უქვევლია თავდაპირველად საქართველოშიაც „სტოვაჲ“ და „შტოც“ სვეტებიანი, გვერდებზე ღია და კამაროსანი უნდა ყოფილიყო და ზოგიერთს ეკლესიებში ამის კვალი ეხლაც არის შენახული, მაგ. ზარზმაში. სერაპიონის ცა-ში მოთხრობილია, რომ ზარზმის ახალი ეკლესია იმათეთვე „აღეშენა შტოთურთ ვიდრე სარკუმელთამდის“ (გვ. 43) და ამ „საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისა“-ში გადაუსვენებიათ სერაპიონის ნეშტი (ib. 44). სწორედ ეს „შტოჲ“ ანუ სტოვა უნდა იყოს ის მართლაც სვეტებიანი შენობა, რომელიც მიდგმულია ეკლესიაზე, რომელსაც ზემოდან მართლაც სარკმელი აქვს და რომლის სურათიც მოყვანილი აქვს უვაროვისას თავის აღწერილობაში (Mat. IV, таб. XXIV, таб. XV და გვ. 51, სურ. 43). არც ეს „შტოჲ“ გადურჩა მერმინდელს გადაკეთებებს. წინამძღვარმა გაბრიელ ხურციძემ ამოაშენა ორ სვეტს შუა კედელი და „შვენიერი“ „შტოჲ“ დამახინჯა (E. Такаჩшвили, Арх. экс. I, გვ. 38—39)¹.

რომ „სტოვა“ მართლაც სვეტებიანი კამაროსანი შენობა იყო და ასეთი ეკლესიები „სტოვითურთ“ ჯერ კიდევ XVII ს. უშენებიათ, ეს ცხადად ჩანს ლევან ბატონიშვილის 1675 წ. შემდგომ დაწერილ გუჯრითვანაც, სადაც იგი ამბობს: „ვიწყე (ეკლესიისა) აღშენებად... და... წინ... მას სტოვა... რა ოდეს ეკლესია კამარითა შეეკარი, გავათავე და სტოვასა ზღუდე და სვეტნი აღვმართე და კამარა ჯერეთ არა შემეკრა და... მეუღლე... მიმეცვალა“-ო (საეკლ. მუხ. გუჯ. № 80, A. Натросв, Светицхველი, 342).

სტოვას კვალი შენახულია კუმურდოში, სადაც „შტოჲ ესე“ სახელი თვით შენობასვე ზედ აწერია. თავდაპირველად იგი სვეტებიანი, უქედლო და კამაროსანი ყოფილა, სვეტებსა და სვეტებს შუა ადგილი ღია ყოფილა და მხოლოდ შემდეგ ამოუშენებიათ კედლით ეს შუა ადგილები, როგორც ეს ეხლაც ნათლად ეტყობა იმ სურათზე, რომელიც დართული აქვს ე. თაყაიშვილის არქეოლოგიურს მოგზაურობას (Mat. XII, таб. VI, სურ. 11, იხ. აგრეთვე, გვ. 41).

სტოვას პირვანდელი სახე შედარებით კარგად არის შენახული იკორთაში (Mat. IV, 155, სურ. 142), სხალთაში (Mat. IV, 41, სურ. 36; გვ. 42, სურ. 37; გვ. 43, სურ. 39), ლეხენში (Mat. IV, таб. II), ზარზმაში (Mat. IV, ტაბ. XX და XXIV და გვ. 52), საფარაში (Mat. IV, 80 სურ. 63, გვ. 81) და ალში (Mat. IV, გვ. 99 სურ. 78, გვ. 100).

დროთა განმავლობაში „სტოვას“ პირვანდელი სახე დამახინჯდა, სვეტებს შუა ადგილი მკვიდრი კედლებით ამოაშენეს. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გამოციდილი მკვლევარი მაინც შეატყობს პირვანდელ სახეს. სხვათა შორის ამ მხრივ მეტად საყურადღებოა მცხეთის სვეტიცხოვლის სამხრეთ-დასავლეთის

¹ ე. თაყაიშვილი სვდებდა, როცა ამ შენობას უწოდებს *придел*, იგი „შტოა“.

კედელი, სადაც კედელში შერჩენილია ორი მოზრდილი სვეტი. ჩვენ ვიცით, რომ მელქიზედეკ კათალიკოზმა ამ ტაძარს „გარეშემო სტოაჲ მოუქმნა“ და შექველია ეს ორი სვეტი სწორედ ამ „სტოას“ ნაშთი უნდა იყოს და რომ ეს ასეა, იმით მტკიცდება, რომ მელქიზედეკ კათალიკოზისავე აგებული „გარეთი ბჭე“, რომელსაც იმდროინდელი წარწერაც-კი შეჰრჩენდა, ამგვარისავე და ამსახისავე სვეტებით არის შემკული.

მონღოლთა ბატონობის შემდგომ, დაქვეითების დროს, XV—XVI ს., როგორც ეტყობა, უკვე აღარ შეეძლოთ კვლავინდელი მშვენიერებით და ხელოვნებით აეგოთ სტოვა და ხშირად სრულებით უშტოვოდ აშენებდენ ხოლმე ახალ ეკლესიებს, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევაში XVII ს-შიაც იცოდნენ ხოლმე ეკლესიის „წინ... სტოვა“ და თვით „სტოვაც“ სვეტებიანი და კამაროსანი ყოფილა (იხ. ლევან ბატონიშვილის გუჯარი, А. Натроев, Светицховели, 342).

ქართულ ხუროთმოძღვრებაში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა ბჭეს (1020 წ. მელქიზედეკ კ'ზის სიგ., ქ'ებ II, 31). ბჭე შესავალსა ჰნიშნავდა. ს. ორბელიანის სიტყვითაც: „ეს არს სახლთა და ტაძართა შესავალი“. ბჭეს მკედრო კავშირი ჰქონდა კარებთან და ხშირად ეს ორი სიტყვა ერთად ისმარებოდა, მაგ. „კარისბჭეა“ (ხორენის ეკლ. წარწერა, Mat. XII, 31; წალენჯიხის ეკ. 1636 წ. წარწერა, Brosset. Voyage arch. Nev. rap. 12; ტიმოთეს მოგზ., „ჩუბინაშვილის ქრისტ. გვ. 138). დაბადების ქართულ თარგმანში „კარისბჭე“ (III ნეფეთა, თ. 7 § 50) ბერძნულს თარგმანის ძე პარმუჲა—„ტა პროთრა“—ს უდრის. როგორც ჩანს, მდებარეობისდა მისეღვით ბჭე შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო: ან გარეთა ბჭე (1020 წ. მელქიზედეკ კ'ზის სიგ., ქ'ები II, 31), ან მაშასადამე, შიგნითი ბჭე, ან წინაკარის ბჭე (წალენჯიხის ეკ. 1636 წ. წარწერა, Brosset, Voyage, Nev. rap. 12) და სხვა.

მცხეთაში საპატრიარქო ტაძრის, სვეტიცხოველის ძველი ვალავანი და კარები, სვეტებიან-კამარებიანი (Натроев, Светицховели, გვ. 162, სურ. 36), რომელსაც ზემოდან მელქიზედეკ კათალიკოზის წარწერა აქვს, სწორედ ის „გარეთი ბჭე“ უნდა იყოს, რომლის აშენება მელქიზედეკს მოხსენებული აქვს თავის სიგელში. ამ შემთხვევაში „გარეთი“ ბჭე, მაშასადამე, ვალავანის კარებზე მიკრული შენობა ყოფილა. ამასთანავე ყურადღების ღირსია, რომ კარები სვეტებიან-კამაროსანია.

როგორი-ღა იყო ხოლმე შიგნითი ან, საზოგადოდ, კარისბჭე ძველ დროს, ამის გამოკვლევა გეოგრაფიით ძნელია, იმიტომ რომ ხორენის კარისბჭის წარწერა, როგორც ეტყობა, თავის თავდაპირველ ალავას არ არის და გადატანილია (Mat. XII, 31; როსტომაშვილი, Ахалкалакский уезд в арх. откош., Сборник мат. мест. и плем. Кавказа XXV, გვ. 121) და ამის გამო, რა სახე ჰქონდა იმ კარისბჭეს, რომელსაც ეს წარწერა ამშვენებდა, ესლა ამის გადაწყვეტა შეუძლებელია.

მერმინდელ დროს-კი, XVIII ს. მაგ., კარისბჭე ეკლესიაზე იყო მიდგმული. ეს მტკიცდება ლევან დადიანის მიერ 1636 წ. აგებული კარისბჭით, რომელიც წალენჯიხის ეკლესიაზეა მიშენებული (იხ. Brosset, Voyage, Nev. rap.,

გვ. 11—12 და 9). ამიტომ შეგვეძლო გვეთქვა, თითქოს ამ დროს „კარისბტე“ და ეკლტერი ერთგვარი შენობა იყო, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა; ეკლტერსა, ანუ ეკლედრსა, და კარისბტეს შორის ამ დროსაც არსებითი განსხვავება ყოფილა. ეს ნათლად ჩანს ლევან დადიანის სიტყვებითგან, რომელიც ამბობს: „ჩვენი აშენებულ ეკლდერი წინა კარისა ბტე და ცუდი ალაგი იყო და აწუ ჩვენ... ეს კარისბტე ეკლდრად ავაშენეთ-ო“ (წალენჯიხის ეკლ. 1636 წ. წარწერა, Brosset, Voyage, Neuv. rap., 12). მაშასადამე, მხოლოდ რაღაც ცვლილების მოხდენის შემდგომ, შენობის გადაკეთების შემდეგ შეიძლებოდა კარისბტე ეკლდრად ქცულიყო. ეს გარემოება-კი ამტკიცებს, რომ მათ შორის XVII საუკუნეშიაც თვალსაჩინო განსხვავება არსებობდა.

ტიმოთე მიტროპოლიტი თავის მოგზაურობაში მოგვითხრობს, რომ ათონის ივერიის ლავრას ჰქონდა „გარეთნი მრჩობლკეცნი კარისბტენი და ვალავანი“ (ჩუბინ., ქრისტ., გვ. 138). რომ კარისბტე უბრალო შენობა არ იყო, ეს ხორენის ეკლესიის წარწერიდანაც ჩანს: ამ ტაძრის კარისბტის დასამთავრებლად მარტო კათალიკოსსა და მეფეს 37000 თეთრი დაუხარჯავთ (Mar. XII, 31).

კედლის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილი იყო სინათლის შემოსასვლელად ძველად ქართულში ხარკმლად იწოდებოდა.

თანამედროვე ნაგებობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რასაკვირველია, კედელში დატანებული ფანჯარა. სინათლე თუ არ შემოვიდა, დღეს ეს ჩვენთვის წარმოუდგენელია, მაგრამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ძველად კაცობრიობა უფანჯროდ ცხოვრობდა. ტერმინი ფანჯარა სრულებით უცნობია ძველ ქართული მწერლობისათვის XVIII საუკუნემდე. ამ საუკუნეშიაც ის სულ სხვის ნიშნავს, ვიდრე ჩვენ გვესმის. ამის მაგიერ იხმარებოდა ჯერ საკუმეღლი და მერმე სარკმელი.

სენაკს ჩვეულებრივ სარკმელი ჰქონია, რომლითგან სინათლე შემოდებოდა. ცხადია, რომ პატარა სენაკს მცირე და სარკუმეღლი ექმნებოდა და დიდს—მოზრდილი. იაკობ ხუცესს აღნიშნული აქვს, რომ იმ პატარა სენაკში, რომელშიც შუშანიკი დიდმარხვის დროს დაბინავებულა, „იყო სენაკსა მას მცირე და სარკუმეღლი და დაყო იგი; და იყო იგი ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით“-ო (წმბა შუშანიკისი, გვ. 10 = VIII, 3) „დაყოფა ძველ ქართულში ნიშნავს ამოვსებას („დაუყო პირი“, ე. ი. გააჩუმა)]. ამგვარად სენაკის სარკმელი დაყოფილი, ე. ი. დახურული ყოფილა და სინათლე ვერსაითგან ვერ შემოვიდებოდა.

სარკუმეღლი წარმომდგარია საკუმეღვისაგან. კუმეღვა ნიშნავს ბოლის ამოვლას. საკუმეღვი, მაშასადამე, თავდაპირველად იმ ხერცლის სახელი იყო, რომელიც კერის ზემოთ არსებობდა ყოველთვის შენობის ნაგებობაში და როგორღიდანაც ზევით აღიოდა კომლი. საკომურს რომ ვუწოდებთ, დაახლოებით ასეთი იყო საკუმეღვი, მაგრამ საკომური იმ მხრივ განსხვავდება სარკმლისაგან, რომ საკომურს ოთხკუთხი მოყვანილობის კვამლის ასასვლელი აქვს, რაც სარკმელს არ მოეპოვება. ამგვარად, თავდაპირველად ეს ხერცელი მხოლოდ იმისათვის იყო გაკეთებული, რომ კერაზე, სადაც ცეცხლი ენთო, მისი კომ-

ლი ასულიყო. სინათლის შემოსასვლელად ის არ ყოფილა გათვალისწინებული; ამისათვის კარს აღებდნენ ხოლმე. მაგრამ რადგან საკუმე-სარკუმლით სინათლეს ჩამოდიოდა, ამიტომ მას ორგვარი დანიშნულება ჰქონდა. პირველად ზევით არჩევდნენ სარკმელს, ხოლო შემდეგში, როდესაც გვერდებზე დაიწყეს გაკეთება, კედელში, გაჩნდა გვერდითი სარკმელიც. სარკმელს ორგვარი დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკომლე ცალკე კომლის ასასვლელი იყო, სარკმელს მიენიჭა სწორედ ის მნიშვნელობა, რომელიც ჩვენთვის ესლა გასაგებია—სინათლის შემოსასვლელი. საბასაც. ს ა რ კ მ ე ლ ს ე, «ქება-ქებათაჲს» 2, 9 დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ სახლთ სასინათლო, ანუ გადასაჭურეტი“-ო (ლექსიკ.). ასეთივე ვაგებით ს ა რ კ მ ე ლ ი იხმარება «ივანია»-ს 7,6-7-შიც: დედაკაცი „ს ა რ კ მ ლ ი თ სახლისაგან მისისა გზასა ზედა ქ ვ რ ო ბ ს... უკუეთუ იხილ ოს... ჰაბუკი“ (= *απὸ γὰρ ὑπερῶν ἐξ ὧν ὄχι οὐκ ἀντιφάσις ἐστὶν τῆς πλᾶξεως; παρακλῆσις αὐτῶν ἐστὶν ἰδεῖν... νεανίας; De fenestra enim domus meae per cancellos prospexi... et video... juvenem*)¹. ის ერთი მხრით იმისთვის იყო გაკეთებული, რომ სინათლე შემოსულიყო, ხოლო მეორე მხრით, რომ გადახედვა შესაძლებელი ყოფილიყო. როდის ენიჭება ასეთი დანიშნულება ამ სარკმელს, რასაკვირველია, გამოსარკვევია, მაგრამ მოგვეპოვება საბუთები X—XI სს-ისა, როდესაც სახლში, კედელშია დატანებული ასეთი სარკმელები. შემდეგ ვეფხის-ტყაოსნის აღწერილობითგანაც ირკვევა, რომ იმ დროს სარკმელი კომლის ასასვლელი კი არაა, არამედ სინათლის შემოსასვლელი და შემდგომ გადასახედიც- აი სათანადო მოწმობანიც.—გულანშაროელი ვაქართუშუცისის ზღვაზე წაკიდებულ ტურთა სახლს სარკმელები ზღვისავე ჰქონია. საკულისხმოა, რომ სარკმელი შიგნითკენ იღებოდა თურმე. ეს ფაქტმანის შემდეგი მოთხრობათგან ჩანს. ფატმანი აეთანდის უამბობს:

„უკმოვახვენ სარკმელნი და შევაქცივე პირი ზღვასა, ვიხედვიდი, ვიქარვიდი კეშნისა ჩემგან ზრდასა, შორს ამიჩნდა ცოტა რამე, მოუტრევიდა შიგან ზღვასა... მე შორიდან ვერად ვიცან, მამეახლა, იყო ნავი“.

(აბულ. 1059, 1—3 და 1060,1; კაკ. 1082—83; შდრ.საიუბ. გამ. 1128-29).

შემდეგ უკვე ფატმანი ამბობს:

„მე სარკმელთა გარდავადეგ, რა შევიგენ, არ მოჰყიდეს, შეუზახენ“-ო... (აბულ. 1066,1; კაკ. 1089; საიუბ. გამ. 1135, 1).

შესაძლებელია სარკმელი ქვაბსაც ჰქონოდა, მაგ., ქვაბში დამალული

„ათანდილ სარკმლით უჭვრეტ და, ტყვე საკნით ნააზატები“

(აბულ. 219,1; კაკ. 244; საიუბ. გამ. 267,1).

ჰქონდა თუ არა ამ სარკმელს რაიმე ჩასმული შიგ, რომ ქარი ან წვიმა არ შემოსულიყო? ჩარჩო, რასაკვირველია, გაჩნდა მას. მაგრამ დაცული იყო რითმე ის გარედან, თუ პირდაპირ ღია იყო, ჩვენ ამის შესახებ ძველ ძეგლებში არა გვაქვს ცნობები. საყურადღებო გარემოებაა, რომ გიორგი მერჩულის მოთხრობით IX ს-ში ბერ-მონაზვნების სენაკებში სარკმელი-კი იყო, მაგ-

¹ სხვა მოწმობანი წყაროებისა ნ. „საძიებელში“ სიტყვა სარკმელ -ზე

რამ ცეცხლს არ ანთებდნენ, აკრძალული იყო, ბერმა სიცივე უნდა აიტანოსო. შართალია, მონასტრები კლარჯეთში იყო და იქ ისე არც ცივა ზამთარში, რომ სიცივის ატანა გასძნელებოდა ადამიანს, მაგრამ მაინც საყურადღებოა, თუ რისთვის იყო საკუმელი. ცხადია, ის კომლის ასასველად-კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ სინათლის შემოსასველად.

ჰქონდა თუ არა სარკმელს გამოსაღებელი ფანჯარა, რომელსაც ეხლა ჩვენ აუცილებელ კუთვნილებად ვთვლით სარკმლისათვის? ძველად ასეთი რამ არ ჰქონია, რაც ცხადად ჩანს ყველა ძეგლიდან. ის ღია იყო და ჰქონდა ბადის შუავესად ან დასაცველი კარისებრ დარაბა. დარაბას რომ გამოაღებდნენ, მას სხვა რამ აღარ იცავდა.

ფანჯარა ჯერ კიდევ XVII ს-ში იმას არ ნიშნავს, რასაც ჩვენ ეხლა ვუწოდებთ. არც საბას აქვს ისე განმარტებული, რომ XVII ს-ის ფანჯარა ეხლანდელი ფანჯრის მსგავს ნაგებობად წარმოვიდგინოთ. „ფანჯარა თურქთა ენაა, ქართულად კანკელი და ლანძვი და არდაბაგი ჰქვან“ (ლექსიკ.). ამ განმარტების რეალური მნიშვნელობის გასაგებად, უნდა არდაბაგისა, კანკელისა და ლანძვის რაობა ვიცოდეთ. არდაბაგზე ამავე მეცნიერს IV მეფეთა 1, 2-ის დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ „ესე არს ერდოსა ზედა, გინა გარდასაქრელთა ადგილთა ხარისხა მოავლონ, რათა კაცი არ გადაიქრას, გინა ფანჯარა“-ო (ლექსიკ.)

ზემომოყვანილი განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ ფანჯარა XVII ს. ქართულად სარკმლის, ან ისეთი სხვა ადგილის, საითგან ვადაეარდნა შეიძლებოდა, ამისაგან დასაცავად განკუთვნილს ნოაჯირსა ნიშნავდა. მაშასადამე, ის XVII ს-ში ჯერ იმას არ ნიშნავს, რა მნიშვნელობაც მას შემდეგში მიენიჭა და ამიტომ, რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი მნიშვნელობა მას ამაზე ადრე ჰქონოდა. მაგრამ ვეფხისტყაოსანში მიანიც აღნიშნულია, რომ „სარკმელი გამოეალე და ვადვიხედეთ. სანამ სარკმელს არ გამოაღებდა, დანახვა არ შეეძლო იმიტომ, რომ იმ დროს სარკმელს დარაბის მსგავსი მისადებელი ჰქონდა, და სანამ ის იყო დახშული, დანახვაც არ შეიძლებოდა. როდესაც დანახვა სურდათ, ის უნდა გამოეღოთ და რომ გამოაღებდენ, მაშინ დაინახავდნენ.

ფანჯარა XVII ს-შია ქართულში შემოსული, მანამდე სარკმელია. შემოსულისას ფანჯარას ჯერ კიდევ ის მნიშვნელობა არ ჰქონია, რომელიც შემდეგში მიენიჭა მას, არამედ ის ერთგვარ დასაცავს წარმოადგენდა, რომ კაცი არ გადაეარდნილიყო. ასევე იყო ძველად, მის მაგიერ ხის ან ლითონისაგან ვასაყეთებელი დასაცავი ფარდა ჰქონდა ხოლმე. ს. ორბელიანს, ფარდაგის ის ქვეშე ნათქვამი აქვს, რომ კოზიმიტი არის „მცირე ფარდაც სარკმელთ წამოსაფარებელი“ (ლექსიკ.), ხოლო ცალკეულად ამავე ტერმინზე საბა ამბობს, რომ „კოზიმიტი მცირე კრეტსაბშეღია სარკმლისა“ (იქვე). კრეტსაბშეღი ფარდას ნიშნავს ძველ ქართულში, ის დიდი ფარდა იყო, აქ კი სარკმლისათვის განკუთვნილი — კოზიმიტია.

სარკმელი თანამედროვე ქართულში, ხალხის-მეტყველებრაში, მხოლოდ აღმოსავლეთს საქართველოში-დაა შერჩენილი. აქაც მარტო ხეცსა, ხეცსურეთს, ფშავში, თუშეთში, გარე-კახეთსა და ქიზიყშია. დასავლეთ საქართველოში მხო-

ლოდ რაქაში მოიპოვება. მთიანეთში სარკმელი უპირველესად კერის ასწვრივ მყოფი საკვამლისა და სანათურის სინათლის ჩამოსასვლელის აღმნიშვნელია. მაგრამ იქაც, და მეტადრე კახეთ-ქიზიყში, ორგვარი სარკმელი არსებობს: ზემო სარკმელი და გვერდის სარკმელი (ხევი 40).

სარკმელს აქვს თავი (თუშ.), ჩარჩო (გ. კახ. 27) და კარები (თუშ.). ზემო რაქაში იციან სარკმლის კარების მიხურება დამით, ანუ მჩხურება ფიცარითა (გვ. 10).

XIX ს-ის დამდეგს ფანჯრის მნიშვნელობა უკვე ისეთივეა, როგორც ეს-ლა წარმოვიდგენია. საბა ნინოწმადელს ოაგის ჰროვარტაგ-გუჯარში ნინოწმადელის საყდარზე ნათქვამი აქვს: „ამას გუმბათსა, გინა ყელსა და ძირს ეკლესიასა რაც კანკელი (რლ არს ფანჯარა) აქუნდა, ჩისა იყო და იგიცა დაძველებულ. მე ახლად ქმნილნი სპილენძისა მართულითა ფანჯარანი განვაწყენ, რიცხვით ათექვსმეტი, და გარდა ამისა მართულისა ფანჯარასა მას, წვიმისა და ქართა შემოუსვლელობისათვის მინა განვაწყენ და რვა ფანჯარა კერძობზედ ესრეთ შევამკე“-ო. როგორც ვხედავთ, ძველ ფანჯარას ჩარჩო ჰქონია გარშემო, მაგრამ მინა არა, თავისუფლად შემოდიოდა თურმე ჰაერი და წვიმა, რისთვისაც მინა ჩაუსხამს მასში.

ყოველი ეკლესია, თუ სხვაგვარი შენობაც, რასაკვირველია, დახურული უნდა ყოფილიყო და „სახურავი“ (ს. ორბელიანი) ჰქონოდა. ზედაბურვა (1020 წ. სიგ. მელქიზედეს კზისა, ქკბი II, 31), ზებურვა (აია სოფ. 591) ან დაბურვა“ (დომენტი კზის სიგ. XVII ს. ქკბი II, 490) სხვადასხვანაირად შეიძლება. დახურულ შენობას „საბურველიანი“ (იხ. ს. ორბელიანი, სიტყვა „მუბა“) ერქვა. ყველაზე უფრო ადვილი სამუშაო იყო, როდესაც შენობა „ხით იყო დაბურველი“ (საბა ორბელიანი, მოგზ. ევრ., „ცისკ.“ 1852 წ. № 2, გვ. 21), როცა „დააბურვინებდნენ“ ხოლმე „ფიცრითა“ და „ყავრითა“ (დომენტი კზის სიგ. XVII ს., ქკბი II, 490—491).

გაცილებით უფრო ძნელი და რთული სამუშაო იყო, როცა შენობა ქვით უნდა ყოფილიყო დაბურველი; ამისათვის, განსაკუთრებით-კი როცა გუმბათიანი აგებულება იყო, თვით შენობაში განსაკუთრებული მოწყობილობა უნდა ჰქონოდა, რომელსაც ქვის საბურავის სიმძიმე შეეძლო ეტვირთნა. საბურველიანი ქვის შენობების სხვადასხვა აღწერილობაში გვხვდება შემდეგი სიტყვები, რომელნიც ამ მოწყობილობის ნაწილებს აღნიშნავენ: კუთხი (ცა სრპნსი, 26; ურბნისის სიონის წარწერა, ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზ. I, 43), ყურე (აია სოფ. 591), ყურენი (აია სოფ. 594), სამკურო (ცა სრპნსი, 43), სამკრო, სამკრონი (ტფილ. სიონის 1657 წ. წარწ. Brosset, Voyage, Rap. cinq. 34; კზის ნიკოლოზის მცხეთის სვეტიცხოვ. XVII ს. წარწ., ქკბი II, 505; იკორთის 1673 წ. წარწ., ქკბი II, 488; მარტვილის წარწ. 1686 წ., ქკბი II, 504; სეხნია ჩხეიძე 323; ალავერდის წა გიორგის ხატის 1724 წ. წარწერა, Brosset, Voyage, Rap. I, 66), გუმბადი, გუმბათი (სმბტს ქკა, 47; ტფ სიონის 1657 წ. წარწ., Brosset, Voyage, Rap. cinq. 34; სეხნია ჩხეიძე 323)

ზოგიერთი ზემომოყვანილი ტერმინის მნიშვნელობა ცხადია და ადვილად განსაპარტავი. ზოგიერთის გამორკვევა-კი დანამდვილებით ჯერჯერობით ძნელია და ამგვარი სიტყვების მნიშვნელობის ახსნა სათუოდ უნდა ჩაითვალოს.

კუთხი მოხსენებულია სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. ეკლესიას რომ აშენებდნენ ძველ, მახლობლად „უწმ[რ]ად მდებარე“ ეკლესიის ნანგრევებით სარგებლობდნენ და ეხლაც კი „იციან იგი ზოგნი რაჟმე კუთხთა მიერ და კამარათა“ (ც^ა სრ^ანსი, 26 და კეკ. 167, 20—21); იგივე სიტყვა ურბნისის სიონის წარწერაშიც, რომელიც მოგვეთხრობს: „იყო ესე ს[ი]ონი დ[ა]ქ[უ]ლებულ ო[ვ]ფ[რო]ს ზ[ო]მ[ი]სა: ოთხნი კ[ო]ვთხნი და კ[ონ]ქი ვ[ან]პ[ობი]ლ იუ[ვ]ს“-ო (ე. თაყაიშვილის, არქ. მოგზ. I, 43). ამ წარწერაში ქარაგმინი სიტყვა „კუთხნი“ კუთხენი-კი არ არის, როგორც კითხულობს ე. თაყაიშვილი (ibid), არამედ „კუთხნი“. ამ ტერმინის მნიშვნელობის განსაპარტავად მხოლოდ ორი ცნობა მოგვეპოვება, რომელთაგან მარტო ერთის აზრია მთლად ნათელი, სახელდობრ, აია სოფიას ტაძრის აღწერილობის ქართულ თარგმანში ნათქვამია: „მარჯვენსა მჯარსა, კუთხსა ზემოსა სვეტისა (?), ოვსა გუმბადის მიმართა...“ (აია სოფ. 592), ბერძნულ დედანში ამ ადგილას ნათქვამია; „ისი ტო დექსიონ მეროს ტუ პინჟუ ტეს ანო აფსიდოს ტეს ანერხომენეს ები ტონ ტრულონ“ (დიეგესის 88, § 10). მაშასადამე, ქართული კუთხი ბერძნულ პინჯოს-ს უდრის, ხოლო ამ ტერმინის შესახებ Du Cange ამბობს: «*mediae partis aedi incumbit ingens Hemispherium, quod ἡμισφαίριον dicitur. Sustinetur illud quatuor Pillis maioribus, quas πειραστής et πύλας vocant*“ (Glossarium med. et inf. gr. Explicatio tabularum¹). დუკანჟის სიტყვებიდან ჩანს, რომ პინჯოს ბიზანტიაში იმას ერქვა, რასაც ეხლა ხუროთმოძღვრებაში ფრანგ. pilier, ვერ. Pfeiler და რუსულად пила-ს ეძახიან. ამასვე, ანდა ერთ-ერთს იმ ოთხ დედა სვეტთაგანს, რომელმაც უნდა იტვირთოს ხოლმე გუმბათისა, ან შუა კამარის საშიძივე, აღნიშნავს, მაშასადამე, ქართული ტერმინი კუთხი-ც. ამიტომაც არის ნათქვამი ურბნისის წარწერაში „ოთხნი კუთხნი“-ო.

ყურე და ყურნი ან ყურენი ჯერჯერობით მხოლოდ ნათარგმნ თხზულებებაში მოიპოვება, ისიც მხოლოდ ორჯერ, აია სოფიას აღწერილობაში. იქ ნათქვამია „ღამყარნეს ოთხნი ყურნი კამარათა შესაკრებელნი და ზედა კერძო იწყეს მრგვლად აღშენებად გუმბადისა (აია სოფ. 594). ამ აღწერის მიხედვით ოთხნი ყურნი ყოფილან „კამარათა შესაკრებელნი“ და ამ ოთხს ყურებზე იყო დაფუძნებული „ზედა კერძო“ მრგვლად აღშენებული გუმბადი, რასაც თანამედროვე ხუროთმოძღვრებაში რუსულად „паруса“ ჰქვია.

ყურენი ნახევარსფეროვანი კამაროვანი მოყვანილობისა იყვნენ, მხოლოდ ეს ნახევარსფეროვანი კამარა ნაპირზე იყო დაყენებული და ცოტა გადმოხრილად იყო O; იქნებ სწორედ იმიტომაც ერქვა მას „ყურე“, რომ ცოტად წინ წარმოზიდული იყო, ყურე ხომ „არს წარზიდული რამ ადგილი“ (ს. ო. რბელიანი, ლექსიკ). იმავე აია სოფიის აღწერილობაში ნათქვამია: „ღამართნეს კამარანი მარჯვენით და მარცხენით და შებურნეს სამხრონი და ყურეთა კამარანი“ (აია სოფ. 591) [დაუხუარეთ ეკლესიის გვერდების კამარანი და ყურეთა კამარანი]. ბერძნულს დედანში აქ სწერია „სკჟეიკას აფსიდას“ (დიეგესის-

85—86, შგნ.; თვით ტექსტში დაბეჭდილია „კეთალიკის აფსიდას“). „სკვფოს“ ერთგვარი ფილა იყო და ამ შემთხვევაში ურთეთა კამარის მოყვანილობას ახასიათებს (იხ. Du Cange, gloss).

სამკრო ხშირად გვხვდება ქართულ წყაროებში. ბასილი ზარზმელი მოგვითხრობს, რომ ზარზმის ახალი ეკლესია „ადეშენა ვიდრე სამკურემდე (sic?)“ (ცხად სრპნსი, 43). ტფილელი ელისე საგინაშვილი ამბობს, რომ მან 1657 წ. ტფილისის სიონის „სამკროები“ ააშენა (წარწერა, Brosset, Voyage, Rap. cinq. 34). ნიკოლოზ კზსაც ერთ საბუთში აღნიშნული აქვს: მცხეთის სვეტიცხოველს „ხუთნი სამხრო (sic) გამოუტევალეთ და ხელახლად აღვაშენეთ“ (ქკბი II, 505). იკორთის 1673 წ. წარწერაში ნათქვამია: ჩვენ „ერისთავმან იესე...ოთხი სამკრო გაეაკეთეთ“-ო (ქკბი, 488). მარტვილის საყდრის ჩრდილოეთის კარებს ზემოთ კედელზე წარწერაში აღნიშნულია: ჩვენ „ოტიამ დავახატინეთ სამკრო ესე ტაძრისა შენისა ჩვენად საფლავად“-ო (წარწ. 1686 წ., ქკბი, II, 504). ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის სიტყვით ვახტანგ VI „...აღაშენა ქალაქს სიონისა გუმბათი და სამხრო“-ო (გვ. 323). დასასრულ ალავერდის წაგორგის ხატის 1724 წ. წარწერაში ალავერდელ ჩოლაყაშვილს ნიკოლოზს მოთხრობილი აქვს: „ლორუინითა დაეზურეთ წინა სამხრო ქეთია და დაბალი სამხრონი ურთხლისა ფიცრიბა“-ო (Brosset, Voyage, rap. I, 66).

შემომოყვანილი მასალებიდან ჩანს, რომ შენობაში ერთი-კი არა რამდენიმე სამკრო იყო, ოთხი და ხუთი სამკროც შეიძლებოდა ყოფილიყო. ამას გარდა მდებარეობისა და მიხედვით ერთ მათგანს წინა სამკრო ერქვა, მაშასადამე, მეორეც, უკანა სამხროც უნდა ყოფილიყო. სიმაღლისა და გვარად იყვნენ აგრეთვე „დაბალი სამხრონი“ და იქნებოდნენ, ალბათ, მალალი სამხროებიც.

რა იყო მამ სამკრო? ბასილი ზარზმელის სიტყვებიდან ჩვენ შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ როცა ეკლესიას აშენებდნენ, კედლებს ჯერ „სარკმელთამდის“ აიყვანდნენ, მერე „ზედა სარკმელ“-ს მიაღწევდნენ და მხოლოდ ამის შემდგომ სულ ზევით იწყებოდა „სამკრო“. როდესაც ეკლესია აშენებული იყო „ვიდრე სამკურამდე“ (?), როგორც ეს მოხდა ზარზმაში მიქელის მამასახლისობაში, მაშინ მის მოადგილეს ცოტა-ლა ჰქონდა ვასაკეთებელი და მას შეეძლო ადვილად „პირველვე სრულ (ე)ყო ეკლესია“ (ცხად სრპნსი, 43). მაშასადამე, სამკრო იყო შენობის ჩვეითი ნაწილი. ხოლო მარტვილის 1686 წ. წარწერიდან, სადაც ოტიამ ამბობს, დავახატინე „სამკრო ესე ტაძრისა შენისა“-ო (ქკბი II, 504), ცხადად ჩანს, რომ სამკრონი ტაძრის ნაწილები იყვნენ. ხოლო სახელები „წინა სამკრო“ და „დაბალი სამკრო“ ამტკიცებენ, რომ შენობის ამ ნაწილების სამკროებს სხედასხვა მდებარეობა ჰქონდათ და სხედასხვა ზომისა იყვნენ. სიტყვები „წინა სამკრო“ და უკანა სამკრო, „დაბალი“ და მალალი სამკრონი უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ შენობის ეს ზევითი ნაწილები, „სამკრონი“, მართლაც რომ მხრებსავეთ გადაქიშული ნაწილები იყვნენ, რომელნიც სიონის გვეგმაზე უგუმბათო ეკლესიას შუა ნაწილს აკეთოქით გვერდით მხრებ ჩამოშვებულსავეთ დვანან, ხოლო გუმბათიანში და ჯვარისსახიანში გუმბათის წინ და უკან მალალი და დაბალი ორივე გვერდით.

მ. ბროსეს სიტყვით *On appelle ainsi de petites constructions qui se font en quatre endroits, à la naissance de la coupole, destinées à la soutenir, et reposent sur les murs capitaux, entre les bras de la croix, par dehors; on dit que c'était autrefois les cachettes où se déposaient les trésors des églises.* Au lieu de ce mot dans la copie de l'exarque on lit ყმართოები, qui c'est pas géorgien et qui a été traduit par *сводки*; dans ce cas il faudrait კამარები¹ (*Voyage, cinq-rap., 34, შენ. 2*). თუმცა ბროსე ჭეშმარიტებასთან ახლოა, მაგრამ, რასაკვირველია, იგი მაინც სცდება, როცა „სამქრო“-დ გუმბათის ფეხთან ოთხი მხრივ პატარა გამოწვეულ კუთხედიან ნაწილს სთვლის. ბროსეს ახსნა რომ სწორე ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა მხოლოდ ოთხი სამხრო ყოფილიყო, ჩვენ-კი ვიცით, რომ სამხრო ხუთიც შეიძლებოდა ყოფილიყო; ამასთანავე, მაშინ ყველა სამქრონი ერთი ტანისა იქნებოდნენ; ზემოთ-კი აღნიშნული იყო, რომ არსებობდნენ „დაბალი სამხრონი“-ც. დასასრულ ბროსეს აზრი რომ სამართლიანი ყოფილიყო, მაშინ არც „წინა სამხრო“ უნდა ყოფილიყო, არამედ მარტო გვერდების სამხროები.

შენობის დახურვას ერქვა დაბურვა და სახურავს კიდევ საბურავი ეწოდებოდა. მაგ., ათონის აღაპებში სწერია: „პანაშვიდი არიშინისა... მოგუცეს ეკლესიისა საბურავა და დრაჰკანი: რმი: (150)-იო“ (ათონ. კრებ. 229, § 54). საბურავი სამქროს ზემოდან იყო: „დავბურეთ წინა სამხრო ქვითა და დაბალი სამხრონი ურთხლის ფიცრითა“-ო, ნათქვამია ალავერდის წაგორგის ხატის 1724 წ. წარწერაში (*Brosset, Voyage, rap. I, 66*).

მაგრამ შენობის კედელს საბურავამდე გარშემოვლებული ჰქონდა ცოცხალი წარმოზიდული ნაწილი, რომ ნამი და წვიმა სახურავიდან ზედ კედლებზე კი არ ჩამოსულიყო თქრიალით, არამედ ოდნავ მოშორებით მიწაზე დათბულიყო. ამ საბურავის პირას და ქვეშ მყოფ წარმოზიდულს ნაწილს ქართულად „საცვარე“ ანუ „საცვარე“ ეწოდებოდა. თბილისის სიონის 1710 წ. წარწერაში ნათქვამია: „ბატონიშვილი ვახტანგ განმაახლებელი გუმბათით, ლორფინსაცვრით მონასტრისა ამის“-აო (*Brosset, Voyage. Rap. cinq., 35*). ბროსე ამბობს: ამ სიტყვის მნიშვნელობა მე არ ვიცი, მაგრამ საქართველოში რუსულად *капиз*-ად სათარგმნინაო (*ibid*). საცვარე, ანუ საცვრე ბერძნულს *αμαακζμα*, -სიმას უდრის (*O. Hartmann, Stilkunde 23, 24*) და ხუროთმოძღვრებაში მართლაც ეხლა „კარნიზად“ იწოდება.

შენობას სინათლის შემოსავალი შეიძლებოდა ზევინანაც. ჰქონდა და ამასთანავე დაბურული ყოფილიყო. ამისთანა შემთხვევაში მას შუაზე-ამაღლე-ბული თავსაბურავი უნდა ჰქონოდა, რომელსაც ქართულ ხუროთმოძღვრებაში გუმბადი (სმბტს ქკა, 3 ქკა 47, იას სრფ. 539, 592, 594, 595, 599 = *բաჲ-ღი,ბ* — *Ասիყოჯ* 81, 88 § 11, 98 § 21, 105 § 28, 106), ანუ გუმბათი ეწოდებოდა¹. გუმბათი შენობის თვისებათა დამახასიათებელი საბურავია და ამიტომ ხუროთმოძღვრებაში ამას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. შენობები სხვათა შორის ამისდა მიხედვით ორ ჯგუფად იყოფება: ერთ ჯგუფს შედ-

¹ სიტყვა სპარსულიდან უნდა მომდინარეობდეს, თუმცა სპარსელებს ასეთი გუმბათი ი არ ჰქონიათ, როგორც საქართველოში იყო.

გენენ ისეთი, რომელთაც გუმბათი აქვს საბურავად და ასეთს „გუმბათიანი“ ეწოდება (ტიმოთეს მგზრება, ჩუბინ. ქრისტ. 139; ვახუშტის გეოგრ. 41, 45, 57, 60, 62; ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამოც. 35, 37, 44, 46, 47 და ბევრგან სხვაგან). მეორე ჯგუფს შეადგენენ „უგუმბათო“ ეკლესიები, ტაძრები და სასახლეები (ვახუშტის გეოგრ. 45, 49, 60, 74; ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამოც. 37, 39, 46, 53 და მრავალგან სხვაგან). ჩვეულებრივ გუმბათი ქართულ შენობებში დამყარებული იყო ხოლმე ოთხს კუთხეზე, რომლებზედაც ცოტა წარმოზიდული ბუჩქნენ ოთხნი ყურენი და ყურეთა კამარანი, ხოლო შემდეგ აყვანილი იყო თვით გუმბათიც. გუმბათს თავი გარეთ მოეპოვებოდა; ყელი წახნაგოვანი ჰქონდა, შიგნით ცა გააჩნდა. უფრო მეტ-წახნაგიანია გუმბათი მოგვიანო ხანს, შემდეგ მრგვალიც გვხვდება. იმის გამოც, რომ გუმბათი სპარსული სახელი ჩანს, შესაძლებელია აღმინანს ეჭვი შეეპაროს, მართლაც ქართულია თუ არა გუმბათიო; გუმბათის თავიანი შენობები მართლა საქართველოში გაჩნდა თუ არა? ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ გუმბათის ნაცვლად საქართველოში ძველად სხვა ტერმინი არსებობდა, სახელდობრ გვრგვანი, რომელიც ეხლანდელს დაარბაზშია გადაარჩენილი. ამის შესახებ სათანადო ცნობასაც ვპოულობთ.

საბა ნინოწმიდელ მიტროპოლიტს თავის ჰროვარტავ-გუჯარში აღნიშნული აქვს: „ეკლესიისა ამის ჩემისა გვრგვანი-გუმბათი ესრეთ დამძველებული იყო, რომ ნიადგ შიშსა შინა ვიყუყუწით დაცემისათვის. ჭელ-ვაჟავ იმისდა მტკიცედ განმყარებად ესრეთ, რომელ იგი, რომელიცა ძველ იყო, დამოვაქციეთ და დაქცევასა ამას ზედა ჭირნი არა უმცირეს იღშენებისა იყუნეს, რომელ დიდად დაგვაშრომილა და მრავალნი სახელოვნონი რკინისა ორღანო-იარაღნი დირუსრენეს,—რადლა განგრძელდენ, დავაქციეთ. ამის დაქცეულისა აღშენებასა შეუდეგ, და უფროს სხუათა გარშემოსავლებისა ხისა ფალანგმან დიდსა შრომასა მიმცა და მრავლითა ჭირ-დებითა ფალანგი შემოვავლელ სამუშაოც: აწცა მის ძუშლისავე ყელისა მხილველნი განჰსჭურეტეთ მისსა ფარგალსა შიგან ვერ შენებულებასა, და რადგანც იგი ძუშლი ყელ ესრეთ იყო აღგებული, სხვა რა ეგებოდა, თუ არა კდ მუხითვე მოკიდებდა. მოვჰკიდეთ ძველ-შენებულსა მას ყელსა და დიდად სიმალლედ აღჰსწია ესე ჩვენგან ახალ ქმნილება“.

როგორც ვხედავთ, ამ ერთად არის ნახმარი „გვრგვანი-გუმბათი“ (გუმბათო-სპარსული ტერმინია, ხოლო გვრგვანი—ქართული). იგი მოსაქცევი ყოფილა, იმიტომ რომ სახიფათო გამსდარა; შიშობდნენ, რომ შესაძლებელია ჩამოვარდესო. მოქცევა რომ დაუწყიათ, დარწმუნებულან, რომ გუმბათი კარგად ნაგები ყოფილა. დაუქცევიათ მაინც რამდენადმე და ახლის აგებას შესდგომიან. შემოწველიათ გარშემო ფალანგი, ე. ი. ხარაჩო (ეს სიტყვა ბერძნულია, ძველად მის ნაცვლად ფალანგი გვაქვს), რაც მეტად გაძნელებულა, და მერმე ძველს ნაწილზე, ამ შემთხვევაში ყელზე, ახალი წამოუწყიათ.

მაგრამ გუმბათის გამოცვლა ისეთი ადვილი საქმე არ იყო და ამავე საბა ნინოწმიდელს კარგად აქვს წარმოგვიჩინილი ის სიძნელე, რომელიც დაძვე-

ლტული ნაგებობის მერმინდელ განმახლებელს ურთულედს სამუშაოს: განახლებული გუმბათის ზგანსრულებაზე ვნახეთ, წყალი არ შეიმაგრა, ორგზის კულად მოვაქციე და ესე უკანასკნელი შრომა, რომელიცა მივიღე კულა დაქვევზედ და უკეთილესად აღგებაზედ, არა ნაკლ პირველისა ქირისა მივიღე... და აწ, რაოდენ ძალ-მედვა და ძალ-იდებოდა, განვასრულე ზედეთ მტკიცედ აგურისა წყობილებითა. და შევაძვე კეთილ-ქმნილთა ჯუარისა ზე აღდგმითა და მტკიცედ დამყარებითა და ესე შრომა ამას ზედან მივიღე. ამას გუმბათსა, გინა ყელსა და ძირს ეკლესიასა, რაცა კანკელი (რომელ არს ფანჯარა) აქუნდა, ხისა იყო“-ო.

აქითგან ნათლად ჩანს, რომ სანამ დამთავრებულად ჩასთვლიდნენ ძველად ნაგებობას, მანამ მას ცდიდნენ. აქ ზამოურკვევით, რომ გუმბათი წყალს ვერ იმაგრებდა, მოუნგრევით ის და ხელმეორედ აუშენებიათ. ხელმეორედ გამოუცდიათ და ისევ ისეთივე გამოიმდგარა. დაბოლოს ის მით დაუსრულებიათ.

ამ აღწერილობაში კარგად არის წარმოდგენილი მთელი ის სიძნელე, რომელიც წინ ელოებოდა მერმინდელ ქართველ ხუროთმოძღვრებს, კალატოზებსა და საერთოდ აღმშენებლებს, როდესაც ძველი ნაგებობის განახლება უხდებოდათ. პრაქტიკული გამოცდილების ცოდნის ის მაღალი დონე, რომელიც ძველ ქართველ ხუროთმოძღვრებს მოეპოვებოდათ, როგორც ეტყობა, ამ დროს უკვე აღარ არსებობდა და დანგრევა იმდენად ძნელი ყოფილა, რომ ისიც კი გასჭირვებიათ. აგების დროს კი, როგორც ჩანს, უკვე აღარც იმ ძველი ხსნარის საიდუმლოება სცოდნიათ, რომელიც ნაგებობას კარგად იკავებდა და არც შესაფერისად განსწავლულნი ყოფილან, რომ ძველის, უვარგისად ცნობილის მაგიერ ხეირიანი რამე გაეკეთებინათ მაინც.

საკითხი იმის შესახებ, თუ როდის შემოვიდა გუმბათიანი თავსაბურავები ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ამასთანავე, ადგილობრივ წარმოშობილი განვითარდა (განსაკუთრებით წახნაგოვანი წვეტიანი გუმბათი), თუ უცხოეთიდან არის შეთვისებული, ჯერ გამოკვეული არ არის. ამ საკუროდღებო საკითხის შესასწავლად მოიპოვება ერთი ძველი და თანაც დიდმნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართველთა ტომს, კოლხებს, უკვე ქრისტეს წინათ სცოდნიათ სახლების პირამიდოსანი თავსაბურავები. ეს ძვირფასი ცნობა შენახულია რომელი ხუროთმოძღვრის ვიტრუვიუს პოლიოს თხზულებაში «დე არხიტექტურა» (ხუროთმოძღვრებაზე), რომელიც 16—13 წ. ქ. წ. არის დაწერილი. აი რას მოგვითხრობს ვიტრუვიუსი: L. II, cap. I, 4... Apud nationem Colchorum in Ponto propter silvarum abundantiam arboribus perpetuis planis dextra ac sinistra in terra positus, spatio inter eos relicto quanto arborum longitudines patiuntur, conlocantur in extremis partibus earum supra alterae transversae, quae circumcludunt medium spatium habitationis tum insuper alternis trabibus ex quattuor partibus angulos iugumentantes et ita parietes arboribus statuantes ad perpendicularum imarum educunt ad altitudinem turres intervallaque, quae relinquuntur propter crassitudinem materiae, schidiis et luto obstruunt item tecta recedentes ab extremo transtra, traiciunt gradatim contrahentes et ita ex quattuor partibus ad altitudinem educunt medio metas, quos fron-

de et luto tegentes efficiunt barbarico more testudinata turrium tecta (В. Латышев, Известия др. писателей etc., т. II, стр. 42—43)¹.

აღწერილობა ზედმიწევნით უდგება ქართული დარბაზების გვირგვინს. ვიტრუვიუსით სახლის ასეთი სახურაეები კოლხეთში სცოდნიათ. მასვე აქვს აღნიშნული, რომ შედარებით პრიმიტიული ხასიათისა არის ესაო, მაგრამ იმავე დროს დაწერილი აქვს, რომ ასეთი სახურავი ბუნებრივად უნდა გაჩენილიყო ისეთ ავღრიან ქვეყანაში, როგორც იყო კოლხეთი, ე. ი. დასავლეთი საქართველო მაშინ, შავი ზღვის სანაპიროებზე მეტადრე. რასაკვირველია, თვით იტალიაშიც საკმაოდ იცის ხოლმე ზღვის სანაპირო ზოლში ავღრიანობა, მაგრამ მაინც ამას იქ არ გამოუწვევია ასეთი სახურავის გაჩენა! ასე ახსნა არ შეიძლება. მიუხედავად ამისა მაინც საყურადღებო გარემოებაა. ჩვენ მოგვეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ გვირგვინი, რომელიც ქართული დარბაზის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს, ყოფილა უკვე იმ დროს, ე. ი. ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე, აღრინდელ ხანაში. ამას იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ დარბაზი და გუმბათი ქართული ტერმინები არ არის, სპარსულია, და ბუნებრივად შესაძლებელია დაბადებულიყო აზრი, რომ მათ მაინც რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდათ სპარსულთან. მაგრამ ასეთი ვარაუდი უსაფუძვლო ზდება, რადგან ვიტრუვიუსის აღწერილობიდან ნათლად ჩანს, რომ გვირგვინები, ანუ გუმბათები, ყოფილა ჩვენში უკვე ჩვენს წელთ-აღრიცხვამდე ერთი საუკუნით მაინც ადრე. ცხადია, რომ არც დარბაზის სპარსულობას და არც გუმბათის იქიდანვე მომდინარეობას არავითარი ანგარიში არ შეიძლება გაეწიოს ამ საკითხის, სახელდობრ — გუმბათის მსგავსი სახურაეების სადაურობის გახეხილის დროს.

3. საკულტო ნაგებობათა შინაგანი ნაწილები

შინაგანი დანაწილება ეკლესიისა, რასაკვირველია, უმთავრესად გვემაჩვენებს იყო დამოკიდებული, მაგრამ არსებობდა ისეთი ნაწილები, რომლებიც თვითონ ტაძარში უმკველად უნდა ყოფილიყო. სწორედ მათი სახელების გამოიკვევა საკირო.

¹ რუსული თარგმანი: Об архитектуре (Витрувий Поллион). У народа колхов в Поинте вследствие изобилия лесов кладут прямо на землю по правую и левую сторону целые бревна, поставив между этими двумя рядами расстояние равное длине бревен; затем на обоих концах этих рядов кладут поверх два других ряда поперек; таким образом окружается пространство жилища, лежащее посреди. Затем колы на 4-х сторонах — поперечно на 2-х противолежащих — накладывают бревна, соединяя углы и образуя стены, и сверху отвесно от основания возводят избы, а прошежутки, которые остаются между бревнами, вследствие толщины материала, они заделывают шепками и глиною. Точно также концы поперечных базок и суживая их постепенно в виде усгупов, они возводят крышу с 4-х сторон сверху и образуют пирамидообразную верхушку, которую они покрывают дстивою и глиною, и таким грубым способом строят сводчатые крыши своих изб (Латышев, Извест. др. писат... 42—43).

ეკლესიაში თავიდათაფი, რასაკვირველია, ის ნაწილი იყო შენობისა, სი-
დაც სიწმიდის მსახურებას ასრულებდნენ. ამ ადგილს **საკურთხეველი** (ცე
სრჰსი, 37) ეწოდებოდა. ბერძნულიდან ნათარგმნ წიგნში ეს სიტყვა „თვზი-
სტერიონ“-ს უღრის (აია სოფ. 589, 595 = *Διήγησις* 81, 91, § 16). „საკურთხე-
ველი“-ს იატაკი ორი-სამი საფეხურით ეკლესიის საყოფელზე უფრო ამაღლებუ-
ლი იყო, ამიტომ მღვდლის შესვლაზე საკურთხეველში ძველ სამღვდელმსახუ-
რო წიგნებში ყოველთვის წერია ხოლმე: „აღვდენ საკურთხეველად“ (კ. კე-
კელიძე, *И. Кан.*, 73, 87, 89), „საკურთხეველსა აღვიდოდის“, „საკურთხე-
ველსა აღვიდენ“ (ძი არქიერატოკონი, კ. კეკელიძის გამოც., გვ. ზ, ია).
საკურთხეველს ყოველთვის მოხრილი, ნახევარწრის მოყვანილობა აქვს, ზემოთ-
განაც კერი ნახევარსფეროს სახით აქვს გადმოხრილი. შენობის ამგვარ გადა-
ბურვას კონქი ეწოდებოდა (აია სოფ. 593). ეს სიტყვა მიმოპოვება ურბნისის
სიონის წარწერაში „ქქი“ (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზ., I, 43). არც მ.
ბროსეს (*Voyage*, VI rap.), არც ე. თაყაიშვილს ეს სიტყვა სწორედ ვერ
წაუკითხავთ. პირველი კითხულობს „კათოლიკე“, მეორე „კანქელი(?)“, ნამღვი-
ლად-კი აქ არის „ქ(ონ)ქი“. ამ სიტყვის სრული მართლწერა, „კონქი“, შენა-
ხულია აია სოფ. აღშენებაში (კ. კეკელიძის მოყვანილი აქვს თავის *Иерус.*
Кан.-ში „კონქად“, გვ. 330). კონქი ბერძნული სიტყვაა *ἡ ἀρχή* — „კონქე“ (ვა-
მოითქმის „კონქი“). ეს იყო „საკურთხეველის კონქი“ (აია სოფ. 593).

საკურთხეველს დანარჩენი ტაძრისაგან ჰყოფდა **კანკელი**. ეს სიტყვა ბერ-
ძნულია („კანკელი“). რაც უფრო ძველია იგი, იმდენად დაბალიც არის. ამას-
თანავე იგი სვეტებიანი კამარისაგან გადატიხვრას წარმოადგენდა. მას სამი კარი
უნდა ჰქონოდა. შუა კარს, რომლითაც მღვდელი შედიოდა, „აღსავლის კარე-
ბი“ ეწოდებოდა (რუსები *Царские врата*“-ს ეძახდნენ; ქართულში ამისი
მსგავსი არ ყოფილა).

საკურთხევლის შუაგულში იდგა **ტრაპეზი** (ბერძნული „ტრაპედა“). ძველი
ქართული ტრადიციით, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტიანობის პირველი საუკუ-
ნითგან მომდინარეობდა, ტრაპეზი მოთავსებული იყო კედლის პირას. იგი
ქვისა იყო, უძრავი. ამ ნიადაგზე გაჩენილი იყო ბრძოლა ქრისტიანობის სხვა-
დასხვა მიმართულებას შორის. ძველი ტრადიცია ზოგან უარყოფილ იქმნა.
ბიზანტიაში, კერძოდ; ვადაწყდა, რომ ტრაპეზი მოძრავი უნდა იყოსო. ქარ-
თველებმა ძველი ტრადიცია დაიცვეს უკანასკნელ დრომდე. სხვთა შორის,
ამის შესახებ საბა ნინოწმიდელიც მოგვითხრობს, რომ ვანახლების დროს ტრა-
პეზი, რომელიც „უკან-კერძოდ იყო დამყარებულ და ხარისხულად ქმნილ,
რლიცა არა წესიერ არს და სამოშიშო ესრეთ ყოფად, აწ წინ დადგმიოთ
სამეფოსა მას კარსა დაუმახლობლე“-ო. ძველებურად რომ დაეტოვებო-
ნა, მწვალებლობად ჩაუთვლიდნენ. ამის შემთხვევაც ყოფილა წინათ.

XVI ს.-ში, როდესაც რუსი დესპანები კახეთს ჩამოვიდნენ და ალექსან-
დრე კახთა მეფესთან მივიდნენ, თან მოიყვანეს მღვდლებიც ეკლესიების დასა-
თვალერებლად. როცა მათ ნახეს, რომ საქართველოში ქვის ტრაპეზებია და
ისიც კედლთან მიდგმული, ერთი ამბავი ატეხეს, ნამდვილი მწვალებლობაო.

ამბავი ჯუსეთის მეფისათვისაც მიუტანიათ. მწვალებლობად რომ არ მიეჩნიათ, საქართველოშიც გავრცელებულა შიში და დაუწყყიათ ადგილ-ადგილ ძველი ტრაპეზების მოშლა.

ძველს და შემდეგდროინდელ პატარა ეკლესიებშიაც ქვის ტრაპეზი ხშირად საკურთხეველის კედელზეა ხოლმე მიდგმული, რომელსაც ზოგჯერ ედგა ზედ ოთხ სვეტზე დამყარებული „მარდილობელი“ (I ნეშტია, 28, 18). რასაც სალხინგელი (К. Кекелидзе, Иерусалимский клинари, 337) და ჩარდახი ერქვა. ბიზანტიაში ამას „კივრუმ“-ს ეძახდნენ. შალვა ქვენიდნეველი თავის 1470 წ. ერთ შეწირულების წიგნში ამბობს: „აღვაშენენ ტრაპეზნი და მოვაწყვენ ზედა ჩარდახნი და შევებურენ სიბითა“-ო (საქს სძვლნი III, 558). ჩარდახი სპარსული სიტყვაა („ჩარდაკ“) და ხის ოთხს სვეტზე მრგვლად გადახურულს ფანჯატურს ჰქვია. ამგვარივე მნიშვნელობა საჩრდილობელს ქართულშიაც ჰქონია; კუხი ნიკოლოზ, მაგ., თავის გუჯარში ამბობს: სვეტიცხოველში „სვეტზე სადაფქარის ჩარდახი გავაკეთე“-ო, ხოლო „ანტიოხიასთან დიდი ჩარდახი ჩავდგი“-ო (1678 წ. შემდგ., ქვები II, 505). ძველს სალხინგელი ანუ ჩარდახი შერჩენილია მეტეხის ციხის ეკლესიაში. თბილისში. როგორც დომენტი კათალიკოზის სიტყვებითაგან — „მეტეხს გავაკეთე სალხინგელი“-ო — ჩანს, იგი XVII საუკ. ყოფილა დამზადებული (ქვები II, 490).

საკურთხეველშივე ტრაპეზის გასწვრივ კედელზე სამღვდელმთავრო საჯდომი, „საყდარი“ იყო მიდგმული. მასთან ქვევით აკიბული იყო ხარისხები, რომლებზედაც ისხდნენ მღვდელმსახურების პირნი. ამგვარი საჯდომი შენასულია, მაგ., მცხეთის სვეტიცხოველში და ატენის, სიონში. საკურთხეველის ორთავ მხარეს, იმავე სახის „საყოფელი“ (საბა) იყო. ჩრდილოეთით მდებარეს ეწოდებოდა, ვგონებ, „სამკუეთლო“ (დომენტი კუხის გუჯ., ქვები II, 490). ეს სიტყვა მოხსენებულია დომენტი კუხის სიგელში, სადაც მღვდელმთავარი ამბობს: „აღვაშენ... სამკუეთლოს წინ... ორი სახლი“-ო (ქვები II, 490); ხოლო რაკი „კუეთაჲ“, ანუ „კვეთა“ ღვთისმსახურებაში სეფისკვერითაგან ნაწილის ამოღებასა ჰქვია (კ. კეკელიძე, ი. Клинари, 329), ხოლო ნაწილების ამოღება ჩვეულებრივ საკურთხეველის ჩრდილოეთის განყოფილებაში უნდა მომხდარიყო, ამიტომ იქნებ სწორედ ამ განყოფილებას ეწოდებოდა სამკუეთლო. ბერძნულად ამას ერქვა „პროთესის“. სამხრეთით მდებარეს სადიაკონე (ც'ა გვ'ლ ხნ'თლსა, გვ. ნხ, თ. მშ, სტრქ. 16) ანუ სადიაკონო [ქრქე] (1020 წ. მელქიზედეკ კუხის სიგელი, ქვები II, 34; იერუს. ვანგ., К. Кекелидзе, Иерус. Кан. 130, სარჩევში, გვ. 337, შეცდომით „სადიაკონე“-ა დაბეჭდილი; ძი არქივრატკონი, კ. კეკელიძის გამ., გვ. პგ). როგორც სადიაკონოს, ისე სამკუეთლოსაც კონქი უეჭველად უნდა ჰქონოდა. მაშასადამე, საკურთხეველის კონქს გარდა, იყო სადიაკონოს კონქი და სამკუეთლოს კონქი. საკურთხეველი და მის აქეთ-იქით მხარეებზე მყოფი სამკვეთლო-სადიაკონე ერთმანეთისაგან კედლით იყო გატიხრული. ძველი ხუროთმოძღვრული ნაგებობების მიხედვით იქ საკურთხეველითაგან შესვლა არ შეიძლებოდა; უნდა კარიოთაგან გამოსულიყვნენ და შემდეგ შესულიყვნენ სამკვეთლოსა და სადიაკონოში.

კანკელის წინ დანარჩენი ეკლესიის იატაკზე ორი-სამი საფეხურით საკურ-
თხვევლსავით ამალღებული ადგილი იყო დატოვებული, რომელსაც ქართულად
„არდაბაგი“ (აია სოფ. 596) ერქვა და ბერძნულ, „სოლია“-ს უდრიდა (იხ.
Διήγησις, 98 § 21 = აია სოფ. 596). რაკი საკურთხეველი ეკლესიის დანარჩენი
საყოფელზე მიღმა იდგა, ამიტომ მას, რასაკვირველია, უნდა ჰქონოდა „აღმო-
სავალი საკურთხევისაჲ“ (იერუს. განჩინ., კ. კეკელიძე, II. Кан. 88), პე-
ტარა კიბე.

ამ კიბის სახელწოდებითან („აღსავალი“) არის ნაწარმოები სახელი: „აღ-
სავლის კარები“. ძველ დროს ნამდვილად აქ კარი არ იყო, არამედ კრედ-
ს აბმელი იყო. კრედსაბმელი ფარდას ნიშნავს. ეს სიტყვა ორი ნაწილისაგან
შედგება: კარი + საბმელი; საბმელი იყო ფარდა, რომელსაც გასწევდნენ ხოლმე.
როდესაც საკურთხეველს წინ არდაბაგი ჰქონდა, მაშინ ეს აღსავალი არდაბაგ-
ზე იყო მიშენებული, ხოლო უარდაბაგო ეკლესიაში აღსავალი პირდაპირ კანკე-
ლის კარებზე იყო მიდგმული. არდაბაგს ორთავე მხრივ, აქეთ-იქით, სადაც მგა-
ლობლები და მდებარეობები იდგენ ხოლმე, „მკარი“ ეწოდებოდა (კ. კეკელი-
ძე, II. Кан., 334). ამიტომაც მგალობლებს ზოგჯერ მემკრენი-ს ეძახ-
დნენ (კ. კეკელიძე, II. Кан., 332).

ხოლო იმ ადგილსა და სადგომს, სადაც მდებარეობდა სამოციქულოსა და
მთავარი სახარებას კითხულობდნენ ხოლმე, „საფსალმუნე“ (აია სოფ. 588.
596, 599) ეწოდებოდა; საფსალმუნეს ბერძნულად, „ამბონ“-ს (Διήγησις 98 § 21,
105 § 28, 78, „პო ტობოს ტუ ამბონოს“) უძახდნენ. რომ ქართულად სა-
ფსალმუნე მარტო ადგილს-კი არა, არამედ ერთგვარს მისაფერ მოწყობილ-
ბასაც აღნიშნავდა, ეს ნიკოლოზ კუზის სიტყვებისაგანაც ჩანს. თავის სიკვლეში ის
მოგვითხრობს სვეტიცხოვლის საყდარში „საფსალმუნე დავდგო“ (ქკბი, II,
505). ასეთი შეიძლება ყოფილიყო თვით ხისგან გაკეთებული საწიგნეც, რო-
მელზედაც წიგნს დებდნენ ხოლმე. რუსულად ამას „ანალოჲ“ ეწოდება.

ეკლესიაში, შესავლის შემდგომ, პირველი ნაწილი, შუაგულამდის, გამო-
ყოფილი იყო. აქ იდგნენ კათაკმეველნი, ე. ი. ისეთი ქრისტიანები, რომლებიც
ჯერ კიდევ ეკლესიაში მთლიანად მიღებული არ იყვნენ, ან რომელთაც სასჯე-
ლი ჰქონდათ დადებული რაიმე დანაშაულობის გამო და ამიტომ აკრძალული
ჰქონდათ თვით ეკლესიაში ყოფნა. იქვე იყო ხოლმე მოწყობილი სანათლო. და
ემბაზი, რომელშიც ბავშვებს ნათლავდნენ.

თვითონ ეკლესიას, რასაკვირველია, ჰქონდა იატაკი. ამ იატაკის შესა-
ხებ საყურადღებო ცნობები გვაქვს დაცული ნინოწმიდელის საბუთში. საბა ნი-
ნოწმიდელს თავის პროფარტაგ-გუჯარში ნინოწმიდის საყდრის განახლების აღ-
წერილობაში ნათქვამი აქვს: „შემდგომად ამისა წმიდა-წთა საკურთხევე-
ლი, რლიცა ჟამმრავლობითა კნინდა უმუშრად¹ იყო, იატაკი
იგი, ძველნი აღმოვიღენ და ახლა ქვა ჩავაწყყა და ზედან
თლილნი ქვანი მოვჭფინენ, რლსა ზედაც დიდნი შრომა-

¹ უმუშერი ძველ ქართულში ნიშნავს უღამაზოს. მერმე მიენიკა ის მნიშვნელობა:
რომელიც ცხლა აქვს. უმუერი მშენებლის საწინააღმდეგოა. მაშასადამე, იატაკი უღამაზო
იყო.

ნი შივილენ და თუთ იგი განმაცხოველებელი ჩუშნი ტრაპეზი ... უკან კერძოდ იყო დამყარებულ და ხარისხეულად ქმნილ, რლიცა არა წესიერ არს და სამოშიშო ესრეთ ყოფად, აწ წინ დადგმით სამეფოსა მას კარსა დაუმახლობლე სასმენელად ერისა. და სამკუშთელოცა, რლი ცალკერძ ქმნილიყო, იგი არა აღეშალე, მარამ (sic?) დიდსა მას საკურთხეველსა შინა [ს]ხვადი ვჭქმენ თლილისა ქვისა შენებითა. ეკკლესიასა ამას შა კანკელი, რლიცა დაძულელებულ და ლეკთაგან დაქცეულ იყო, იგი ძველი ავიდე და ახლად კეთილ-ქმნილებით ქვითკირით აღვაგე; და კარნი სამეუფო და ორნი სამხრისა და ჩრდილოსანი თუსთა ადგილთა გავაკეთენ. და სამნი ესე კარნი ხისანი, ყვაევილებად მოქრილი შევასხენ... და... წისა მოციქულასა ნინას (sic!) ხატი, რომელიცა ჟამმრავლობითა დაძველებულ იყო, უმაღლესისა მეფისა შუკითხვითა დაეშალე და ახლად დავახატვინე, განვაახლე და არშია ვეცხლითა მძიმედ ოქროითა ცურვებულთა მოუქმენ. და ამას ზედა შრომაი ჩემი თუთ მის ხატისა უკანა კერძოსა ზაწერილ არს ჩემ მიერ უკეშმარიტესად.

და გარდა ამისა კარნი დიდისა ეკკლესიისანი სამნი გავაკეთენ, სამხრისა, ჩრდილოსა და დასავლისა. და ამას დასავლისა კარისა კარი-ბჭე აქუნდა მოდგმული და კარის-ბჭესაცა მას კარნი შევასხენ... და სხვათა კერძოთა კარნი ყოველივეც არს ოთხ, და ვჭქმენ მაგრად შექმნილ აბანოზისაგან რჩეულისა...

სიწმიდისა ქურჭელი ერთი ბარძიში შევაქმნევიე, ესრეთ კეთილ-ქმნილებითა, რლ არს... ყუაევილედად ქანდაკებულ და ოქროთა ცურვებულ ვჭყავე“-ო.

ამგვარად ჩვენ აქ გვაქვს საყურადღებო ცნობა იატაკის მოწყობილობის შესახებ. ამასთან აქვეა ის ადგილიც, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

კარი მეხუთე

სასახლის შინაგანი ბანაწილება

1. დარბაზი ანუ სამეფო სასახლე

სამოქალაქო ნაგებობათა აღმნიშვნელი ზოგიერთი ტერმინის საეკლესიო ხუროთმოძღვრების დარგში გამოყენება, როგორცაა, მაგალითად, ტაძარი, იმის მაჩვენებელია, რომ საეკლესიო ხუროთმოძღვრება სამოქალაქოსაგან წარმოდგება. ძველად, შართლაც, ამ უკანასკნელს ჰვეანდნენ საეკლესიო ნაგებობანიც. ასე მაგალითად, ძველად ქართულ ეკლესიებს გუმბათსა ან გამოსახულებებზე ჯვარი არა ჰქონია, იგი მხოლოდ ეკლესიაში ესვენა. მხოლოდ XIV ს-დან ჩნდება ის თანდათანობით. საქართველოში ჩვეულებრივ უჯვარო გუმბათიანი ეკლესიები არსებობდნენ, XVII ს-შიც-კი, რაც რუს ელჩებს კიდევ აკვირებდა. შემდეგში-კი მას გუმბათზედაც აღმართავენ. საბა ნინოწმიდელი, მაგალითად, ამაყობს იმით, რომ მან ნინოწმიდის გუმბათს ჯვარი გაუყეთა.

სამოქალაქო ნაგებობის—სასახლის—სახე რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისა გეგუთის სასახლის გეგმას დავაკვირდეთ. გეგუთის ნაგებობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თვისება ვახუშტის აქვს დასახელებული. ის ამბობს: „არს გეგუთი, სადგურთი ზამთარს მეფეთა. აქ არს მგზავსი შენებული მეჩითისა, მრავალ-პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა; უწოდებენ ციხე-დარბაზს. იტყვიან აღშენებასა თურქთაგან 57 მეფის გიორგის ჟამსა“-ო (გგრძ., ბროს. 370; ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამ., 156-7). ამრიგად, გეგუთი, რომელიც თავდაპირველად სანადირო სასახლე ყოფილა, იგი მხოლოდ შემდეგში გაფართოვებულა, მაგრამ საზეიმო ან მთავარ სასახლედ არ ქცეულა. მისი ნახევარ-სფეროიანი გუმბათის გამო მას ხალხი, და თვით ვახუშტიც, როგორც ვნახეთ, ციხე-დარბაზს უწოდებენ. ეს ტერმინი ჯერ კიდევ ვისრამიანში გვხვდება: „ესე არ იცოდეს, თუ მოაბადის ციხე-დარბაზი მტრითა ხავსეა“-ო (ვისრამ. I გამ. 439; II გამ. 313) [სპარსულადაა: (თ. 491 ქვ., ქალ. 382;) اسرای و بس پر دشن نديد]. დარბაზი სიერთოდ გუმბათიანი სასახლის აღსანიშნავად იხმარებოდა.

დარბაზი ჯუანშერს აქვს თავის საისტორიო თხზულებაში ერთგან ნახმარი. სტეფანოზის დასახასიათებლად ის ამბობს: „ესე სტეფანოზ იყო უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნე, განწმენილი სჯულისა, მამუნიბელი ეკლესიათა, და მან მოადგნა ზღუდენი ეკლესიასა ჯუარისა პატროსნისასა და აღაშენა დარბაზი და დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა (*415, გვ. 197; ანა დ'ფლსი, გვ. 147).

ხშირად ვხვდებით ამ ტერმინს ვისრამიანშიც. „ბუქმან მოაბადის დარბაზისა ტირილი დაიწყო, თუ, ჭელმწიფეო, ეზომი მგზავრობა არაგის შეუძლიაო“ (ვისრამ. I გამ. 200, II გამ. 145) [სპარსულადაა: ... بس آنکه کوس غران شد بدرگاه

(თ. ۲۵۴۷... ۱۸۶ ۵۰۰۰) که چندین راه شاها چون توان کرد

რამინმა „დარბაზის კართა ზედა კენი დააყენნა მოჩივართა გამკითხავენი. ბრკობისა უამსა მას წინაშე სწორად იყუის ჭელმწიფე და მთხოელი, მდიდარი და გლახა,—სწორად უკერძებდის სამართალსა შიგან ძლიერსა და უსუსურსა“ (ვისრამ. I გამ. 452 II გამ. 321) [სპარსულადაა:

بداورگه نشاندی داورانرا بکندی بیخ و بن بدگوهرانرا

(თ. ۵۰۴۳-1 ქვ., ქალ. ۳۹ 10-11) و توانگر و درویش و بوی و چاکر یکی بودی و درویش و توانگر

„ესე ქუეყანა არა მარავია... მაგარი, ღრმა და ბნელი ქაა, ესე დარბაზნი მოკაზმული და მოხატული, ვითა სამოთხე, ამოა, მაგრა მე, ვითა ჯოჯობეთი, მებნელების და მეძნელების“ (ვისრ. I გამ. 83; II გამ. 63) [სპარსულადაა:

نه مروست این که بوم تن گدازست

نه شهرست این که چاه شست بازست

نگارستان و باغ و کاخ شهوار

(თ. 1۲ 9-7 ქვ., ქალ. ۸۲ 10-11) مرا هستند همچون دوزخ تار

მოაბადისა და ვისის ქორწილში „შაჰინშას დარბაზისა თვით იცი, ვით იქმნების: სიდიდითა მინდორსა გუანდა დარბაზი. სიმაღლითა ცხითა კოშკი მისი, რომელ მჭურეტლად ვარსკულაენი სხდეს მისსა ბანსა ზედა, კარი და კედელი ყველაოქროთა მოხატული იყო“ (ვისრამ. I გამ. 54; II გამ. 42) [სპარსულადაა:

سرای شاه خود دانی که چون بود...

سرا بود از فراخی چون جهانی

بلند ایوان او چون آسمانی

ستوری بود گفتی پشت ایوان

کجا بودی سوارش تیر و کیوان

درو دیوار و بوم و آسمانه

نگاریده بنقش جنبانه (ქალ. ۵۸ 3 ქვ. ... ۵۹ 1-3)

და სხ.. (იხ. სამიებელი ტერმინებისა).

გვხვდება ამ სიტყვისაგან ნაწარმოები „დარბაზოვანი“ ან „დარბაზოანიც“. „ველნი და მოედანნი ვენაჯად და ნაშენებად შეიქმნებიან და დია დარბაზოანნი ვაველდების, მრავალი დიდი დამცირდების და ცოტა ვალიდდების“ (ვისრამ. I გამ. 90, II გამ. 63) [სპარსულადაა:

بسا بد کیش کو گردد نکو کیش

بسا قارون که گردد خوار و درویش

بسا ایوان که گردد باغ و بستان

بسا میدان که گردد کاخ و ایوان

بسا مهتر که گردد خوار و کهنر

ბსა მეთრ კე გრადდ შაჲ ვ მეთრ (თ. 1338-10 ქ. 88 § ქვ.)

„ამან აღაშენა ქუსნიფენვეს ეკლესია და დარბაზოვანი დიდ-დიდი და მშენიერი“ (ძველი ერისთ., ქრონ. II, გვ. 10, 14).

დარბაზს გარდა სასახლეს ძველად (VIII—X სს-დან) პალატიც ეწოდებოდა. ეს სახელი დღეს მარტო დასავლეთ საქართველოში იხმარება და ქვედასართულს აღნიშნავს. ორსართულიანი სახლების ზედა სართულს ქორი ეწოდებოდა; აქიდანაა ქორელი-ც, რაც კამაროსან, სვეტებზე დადგმულ სახლს ერქვა. XV ს-ში ზედა სართულის აღსანიშნავად ქორედის მაგიერ სპარსულიდან შემოსული ჩარბანი გვხვდება (რუსულში გავრცელებულია чертог, чердак-ის ფორმით). XV ს-ში შემოდის ეს ტერმინი, მაგრამ არსებითი განსხვავება ქართულ ხუროთმოძღვრებაში მას არ აღუნიშნავს; ქართულ ხუროთმოძღვრებაზე სპარსულის გავლენა მარტო XVI ს-ის მეორე ნახევრიდან ძლიერდება.

ოქრო-ტაძარიც გვხვდება პალატის ანუ სასახლის აღსანიშნავად. ეს ტერმინი ჩვენ ბიზანტიის კეისრის დარბაზის აღწერილობაში გვხვდება. იგი ნახშირია მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებაში, სადაც შემდგომა მოთხოვნილი: „ბრძანებითა მეფისათა შეიყვანეს ქალაქად წყა მაქსიმე და ორნივე მოწაფენი მისნი და აღიყვანნეს პალატად და დასხდეს კართა ოქრო-ტაძრისათა პატრიარქი და ყოველი მთავარი და ბქენი ქალაქისანი და ბრძანეს შეყვანებოდ. მათი“—ო (Keimena 87, 5-8). ოქრო-ტაძარი ბერძნულ ტერმინს ახრიზოკლინს უდრის. იგი აღნიშნულია იმ დარბაზისა, რომელშიაც დიდი დარბაზობა იმართებოდა. ასე ეწოდებოდა მას იმიტომ, რომ ოქროთი იყო მთლიანად მორთული და ძვირფასად იყო შენიკული.

მეფის სასახლე რამდენიმე ნაწილს შეიცავდა, რომელთაგან თითოეულს თავისი დანიშნულება ჰქონდა. უმთავრეს ნაწილს, რომელშიც სასახლეს თავისი, სახელიც-კი მიანიჭა XI—XIII სს., დარბაზი შეადგენდა. აქ იმყოფებოდა მეფე, რა წამს სახელმწიფო საქმეებს შეუდგებოდა. დიდი და მცირე დარბაზობაც, რასაკვეთველია, აქვე იმართებოდა.

იმ დარბაზს, რომელშიც დიდი დარბაზობა იმართებოდა ხოლმე, კარის შესავალი ჰქონია, რომელიც იმდენად ფართო ყოფილა, რომ იქ ათამდე მოხელის დასადგომად მაინც ადგილი უნდა ვიგულისხმოთ. ხ. კ. გარიგებაში ნათქვამია: დიდი დარბაზობის დროს „დიდი დროსა კარიის შემოსავალსა დგას. შერემთ უხუცესი მვარსა უთქს და მვარსა საგდებელი აცვია და მერემენი უკან უდგანან. ზარდახნის უხუცესი და მსახურთ-უხუცესი მვარსა დგანან“—ო (§ 31, გვ. 16 სტრ. 374—376). «კარი შესავალი» ამგვარად უბრალო შესავალს კი არ წარმოადგენს, არამედ ნაწილია ნაგებობისა და «ვესტიბიულის» მაგვარად უნდა ყოფილიყო.

კარის შესავალი, ვითარცა დარბაზობის დროს დასადგომად განკუთვნილი ადგილი, განცხადების დღესასწაულის აღწერილობაშიც გვხვდება. იქ ნათქვამია, რომ როდესაც მელდესასწაულენი მეფითურთ ეკლესიაში წყლის კურ-

თხევის შემდეგ სსსახლეში უნდა დაბრუნებულიყვნენ, რა მიზეზი ეკლესიით გამოვიდეს, დროშით წავა და მუნვე კარის შესწავლას ქუთუშე დადგების“ და, როგორც წესითაც დარბაზობის გამართვა სურს, ბრძანებთა (გვ. 2, § 3, სტრ. 24—27).

დარბაზსევე ეკუთვნოდა თუ არა სავაზირო, რომელიც ხ. კარის გარეგნობაშია მოხსენებული, მთლად ნათელი არ არის. ე. თაყაიშვილის განმარტებით სავაზირო თითქოს „სახელმწიფო სათათბირო სახლი“ იყო, „სადაც ვაზირთა ბჭობა ხდებოდა“-ო (ხ. კ. გ. 26). მართლაც, ერთი შოხელის მოვალეობის განსაზღვრაში ნათქვამია, რომ მისი საქმე იყო, სხვათა შორის, „სახლის გვა, შუშის კოდა, ცეცხლის ნთება, წყლის ზიდვა სალაროს, სავაზიროსა“ (ხ. კ. გ. გვ. 8, § 17, 165—166). აქ სავაზირო ისევე ცალკე დაწესებულებად არის ნახსენები, როგორც სალარო. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ცალკეული დაწესებულების არსებობა თავისდათავად ამ დაწესებულებების ადგილმდებარეობის საკითხს ვერ გამოვვიკვევს. სალაროც ცალკეული დაწესებულება იყო, მაგრამ ყველა სალარო ცალკე შენობაში არ იყო მოთავსებული, არამედ დანამდილებით ვიცით, რომ ერთი ამ სალაროთაგანი თვით მეფის მთავარ სსსახლეში იყო, ამასთანავე, როგორც ირკვევა, სწორედ დარბაზის მიხლობად.

სავაზირო ზოგიერთ შემთხვევაში რომ სამეფო მთავარ სსსახლეში უნდა ყოფილიყო, ვაზირობის აღწერილობითგან ჩანს. ხ. კ. გარეგებაში წერია: „და თუ ვაზირობა იყოს“, ვაზირებს მოახსენონ და საჯდომები დადგან და სფენი დაფინონო: ამის შემდეგ „მსახურთ-უხუცესმან «ბრძანეთ» თქვას, ჯილბატი გაიყაროს“ და ვაზირები თავთავიანთ ადგილას დასხდნენო (გვ. 19, § 36, სტრ. 434—446). რაკი იმ ოთახში, სადაც ვაზირობა იმართებოდა და სავაზირო იყო, ჯალაბი, ე. თ. მეფის სახლობა და მანდილოსნები ყოფილან, ცხადია, ვაზირობა სამეფო სსსახლეში სცოდნიათ.

სავაზიროს, როგორც ხ. კ. გარეგებითგან ჩანს, სალარო ეკუროდა. ვაზირობის აღწერილობაში ნათქვამია: „მესაწოლეთ-უხუცესი სალაროს კარის გამოსავალსა დგას გარეთ, მეფის ზურგით მოლარეთ-უხუცესი სალაროს კართა შიგან დგას გამოსავალსა“ და ვინც დასჭირდებათ და ვისაც დაიბარებენ, შეუშვებს, ანდა გაისტუმრებსო. ამნიარადვე „საწოლის მეკრე კარს გარეთ არის, ზურგი შემოუქცევია კარით, ან გამოუხშავს“, და ვისაც არ უბრძანებენ, არ შეუშვებსო (გვ. 19—20, სტრ. 455—464). ზემოთყვანილითგან ირკვევა, რომ სავაზიროში „მეფის ზურგით“, ე. ი. ზურგთ-უკან, სალაროს კარის გამოსავალი ყოფილა. თვით მეფის საჯდომი, როგორც ეტყობა; თუ დარბაზის შუაგულს არა; კედლებზე და კარებზე კარგა მოშორებით მაინც ყოფილა მოთავსებული.

თუ სავაზიროს ერთი კარი სალაროსაკენ ყოფილა მოქცეული, მისი მეორე კარი, როგორც ჩანს, საწოლისაკენ მიდიოდა. იქ საწოლის მეკრე მჯდარა. ესენია სამეფო შენობის ის ნაწილები, რომელთაც ოფიციალური ხასიათი ჰქონდათ, —სადომებისადვის ანდა დაწესებულებებისათვის იყვნენ განკუთვნილი.

სამეფო კარს, სახელმწიფო საქურჭლეს გარდა, თავისი საკუთარი სახლისა საქურჭლევ ჰქონდა. იგი თუმცა ულაგო-ალაგას არის ხ. კ. გ.-ის ტექსტში ამჟამად მოქცეული (იხ. გვ. 8, § 17, სტრ. 167), მაგრამ თუდაპირველად იგი შექვევლია შექურჭლეთ-უხუცესის ხელქვეშეთ დაწესებულებათა სიაში იქნებოდა მოთავსებული.

მეფის დარბაზს გარდა დედოფლის ცალკე დარბაზიც არსებობდა, მას სადედოფლო დარბაზი ერქვა: „პირველსა დღესა დაჯდა ვისი პირ-მზე ნებიერად, ფეროვნად და სურნელიანად სადედოფლოსა, მალლად აგებულსა დარბაზსა შიგან, ზუთი ქუემემდისი ოქროითა მოხატულსა. ამას დარბაზსა სამნი კარნი ებნეს: ერთი დიდსა დარბაზსა გასავლსა, ერთი წალკოტი-საკე, და ერთი დაღმა გზისაკე (ვისრამ. I გამ. 113; II გამ. 82) [სპარსულადა:

نخستین روز بنشست آن پسرروی پراز ناز و پراز رنگ ویر از بوی
 میان گنبدی سر بر دویگر آنگاریده بزیرین نقش بر روی...

از ۷۰۶-۱۰۰۶) در کاشانه بر گلستان سه دردیگر در یوان و شیبستان

ზევე გვაქვს ამ დარბაზის შემცველი კიდევ ერთი ადგილი: „ჯდა დედოფალს ვისი სადედოფლოსა შინა და იგი დარბაზი წალკოტ ქმნილ იყო მისისა პირისაგან“ (ვისრამ. I გამ. 55; II გამ. 42) [სპარსულადა:

نشسته و بر سر بانو در شیبستان شیبستان زو شده هاجو گلستان (ქ. 29 16)

მოგვიანო ხანის ძეგლებშიაც ეხედებით ამ ტერმინს ჩვენ: ფრიდონი „სადედოფლოსა დედასა წინაშე შევიდა“ (პროზ. ზაქ. შაჰნ. I, 388);

მეფის სასახლეში ქალთათვის განკუთვნილი იყო სხვაგვარი ოთახებიც. ერთი მათგანი იყო საცხადო. სადაც ყველას ნახვა შეეძლო ქალს, ხოლო მეორე საშალავი. სადაც არავინ არ შედიოდა ქალსა და მის მახლობლებს გარდა; მაშასადამე, სადაც, როგორც შემდგომში ამბობდნენ, ხალვათად ყოფნის საშუალება ჰქონდათ. მოაბაღმა, „რა შინა შევიდა, ვისი ვეღარა პოა. ძებნა საცხადოსა და სამალავსა შიგან ყოველგან“ (ვისრამ I გამ. 227; II გამ. 163) [სპარსულადა:

سر رفته بمهر و نا گشاده ولیکن گوهر از عقد او فاشه (ო. 248 1, ქალ. 211 1)

საცხადოსა და სამალავის ნაგებობათა შესწავლის დროს შესაძლებელია მომავალში გაირკვეს, თუ რა თავისებურება უნდა ჰქონოდა თითოეულ მათგანს. ამ მხრივ ვეფხის-ტყაოსანიც მოგვეცემა ზოგიერთ ცნობას. ნესტანზე იქ ფართი ამბობს:

„მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირ-მზე ტანით ალვით,

მოუქაზმე სახლი ერთი, შიგან დავსვი მეტად მალვით“

(აბულ. 1074, 1-2; კაკ. 1097; საიუბ. გამ. 1144).

აქ ეს სახლი ცალკე მდგომ შენობას კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ ოთახს. ოთახს ჰქვია აქ სახლი, ისევე როგორც თუშეთში ეხლა სართულებსაც კი სახლს უწოდებენ.

ძველად არსებობდა წულუბისათვის განკუთვნილი ოთახებიც—საუფლისწულო დარბაზი: „დგეს დარბაზნი საუფლი სწულონი მეტად დიდნი წვანითა ქვითა ნაშენენი, მალაღნი და შენეირნი (პროზ. ზაქ.: შაჰნ. I, 392)

დარბაზი სხვადასხვა ოთახებისაგან შედგებოდა; მასში იყო: სადარბაზო ოთახი, საწოლი, საქურქლე, სალარო და სხ. სადარბაზო ოთახთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია საჯდომი. „არცა საჯდომი მისთა თმათა სურნელობისაგან გაიცადა... თუ სთქუა, დარბაზი და მიდამო რამინის გულისაებრ უვისობისათვის ტიროდა“ (ვისრამ. I გამ. 190; II გამ. 139) [სპარსულადა:

نه مشکین دید ایوان را زبویش
بدان خوشی و خوبی جایگاهی...

تو گفتی همچو رامین باغ و ایوان

به هجران صنم بودند گریان (ქ. 175 ა-1 მ3.)

საჯდომი აქ დღის ოთახს ანუ დღევანდელ „კაბინეტ“-ს აღნიშნავს. ის ერთი იმ ოთახთაგანია, სადაც ადაზიანი იმყოფებოდა ჩვეულებრივ მას შემდეგ, რაც ის ადგებოდა, ჩაიცვამდა და მიირთვებოდა¹.

სტუმრებისა და საზეიმოდ დანიშნულ ოთახს დღეს დარბაზი ეწოდება. ადრე, როგორც ერთი ძველი ტექსტიდან ირკვევა, წანულეთი ჰრქმევია. „სარწმუნოდ გვჩინა მამამან, უსხი იგი დაიკლა, ძლ ლქ, და უწოდა ეკლესიასა წანულეთსა მას ქორწილისასა“ (იპოლიტეს ქება ქებათაჲ, H. Map. TP. III, გვ. LII).

აკად. ნ. მარის ახსნის თანახმად წანა ნიშნავს დღესასწაულს, წვეულებას, „წანული“—წვეულს, ხოლო წანულეთი—დღესასწაულია, სადღესასწაულო ან ქორწინების წვეულებაო. მაგრამ -ეთი დაბოლოება ადგილის აღმნიშვნელია და არ შეიძლება წვეულების აღმნიშვნელი ყოფილიყო. წანულეთი ის ადგილი უნდა იყოს, სადაც წვეულება იმართებოდა ხოლმე. ეს კი ჩვეულებრივ სადარბაზო ანუ სასტუმრო ოთახში ხდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ სანამ დარბაზი შემოვიდა ქართულში (X ს.), ამ ოთახს წანულეთი ერქმოდა.

დარბაზი X ს-დან მოყოლებული ფართოდ გავრცელებული ტერმინია. იგი არ წარმოადგენს იმის განმეორებას, რასაც სპარსულში აღნიშნავდა. სპარსულში ის ალყაფის კარს ეწოდებოდა. საქართველოში კი მის მიენიჭა საზეიმო, სტუმრების მისაღებად განკუთვნილი ოთახის მნიშვნელობა.

ჩვეულებრივ დარბაზებს გარდა, რომლებიც ყველას ჰქონდა, არსებობდა სეფე დარბაზი. დარბაზების პატრონს, როგორც მაგ., ავთანდილს, რომელიც ტარიელს ასე აცნობს თავს:

„მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზები“ (აბულ. 237, 3; კაკ. 262; საიბ. გამ. 285);

სხვადასხვა დანიშნულების დარბაზი ჰქონია. ერთი მათგანია სეფე დარბაზი. ტარიელის მპოვნელი, უკან დაბრუნებული ავთანდილი და ამით გახარებული როსტევენი მეფე

¹ ერთი მოთუცებული ქართველი [ქალი] მიამბობდა, რომ მივედი ერთს მოთუცებულ აგრეფე მანდილოსან სომეხთან, რომელიც კარგად ლაპარაკობდა ქართულსო. სახლი რომ დამთვალიერებინა, მითხრა: ეს საჯდომი ჩემი არისო. იცინოდა ამ თქმაზე,—ასეთ ქართულს ლაპარაკობდაო. მე ვუთხარი, ძალიან კარგად უთქვამსქვა.

„გულ-მხიარულნი, შვებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა“ (აბულ. 622,3; კაკ. 645; საიუბ. გამ. 684).

სეფე დარბაზი ცხადად განსხვავდება სხვა დარბაზებისაგან. წმიდა ნინოს ცხოვრების მიხედვით იგი არა ჩანს წანულეთი, რომელშიც ჩვეულებრივ საპატრიო სტუმრებს მიიღებდნენ, არამედ სხვა დანიშნულებისაა.

საწოლიც, ე. ი. ის ოთახი, რომელშიც იწვნენ ან ცხოვრობდნენ კიდეც, ძველიდანვე გვხვდება. სანამ სტუმრებს მიიღებდნენ, აქ იყვნენ სახლის მცხოვრებნი. ეს ნათლად ჩანს ყველა ტექსტიდან, ნათარგმნი იქნება თუ ორიგინალური.

ჯერ ვისრამიანივითგან: „სამოთხესა ჰვლანდა მათი დარბაზობა. ძიძა, ჭითა სამოთხესა, ზოგჯერ ვისსა ჰკაზმიდის, ზოგჯერ დარბაზსა. რა დარბაზობა გამოიყარა და ხალვათად. დასხდეს, ძიძამან ზემოსა გზისაკენ რამინ შემოიყვანა მოაბადის საწოლსა შიგან“ (ვისრამ. I გამ. 114; II გამ. 83) [სპარსულადაა:

بهشتی بود گفتی باغ و ایوان
گهی آراست و بس دلستان را
گهی ایوان و خرم بوستان را
چو گنبد سرا زیگانه تهی کرد
ز راه بام رامین را در آورد
(ქ. 107 s=3 ქვ.)
چو رامین آمد اندر گنبد شاه

მერმე ვეფხის-ტყაოსნივითგან, სადაც საწოლი, რა თქმა უნდა, დასაწოლად განკუთვნილ სახლის ნაწილს ეწოდებოდა. შოთა ც ამბობს ავთანდილზე: „საწოლს დაწვა“-ო (აბულ. 102,1; კაკ. 126; საიუბ. გამ. 140). ასევეა სხვა ადგილებშიც:

„ავთანდილ ჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი, იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“ (აბულ. 84, 1—2; კაკ. 100; საიუბ. გამ. 120).

დარბაზობითგან დაბრუნებული ავთანდილი საწოლში იმყოფება და როცა მოსაწვევად მოსული

„ეკლა საწოლს დაჰხვდა მას მხესა მონა სიტყვითა ბრძენითა“ (აბულ. 630,3; კაკ. 653; საიუბ. გამ. 692).

ნესტანის პირველი დაბარებითგან უკან დაბრუნებულიო, ამბობს ტარიელი „საწოლს შემოვე, ხელქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა“ (აბულ. 341,2; კაკ. 366; საიუბ. გამ. 399).

ტარიელის სიტყვით, ფარსადან მეფის სასახლეში რომ გულწასული შვიმიყვანეს,

„შიგან ვწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა, ზედ დამტიროდეს მეფენი...“ (აბულ. 293,1—2; კაკ. 318; საიუბ. გამ. 349). „სამსა ღღესა დარბაზს ვიყავ, არც ცოცხალი, არცა მკვდარი“-ო, (იქვე, 297,1; კაკ. 322; საიუბ. გამ. 353)

ამბობს ტარიელი და ნათელი ხდება, რომ საწოლი დარბაზის ერთი ნაწილთაგანია.

ტარიელის მოთხრობითგან ჩანს, რომ საწოლში ტახტი სდგომია. მას ნათქვამი აქვს, ხატელებზე გამარჯვების შემდგომ ინდოთ მეფისაგან მოწყობილი ნადიმობითგან რომ ავიყარენით,

„საწოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მართ, ვითა რეტისა, ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე ამა ცეცხლთა შრეტისა“.

ამ დროს შონა შემოვიდა და მაცნობა, რომ ქალი (ასმათი) მოსულიყო ჩემს სანახავად. ამის გავებისთანავე,

„მაშინვე ვიკან, ავიკერ ჩქარ-ჩქარად გულ-გამერთაღია, მოვიდა, ვნახე ასმათი, ჩემ თანა მომაჯალღია...“

ქელი მოვჭკიდე, დავისვი ახლოს ტახტისა ჩემისად“ (აბულ. 429, 2—3, 430 და 431, 3; კაკ. 454—456; საიუბ. გამ. 490—491).

საწოლში რომ ტახტი დგას ჩვეულებრივ, ეს ერთი სხვა ადგილითაც დასტურდება:

„მეფემან ბრძანა: «მოკაზმეთ საწოლი უფლისწულისა».

დაუდგეს ტახტი ოქროსა, წითლისა მღორბულისა“—ო (აბულ. 1118, 1—2; კაკ. 1141 და საიუბ. გამ. 1168).

ეს ტერმინი შემდეგ ხანაშიაც იხმარება: ეახტანგ V

„შეიდის მეფე საწოლსა, განათლდის იგი არენი“ (შაჰნავაზ. § 190);

როგორც აღენიშნეთ, სასახლის ერთ-ერთი ნაწილთაგანის სახელი საწოლი იყო. იგი ყველას ჰქონდა და ამიტომ მეფის სასახლეში ის მართო ერთ ოთახს არ გულისხმობს, ხ. კ. გარბეგებაში ნათქვამია: „საწოლისა ღმრთისმშობელი თუთ საწოლსა სვენებია და მის წინაშე მისთა მვედრებელთაგან ერთე-ბის სანიადაგო სანთელი და კანდელი“ (გვ. 20, § 39, სტრ. 467—469). აღწერილობის ზოგიერთ მხარეს ვისრამიანშიც ვხვდებით: „აწ ამის მეშინან, რომე შაჰინ-შაჰ საწოლს შემოვიდეს, თავის წალკოტსა შიგან ვარდი ვერ ნახოს, მე საგებელსა ზედა მეძინოს და ვერ მპოოს“ (ვისრამ. I გამ. 353) [სპარსულადა:

همی ترسم که آید در شمیستان گلش را رفته بید از گلستان

(თ. 422 ვ-ა ქალ. 426 ვ-10) مرا جوید نبیند خفته بر جای

ტერმინი „საწოლი“ მოგვიანო ხანის ძეგლებშიც იხმარება:

„ხანი გამოჭდა მცირელი, მოვიდა მეფე ლაღია...“

ჩამოვდა, შვეა საწოლსა, გავლო საეარღე ბაღია“ (შაჰნავაზ. § 333).

სასახლის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ აგრეთვე: ბანის-ბანი და ჩარდახი.

ბანის-ბანი ვეფხის-ტყაოსანს დაუცავს. ნესტანთან მეორედ მიწვეული ტარიელი ამბობს:

„შელამდა, წავე, ბაღისა მე კარი შევიარეო,

სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო...“

შემავლო სახლი, ნაგები კეკლუცად ბანის-ბანითა,

გაშოჩნდა მთვარე ნათლითა ვარე შექ-მონავანითა,

ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა“ (აბულ. 349, 2—3 და 350, 1—3; კაკ. 374 და 375; საიუბ. გამ. 407—408).

ქალაქ გულანშაროს მარტო შუაგული-კი არ იყო მშვენიერი სასახლეებით შემკული, არამედ გარეუბნებში მშვენიერი შენობები მდგარა. მაგ., როდესაც ავთანდილი ფატმანის საყვარლის სასახლისაკენ გაემართა, „ავთანდილ განვლო ქალაქი“ და ქალაქს გარეთ

„ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქვეთა წითელ-მწვანითა, ქვეშეთვე სრითა ტურფითა, კვლა ზედათ ბანის-ბანითა, დიდროვანითა ტურფითა, მრავლითა თანის-თანითა“ (აბულ. i043, 2—4; კაკ. 1066; საიუბ. გამ. 1112).

ამ აღწერილობითგან ჩანს, რომ ეს შენობა ორსართულიანი სახლი ყოფილა: ქვეითს სართულში ტურფა სრა ყოფილა, ზევით-კი ბანის-ბანი ყოფილა მოწყობილი. შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ზევით ბანი იყო მხოლოდ და, მაშასადამე, ეს სახლი ორსართულიანად-კი არა, არამედ სწორედ ერთსართულიან შენობად უნდა ვიგულისხმოთო. ასეთ მოსაზრებას თითქოს მომდევნო ტაეპში მოყვანილი ცნობაც ადასტურებს. ავთანდილის გამოცხადებით, შოთა ამბობს:

„წმა-მდაბლად ჰკადრებს: ისია სრა მისი, ეძებ რომელსა.“

უჩვენებს, ეტყვის:

„ზედაო ბანსა ზე-და-ქვე მდგომელსა“

იქი წევს ძალად, იცოდო, ანუ ქვე ჰპოვებ მჯდომელსა“ (აბულ. 1044, 1—3; კაკ. 1067; საიუბ. გამ. 1113).

ზემომოყვანილისდა მიხედვით, ის ჰაბუკი თითქოს ბანზე უნდა ყოფილიყო, ან მჯდომარე, ანდა მწოლარე და მძინარე. მაგრამ ამ სახლის ბანის-ბანი რომ უბრალო ბანი არ იყო, იქითგანაც ჩანს, რომ მას შოთა საწოლს უწოდებს. ჩვენი მეოხანი ამბობს:

„იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა“-ო (აბულ. 1046, 1; კაკ. 1069; საიუბ. გამ. 1115).

აქ რომ საწოლად მარტივი ბანი არ ყოფილა გამოყენებული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ამ საწოლს საკმეღი ჰქონია, მაშასადამე, კედლებიც. შოთა ამბობს: ავთანდილს რომ ის ჰაბუკი საწოლში მძინარე დახვდა, მოკლა თუ არა იგი, ფატმანის დავალებისამებრ „ბექდითურთ თითი მოჰკვეთა“. ხოლო შემდეგ „ზღვითავე სარკმლით გასტყორცა“-ო (აბულ. 1047, 2—3; კაკ. 1070; საიუბ. გამ. 1116).

ცხადად ჩანს, რომ ბანის-ბანი წარმოადგენს ნაგებობის ნაწილს და არა უბრალო ბანს. ძველი ქორის მაგიერია ბანის-ბანი, რაც XV ს-ში უკვე აღარა გვაქვს. ქორისა და ბანის-ბანის ნაცვლად ეხლა ჩარდახი შემოდის..

როგორ იყო მოწყობილი ჩარდახი, ნათლად ჩანს შემდეგი ადგილითგან: ფრიდონის შვილების წარმოგზავნილმა ფრიდონ მეფის „ნახა ქალაქი დიდი და ტურფად მოკაზმულნი, ოქროთა გარდაგებულნი ჩარდახნი, ზურმუხტისა სვეტებითა, რომე თავი ღრუბელთამდის ჰქონდა“ (პროზ. შაჰნ. II, 404). ქართული პროზაული შაჰნამეს ფრიდონის ქალაქისა და სასახლის აღწერილობა (II, 404) ფირდოუსის შემდეგი სიტყვების შესატყვისობას უნდა წარმოადგენდეს:

دروگاه شاه آفریدون رسید
 برآورده ازدور ایوان بیدید
 بایر اندر آورده بالای اوی
 زمین کوه تا کوه بهنای اوی
 نشسته بدر بر گرانمایگان
 بریده درون جای آزادگان
 بیک دست بر بسته شبرو پلنگ
 بدست دگر زنده بیلان جنگ
 (Vullers I, 81, ۳۹۳—۳۹۹)

თუმცა საბაას ჩარდახი გამოპრჩენია და თავის ლექსიკონში არ შეუტანია, მაგრამ ფრთელი აქვს შეტანილი და მის განმარტებაში ჩარდახიც გვხვდება. ამოსის 3, 15 დამოწმებით ნათქვამი აქვს: „ფრთელი ჩარდახი გარდმოკიდებული“-ს აღმნიშვნელიაო (ლექსიკ.).

ამ ტერმინის შესახები და მისთვის გამოსადეგი მასალა 1470 წ. შალვან ქვენიფნეველის ლარგვისის მონასტრის შეწირულობის წიგნში გვხვდება. შალვან ერისთავი სხვათა შორის ამბობს: „აღვაშენე ეკლესიაჲ ნათლისმცემელისაჲ, დაეხატენე და შევამკე ხატებითა... შემოვაელენ ზღუდენი და აღვაშენე ტრაპეზნი და მოვაწყვენ ზედა ჩარდახნი და შევხურენ სიპითა“-ო (სქს სძვლნი III, 558). ქვენიფნეველს ალბათ ტრაპეზს ზემოთ ე. წ. მაჩრდილობელი გაუკეთებია, ანუ ოთხ სვეტზე დამყარებული კამარა, და ამას ჩარდახს უწოდებს. ჩარდახი სპარსული სიტყვაა چارداق چارطاق და ჰნიშნავს ხის ოთხ სვეტზე ხეივანის მსგავსად გადახურულ ფანჯატურს. თანამედროვე ქართულში „ჩარდახი“ ურმის კალებზე კამარის მსგავსად გადაწულს მოფარდაგებულს მაგრილებელ სახურავს ჰქვია და ზაფხულში მოგზაურობის დროს იციან ხოლმე. ამგვარად „ჩარდახს“ კამარის მრგვალი მოყვანილობა აქვს და ვიწრო და გრძელს ოთხკუთხ სადგომზეა გადაყვანილი.

2. სახუროთმოძღვრო ამოცანები სასახლის აგების დროს

საქართველოს მეფის სასახლის ნაგებობათი ზოგადად წარმოსადგენად შავთელის აბდულმესიაში ფრიად საგულისხმო ცნობები მოიპოვება, მაგრამ ეს ცნობები, როგორც პოეტურს ნაწარმოებში მოსალოდნელიც იყო, ისე არ არის დალაგებული, რომ მატერიალური კულტურის ისტორიისათვის საჭირო თანამიმდევრობით წარმოუდგეს მკვლევარს, არამედ აქა-იქ არის გაბნეული. თუ აღამიანი ამ გაბნეულ ცნობებს თავს მოუყრის და, როგზე დალაგების შემდგომ, მათ შესწავლას შეუღდება, არაერთი საყურადღებო საკითხის გამოკვლევას შესძლებს.

შავთელი მაგალითად ამბობს:

„თუ უქო სრანი

მე ამას რანი?

9. მატერიალური კულტურის ისტორია, I.

გალავანი სა

შემკვლელობანი,
მტილ-სამოთხენი,
თვალთ სამოთხენი,
ზედ ავაზანთა
შექმნულობანი,
კართა სტოვანი,
ერთა სტოვანი,
იპოდრომისა განხმულობანი (39, 1—3).

ამავე ტაების მეოთხე სტრიქონში-კი ჩამეფო სასახლის ნაგებობათა ეს საგულისხმო აღწერილობა სწყდება და მომდევნო, მე-40 ტაების პირველს ორ სტრიქონშიც ამ სასახლის ჭურჭელ-ავეჯზეა უკვე საუბარი, მაგრამ მესამე და მეოთხე სტრიქონში მგოსანი კვლავ სასახლის აღწერილობას უბრუნდება და ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს მოუთხრობს შეთხვევლს.

შავთელის თხზულების ზემოთხედიან ნაწილებში საქართველოს მეფის სასაწიგნეა საუბარი. უკვე პირველივე მისი სტრიქონია საყურადღებო. სასახლის სახელს, სრას, ის მხოლოდითად-კი არა, არამედ, მრავლობითად ხმარობს, — „თუ უჭი სრანი“, — ცხადია, რომ საქართველოში მაშინ არა ერთი საშეფო სასახლე ყოფილა.

სასახლის აღსანიშნავად შოთაც ხმარობს სრა-ს; ტარიელი ამბობს:

„ილიასა ადრე სრას მიცემეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა“ (აბულ. 447, 1; კაკ. 472; საიუბ. გამ. 507).

გულანშაროს მბრძანებელზე-კი ფატმანი ამბობს:

„ადგა თვით დიდო ველმწიფე, პატრონი სრისა სრულისა“ — (აბულ. 1118, 3; კაკ. 1141; საიუბ. გამ. 1188).

ასევე, ავთანდილიც, ნადირობითგან დარბაზში დაბრუნებული

„დაჯდა, დახედეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი“ (აბულ. 660, 3; კაკ. 683; საიუბ. გამ. 722).

სრათა მოკაზმულობის შესახებ ვეფხის-ტყაოსანშივე გვხვებით სათანადო ცნობებს. ფრიდონი და ავთანდილი რომ

„ქალაქს შევიდეს, მუნ დახვდათ სრა მოკაზმული სრულითა, სატველმწიფოთა ყოვლითა გასაგებლითა სრულითა: მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყვნეს სრულითა“ (აბულ. 943, 1—3; კაკ. 966; საიუბ. გამ. 1010).

სრა მოფარდაგული ყოფილა. ფარსადან მეფის დას, დავარს

„სრა ედგა მოფარდაგული ოქსინოთა და შადითა“ (აბულ. 276, 1; კაკ. 301; საიუბ. გამ. 331).

რაკი ნესტანის სადგომის კარგ მოფარდაგული იყო, შემსვლელ-გამომსვლელს უნდა კარის ფარდაგი აეწია, ამას ფარდაგის აზიდვა ეწოდებოდა. ტარიელი ავთანდილს უამბობს, რომ ღურაჯების ზემგან გამოსართმევად

„ასმით ფარდაგსა აზიდნა, გარეთ ეღვე მოფარდაგულსა“-ო.
(აბულ. 288, 1; კაკ. 313; საიუბ. გამ. 344).
ნესტანის სანახავად წასულმამო, ჯერ „ბაღია შეეღვე... ქალი წინა მამეგება“

(აბულ. 335, 1-2; კაკ. 350; საიუბ. გამ. 393),
„ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,
სადა დგა კუბო შემკული ბალახშითა და ლალითა;
შიგან ჯდა იტი პირითა მზისებრ ეღვა-მკრთალითა“ (აბულ. 336,
1-3; კაკ. 361; საიუბ. გამ. 394).

ნესტანისაგან წამოსვლისასო, ამბობს ტარიელი,

„ასმით გამოძევა. წამოველ, ფარდაგი გამოვიარე“,—
„ასმით ლბინსა მიქადებდა, ჩავიარეთ შიგან ბაღი“
(აბულ. 338, I და 339, 1; კაკ. 363—364; საიუბ. გამ. 396-7).

დამახასიათებელია, რომ სასახლეების საქმე თვისებათა გახსენებისას მეზობლებს ყველაზე უწინარეს, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი ადგილიდან (გვ. 130) ჩანდა, მათი „გალაენისა შემკულობანი“ აგონდება. თუ თანამედროვე მგოსნის გულისყური გალაენის შემკულობას მიუზიდნია, ჩვენთვის თვით ის გარემოებაც არის საყურადღებო და მნიშვნელოვანი, რომ სამეფო სასახლეებს გალაენი ჰქონია. ეს საშუალებას გვაძლევს ამ ნაგებობის ნაწილების განლაგება წარმოვიდგინოთ: სასახლე უშუალოდ გზისა და ქუჩის პირას-კი არ მდგარო, არამედ მას გალაენი ჰქონია შემორტყმული.

ამას გარდა, შემავალი გალაენის იქითაც თურმე უმაღლეს სასახლეს-კი არ დაინახავდა, არამედ ჯერ „მტილ-სამოთხეთ“, ე. ი. ბაღსა და დროს გასატარებულად განკუთვნილ ტერეს, რომელიც, როგორც მეზობლის განმარტებითგან ჩანს, საგანგებოდ ყოფილა გაშენებული. ამას თუნდაც ისიც ცხად-ჰყოფს, რომ იქ „თვალთ სამოთ ხენი“ ყოფილა დარგული. მაშასადამე, ამ „მტილ-სამოთხეთა“ გაშენების დროს წმინდა სამეურნეო მიზნები-კი არ ჰქონიათ დასახული, არამედ უმთავრესად ესთეტიკური: გარეგნობით ლამაზი და თვალისათვის საამური სანახავი ხეები დაურგავთ.

სასახლის წინ გაშენებულ დიდ ბაღს „ზედ ავაზანთა შექმნულობანი“ და წყლის საცავებიც ჰქონია ტურფად ნაგებ-შემკული.

უკვე ყველა ზემოაღნიშნულითგან ჩანს, რომ მაშინდელ საქართველოში სასახლეების აგების დროს მარტო თვით ნაგებობაზე-კი არ უზრუნველ, არამედ პატრონსაცა და ხუროთმოძღვრსაც ჯეროვანი ყურადღება მთელი გარემოს ზოგადი შესახედაობის სილამაზისათვისაც მიუქცევიათ, რაც, რა თქმა უნდა, იმდროინდელი საერო ხუროთმოძღვრების მაღალი დონის მაუწყებელია. ეს ნიშანდობლივი თვისება ქართული სასახლეებისა მოგვიანო დროსაც ყოფილა დაცული.

ვახტანგ V-ის სასახლეს ტფილისში

„სრას აველია ტურფა ბაღი, სულ სულნელობს დღე და ღამე,
ვარდი ყუავის მისებურად. დავადარო სხუა რაღა მე...
სხუა ყუავილთა ფეროვნება არ იქნების კაცთა ენით:

ზამბახი და იასამან, თუთი ყაყაჩო ვით ვაქენით,
 ნარგიზისა ფერი მომწონს, სხუა რა უქო სულთა დენით,
 ვარდი მეფობს ყუაველზედან, ილაღვიან ცულად რბენით“
 (შაჰნავაზ. § 200—201).

ამ მეფის თბილისის სასახლის ბაღშიო

წყალი დის, ავზი სავსეა, მებაღე ვარდსა რწყუდიდისა,
 რა გაზაფხული მოვიდის, სადენლად არ დასწყუდიტისა.
 ვარდის წყლით სავსე ყუელია, მინებსა ვერ დასთუდიდისა“
 (შაჰნავაზ. § 189).

ასევე:

გრემსა იყო ბევრი ქვეყნის უცხოები იქ მისული,
 ბაღშივიან კუპაროსი აღვის ხითა ამოსული,
 ფშოდა სუნი სუნნელისა ყვაველთაგან ამოსული,
 მისის ნახვით გაქმდებოდა სიჭაბუქის ძალ-წასული.
 ერთი ბაღი და სასახლე გრემს იდგა ლევან მეფისა
 მას შენობაზედ ეტყობის გაცემა სიიფესა,
 ყოველი ყუაველ-ხეხილი გარ-მოცულ იყო სეფისა,
 განცვურდებოდა მნახავი, იქმნის სიბრძნისა მკრეფისა.

(არჩილიანი, პ. იოსელიანის გამ., გვ. 33, § 133-4)

იქ, სადაც სამეგრელოს მთავარი ბედიანი მდგარა, „მინდორზე მრავალი ხე სდგას, წიფლის მსგავსი, თუშეა იმაზე დიდრონებია. ხეები სწორედ არის ჩამწყრივებული და შუაში გზა მიდის“-ო (ამბრ. კონტარინი, იტალ. მოგზ.: მოამბე 1894 წ. № XI, გვ. 51).

ვახუშტის ქუთაისის მეფის სასახლის აღწერილობაში სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ სასახლესთან ყოფილა „ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯაო ჭანდრითა“-ო (გვრფა 370; შდრ. ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამოც., გვ. 157).

ს. ორბელიანის განმარტებით, ვარჯი ერთი მხრით თურმე ჰნიშნავდა „ვაჯთა თმათა გრძელთა და სრულთა“ (იხ. თმას ქვეშე); მეორე მხრით-ი, ეხეციელის 24, 23-ის დამოწმებით, „ვარჯი ...ხეთა შევნიერი რტო“-ს სახელი იყო-ო (ლექსიკ.). არსებობდა ტერმინი ვარჯოვანი-ც, რომელზედაც ქართველი ლექსიკოგრაფი იერემიას 17,2-ზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ „ხენი რტოშენიერნი, ვინა ქოჩიანი“-აო (საბას ლექსიკ.). დასასრულ. გამოსლვათას 39,26-ში ნახმარია ვარჯის-სადგმელიც, რომელიც საბას განმარტებით, იგივე „ხიორი“-ა (ლექსიკ.).

თეიმურაზ II-ის «სარკე თქმულთა»-ში მაშინდელი ბაღის დანიშნულებებისა და მოწყობილობის მოკლე აღწერილობა გვაქვს აი რას ამბობს იგი ამ ნაწარმოებში: მეგლისის დროს აგრეთვე

„ბაღშივიან წავლენ დღისითა, როს მოვა გაზაფხულიო,
 შიგ დასხდებიან სალხინოდ, აყნოსებთ ვარდის სულიო,
 მრავალს ფერს უცხოს ყვაველთა ხედვენ, ეხაროსთ გულიო,

ბუჩქში იძახდეს ბულბული ტკბილად, ვარდისგან წყლულიო,
მოკრეფენ ყვავილს ხელითა, ვარდისას შეკერენ კონებსა...
ვარდს გაუგზავნის მალეითა, ბროლს გულზედ დასაკონებსა“-ო
(ქართ. ანთოლოგია II, 161, ტაეპი 5 და 6).

თუ მკითხველი შავთელის იმ გამონათქვამებს ჩაუკვირდება, რომელიც მას სასახლის გალავნის დასახსიათებლად აქვს ნახმარი, დარწმუნდება, რომ ღვთისმშობლის ვალაქი უბრალოდ, დროებითი ნაგებობა არ ყოფილა: უკვე „გალავანი ისა შეემკულო ბანი“ მას ქვეთკირისაგან აშენებულად გვაგულისხმებინებს და, თუ მთელს გალავანზე გადაჭრით ამის თქმა შეუძლებელია, ამ გალავნის შეემკულო ბანი მიიხსნება ან თლილი ქვისად, ანდა მოჭიქული აგურით ნაგებდებოდა ვიგულისხმობ.

სასახლის გალავანი რომ უბრალო ღობის, ანდა კედლის შესავსად ამოყვანილი არ ყოფილა, ამას მისი კარებიც ამტკიცებს. შავთელის სიტყვით, გალავანს კართა სტოვანი ჰქონია, ე. ი. შესავალი კარი რთულს, სვეტებიან-კამაროვანს ხუროთმოძღვრულ ნაგებობას წარმოადგენდა. XI—XIII ს. ზოგიერთი სტოვა საკმაოდ კარგადაა დღევანდლამდე დაცული და ეს საშუალებას გვაძლევს მეფეთა სასახლის კართა სტოვანი დაახლოვებით მაინც წარმოვიდგინოთ. თუ შოთაშის სასახლეების საქებ ნაგებობათა ჩამოთვლის დროს ეს სტოვანი აქვს მოხსენებული, ესეც უფლებას გვაძლევს ვიფიქროს, რომ იგი მაშინდელს ჩვეულებრივს სტოვებზე უფრო ლამაზი და საყურადღებო ნაგებობა უნდა ყოფილიყო.

შავთელს საქართველოს მეფის ნაგებობათა შორის საქებურად „იპოდრომისა განხმულ ბანი“-ც აქვს დასახელებული (39, 3) და ამ ცნობაში ორი გარემოებაა საყურადღებო. უპირველესად აქ თვით ამ ნაგებობის სახელია საგულისხმო. იპოდრომი, როგორც ცნობილია, ცხენების ჯირითში შეჯიბრებისათვის განკუთვნილი იყო. ამ დაწესებულების აღსანიშნავად ქართულს ტერმინი მოეპოვებოდა: ცხენთ-სარბიელი, ასპარეზი და იპოდრომი. ერთი ნაგებობისათვის სახელების ასეთი სიმრავლე უკვე თავისდათავად საყურადღებო გარემოებაა. თუ ამასთანავე იმასაც დავაკვირდებით, რომ ცხენთ-სარბიელი ამ დაწესებულების ქართული სახელია, იპოდრომი-ც ბერძნულს ტერმინს წარმოადგენს, ხოლო ასპარეზი ამავე ცხენების გამოიხატელობის სპარსული სიტყვაა, მაშინ ეს სამი ტერმინი უბრალო სინონიმების გროვად აღარ გვეჩვენება, არამედ დავარწმუნდებით, რომ ამ გარემოების მიზეზების გამორკვევამ შესაძლებელია ქართული კულტურის ისტორიის ერთი საკითხთაგანის გაშუქების საშუალება [მოგვეცეს].

ზემომოყვანილი ტერმინების უკვე სადატურობის ცოდნა იმ სამ ეროვნულ კულტურაზე მიგვიითხებს, რომელთა წიაღითგან ამ ერთი და იმავე ცხენების გამოიხატელობა ეს სამი სახელი მომდინარეობს. მაგრამ ამ დაკვირვებებზე დამყარებით, რომ ჩვენი მსჯელობა შეუმცდარი იყოს, უნდა ამ ტერმინების გაჩენის ხანაც და გავრცელების ხნიერებაც გვეჩინდეს გათვალისწინებული.

განა მეხოტბემ ასპარეზი არ იცოდა? რასაკვირველია, იცოდა და თვით შავთელის აბდულმუსია-შიც ხომ ნათქვამია:

„რიტორი, ბრძენი,
მეფეთა ძენი
ასპარეზთა ზედ
მსპარაზნობელი“ (4).

მაგრამ, ამისდა მიუხედავად საქართველოს მეფის საქებურ ნაგებობათა ჩამო-
თვლის დროს მგოსანმა მანც ეს სპარსულითგან მომდინარე ტერმინი-კი არ
იხმარა, არამედ ბერძნული „ჰიპოდროში“, თუმცა ლექსთა წყობის მხრივ
მისი არჩევანი ოდნავაც შეზღუდული არ ყოფილა და „იპოდრომისა განხმუ-
ლობანი“-ს მაგიერ თავისუფლად შეეძლო „ასპარეზისა განხმულობანი“ ეხ-
მარა. თუ ქშავთელმა აქ მანც იპოდრომი იხმარა. უეჭველია, ეს იმის
მუწყებელი უნდა იყოს, რომ ამ დაწესებულებას საქართველოში მაშინ სწო-
რედ ასე უწოდებდნენ. ეს გარემოება-კი უფლებას გვაძლევს, ამ ნაგების ზო-
გადი ხუროთმოძღვრული თვისებები გავითვალისწინოთ.

საფულისხშოა, რომ ვისრამიანის ქართველ ავტორს ასპარეზობა უკვე
სულ სხვა მნიშვნელობით აქვს ნახმარი. [სხვაობს იგი] ცხენთ-სარბიელის აღ-
მნიშვნელი იმ სპარსული სიტყვისაგან, რომლისგანაც ქართული ტერმინი ას-
პარეზობაა ნაწარმოები. მოსალოდნელი იყო ჯირითის მაგიერ ასპარე-
ზობა, [მაგრამ იგი] სპარსული ჩოგნის შესატყვისობად აქვს გამოყენებული. შაჰ-
მა მოაბადმა რომ თავისი ძმის, რამინის გამოკეთების ამბავი შეიტყუა, „მაშინვე
წიგნი მოსწერა რამინს, ვითა: უშნოდ... არცა ასპარეზობა და სუმა მიამე-
ბისო“ (ვისრამ. I გამ. გვ. 118; II გამ. გვ. 85). უკანასკნელ სიტყვებს სპარ-
სული პოემით უდრის:

(ქ. 111) چو خوراند چو گانگ و چو خوراند چو خوراند

ვ. ი. ასპარეზობა აქ ბურთის ჩოგნით თამაშობას ნიშნავს.

3. სასახლის შინაგანი მოკაზმულობა

შავთელს სამეფო სასახლის ნაგებობის შინაგანი რაობის წარმოსადგე-
ნლადც ფრიად საყურადღებო ცნობა აქვს დაცული, მას ნათქვამი იქვს:

„ოქრო ვერცხლებრივ,
ბრწყინავს ცეცხლებრივ
კედელ-ყურენი
ფიქლით ძერწილნი.
ბიერილიონი,
ლივერიონი
ურთიერთობით
შორის შთათხრილნი“ (40, 3-4).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ სასახლის „კედელ-ყურენი ფიქლით
ძერწილნი“ ყოფილან, ანუ სამეფო დარბაზს მოფიქლული კედლები და ყუ-

რენი ჰქონია. ეს ცნობა იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ამ შენობის შინაგანს შემოსილობას გვაგებინებს: რაკი სასახლე შიგნით მოფიქვლილი ყოფილა და მისი კედელ-ყურენი ბრწყინავდა. ცხადი ხდება, რომ იგი მოლესილი არ ყოფილა. მთლიანად თლილი ქვის ნაგებობა რომ ყოფილიყო სასახლე, არა ჩანს, მაგრამ, თუნდაც რომ მისი სარჩული რიყის ქვით, ანდა აგურით ყოფილიყო ნაშენი, საპირედ მაინც ქვის ფიქალი, თლილი ქვის დაფები ჰქონია. ხოლო რაკი შავთელი ამტკიცებს, რომ ფიქლით ძერწილი კედელ-ყურენი „ოქრო-ვერცხლებრივ ბრწყინავს ცეცხლებრივ“-აო, უმქველი ხდება, რომ სასახლე მარმარილოთი ყოფილა შეძენილი. ოქროსა და ვერცხლისფრად ამ კედელ ყურეთა გამობრწყინვალეობა-კი ცხად-ყოფს, რომ მოსაფიქლავად ყვითელი და ნაცრისფერი მარმარილო ყოფილა გამოყენებული.

სასახლის კედელ-ყურეების შინაგანი შემკულობა მარტო ფერადი მარმარილოს მოფიქვლობით არ ყოფილა საყურადღებო, არამედ, როგორც შავთელის სიტყვებითან ირკვევა, შეძერწილობითაც; მათ სათანადო ადგილას აგრეთვე „ბივრილიონი“, ლივგარიონი“-ც ჰქონიათ „ურთიერთობით შორის შთათხრილნი“. ეპიფანიე კჳპრელის განმარტებით ლკგარიონი ორნაირი იყო: „თაშლის ფერ და ძოწეულის ფერ“ (იხ. „ათორმეტთა თულთათეს“, პროფ. Robert P. Blake-ს გამოცემა: *Studies and Documents, II. Epiphanius de gemmis*, London, 1934 წ., გვ. 44).—ხოლო ბურლიონზე ნათქვამი აქვს, რომ „მომრუმედ ჩანს, ნათლის-გამომცემელ არს, ზღვს ფერ“ (იქვე, 66, 12-13).

სხვადასხვა ფერის მარმარილოს აღმშენებლობაში გამოყენება XI—XIII სს. საქართველოში მართლაც სკოდნიათ. ამის უცილობელად დამამტკიცებელი ცნობა ვახუშტის აქვს დაცული. ბაგრატის ტაძრის აღწერილობაში ქუთაისში მას შემდეგი უწერია: „აქ აღაშენა 56 მეფემან ბაგრატ ყოვლად წმიდისა ეკლესია შეუნიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფიის კენჭით შინაგან ქმნილი და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და ქრელითა, და სვეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა სრული და ფრად დიდი“-ო (გვრწა, ბროს. 270; ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურის გამ., 157).

რაკი კედელ-ყურეთა მარმარილოს დაფებით მოფიქვლის დროს ფერადი ქვებით, ჭივრილიონი და ლივგარიონიც ჩაუსვამთ, საფიქრებელია, რომ ქვს ხლებოდა სხვადასხვა სახეების გამოსაყვანად.

სრათა მოკაზმვას კედლის მხატვრობაც ეკუთვნის. ხატავდნენ როგორც ისტორიულ პირებსა და შემთხვევებს, ისე სხვა სახეებსაც.

კედლის ქართულს ისტორიულ მხატვრობაში არა-ერთხელ გვხვდება ისეთი პირის სურათიც, რომელიც ამ მხატვრობის შესრულების დროს უკვე მკვდარი იყო, ზოგჯერ დიდი ხნისა-კი. მაგალითად შესაძლებელია თუნდაც ბეთანისა და ყინცივის კედლის მხატვრობა იყოს დასახელებული, სადაც გიორგი III, თამარ მეფე და ლაშა-გიორგი ერთად არიან წარმოდგენილი. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: მირიანისა და ვახტანგ გურგასალის სურათები. იყო იერუსალემის ჯვარის მონასტრის ეკლესიაშიცა და მცხეთის სვეტიცხოვლის სიონშიც.

სიკვდილის შემდეგ დაუხატავთ ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების ხატით. ვ. ხუცეს-მონაზონი ამბობს: გიორგი მთაწმიდელის დამარხვის შემდგომ „ნეტარმან პეტრე და ძემან მისმან იოანე კყონდიდელმან... ხატითა დაწერად სკეს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა და ამიერ და იმიერ ორნივე მამანი, წმიდაჲ მამა ეფთჳში მარჯუნით და მამა გიორგი ერთ კერძო, და მვედრებელად და მეოხად ჩუენთჳს მღვდომარენი წინაშე ღმრთისმშობელისა. და ესე... ხატი წარმოგზავნეს მთაწმიდას და დაუსუენეს სამარხოსა ზედა წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგისსა, ხოლო წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთჳშეს ხატი არა სიბერიისა არს, არამედ ოდეს წიგნთა თარგმნიდა და იყო ნ-ისა წლისა“-ო (ც' გ' მთ' წმდლსჲ, გვ. 347—348).

ასევე დახატული ყოფილა ერთ-ერთი სასწაული შიო-მღვიმეშიც. მარტკრის სიტყვით ეს იყო შოსავან მგლის კარაულთა მწყემსად დაღვენის სასწაული: „ესე სასწაული სამარხოსა შინა ამის ღირსისა მამისსა, მის მიერ აღშენებულსა, ესრეთ დახატული დაღვრომილ არს ვიდრე დღეინდელად დღემდე“-ო (ც' გ' შიოსჲ, საქ. სამ. 240).

როგორ ხატავდნენ ისტორიული პირების სურათებს, ზეპირად? მხატვრის ფანტაზიის ნაყოფად უნდა მივიჩნიოთ ასეთი ისტორიული მხატვრობა? ამ საკითხს უპირისპირი მნიშვნელობა აქვს და მის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე თვით ამ მხატვრობის ნამდვილი ისტორიული მნიშვნელობის საკითხის ბედ-იღბალიც [დამოკიდებული].

ამ საკითხის განხილვის დროს უნდა ზემოდასახელებული ნახატების ორი ჯგუფი ცალ-ცალკე იყოს განხილული, რათგან მათ შორის მაინც ძირითადი განსხვავებაა: გიორგი III პოლიტიკური მოღვაწე იყო, მირიანისა და ვახტანგ გურგასასლის სურათები-კი დახატული იყვნენ ვითარცა ქართული ეკლესიისაგან წმინდანად მიჩნეული მეფეები. ამიტომაც აქ იმდენად ისტორიული მხატვრობა არა გვაქვს, რამდენადაც წმინდანთა-გამომხატველობა, ე. წ. იკონოგრაფია, და ეს საკითხი სწორედ ამ დარგის საკითხებთან ერთად უნდა იყოს განხილული.

წმინდა ისტორიულს, კედლისა თუ ხელთნაწერულს მხატვრობას რომ დაუჭიროებდით, [უნდა ვთქვათ], გარდაცვლილი, დიდი ხნის მკვდარი ისტორიული პირების გამომხატულების ღირებულება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესაძლებელია დამრკიცდეს, რომ ასეთ შემთხვევებში მხატვრებს საშუალება [ჰქონდათ] ამ პირების სიკოცხლის დროსვე დახატული სურათებით ესარგებლათ. ამ შესაძლებლობის დასაჯერებლად საჭიროა სრულებით მკაფიო წერილობითი ცნობა. საბედნიეროდ, ასეთი წყაროც მოგვეპოვება, რომლითგანაც სათანადო მოწმობის მოყვანა შეიძლება. შავთელს თავის აბდულმესიაში, სხვათა შორის, ჩვენი საკითხისათვის შემდეგი საყურადღებო ლექსი აქვს ჩართული:

„მო, ე კალ მითა!

მოეკალ მითა,

რომ უქმად სდევით

ხატვად სახისა“ (42, 2).

ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ მეფის სახის, ანუ სურათის კალმით დასახატავად მხატვრები მდგარან საქართველოში. მეხოტბე მხოლოდ უმატებს, რა თქმა უნდა, ქების გასაძლიერებლად, რომ ისინი „უქმად“ მდგარან და უხა-

ტაეთ, რათგან სრულებით მსგავსი სურათი მაინც ვერ გაუკეთებიათ. შესაძლებელია მგოსანს აქ რაიმე ცალკეული კონკრეტული, მართლაც მარცხით დამთავრებული შემთხვევა ჰქონდა კიდეც ნაგულისხმევი, მაგრამ საყურადღებოა თვით ცნობა, რომ მეფეების სურათების ხატვა იმდროინდელს საქართველოში სცოდნიათ.

რაკი დავრწმუნდით, რომ ისტორიულ პირებს საქართველოში სიცოცხლეშივე ხატავდნენ, ესაა ის-ღაა გამოსარკვევი, თუ რაგვარი ღონეობითა და საშუალებით მუშაობდნენ ხოლმე მაშინ მხატვრები საქართველოში. ამის გასათვალისწინებლად ბასილ ზარზმელს თავის საისტორიო თხზულებაში ერთი საყურადღებო შედარება მოგვთავაზობს: „და იწყეს შენებად... და ესრეთ წარემართა შენებაჲ იგი ეკლესიისაჲ... და ვითარცა აღეშენა შტოთურთ ვიდრე სარკუმელთამდის, დაილია ოქროჲ იგი კაცისა მის, სადა იგი გამოქანდაკებით ქადაგებს, ვითარმედ აქა დაილია საფასჲ ჩემი, სადა ესერა მდგომარე ვარ... და იყო; ვითარ განსრულდა სარკუმამდე, გამოხატეს თვით მიქელცა ორთა მათ თანა ვალატრთა ზედა სარკუმელსა აღმოსავლისასა“ (კ. კეკელიძის გამ., 180).

ისტორიულ პირთა სიცოცხლეში დახატვის ერთი ნიმუში «შაჰნავაზიანშია» შენახული. ფეშანგს აქვს აქ ნაამბობი, რომ სპარსეთის ყაენმა რომ ვახტანგ V-ის დიდი ქება გადგო, მისი სურათის ნახვა მოისურვა. ამიტომ საქართველოში ერთი მხატვარი გამოგზავნა, რომელსაც ვახტანგ მეფის სურათის დახატვა და სპარსეთში საჩვენებლად მიტანა დაევა. ვახტანგ V-თან წარდგომის დროს ამ მხატვარმა თავისი თავი მეფეს ასე გააცნო: „ქელოვნება მამქუს, უებროდ დავხატავ ყოელსა სახესა“-ო. მაგრამ მაინც მეფის სურათი მთლად მსგავსი ვერ გამოუვიდაო, ფეშანგმა მოვეითხრობს და თვით მხატვარსაც ამასვე ააქმევენებს: ვახტანგ V-ის „არ ძალ-შიც სახის აღება“-ო (შაჰნავაზ. § 60). სპარსეთის შაჰის კარზე ამ გარემოების გაგების შემდეგ, დარბაზის ხელისუფლებმა თავიანთ, მბრძანებელს მოახსენესო:

„გავგზავნოთ ვინმე მხატვარი მცოდნელი კარგა მცნებავსა“, გავგზავნოთ საქართველოში და იქ

„დახატოს სახე, მოგართუას, ნახო, გულს მოგიღმევასა“-ო (§ 67). შაჰს ეს რჩევა მოეწონა და მართლაც

„გამოგზავნეს დიდი ვინმე, კელმწიფისა შინა ყული.

მხატვრობისა დია მცოდნე, კაცადაცა მეტად სრული“,

რომელმაც ეს დავალება შეასრულა კიდეცო (იქვე § 68).

ვახტანგ V-ის შვილზე ლევანზეც ფეშანგს აღნიშნული აქვს:

„მხატვართა შექმნეს ცილობა, მაგრამ ვერავინ სახეედა,

მათ ვით ძალ ედვა თუნიერ, მოწყალე გამოსახედა,

მიდიან თავის უქებნი, ერთი მეორეს სძარახედა“-ო (შაჰნავაზ. § 214).

XVI ს-ის შუამდის გრძელდებოდა სასახლეების ისტორიული სურათებით მოხატვა. XVII ს-დან, კერძოდ როსტომ მეფის დროიდან, ეს მოხატვა უკვე სპარსთა, „ყიზილბაშთა“ რევით მიიმართება.

კარი შექმნეს

ნაგავრობათა მასალა და მხმინელოგისათვის განკუთვნილი ტანინიკური საშუალებანი

1. ხუროთმოძღვრის ამოცანები შენობის ასაგები ადგილის შერჩევისას

შენებლობის ზოგად სახელად უძველეს ხანაში ხურობა იყო. სპარსეთის მთავარსა, — მოგვიტხოვს ერთი ავტორთაგანი, — იწყო კითხვა: რა ხურობაა იგი? და ვითარცა წარმოთქვა კაცად-კაცად მან საქმე თვისი, ბრძანა, რათა ქელოვანი იგი ხურობითა განარჩინეს კიდე, რათა წარიყვანნეს ტყუელ სპარსეთად“ (იერუს. წარტყ.: TP IX, (10), 5-7), ე.წ. გამოჰკითხა თითოეულს, რომელ ხელობას მისდევდა და, რადგან სპარსეთის მთავრობა მაშინ დიდ ყურადღებას აქცევდა ამ მცოდნე პირებს, რომ თავიანთი შრეწველობა და ხელობა დეწინაურებინა, ამიტომ ისინი ვადაურჩევია და წაუყვანია სპარსეთში.

აღშენებლობა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორ მთავარ დაზვად იყოფიდა. იყო ქვით-ხურობა და ზით-ხურობა. ქვით-ხურობა ეწოდებოდა იმას, ვინც ქვით ან ავურიტ აშენებდა. ავურიტ აღწვენებელს შემდეგში კალატოზი ეწოდა. კალატოზი ჩვენ უკვე IX ს-ში გვხვდება, ხილო ამაზე აღვინდელ ძეგლებში იგი არ მოგვეპოვება. ხით-ხურობა ეწოდებოდა ხის მასალით აშენებს. ხით-ხურობა კალატოზის ხელობას წარმოადგენს, რადგან ხის აღშენებლობას თავისი განსაკუთრებული თვისებები ჰქონია.

როდესაც ადამიანი რაიმე ნაგებობის აშენებას განიზრახავდა, მაშინ, თუ ეს ნაგებობა ოდნავად მაინც საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო, საცხოვრებელი სახლიც რომ ყოფილიყო, პირველად შესაფერისი ადგილის მოძებნას შეუდგებოდა. ამ შესაფერისობის გამორკვევის დროს ორი მოსახრებით ხელმძღვანელობდნენ, ჯერ ერთი, რომ ნაგებობა განისაღებოდა ყოფილიყო და, მეორეც, შესახედავდაც ლამაზი და სასიამოვნო სანახავი გამოსულიყო. ნაგებობის მშენებლობას, სილამაზეს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქართველოში. ეს მართო იმით კი არ მტკიცდება, რომ მართლაც ძველი შენობები ყოველთვის საუცხოოდ შერჩეულსა და ლამაზ ადგილებსა გვაქვს, არამედ ეს შეიძლება დამტკიცდეს თვით წერილობითი ძეგლებით, რომელთა განხილვითგან ირკვევა, რომ ეს სილამაზე შემთხვევით გარემოებას კი არ წარმოადგენს და მართო იმით კი არ იხსნება, რომ საქართველოში საერთოდ ლამაზი ადგილები ბევრია, არამედ იმით, რომ ასეთი ადგილები შეგნებულად აურჩევიათ. როდესაც ფიქრობდნენ მასზე, თუ რომელი ადგილი უფრო შესაფერი-

სიაო, სხვათა შორის, ამითაც ხელმძღვანელობდნენ ხოლმე, შეხაროდნენ ახლად აგებული შენობის სილამაზესა და ნაგებობის მშვენიერებას. ეს მომენტი მრავალ ქართულ ძეგლშია აღბეჭდილი. თქმულის დასამტკიცებლად რამდენიმეს მოვიყვანთ.

ბასილ ზარზმელს აღნიშნული აქვს, რომ „ადგილსა მას ზანაეისასა... მონასტერი შუენიერი შენ არს, რომლისა-იგი იყენეს პირველნი აღმაშენებელნი ამასპო და ქურდია, ხოლო აწ კულადა და გიორგისი (ჩორჩანელისა)... ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაპლუნდისაჲ, [ძისა] ირანეს[ის]აჲ“ (ცა სრუნ ზარზმელს, 39; კ. კეკელიძის გამ., გვ. 172, 33). მაშასადამე, აქ აღნიშნულია, ვინ იყო პირველი აღმაშენებელი და, რაც მთავარია, „მონასტერი შუენიერი“ იყო.

ნაგებობისა და მისი მხატვრობის მაღალხარისხოვანი ღირსების ესთეტიკური გრძობა და სიხარული ძველ ქართველებს კარგად ჰქონდათ განვითარებული. გ. ხუცეს-მონაზონს, მაგ., გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის დასახასიათებლად მოყვანილს ერთს ცნობაში ნათქვამი აქვს: მან ათონის ჭაბუღელთა მონასტერში „იწყო მოღვაწეობად ეკლესიისათჳს, რამეთუ ზედა ტყვი არა იყო და წყალი შთადიოდა, ვითარცა წამებენ ხატნი, რომელ აღვოცილ არიან, რამეთუ ჩუენი შუენებამ ესე ეკლესია არს, და ესე ესრეთ უშუერ იქმნებოდა“-ო (კახა გი მთწმდლს, გვ. 301--302). მართლაც, უნდა ითქვას, რომ ათონის ქართველთა მონასტერი საუცხოო ადგილას არის აგებული და მშვენიერ ნაგებობას წარმოადგენს. XVIII ს-ის ცნობილი ქართველი მოგზაური ტიმოთე მიტროპოლიტიც აღტაცებით მოგვითხრობს, რომ „განსაკვირვებულ იყო შუენიერება ტაძრისა მის“-ო (ტოს მგზრბა, ჩუბინ. ქსრტ. 137).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც ფრიად საყურადღებო ცნობა აქვს დაცული გელათის აშენების შესახებ. დავით აღმაშენებელმათ „მოიგონა აღშენება მონასტრისა და დამტკიცა... ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა მე რეცა გარდავართხა (sic)¹ რაძარი ყოვლად წმიდისა ღთისმშობელისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა კქმულობათა, რომელი ზესთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა სიკრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობისა შესწორებულობითა, რომელთა თანამოწამედ ჰქონან თუალნი მხედველთანი. და აღავო სიწმიდეთა მიერ პატროსანთა ნწილთა წმიდათათა, წმიდათა ხატთა და, სწმმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძვირად საპოვნელთა. ამით თანა დაასხნა მუნვე დიდთა ხუასროვანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი, სასანთლენი და სასაკიდელნი ფერადფერადნი, იწვარად მოხმულნი თჳსნი და კულოდ ვკრუენნი, მანთაკნი და ფიალანი და სასმე(ვ)ლნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთისათა, რაჟამს თჳთ იგინიცა ტყუედ მოიყვანნა... (მშ დფსი ქცა, #526--27, გვ. 293--294; ანა დფსი ქცა,

¹ ანსეულთ: ვითარცა მეორე (და გარდააკარბა).

გვ. 209). ეს გამონათქვამი ფრიად საყურადღებოა. შეურჩევით უნაკლული ადგილი და იქ აუგიათ მშვენიერი ნაგებობა. ის მშვენიერიარა არა მარტო იმით, რომ კარგ ადგილას არის აშენებული, არამედ იმითაც, რომ აგებულია ისეთი ზედმიწევნითობითა და ისე კარგად, რომ რაც ნაგებობა კი იყო საქართველოში მანამდე აგებული, ყველას სჯობდა სააღმშენებლო მასალის მშვენიერებით, თვით ნაგებობის მხატვრული სამკაულითა და შეუღარებლობითაო. ეს რომ ასეა, იგი რომ მართლა შეუღარებელი ნაგებობაა, მასში ყველა დარწმუნდებო, ვინც კი ნახავს თავის თვალთო.

აღვარადვე მოგვითხრობს თამარის ისტორიკოსიც ვარძიის მონასტრის გამოკვების შესახებ. თამარ მეფემ „ცელ-ყო ამის შენებად, ს(ა)ყრფელსა გამმარ-ჯგებელსა მისსა. ზეშთა-სურთხელსა ვარძი(ი)სა ღთისმშობელსა, ზემო-ვარძი-ით ქუმეო-ვარძია(ს) მიცვალებასა, რომელი კლდისაგან გამოჰკეთეთათვთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუფალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ ექნა და დაეტევა, რომელი დიდმა ამან აღასრულა და შეამყო ყოვლითურთ, და შესწირნა მრავალნი... რომელი ყოვლისაგანცა მოთხრობა ძნელ არს. თუ ვისე ნებავს ამის განცდა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენებ(ნი) ქუბა-ქმნილ(ნი)“... (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, შშ დღსი ქცა *697—698, გვ. 494). აქაც აღნიშნულია ვარძიის მშვენიერება, რის აღწერა შეუძლებელია და ვისაც ამაში სურს დარწმუნება, თითონ ნახოს და მართლაც დაიჯერებს, რომ შეუღარებელი ძეგლიაო. ეს მოწმობა მშვენიერად მტკიცდება სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერის მოთხრობით. როდესაც შაჰთამაზი საქართველოს შემოჰსვეია, მისი მოთარეშე ჯარი მისდგომია ვარძიას და, როცა შესულან და უნახავთ შიგნით, გაოცებულან მშვენიერებით და მაშინვე—მოგვითხრობს ისტორიკოსი—დაბრუნებულან და უამბენით თავისი მბრძანებლისათვის. ოხიც ასულა, უნახავს და დარწმუნებულა, რომ მართლა მშვენიერი ნაგებობა ყოფილა.

აი, ასე სრულიად შეგნებულად, ლამაზად და კარგად იყო ხოლმე აგებული ნაგებობა, ისე როგორც მარჯვედ იყო ხოლმე შერჩეული ადგილიც, რომელიც თვალს იამებოდა. ამ მხრივ ვეფხის-ტყოსანშიც მოგვეპოვება საყურადღებო დამახასიათებელი ცნობები. ტარიელი და ავთანდილი

„ფრიდონის სახლსა გარდაცდეს-ორნივე, ტურფად გებულსა“
(აბულ. 1309,1; კაკ. 1333; საიუბ. გამ. 1383).

ტარიელის დახასიათებით ნესტანიც მშვენიერ სახლში ცხოვრობდა:

„შემაველო სახლი, ნაგები კეკლუტად ბანის-ბანითა“
(აბულ. 350,1 და კაკ. 375; საიუბ. გამ. 408).

გულანშაროს ვაჭართ-უხუცესსაც ჰქონდა

„იქ ბალსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი“
(აბულ. 1057,1; კაკ. 1080; საიუბ. გამ. 1126).

ტარიელი, ნესტანი და ავთანდილი რომ ქ. მულაზანზარში მივიდნენ და
 „გარდავდეს ფრიდონისასა, ს რ ა ნახეს მოსაწონები“
 (აბულ. 1387,1; კაკ. 1411; საიუბ. ვამ. 1462).

ამგვარ ესთეტიკურ გრძნობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რო-
 დესაც ასაშენებლად ირჩევდნენ ხოლმე ადგილს. მაგრამ მაშინ ესმოდათ, რომ
 მშენებლობა ადამიანის შრომაზე იყო დამოკიდებული, შეიძლებოდა მთლად შე-
 უღარებელი არ ყოფილიყო ის ადგილი, რომელიც უნებლიეთ ასარჩევი ხდე-
 ბოდა, მაგრამ, თუ ის შესაფერისად იქნებოდა აგებული და მოწყობილი, მაშინ
 მას მიენიჭებოდა მშვენიერებაც.

მხატვრული მწერლობის ერთს უმნიშვნელოვანეს დარგს ბუნების სიდიადი-
 თა და მშვენიერებით აღტაცებული სიყვარულისა და მისი მზერით გამოწვეული
 ღრმა გრძნობისა და სიხარულის გამოხატულება წარმოადგენს. მაგრამ სპეცი-
 ალურ გამოკვლევებსაცა და ზოგად საბელმძღვანელოებშიც დიდი ხანია უკვე აღ-
 ნიშნულია, რომ ეს გრძნობა და მისი მხატვრული გამოხატულება პოეზიაში შე-
 დარებით ძალიან გვიან ჩნდება: ადამიანი თავისი განვითარების გარკვეულ სა-
 ფეხურაშდე თითქოს ბუნების მშვენიერებას ვერც კი ამჩნევდა და უმთავრესად
 თავის თავსა და თავისიანებს დაჰმელოდა.

უნდა ითქვას, რომ ხალხურ პოეზიაშიც ბუნების მშვენიერების გრძნობის
 გამოხატვა იშვიათად თუ სადმე გვხვდება. მით უმეტეს საყურადღებოა და სა-
 ინტერესო გამოჩვენებულიყო, თუ როდის და სად და რა სახით გვხვდება ბუნე-
 ბის სიდიადე-სილამაზის შექება ძველ ქართულ სამწერლობო ძეგლებსა და ხალ-
 ხურ მხატვრულ თხზულებებში.

ბუნების თვალწარმტაცი მშვენიერება და აზვირთებული სტიქიონის სი-
 დიადე საუცხოვოდ არის ადამიანის ცხოვრების საბედისწერო საშინელებასთან
 დაპირისპირებული „თავფარავენლი ჭაბუკის“ ლექსში, რომელშიც, სხვათა შო-
 რის, ნათქვამია: თავის სატრფოსთან მიმცურავი ვაჟისათვის მისი საყვარლისა-
 გან წყალში გზისა და ფონის გასაშუქებლად ანთებული „ზღვის ვალმა ერთი
 სანთელი გამოღმა კელაპტარობდა“, მაგრამ ერთმა აესულმა ბებერმა, რომე-
 ლიც „ვაჟისთვის აესა ლამობდა, სარკმელზე ანთებულ სანთელს აქრობდა, აბე-
 ზარობდა“. ბოლოს და ბოლოს თავის გულის ზრახვას სწევია და სანიშნოდ დან-
 თებული სანთელი ჩაუქრია. უმაღლევო:

„ღამე ჩამოდვა წყვილიდი,
 უკუნს რამესა ჰგვანობდა,
 ტალლა ტალდაზე ნაცემი
 ვაჟის ჩანთქმისა ლამობდა.
 დაჰკარგა ფონი, შეშქირდა,
 მორევი ბობოქარობდა,
 გათენდა დილა ლამაზი,

კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა!..
 წყალსა დაეხროო ჭაბუკი,
 კოროხზე ეგდო, ქანობდა,
 წითელი მოვის პერანგი
 ზევთან დაჰფარფარობდა,
 ლეშს დასჯდომოდა ზედ ორბი,
 გულს უგლეჯავდა, ხარობდა!..“

(ხალხ. პოეზ. 10).

ბუნების მოვლენათა მშვენიერების ასეთივე სიყვარულით არის გამსჭვ-
 ლელი ხალხური ლექსი:

„ი ის ღრუბელნი მიყვარან, ხარობენ, მეელიანო,
 ბოროლასდენ რო დინო,
 ერთი მეორის შაყრასა შაიკრებიან ერთადა,
 მანანას ჩამაყრიანო...“
 (ხალხ. პოეზ. 11).

სერაპიონ ზარზმელის რწმენით ადგილის სიღამაზე მის დამმუშავებელამ-გებლების ნიჭზეც იყო დამოკიდებული. გიორგი ჩორჩანელისათვის მას უთქვაძს: „რაჟამს გელ-ყონ ჯლოვანთა მუშაკაა, მაშინ იხილოს თულმან მხილ-ველთიმან შუენიერებად ადგილისა ამის. ვინადაც ნუ ვუაიძულებ დატევებად ადგილსა ამას და სხუდ ცვალებად“-ო (ბ. ზარზმელი, ცე სრპენ ზრზმ-სა, კ. კეკელიძის გამ. გვ. 157, 28—31).

ამგვარად, მშენიერება წარტო გარეგანი ბუნების სიღამაზეც კი არ იყო დამოკიდებული. რაც კარგად ესმოდათ მათ, არამედ ფელოვნების იმ დონის სი-მაილზე, რომელიც ბუნების ნაკლს ავსებდა და მშენიერებას ანიჭებდა იქ, სა-დაც თითქოს ბუნებისაგან დაჩაგრული იყო.

2. მშენებლობის საქმე

ეხლა საყურადღებოა გაიკვეს შემდეგი საკითხები: როგორ აშენებდნენ ძველად, როგორ იყო მოწყობილი ეს საქმე? წმინდა ხელოსნური წესით იწვევ-დნენ იმ პირებს, რომლებმაც იცოდნენ აშენება და მათ გემოვნებასა და ხელოვ-ნებაზე იყო დამოკიდებული შენობის წარმართვა, თუ პატრონს ჰქონდა გარ-კვეული მოთხოვნილება და წინასწარი გეგმა მათთვის რომ წარედგინა? ან ხომ არ შეიძლება, რომ შუკვეთელთათვის აღმშენებელ ზეაროებსაც წარედგინათ მომავალი შენობის გარკვეული სახე? ძველი წყაროების განხილვითგან ცხადად ჩანს, რომ გეგმის შედგენა წინათაც სცოდნიათ. ეს კარგად მტკიცდება გიორ-გი ბერჩულის სიტყვებითგან. გიორგი ბერჩული არა ერთგზის აღნიშნავს, რომ ეკლესია წინასწარ განზრახული გეგმის მიხედვით იყო აშენებული. ბასილ ზარ-ზმელიც ამბობს სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში: „ამის მიქელის ზე იწყეს ეკლესიად იგი (ახალი ზარზმისა) წინადასწარ გამოოსახული წმიდისა მი-ერ“ (ცე სრპენი, 42; კ. კეკელიძის გამ., 179, 23).

ამრიგად, აქითგანაც ჩანს, რომ სერაპიონს წინასწარ გამოუსახავს და და-უხატავს, როგორ უნდა ყოფილიყო აგებული ეკლესია.

სრულიად გარკვეული ცნობა გვაქვს აქვე იმის შესახებ, რომ ნაგებობის გეგმის ხატვა სცოდნიათ, რის შემდეგ მოიწვევდნენ თურმე ხელოვნებით ვან-თქმულ კაცს: „ქელოვნებით განთქმულსა კაცსა მოუწოდა მიქელ ქუეყანისაგან ბერძენთადასა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა, ბრძანებითა უფალადათ, რომელსა თანაშემწედ აქუნდა გალატოზი“-სახელით შუარტყელი. და ესე ორნივე ეყენს მოძღუარ და მასწავლელ სირავ-ელსა მუშაკთასა“ (ცე სრპენი, გვ. 42; კ. კეკელიძის გამ., 179, 25). აი ამ ქველი წინასწარი სამზადისია წარმოდგენილი იმისათვის, თუ როგორ ატარებდნენ ხოლმე ამ სააღმშენებლო სამზადისს. ჯერ, მასშადადამე, გეგმა

ჰქონნათ შედგენილი, რის შემდგომ, ან ერთდროულადაც, იწვევდნენ ხოლმე ხუროთმოძღვარს, რომელსაც უზიარებდნენ პატრონები, რაც მათ სურდათ. ხუროთმოძღვარიც თავის მხრით მათ უღვევდა მოდელს, რომელსაც, საყიქრებელია, მაშინ აყვებდნენ, რაც დაცულია გვაქვს ქანდაკებებზე. აქ ზოგჯერ გამოყვანილია აღმშენებელი, რომელსაც ხელის გულზე უჭირავს თვით ეკლესიის მთლიანი ქანდაკება. კედლის მხატვრობაზედაც გვაქვს ხოლმე დახატული ამგვარადვე ეკლესიის მოდელები. შემდეგ თვით ნაგებობაზე, სახურავსა ან ერთ-ერთ სამხროზე, გარეთგან დასმულს ჭებდებით ხოლმე მოდელებს. ამას ეწოდებოდა ან სახე, ანა მსგავსება, რაც უღრის ბერძნულ *παράδειγμα*-ს, რომელიც მართლა გვგვამს ნიშნავს (სომხურად მას *օրինակ* ეწოდება, ხოლო ლათინურად—*tabnit*). ამ ტერმინებს ჩვენ დაბადებაშივე ვხვდებით. ასე, მაგ., „სახე კარვისა“ ან „სახე ქურჭლისა“: „მიქქენ მე შენ ყისა მისებრ, რი გჩუენო შენ შთასა ზა სახე კარვისა, და სახე ყისა ქურჭლისა მისისა ვგრეთ ჰქმენ“ (ბაქარ.: გამოხლ. 25,9; შდრ. ლათ. *justa omnium similitudinem tabernaculi, quod optendem tibi, et omnium vasorum* და ბერძ.: *τὸ παράδειγμα τῆς ἁγίτης* *καὶ τὸ παράδειγμα τῆς ἁγίας*; „სახე კარვისა“ და „სახე ქურჭლისა“ =სომხ. *օրինակ խորանի և սպասուց*, ხოლო ლათ. =*tabnit en Model*). დაბადებაშივე (საქ. მუხ. პალეოგრ. განყ. ხ. № A 51) გვაქვს სახე ტაძრისა და სახლისა: „...და მისცა დავით სოლომონს, ძესა თჳსსა, სახე ტაძრისა და სახლისა მისისა და ქორებისა მის ზაკეთსა მისსა. და ქორთა მათ და საჯუჯეთა მათ შინაგანთა (შწავნთა) და სახლისა ხალხინებელისა... (I ნეშტთა 28,12) და სახე, რომელი აქნდა გონებასა შინა თჳსთა (*sic*) ეზოთა მათ სახლისათა ორთა და ყისა მის სენაკებისა ვარეთა საჯუჯეთა მათ წთა“ (იქვე, 28,12) და საყოფელთა მათ მღვდელთა და სამსახურებელთა მათ მღვდელთა და ლევიტელთა და ყოფელსა მას საქმესა მსახურებისასა სახლისა ორისსა“ (იქვე, 28,13).

„მისცა დავით სოლომონს ძესა თჳსსა გამოწერილი ტაძრისა და სახლისა მისისა, და კამარათა მის (*sic*) და ზედა სახლთა, დასადებელი შინაგანთა და სახალხინებლისა (28,11). და მსგავსებასა, რომელი მოგონნა სულითა თჳსისათა, ეზოთა სახლისა ორ, და შთასადებელი წთა (28,12), და სასტუმრო, და (?) დღიურთა ცვლათა მღვდელთა და ლევიტელთა, ყა შა საქმესა მსახურებისა სახლისა ორ და შთასადებელთა სამსახურებელთა ქურქელთა მსახურებისა სახლისა ორ (I ნეშტთა 28, 11—13).

ეს ადგილი ბერძნულს დაბადებაში შემდგენიარადა: *ἔδωκε Δαυὶδ Σαλαμων ἑστῆσαν ἄνωθεν τὰς ἀρχὰς τοῦ ναοῦ καὶ τὴν ὀψίαν ἀνωθεν καὶ τὴν λακχῶν ἀνωθεν καὶ τὴν ἑπιερῶν καὶ τὴν ἀποθηκῶν τῶν ἑσωτέρων καὶ τοῦ ὄξου τοῦ ἑξίμου* (§ 11), *καὶ τὸ παράδειγμα τὸ εἶχεν ἐν πνεύματι ἀνωθεν τῶν ἀσλῶν ὄξου Κυρίου καὶ τῶν ἀποθηκῶν τῶν ἄγνων* (§ 12), *καὶ τῶν παρασκαμάτων τῶν ἐπιερῶν τῶν ἑρῶν καὶ τῶν λευίτων ἐν πᾶσιν ἐργασίαις λειτουργίας; ὄξου κυρίου, καὶ τῶν ἀποθηκῶν τῶν λειτουργῶν ἡμῶν ἁγιῶν* (§ 13). ესევე ადგილი ლათინურად ასე იკითხება: „Dedit au-

tem David Salomoni filio suo descriptionem porticus et templi, et cellariorum et coenaculi, et cubiculorum in adytis et domus propitiati-
onis (§ 11); necnon et omnium, quae cogitaverat, atriorum et
exedrarum per circuitum in thesauros domus Domini et in the-
sauros Sanctorum (§ 12), divisionumque sacerdotalium et Le-
viticarum; et in omnia opera domus Domini, et in universa
vasa ministerii templi domini“ (§ 13).

სათანადო ადგილი სომხურში ასეთია: „*სო ზაქიქ შიგინიჩ ირღეჯ
ჩარიამ ღორჩნაკ თადარჩნ ს სხსსკაფ ნორო, ს ვანძარანსაფ ნორო,
ს ქჩრნათანეზ, ს ჯახმარანაფ ნსჩრქოფ, ს თანზ ქალექსანი
(11); ს ღორჩნაკ ღორ იღჯეჩ ქ მარ ჩარიამ, ს რარჩე თანზ სხანს,
ს ვანსნაქს ჯთხმარანაფ ნ ჯორღმანსაქ*“ კამ რაქს თანზ სხანს,
ს მქსრჩე სრრქქსანიგნ (12); ს მანფორგაგნ, კითარამაქე ზოგს
ხელთნაწ: *ქრამაქე* ქ იკაჯიზნ ჭანსაქეგნ ს ღსთაფღე *ქამ* ღორბ
იქთაქამ თნე თანზ სხანს“ (13)“.

I ნეშტას 28,20-ში ნათქვამია: „აპა მსგავსებაჲ ტაძრისა და სახ-
ლისა მისისა და კამარისა მისისა და ზედა სახლისა და სადებელ-
ნი შინაგანთა და სახლისა სალხინებელისა, და მსგავსებისა
სახლისა უფლისაჲ“. ბეძენულად სწერია: „*τὰ παρὰ δειγμα ἕως καὶ
τοῦ οἴκου αὐτοῦ καὶ λαχῶν αὐτοῦ καὶ τὰ ὑπερθεῶ καὶ τὰς ἀποθήκας τὰς
ἑσθῆρας καὶ τὸν οἶκον τοῦ Ἰακώβου καὶ τὸ παρὰ δειγμα οἴκου κυρίου*“. ლათინურ-
ისევე, როგორც ებრაულს ცნობილ დედანსაც, ამ მუხლის ეს ნაწილი არ მოე-
პოვება. სომხურად ასეა ნათარგმნი: „*სკნა აქე ჭ ორჩნაკ თადარჩნ, ს
სხსსკაფ ნორო, ს სრარჩე ნორა, ს ქჩრნათანეზ, ს ჯიხმარანაგნ, ს
ჩრქნა-
თანეზ, ს თანზ ქალექსანი. ს ორჩნაკ თადარჩნ სხანს აქე ჭ*“.

3. ქვით ხუროობა

როგორც აღენიშნეთ, ხუროობა ორ მთავარ დარგად იყოფოდა; იყო ხით-
ხუროობა და ქვით-ხუროობა: „წარმოგზავნ[ნ]ა სირამ მეფემან ტუროსისმან... ხე-
ნი ნაძესანი და ხურონი ხეთანი და ხურონი ქეთანი და აღუშენეს
საბლი დაეთისა“ (II მეთ. 5, 21, ბაქარ.). ქვით-ხუროობა უძველეს დარგს წარ-
მოადგენს.

ქვით-ხუროობის ორგანიზაციას სათავეში ჰყოლია ხუროთმოძღვა-
რი: „იყენეს ხუროთმოძღუარ და ზედამდგომელ საქმისა მის (ზარ-
ზმის ეკლესიის აშენებისა) გარბანელი“ (ც 2 სრპნსი, 126). იქვე სხვა ადგილასაც
(გვ. 39) ვხვდებით ამ ტერმინს. ეროი იყო ხუროთმოძღვარი, მგორე კი—ზე-
დამდგომელი. ხუროთმოძღვარს თანაშემწედ ჰყავდა კალატოზი, ან თუ დიდი
შენობა იყო—კალატოზთ-უხუცესი (იგივე „კალატოზთა-მთავარი“—*ს იკიძმ-
კაძ ო მუჯკაიკაძ, აბა სოფ. 591—Δεψήτος 86*). ხუროთმოძღვარსა და კალა-
ტოზთ-უხუცესს შორის ის განსხვავებაა, რომ ხუროთმოძღვარი მთავარი ინჟე-
ნერია, მთავარი ხელმძღვანელი, ხოლო კალატოზთ-უხუცესი—ტექნიკური მხა-
რის გამგეა.

მესამე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქმისმოქმედნი, ანუ მუშაკნი, ამშენებლები, ვინც ამ ამშენებლობაში („უხუცესნი მბრძანებელნი, რომელ დაედგინეს სოლომონს ზა საქმესა მას“—საქ. მ. ბ. № A 51) იღებდნენ მონაწილეობას (საქმისმოქმედნი—მფ. III, თ. 5, § 16=οὐκ ἔργαζοντες ἄλλοι). მათ უფროსად ჰყავდა ზედამდგომელი: „ზედამდგომელი საქმეთა ზა (ბაქარ. II ნეშტ. 2,2 და 18); „ზედამდგომელი მათნი“ (საქ. მუხ. ბ. № A 51: II ნეშტ. 2,2); „მაწულელი (sic) მოქმედი ზა ერსა“ (იქვე 2,18=οὐκ ἔργαζοντες=praepositus); „მუშაკნი და მამუნებელნი“ მოხსენებული არიან კუმურდოს 964 წლის წარწერაში: „მუშაკნი და ქლნი მამუნებლნი... და... გლზქი ვნი...“ (Marep. XII, 38).

ხუროთმოძღვრებიც სხვადასხვანაირი იყვნენ. ერთი მხრით ხელოვანი (აია სოფ. 591=τεχνίτης, ὁ, ὄ.—*Διήγησις*; 86) ხუროთმოძღვარი, ე. ი. დახელოებული ანუ განთქმული, და მეორე მხრით—ჩვეულებრივი. როდესაც დიდი ნაგებობა იყო, ზედამდგომელიც (მფ. III, თ. 5, § 16=οὐκ ἔργαζοντες) რამდენიმე ჰყავდა. ყველაზე უფროსი ზედამდგომელი ზედამდგომელთა უზუცესად იწოდებოდა: „თვნიერ უხუცესთა ზედამდგომელთა საქმეთა ზედა სოლომონისთა“ (მეფეთა წიგნი III, თ. 5, § 16=χαρὶς ἀρχόντων τῶν κτιστῶν αὐτῶν ἐπὶ τῶν ἐργῶν τῶν Σαλωμών).

მომუშავე ხელოსანს ხურო ეწოდებოდა. ხურო, როგორც აღვნიშნეთ, ზოგადი სახელია (ხურო მაშენებელი, აია სოფ. 591=οἰκοδομῆς, ὄ.—*Διήγησις*; 86). იყვნენ ზურფნი ხეთანი და ზურფნი ქვათანი: „მოუღებელი მოციქული ქირამ მეფემან ტუროსისამან და მიუღებუნა მას ძელი ნაძესა და ფიქვსა და მოუღებინა მას ხურონი ძელი სანი, მოქმედნი ქვისანი და აუშენეს მუნ ტაზარი (sic) დაგითისა“ (საქ. მუხ. ბ. № A 51: II მეფ. 5,11); „წარმოგზავნ[ნ]ა ხირამ მეფემან ტუროსისამან მოციქული დაგითის მიმართ და ხენი ნაძესანი, და ხურონი ხეთანი და ხურონი ქვათანი, და აღუშენეს სახლი დაგითისა“, (იქვე, ბაქარ.)—[οὐκ ἔργαζοντες] Χεῖρὰν βασιλεὺς Τυροῦ ἀγγέλου; πρὸς Δαυὶδ καὶ ἦσαν ἰδῆρα καὶ τέκτονα; ἦσαν καὶ τέκτονα; λίθων καὶ φικοδομησῶν οἶκων τῶν Δ. — „Misit quoque Hiram rex Tyri nuntios ad D. et ligna cedrina, et artifices lignorum artificesque lapidum ad parietes et aedificaverunt domum David“¹).

ქვის ხურონი რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. იყვნენ ქვის-მკვდელი: „ქვის-მკვდელი მთასა შინა“ (საქ. მ. ბ. № A 51: III მეფ. 5,15); ქვის-მკუთელი: „ქვის-მკუთელი მთათა შინა“ (ბაქარ.: II ნეშტ. 2,2), ქვათა მკუთელი (იქვე, 2,18), მკუთელი ქვისა მთასა“ (საქ. მ. ბ. № A 51: II ნეშტ. 2,2—18=ἐπιπέσαντες ἑαυτοὺς ἐπὶ τὰ ὄρη); ქვის-მამუნებელი: „მომქრელი ქვათა მთასა შინა“ (მეფეთა წიგნი 3, თ. იგ=ἀσπίδων ἐπὶ τῶν ὄρων); ქვის-ვამომკვდელი: „უბრძანა მეფემან და მოიხუნეს ლოდნი დიდნი ქვათა მათგან პატოხანთა საძირკველად ტაძრისა მის, ქვანი გამოუქვერდნო. და გამოკვერნეს ძეთა მათ სოლომონისათა და ძეთა მათ ქირამისთა და დაამზადეს ძელი და ქვა[ჯ] საშენებელად ტაძრისა მის სამ წელ (III მეფ. 5,17—18: ს. მ. ბ. № A 51)—[ἐπέσαντες οὖν τὰς λίθους καὶ]

10. მატრიალური კულტურის ისტორია, 1.

γὰρ αὐτὸς, λέγουσιν. ἡ τοῖς βασιλεῦσιν ἐπὶ τὸν θεμελίον τὸν οἶκον καὶ λίθους
 μεγάλας καὶ ἐπέλεξευσαν οἱ υἱοὶ Χαλιμαῶν καὶ οἱ υἱοὶ Χαιράμ καὶ
 οἱ Γυβλῖται καὶ ἡ τοῖς βασιλεῦσιν τὰ ἔξω καὶ τοὺς λίθους“ (III Reg. 5,17); „Praeci-
 pitque rex, ut tollerent lapides grandes, lapides pretiosos in fun-
 damentum templi, et quadrarent eos (5,17) quos dolaverunt caemen-
 tarii Salomonis et caementarii Iuran; porro Gublii praeparaverunt lig-
 na et lapides ad aedificandam domum“ (5,18)].

თითოეულ ჩამოთვლილ ხუროთა ჯგუფს, რასაც ვირველია. თავისი მნიშვნე-
 ლობა ჰქონდა. ქვის ანობდა. ამოღებას ნიშნავს. ქვის-მხედელიც, მასსადა-
 მე, იმას იწოდებოდა, ვინც ქვას იღებდა. ქვის-მკვეთელი ის იყო. ვინც ქვას
 სტებდა. შერეო იყენენ ქვის-მომჭრელი და ბოლოს ქვის-გამომკვე-
 თელნი და ქვის-გამომკვერელი. როდესაც ქვა ამოღებული იყო, შერ-
 მე მისი დაკვერვა წარმოებდა, ე. ი. საგანგებო იარაღებით ასწორებდნენ მის
 ზედაპირს, რასაც გამოკვერვა ეწოდებოდა. ხელოსანს, რომელიც კვერავდა,
 ეწოდებოდა კვერით ხურო (აბა სოფ. 590 = λατσίος — ძეგუჯა 55), ანუ კვერით
 მომუშავე. შემდეგ იწყებოდა ქვის თლა. იყენენ ხელოსნები ქვის-მათელნი
 (აბა სოფ. 590 — λιθοτέρας, ნ — ძეგუჯა 55). შეიძლება ერთი და იგივე ხელოსანი
 ყოფილიყო გამოკვერელიც და ქვის მათელიც, მაგრამ როდესაც ძალიან სუფთად
 და ხელოვნებით უნდა ყოფილიყო შესრულებული საქმე, ცხადია. ის განაწილე-
 ბული უნდა ყოფილიყო კალატოზი იგივე ქვით ხურო იყო. ასე ესმოდათ
 ძველად, მაგრამ როგორც ჩანს, ის დაკვერითებული უნდა იყოს აგურის ნაგებო-
 ბის საქმიანობისთან. მას შემდეგ, რაც აგურის ნაგებობა ვრცელდება, ჩანს,
 რომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭებია.

ძველი ქართული წყაროები უმთავრესად ქვის ნაგებობის შესახებ მოგვი-
 თხრობენ. აგურით ნაშენ ნაგებობათა შესახებ წყაროებში ძალიან ცოტა ცნო-
 ბები გვაქვს, თუმცა ჯახეთში, მაგალითად, უძველესი დროიდანვე აგური გავრ-
 ცელებული ყოფილა. საჭირო არაა მარტო კახეთის მაგალითად აღება. სტრა-
 ბონის ცნობითგან ჩანს, რომ იმ დროს იბერიის მთელ ფართობზე ყოფილა გა-
 ვრცელებული საერთოდ აგურისა და კრამიტის ნაგებობა. იმდროინდელი აგუ-
 რი ჩვენ უკვე ხელთა გვაქვს კიდევ მცხეთის სამთავროს არქეოლოგიური გა-
 თხრებით მოპოვებული მასალის წყალობით.

ქვებსაც სხვადასხვა სახელი ჰქონდა. სულ წვირლ ქვას კენჭი ეწოდე-
 ბოდა; სილია აქ აღარ ვახსენებთ, რადგან ის ქვიშასთან არის დაკავშირე-
 ბული. ქვა, კენჭი, ლობი და ჭოჭყი სილიის მიხედვითაა გარჩეული. სილი
 ქვა, ხაონდო, წყლიდან ამოღებული ქვის სახელია. გვაქვს ლოდის; ისიც
 სხვადასხვანაირი იყო: „შაორის მათის თხემსა ზედა დგას ციხე დიდ როვ ა-
 ნის ლოდითა ნაშენი“ (ვახუშტი, სქს გვგვთა 55; ნ. ბერძენიშვი-
 ლბს და თ. ლომოურის გამ., გვ. 43). კუთხის ლოდს საკიდური ერქვა:
 „აბა ესერა დავსდებ საფუძველსა სიონისასა, ლოდსა ფდ პატიოსანსა რჩელს-
 სა. საკიდურსა პატიოსანსა, საფუძველსა საფუძველთა მისთა“ (ესაიას
 28,16: ოშკ.). ქვაც სხვადასხვაგვარი იყო. იყო ხმელი, ე. ი. დაუმუშავებელი
 ქვა, და შემდეგ დამუშავებული; აღუქმნეს მას შიშა მას ზედა... სუეტი ქვი-

თა ჯმელითა... უქსნელ აღაშენა სუეტი იგი და... (სევიმონ მესვეტის ცნ., იხ. კ. კეკელიძის *Историко-агиографические отрывки*, ХВ, т. II, вып. II, 192; კ. კეკელიძე სთარგმნის „на ликого камня“). არსებობდა აგრეთვე ქვის ყორეც. «ლობე-ყორეს ედებოა», ეხლაც ამბობენ. ქვის ყორე უტა-ლახო, უჯირო ქვის ნაგებობას გულისხმობს, რუსები რომ *сухая кладка*-ს ეტყვიან. ნესტანი ქაჯეთითგან ფატმანსა სწერს: ტარიელს აქ წამოსვლა დაუშაღე და, თუ ტარიელი

„არ დაგმორჩილდეს, დამქოლე შაეისა ქვისა ყორითა“-ო (აბულ. 1219,4; კაქ. 1242; საიუბ. გამ. 1290).

მასალის აღმნიშვნელია სპონდიოც: „ნუნენ... ამირთამირამან, სუნლულის ძემან ლომან, და ჩემან ძმისწულმან, ლაჩინამან... შემოვალე საყდარსა (სეეტიცხოველს) სპონდიო... დიწკრა ქქს 3 (1392), ივლისის ვ... (ეორდანია, ქქბი II, 198, 202 და 203).

საშენ მასალად გამოთლილ ქვას გარდა („აშშნებდეს ტაძარსა ღისასა დიდ-დიდსა და საცკრველსა ქვეათა გამოთლილთა და დიდ-დიდთა“ II ეზრა, თ. ნ: ოშვი) უთლელ ქვასაც იყენებდნენ: „აღაშენა ტაძარი იგი ქეითა უთლელითა და ჯმ ქურკლისა და რკინისა ყოვლადე ირა ისმა შენებასა მას ტაძრისასა. და ბჳე გუშრდით შინაგან მრჯნით მჭარსა მას მის ტაძრისასა და აღაავალი მისი ვარემით საშუალადმდე, საშუალითგან ვიდრე მესამედ სართულადმდე. და აღქმნა ტაძარი იგი და აღასრულა, და განირბუნა ტაძარი იგი ფიცრითა შედგმულითა და ძელითა ფიქვისათა და აღაშენა კედელითა შითა მის ტაძრისათა სუეტებს ქუეშე კამარათა მათ... და აღარუნნა სუტნი იგი ძელითა ფიქვისადთა“ [III მეფ. 6,7—10: ს. მ. მ. № A 51.—ბ იხა: ზ თრ ი: *ⲁⲓⲃⲟⲩⲁⲛⲰⲩⲁⲓ* *ⲁⲩⲥⲟⲛ* *ⲗⲓⲱⲓⲥ* *ⲁⲭⲣⲟⲩⲧⲁⲓⲥ* *ⲁⲓⲣⲟⲩⲥ* *ⲫⲁⲓⲃⲟⲩⲛⲉⲩ*, *ⲁⲩⲥ* *ⲟⲩⲫⲣⲁ* *ⲁⲓ* *ⲛⲗⲁⲓⲁ* *ⲁⲓ* *ⲛⲗⲁⲓ* *ⲟⲩⲁⲛⲟⲩ* *ⲟⲩⲛⲉⲩⲣⲟⲩⲥ* *ⲛⲁⲩ* *ⲧⲁⲓⲁⲩⲉⲩ* *ⲗⲉ* *ⲧⲫ* *ⲛⲉⲩⲟⲩ* *ⲁⲓ* *ⲛⲗⲁⲓ* *ⲟⲩⲁⲛⲟⲩ* *ⲟⲩⲛⲉⲩⲣⲟⲩⲥ* *ⲛⲁⲓⲧⲟⲩ* *ⲁⲓ* *ⲛⲗⲁⲓ* *ⲟⲩⲁⲛⲟⲩ* *ⲟⲩⲛⲉⲩⲣⲟⲩⲥ*“ (6,13).—„Domus autem, cum aedificaretur, de lapidibus dolatis atque perfectis aedificata est; et malleus et securis et omne feramentum non sunt audita in domo, cum aedificaretur (6,7). Ostium lateris medii in parte erat domus dextrae; per cochleam ascendebant in medium coenaculum et a medio in tertium“ (6,8)].

სუფთად დაუშვებულ, გათლილ ქვას ფიქალი ეწოდებოდა. ფიქალი ქვის ფიქარი იყო „ორნი ფიქალნი, რ[ნი] დაღვა (I) მოსე ქორებს“ [ბაქარ.: II ნეშტ. 5,10.—„ბა *ⲗⲁⲓⲁⲓ* *ⲁⲓ* *ⲛⲗⲁⲓ* *ⲟⲩⲁⲛⲟⲩ* *ⲟⲩⲛⲉⲩⲣⲟⲩⲥ*“ (Paral. 5,10)... „duae tabulae quas posuerat Moyses in Horeb“ (5 10]. ოთხკუთხად გამოკვეთილ ქვას კიდევ მოთხვითი ქვა ეწოდებოდა: „მისცეს ნუროთა და მაშენებელთა, რა იყიდონ ქვად მოთხვითი, და ძელი მოსლად, და აღოთვად სახლები, რნი და არღეს მკვეთა იუდასთა“ (საქ. მეფ. ხ. № A 51: II ნეშტ. 34,11.—ბაქარის გამოკვეთით: „მისცეს იგი ჯლსა შა მოქმედთა საქმისა-აჴმედეთა სახლი-სა ორისასა. II ნეშტ. 34,10) და მისცემდენ ბუროს მოძღუართა და სახლ-მშე-

ნებელთა, რა იყიდონ ქვაწი ოთხ-კუთხენი და ხეთა ძელთა ზედა და დაბურვისა ზა სახლთა [II ნეშტ. 34,11. — „ἔδοξαν αὐτὸς ἐπὶ χεῖρα πωλοῦσιν ἑξ ἑργῶν οἱ ἔπαυσαις ἕν ὄξυον κυρτὸν ἐπισκαυαῖσται τὸν ὄξυον (II Paral. 34,10) καὶ ἔδοξαν τοῖς οἰκοδομοῖς, καὶ ἀγοράσαι λίθους τε ἑραπῆσταις καὶ ἕλα εἰς δοχὰς στεγῶσαι τοὺς οἴκους“ (34,11). — Tradiderunt in manibus eorum, qui praeerant operariis in domo Domini (34,10)... Et alii dederunt eam artificibus et caementariis, ut emerent lapides de lapidinis et ligna ad commisuras aedificii“ (34,11)]

4. ნაგებობის ტექნიკური თვისებების დამახასიათებელი ტერმინები

ყოველ უტალახო ლიტონის ქვით ნაშენს წარმოადგენდა სკირა კი ჟიროს, თიხითა და ქვით ნაშენს, ხოლო კედელი კირითა და ქვით ნაშენი იყო. კედლის განმარტება, რომელიც საბას მოეპოვება, მთლად სწორი არაა. კედელი თავდაპირველად სრულებით არ გულისხმობდა ქვით ნაგებობას, არამედ ის თავდაპირველად ხის ნაგებობის სახელი იყო. ქვემოთ, როდესაც ხით ხურობას განვიხილავთ, შევეცდებით ამის დამტკიცებასაც. ქვითა და კირით ნაგებს, კვიტკარი ერქვა. ტარიელი ამბობს: ნატეისი ხანს შევთვალეო

„სიკვილისა ვიჯობს სიცოცხლე, და გვიდგამს ვერ ქვიტკირები“
(აბულ. 367,1; კაც. 392; საიუბ. უამ. 426).

ქველად გვქონდა აგრეთვე ძელ-ყოვე („ქვითა და ძელითა მოზღუდული“ — სიბა), შერეული წესი, როდესაც ყორითა და ძელით ასრულებდნენ შენებას. წესი არსებობდა, ჯერ რამდენიმე ფენას ყორით აწყობდნენ, შემდეგ კი ძელს, ე. ი. ხეს, ადებდნენ, მერმე ისევ ყორე ამოჰყავდათ და **ო. შ.**

ეკლესიასა, თუ სხვა ნაგებობას, უნდა უბრველესად **სიმტკიცე** ჰქონოდა. ამიტომ არის, რომ დავით აღმაშენებელს შიომღვიმის 1123 წ. ანდერძში ნათქვამი აქვს: „მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა, ჩემ მიერ აღშენებულსა“—ო (შიომღვიმ., საბ. 16).

ნიკორწმიდელის XI ს. საბუთში სხვადასხვა მასალისაგან აშენებული შემდეგი ნაგებობანი მოხსენებული: 1. ნიკოლაოს-წმიდაში „სახლი ქვითკირი:ა; და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი:ა; (ქკბი II, 46). 2. ბერთაბრელს „ქვითკირი შეკვეთი ბოსელი:ა; და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი:ა;“ (იქვე, II, 46). 3. „ზნაქუას ... ქვითკირი ბოსელი:ა; და ზედა ხერხული ბეღელი:ა;“ (იქვე). 4. „მუხურას ქვითკირი ბოსელი:ა; და ზედა სახლი:ა;“ (ქკბი II, 48—49). 5. ზნაქუას... ქვითკირი ფარები:ა; და ზედა ქორედი სახლი:ა; (იქვე, II, 46). 6. „მეტხარას დავდგი სასაწინებლოჲ ქვითკირი:ა; და შიგან უჭრინისა საწინები ქვითკირი:ა; და შემისა საწინებელი:ა;“ (იქვე, II, 45—46). მთლად ასეთივე სასაწინებლოები აუგია ზნაქუასა და ქივშსაც (იქვე, II, 46 და 48). ნიკოლაოს-წმიდას „შეკვეთი... მარანი ქვითკირი:ა; და დავჰვადო შიგან ჰური ნივარძლი:ივ.“ (16)—ო (ქკბი, II, 46).

ბის ნაგებობათაგან ამავე სიგელში იხსენიება:

1. ნიკოლას-წმიდაში „შევქმენ სახლი მუხისაჲა: და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი:ა“ (ქვბი II, 46); „სხუად სახლი შევქმენ სახუცოჲ მუხისაჲა:ა“ (იქვე); „სხუად სახლი შევქმენ ცილოფისა და მუხისაჲა:ა“ (იქვე); „სხუად სახლი შევქმენ მუხისაჲ სამშარაულოჲა:ა“ (იქვე).

მუხის ერთსართულიან სახლებს გარდა მუხისაგან მეორე სართულად დასადგმელბსაც აკეთებდნენ. მაგალითად, ბერთაბრელს „ქვითკირი შევქმენ ბოსელი:ა და ზედა სახლი მუხისაჲ კარგია:ა“ (ქვბი II, 46). ასევე ნათქვამი ნიკორწმიდის ნაგებობაზეც: „ნიკოლას-წმიდას შევქმენ სახლი ქვითკირია:ა და ზედა სახლი მუხისაჲ კარგია:ა“ (იქვე).

მუხის მარანიც უშენებიათ. ნიკორწმიდელი ამბობს: „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისა:ა და დევდელ შიგან კური:ი (10) და დევდგი ზედა ბედელი ხერხული :ბ“-ო (ქვბი II, 48).

მუხას გარდა ბის საშენ მასალად რაქაში ნაძვიცა და ცილოფიც უხმარიათ. მაგალითად, ნიკორწმიდელი მოგვითხრობს: „ნიკოლას-წმიდას... სხუად სახლი შევქმენ სახუცოჲ... ნაძვისაჲა:ა“ (ქვბი II, 46). ხოლო ს. საწირეს აევაგე „სხუად სახლი ცილოფისაჲა:ა და ზედა საჯუარე:ა“ (იქვე II, 48). საგულისხმოა, რომ ამავე პირს ორი ბის მასალისაგან იგებული სახლიც აქვს აღნიშნული. იგი მუხისა და ცილოფისაგან ყოფილა გაკეთებული: „ნიკოლას-წმიდას... სხუად სახლი შევქმენ ცილოფისა და მუხისაჲა:ა“ (ქვბი II, 46).

ბელისა და „შველის“ ნაგებობის ისეთი დამახასიათებელი გამონათქვამებიდანაც, როგორცაა „ბედელი ხერხული“ (ქვბი II, 46—49), „შველი ხერხული“ (იქვე II, 47), ცხადია, რომ მათაც ბისას აკეთებდნენ.

საყურადღებოა, რომ წყაროებში ბის ნაგებობათა შესახებ რამდენიმე განსხვავებული დამახასიათებელი ტერმინი გვხვდება. მაგალითად, ნიკორწმიდელი XI ს. თავის ნალეაწის აღწერილობაში ამბობს: „ხოტეეს... დევდგი ბედელი სადაგია:ა და ზედა შველი ხერხული:ა“ (ქვბი II, 47), ხოლო ს. ზნაკულს „შევქმენ... ქვითკირი ბოსელი:ა და ზედა ხერხული ბედელი:ა“ (იქვე, 46). აგრეთვე „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისა:ა... და დევდგი ზედა ბედელი ხერხული:ბ“ (იქვე II, 48) ისევე, როგორც „შევქმენ მუხურას ქვითკირი ბოსელი:ა და ზედა... ხერხული ბედელი:ა“-ო (ქვბი II, 48—49). ამრიგად, ნიკორწმიდელს ერთი მხრით სადაგი ბედელი აქვს დასახელებული, რომელზეც ორსართულიანი ნაგებობის ქვედა სართოუს წარმოადგენს, მეორე მხრით ხერხული ბედელი, რომელიც, პირიქით, ორსართულიანი ნაგებობის ზედა სართულის დამახასიათებელ ტერმინად გვევლინება. საყურადღებოა, რომ შველი ხერხულიც ასევე მეორე სართულის ნაგებობის სახელია. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ხერხული ნაგებობა სადაგზე უფრო მსუბუქი უნდა ყოფილიყო. როგორც თვით ტერმინი ხერხულიც ამჟღავნებს, [ივრ] დახერხილი ხე-ტყის მასალის ნაგებობის დამახასიათებელი ტერმინი უნდა ყოფილიყო.

ასაგებ მასალად ხმარობდნენ ქვას, ღორღს, ქვიშასა და კირს. აშენებინ დაწყებამდე საჭირო იყო, რასაკვირველია, „ქვისა, გინა სხუსა რადასამე ნივთისა“ ჯერ „მოღებაჲ“, მოტანა, ხოლო შემდეგ უნდა შესდგომოდნენ „ხელად ქვიშისა კირსავე თანა“. მერმე მუშაკობას უნდა შესდგომოდა ამშენებელი: ქვები უნდა დაეწყო და ქვა ქვაზე დაედო, რასაც „ქვისა ქვასა ზედა დასუმაჲ“ ერქვა. შიგადაშიგე-კი „ლორღისა და კირის შთასხმა“ სჭირდებოდა (აბუსერიძე ტბელი, ქ. ში II, 112—113; ლ. მუსხელიშვილის გამ., 24). ეს მაშინ, როცა კედელი ორპირი იყო.

ასაგებ მასალად ავუტრსაც ხმარობდნენ, მაგრამ ძველ ქართულში ამ ტერმინის ნაჯიკრ ალიზი გვხვდება. ალიზი მარტო გამოუწვავი ავუტრის აღმნიშვნელი-ი არ იყო ძველად, როგორც უკვე ს. ორბელიანს აქვს განმარტებული და როგორი მნიშვნელობაც დღესდღეობით ამ სიტყვას შერჩენილი-ლა აქვს, ათამედ გამომწვარისაც. ეს თუნდაც იქითვანაც ჩანს, რომ საქმილი ალიზისაჲ არსებობდა; ალიზისათვის განუყოფელი ღუმელი იყო, ცხადია, მის გამოსაწვავად. II შეფეთა 12,31-ში, მაგალითად, ნათქვამია: „განიყვანა ივინი (ე. ი. თრნი) შორის საქმილსა ალიზისასაჲ (ბაქარ). საქმილი ალიზისაჲ *αλιζιον*-ს, ლათ. *typ laterum*-ს, ფრანგ. *un four à briques*-ს, გერმ. *Ziegelofen*-ს უდრის.

ავუტრი ქართულში შედარებით გვიან შემოდის, X ს-ზე ადრინდელ ძველში ის არ შეგვხვდება. შესაძლებელია ამ დროსაც იყო ეს ტერმინი, მაგრამ ჯერ აღმოჩენილი არაა. XI ს-ში ის ჩვეულებრივი სიტყვაა; უნდა ვიფიქროთ, რომ ის X ს-შიც იქნებოდა, იქნებ IX ს-შიც, მაგრამ უფრო ადრე არა. იქ ყველგან ალიზი ი. ავუტრი ჯ უნაშერს აქვს თავის საისტორიო თხზულებებში ნახმარი. ნებროთზე იქ წერია: „დაემორჩილნეს მას ყოველნი ნათესაენი ნოესნი, ვიდრემდის შეუძლო ქალაქი ქმნად, რომლისა ქუად შექმნა ქუა ოქრო და ხარისხად ვცხელი და გარემოს მისსა მოიქმოდა ავუტრი თა და კირითა, ხოლო ქუდნი კართანი და სარკუმელთანი იაკინთოსა და ზღრმუხტისანი შექმნა“-ო (შმ დ ფსი ქა *330, გვ. 140; შდრ. ანასეულს, გვ. 107). მონათხრობი, რასაკვირველია, ზღაპარია, მაგრამ ჩვენთვის იმდენადაა საყურადღებო, რამდენადაც აქ ტერმინი ავუტრი და კირი გვხვდება. XI ს-ში, როგორც აღვნიშნეთ, ის ჩვეულებრივი სიტყვაა, ცხადია, ის გაცოლებით ადრე უნდა იყოს გაჩენილი, მაგრამ არც ძალიან ძველად; მაგალითად, რაბადებში ავუტრი არსადაა ნახმარი.

საბანინოწმიდელს თავის ჰროვარტა-გუჯარში ავუტრის გამოწვის ამბავი მოთხრობილი აქვს დაწვრილებით: „ნივთ-მასალა მრავალნი და უპასუხავნი შეიღვივნეს ამის ზედა. და შეცხობილისა ალიზისა მეცელოვნემან ესე მოგვითხრა: ალიზი, არ შეიცხობა თუ არა რიყის ხითა, და ესე გეშორვიდა დიდად, რომელ იორისა მდინარიდან უნდა გვეზიდა. და აიდა ჟამად მრავლად სხვაგან და სხვაგან დიდ-დიდნი ჯარნი მდგომარებდეს ლეკთანი და ჩვენთავისა ველთა მტერთასა მისაცემელად დამრიდებელთა, მრაველითა ასითა ურმითა ვიწყეთ მოტანად იორით ნარყისა მის შეშისა და ალიზ-ავუტრი ესრეთ შევმზადეთ. და

გარდა ამისა სხვაცა საჭირო მასალა და კირი მრავლად ბერ-რეტულს და მრავალი მოუნდა. აღვაშენეთ ესდენითა და მესენებულთაგან უმრავლესითა შრომითა“.

როდესაც ნიადაგი ამორჩეული იყო და გვემაც არსებობდა, საჭირო იყო მუშაობის დაწყება. რა თქმა უნდა, ჯერ ქვის ამოღებით უნდა დაეწყათ მუშაობა, რასაც ქვის აღმოკვდა და მიწით აღმოღებდა და აღმოკუთეთა ერქვა შემდეგში.

აბუსერიძე ტბელს მოთხრობილი აქვს ერთი აღმშენებლის, ბასილის ამბავი: „ერთსა ერისკაცთა განსაცა ვისმე აღაშენებინა ეკლესია მისი გამოცხადებითა თვისითა... წმიდამან მოწამემან გიორგი, ქვისაგან და კირისა“ და ის ერისკაცი „ბასილი მუშაკობდის, თხიერ ვისისაცა თანაშეწევისა“-ო (ქვბი II, 112; ლ. მუსხელიშვილის გამ., 18-20). ამ ავტორის თქმით ბოლო-ბასილს ეუწყა: „ქვასა... მიწით აღმოიღებდეს ანუ კლდისაგან აღმოჰკაფდეს“-ო (იქვე. 114; ლ. მუსხ. 53).

ქვის, ასაშენებელ მასალად გამოყენებისათვის, წინასწარ დამუშავება სჭირდებოდა. ასეთ დასამუშავებელ ქვას „სამუშაკოა ქვა“ ჯრქვა. მის მოსატანად საგანგებო „საზღდავი“ არსებობდა (აბუსერიძე ტბელი, ქვბი II, 113; ლ. მუსხ. 43). ხოლო საშენი ქვის გასათლელად განუთვნილი იარაღიც, რასაკვირველია, არსებობდა, რომელსაც მაშინ ეწოდებოდა „ჭურჭელნი ქვის სათლელნი“ [ჭურჭელი ძველ ქართულში იარაღს ნიშნავს. იარაღი ქართულში XII ს-ზე ადრე არ გვხვდება, წინათ მას ჭურჭელი ერქვა]. ეს იარაღი რკინისა ყოფილა. აბუსერიძე ტბელს მოთხრობილი აქვს, რომ ვალატოზს [ვალატოზი ავტორს ქეთი-ხუროს სინონიმად მიიჩნია: „ესე ბასილი იყო ქეთი-ხუროდ, რომელსა ეწოდებდის ვალატოზი“-ო—ქვბი II, 113; ლ. მუსხ. 25], ბოლო-ბასილს შთაავრნაო წა გიორგიმ: გამოართვი ამა და ამას რკინა და „შექმნენ მის რკინისა ჭურჭელნი ქვის სათლელნი“-ო და მართლაც ამ ვალატოზს იმ კაცმა დაუთმო „რკინა და შესაქმნელი ქვის სათლელთა ჭურჭელთა“-ო (ქვბი, 113; ლ. მუსხ. 50). უკანასკნელი ცნობა მითაც არის საყურადღებო, რომ აქ ჭურჭელნი მრავლობითად არის ნახმარი, და აქეთგან ჩანს, რომ ქვის სათლელი იარაღი მაშინაც სხვადასხვანაირი ჰქონიათ, რომელთაგან თითოეულს, უეჭველია, თავისი დანიშნულება ეკნებოდა.

რა გზით უნდა ყოფილიყო მიტანილი ამოღებული ქვა, დაუმუშავებელი ან დამუშავებული? ეს საინტერესო საკითხია, რამდენადაც ჩვენ ძველ ნაგებობებში უზარმაზარი ქვებია გამოყენებული და ადამიანი პირდაპირ გაოცდება, როდესაც დაუფიქრდება, თუ რა საშუალებებით მიჰქონდათ ეს უზარმაზარი ქვები. აბუსერიძე ტბელიც ამტკიცებს, რომ ზაქარია-წმიდას მთაზე ნათლისმცემლის ეკლესიის ნაგებობა „არს ყოველივე ესე ნამუშაკევი ამის საკვრეელისა ტაძრისა და დიდად შუენიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატკრთავად-ცა ძნიად შესაძლებელთა“-ო (ქვბი II, 115; ლ. მუსხ. 73). მოგვეპოვება ცნობები რომ მაინცა და მაინც ძალიან რთული მოწყობილობა საჭირო არ ყოფილა, აღნიშნული მასალის მიწაშიდავიდ, თუმცა ძველად მანქანებიც სცოდნიათ.

ქვის დანუშვება-გათლას კაზმაა და შეკაზმაა ერქვა. ჩვეულებრივ ქვიში-სა და ქვის საზიდავად შთაში მარხილი უხმარიათ, მაგრამ საქონლითაც, მაგალითად, აზავრებით ანდა ჯორებითაც უხიდათ. აბუსერიძე ტბელი ამბობს: ბოლოკ-ბასილს „კაზმასა შინა ქვისასა ადგილსა და უბანსა, რომელსა ეწოდებინს ჯალე“. სიოცრება მოეჩვენაო (ქვები II, 114; ლ. მუსხელიშვილის გამ., 57). ამავე ხელოსანმა ზაქარია-წმიდის მთაზე „შეჰკაზმა ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიალ და დადვა მარტომან მარკილსა ზედა მათვე უღლეულთა თვსთასა“-ო (ქვები II, 114; ლ. მუსხელიშვილის გამ., 67).

აბუსერიძე ტბელის ცნობით, ბოლოკ-ბასილს მოსჩვენებია, ვითომც წა გიორგის მისთვის ებრძანებინოს, რომ ჩემ სახელობაზე ტაძრის აგების დროს ითხოვე „ერთი კერძო-კარაული, რომელ არს ჯორი“-ო, და „უღლეულნი ჯართა შენთან“, რომელნი გაყავს; „თვნიერ მათსა ნუმცა მოგმარებ საზიდავსა სამუშაჲსა ქვისასა, გინა სხვსა რაჲსმე ნივთისასა, და ამით კარაულითა¹ კრებდი ქვსასა“-ო (ქვები II, 113; ლ. მუსხელიშვილის გამ., 43—44).

მძიმე საშენი მასალის შთიან ადგილებში ზიდავა, რასაკვირველია, სახიფათო და ამიტომაც საფრთხილო საქმე იყო. აბუსერიძე ტბელს რამდენიმე ისეთი შემთხვევა აქვს მოთხრობილიც, როდესაც მუშაკი შემთხვევით გადარჩენია მოსალოდნელს სიკვდილს, ანდა დასახიჩრებას. მაგალითად, ბოლოკ-ბასილი რომ გიორგო-წმიდის მთითვან ნათლისმცემელს ტაძრისათვის დამზადებულს უშველერელ ქვას მარხილით მოგზიდებოდა, უეტრად, „მეყუსეულად მოეკვსნენეს მარკილნი უღლეულსა მას კართასა და უღლეო ქედსავე ზედა დაშთა მათსა... და მსწრაფლ შთა-მოვლო საზარელი იგი და მყაფარი ჩამოლმარითი, და ატყა სიმრავლესა ქვათასა ეყუეთა და არცა წინაკვრძო დახულომილსა ხევნარსა მის ქუეშე მყოფისა მალნარისასა, რომლისა დასასრულსა, სივაკესა შინა, წარვლო კარი ეკლესიისა... და მას ქუეშეთცა განვლო წყალი და ყოვლადვე უვნებელმან ქვითურთ შევლო შეღმართიცა დიდი“, და ამნაირად „წარვიდა უმეტეს ოთხისა უტყერისა და მიწია ქვაჲ იგი... სამუშაჲსა მას ტაძრისასა“-ო (ქვები II, 114—115; ლ. მუსხელიშვილის გამ., 69—71).

მაგრამ ცხადია, რომ ამ საშიშს სამუშაოს ყოველთვის ასე უვნებლად ვერ ვადაურჩებოდა და არა ერთხელ უბედურებაც დატრიალდებოდა. მართლაც, იმავე აბუსერიძე ტბელს აქვს ასეთი ამბავი აღწერილი: ერთხელ თურმე „მუშაჲსეულად ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარი მვრუარ ეამ“ (ქვები II, 115; ლ. მუსხ. 76). მეორეჯერ კიდევ ეს ხელოსანივე, როცა „მუშაჲობასა შინა ქვაჲ განეპო“ და განაპობის გასაზომავად შუაში ჩამდგარა, მოულოდნელად შუაში მოემწყვედა და შემოეჭირა „იმეიერ და იმე-

¹ კარაული ძველ ქართულში ვირს ნიშნავს, დედალს. თავდაპირველად ვირი მანალი ცხოველის სახელი იყო. არსებობდა სახელწოდება კერძო ვირიც (კერძო ნახევარს ნიშნავს, ე. ი. ჯორისა). ამოიკავა, ვირზე გადაკიდებული ჰქონია, როგორც ტყუაბა. ტომრები; ტომრებში-კი მარხილი ჰქონია ქვიშა და მით უხიდავს ის. დიდი ლოდებში-კი, ქვები, მარხილით მიუტანია.

ერ მით განაპებითა ქუჯათაჲთა“ (ქუბი II, 116; ლ. მუსხელი შვილის გამოც., 101-102) და კინალამ არ დაღუპულა.

საქართველოს ძველი ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, კარგი საშენი მასალის ახლო უქონლობის დროს ძველი ნაგებობის ნანგრევების მასალაც გამოუყენებიათ. ცხადია, ასეთი მასალა შენობის ისეთი ნაწილისათვის იქნებოდა ნახშირი, რომელიც უფრო უკეთესი თვისებებით უნდა ყოფილიყო აგებული და ამის გამოც შესაძლებელია უფრო გამოსაჩენიც ყოფილიყო. ეს გარემოება ბ. ზარზმელის თხზულებითგან ირკვევა.

ზარზმის პირველი ეკლესიის აშენების დროს სერაპიონს კარგი საშენი მასალის უქონლობა თურმე ძალზე უჭირებდა საქმეს. რაკი ამ მიზნისათვის გამოსადეგი ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყენეს“ ამიტომაც აღმაშენებელნი „წყლისაგან რასმე ღონიერობდეს და უშუერსა“¹ რასმე ქვასა მუნით მოიღებდეს“-ო (ცა სრპნ ზრზმლსა, კეკ. 167,4-6), ე. ი. იძულებული ყოფილან რიყის ქვა ეხმარათ. გ. ჩორჩანელს რომ უნახავს, თუ როგორ ეწვალებოდნენ, როდესაც საშენ ქვას „ქირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს“, სერაპიონისა და მის ხუროთ-მოძღვრისათვის უამბნია, რომ მახლობლად „არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძრვისაგან“ და მის ნანგრევების საშენ მასალად გამოუყენება ურჩევია. რაკი მათ გაუგიათ, რომ „უჭმრად მდებარე“ არს ეკლესიაჲ იგი, ბრძანეს“, რომ აქითგან წამოეღოთ იმდენი ქვა, „რაოდენი ეჭმარებოდა ეკლესიისა მისთჳს“. ბრძანება აუსრულებით და მოზიდვის შემდეგ ეკლესიის ასაგებად გამოუყენებით. ბ. ზარზმელი ამბობს, რომ ძველი ნანგრევის ნახშირი მასალა გარეგნულადაც კი გამოირჩეოდა თურმე: „ინოზებთან ქვანი იგი ზოგნი რაჲმე კუთხთა მიერ და კამარათა“-ო (იქვე, გვ. 167).

შენობის აგება იწყებოდა მაშინ, როდესაც მასალა უკვე დამზადებული იყო. საძირკვლის გათხრისათვის არსებობდა იარაღი, რომელსაც სათხარი ეწოდებოდა: „ადგილსა მას... დასცა სათხარი მამამან ჩუენმან წმიდამან შიო და აღაშენა ეკლესიაჲ“ (ცა შიოსი, საისტ. კრ. 28). სათხარი რკინისა ყოფილა: დავით გარეჯელმა მის გარშემო თავმოყრილ ბერებს უთხრაო—„წარვედით და მოიხუენით სათხარნი (მეორე რედაქც.—„რკინანი სათხარენი“) და თხარენით საწყლენი (მეორე რედაქც.—„რათა აღმოჰკუეთენით ლაკუჲანი წკმინსა შემწყყნარებელნი სასუშემელად) და ქუუანბნი საყოფელად თქუენდა (მეორე რედ.—„თანად გამოიკუეთენით ქუუანბნიცა საყოფელად თქუენდა“ (ცა დთ გრჯლსა, საისტორ. კრ. 10 და საქ. სამ. 276). სათხარი შეიძლებოდა სხვა ნივთისაგანაც ყოფილიყო დამზადებული. ძველად ის ბრინჯაოსიცა არსებულა.

ქვის დამზადება-დასამუშავებლად და გასათლელად ძველადაც ირთი დამუშავების წესი და იარაღი იყო საჭირო და თითოეულს მათგანს თავისი დანიშნულებაჲ ჰქონდა და სახელიც. ნივთიერი კულტურისა და მეტადრე აღა

¹ უშუერნი ქართულში ულამაზოს ნიშნავს. „შუენიერი და უშუერო“ გამონათქვამიდან ირკვევა, რომ „უშუერი“ მშენიერის საწინააღმდეგოა.

მშენებლობის ისტორიის შემსწავლელმა თითოეული მათგანის სახელიცა და რაობაც [უნდა] იკადეს.

კვლითგან ქვის ჩამოსატეხად ანუ ამოსათბრელად წერაქვი იყო განკუთვნილი. ეს ვარეშობება თვით ამ იარაღის სახელშიც ჩანს აღბეჭდილი და საბა ორბელიანსაც მისი ამახირი დანიშნულება აქვს თავის განმარტებაში აღნიშნული: „წერაქვი ესე არს, ცალგნით სათბროლი აქუნდეს კვდეთა დასარლუველ“-ო (ლექსიკ.). ქვის გასათლელ იარაღს წაღკატი ეწოდებოდა. საკუთრივ ამ სიტყვის განმარტებაში მარტო ის არის აღნიშნული, რომ „ორწერაოსანი წერაქვი“ იყო. წერაქვის ქვეშე-კი ამ იარაღის დანიშნულებაჲ არის განსაზღვრული: „წაღკატი ზრს, ორგნიოვე საკეთთ აქუნდეს ქაბათ სათლელ“-ო (ლექსიკ.). იარაღია ურც-ც (III მეფ. 6,7 = ფძმცა). ია. რასაც ჩვენ ვხლა ჩაქუჩს¹ ვუწოდებთ. იმავე დანიშნულებისათვის, მაგრამ უფრო სხვა რაღაც მიზნისათვის ორთხიცი იხმარებოდა: სერაპიონმა «აღილო... ორთხი რკინისა და გამოქანდაკნა ჯუარნი ლოდთა რათამე ზედა» (ცა სრპნ ზრზშლსა 18; კეკ. 160). ამ წყების იარაღებს ეკუთვნის უჩო, ეჩონი-ც (III მეფ. 6,7 = ძმსჯაჲ). კვდლის სისწორის გასაეებად ხელოსნებს ბადის-პირი ესაკირობოდათ. „მოსრვიდა ღთ მოაბსა და ბადის-პირთა განმმართველა ქენსა მათსა“ (ოშკ. II, მფ. 8,2). ბერძნულ დაბადებაში ეს ადგილი ასე იკითხება: *μετὰ τὴν ἑσθῆν ἀποστῆναι τὴν ἰσχυρίαν*; *αἰματῶς ἀστῆς ἐπὶ τοῦ γού²*, რაც უნდის ლათ. - *Mensus est eos funiculis, coaequantis terrae*. ამ ადგილთან დაკავშირებით საგულისხმოა ნ. მარის შენიშვნა: „ბადე сеть, ბადის-პირო шнурок (букв.: линия сети) II, 25,39 по Орб. отвес, причем у лексикографа смылка на II Царст. 8,2, где по Москов. изд., слово это не читается, но где в древнем груз. переводе оно, очевидно, имелось в соответствие ... арм. *պարան*, греч. *σχοινύς* веревка, шнурок“ (Н. Марр. Имп.лит. ТР. III, გვ. XLV).

ქვის ასაწევი ხელსაწყოებიდან აღსანიშნავია ოწინარი: „ძელი შემზადებული ადვილად დიდთა ქუათა ასადებლად და მალლა ოსტატისა თანა მისატანელად“ (საბა); ძალაყინი: „ძელი რამე კართა საძვერებელი, გინა მძიმებთა ქვათა ასაზიდი“ (საბა). გვაქვს აგრეთვე ამავე დანიშნულებისათვის აზარმაცი³. მათ შორის რაღაც განსხვავება უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად, სამწუხაროდ, არ ირკვევა ეს ნათლად.

ჩვენ რომ დღეს ხარაჩოებს ვუწოდებთ, მათ ძველად ფალანგი ერქვა: „ფალანგი ეწოდების კვდელთა სიმაღლისათვის გალატოზთა ფერჯის სადგმელსა“ (საბა). ტექსტებში ხშირად ვვხვდებთ ეს ტერმინი. ხარაჩოებისათვის საჭიროა, რასაკერვლია, ბოძების ჩადგმა და ფიცრების გაღება. ამ ბოძებსაც ძველად თავისი სახელი ჰქონდა—ხაზარი: „ფალანგთ სვეტნი, რომელსა თურქნი ჩიბუხს უწოდენ“ (საბა).

¹ ჩაქუჩი კართ. სიტყვა არაა. ძველ კართულში ის არ ვხვდებთ.

² ეს საინტერესო სიტყვაა, ხარმაც-თან არის დაკავშირებული. როგორც ვეცნობა, ჩვენში წინაპრები ფიქრობდნენ, რომ ამისთანა რამის გამოყენება სიხარმაცის ნიშანი უნდა იყოს, სხვა-ნაირად უნდა ასწიონო.

ეკლესიისა და სხვა შენობის აგებისათვის, როდესაც ნიადაგი სწორე არ იყო და, როგორც ჩვეულებრივ საქართველოში ან ფერდობზე და ზოგჯერ დაქანებულს. და როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე, „ფიცხელსა კლდესა ზედა“ (ცა გვლ ხნძოსა, ლგ) უნდა დაედგათ ეკლესია, თავდაპირველად საკირო იყო, „შემზადებად ადგილისაჲ“ და „დავაკებაჲ“ (ibid. ლგ); უნდა ხელოვნურად ფართო და ვაკე ნიადაგი შეექმნათ: „ჭეით-კირითა მყართა“ კლდე და ფერდობი ამოეშენებინათ (ibid.). ამგვარად არის დავაკებული და შემზადებული ადგილი ტაო-კლარჯეთის ხანძისისა (ცა გვლ ხნძოსა, ლგ. TP. VII, გვ. 126, სურ.) და მრავალი სხვა ეკლესიისა და შენობისათვის. ამგვარსავე მყარ ქვიტიყარის შემზადებულ ნიადაგზე აგებული ქართლში ატენის დიდებულს სიონი, რკონის მონასტრის ეკლესია და სხვ...

ზოგჯერ ნიადაგის თვისების გამო საძირკვლისათვის ნიადაგის მიგნება ტრიად დიდ შრომასა და დროს თხოვლობდა. მაგალითად, ა ბ უ ს ე რ ი ძ ე ტ ბ ე ლ ის ცნობით, რაკი ბოლოკ-ბასილს შენობის აგება მოუხდა „ადგალსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა ველყოფაჲ... აღშენებისაჲ“, მან, „მწუხარებითა შეპყრობილმან და ზარვანჯილმან, თხარა ესეო-დენი სიღრმე ქუეშე მიწასა, ვითარცა ჩანს ზედაჲთ ტაძარი ესე და მათ სიღრმეთათგან იწყო შენებად“-ო (ქკბი II, 116; ლ. მუსხ. გვ. 62). მწყურნები ქაობიან ადგილს ნიშნავს, სადაც წყალი შეიძლება ჩამდგარი არც იყოს, ვარეთვან არა ჩანდეს, მაგრამ სრულგზით დანოტიოვებულია. სწორედ, ერთი ასეთი ადგილი შეხვედრია ამ ხელოსანს, ბასილს, რომელიც პირდაპირ გადარეულე ყოფილა შენობების აგებაზე. აბუსერიძემ ჩვენ ძალიან დიდი სამსახური გავგიწია იმით, რომ მის მოთხრობაში ძალიან საინტერესო ცნობებია გაბნეული ნაგებობის ისტორიისათვის. ამავე ისტორიკოსის ცნობით კარის ბალავრის ქვის „დასუსმასა შინა შვილი მისი (ბოლოკ-ბასილის) იოვანე შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამაჲ მისი ბოლოკ-ბასილი“-ო (ქკბი II, 115; ლ. მუსხელიშვილის გამ., 74).

ქედგლი იყო ცალპირი და ორპირი. ორპირს ჰქონდა სავირე და შუაგული ანუ სარჩული. საბა ორბელიანი თავის „მოგზაურობაში“, მაგალითად, ერთი მონასტრის შესახებ ამბობს, რომ მონასტერში „ცალპირი კედელი [იყო] სულ თეთრის მარმარილოსი“-ო (საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში, ცეისკარი, 1852 წ., № 1, გვ. 7).

იმ შემთხვევაში, როდესაც ძალიან დიდი ქვების აწევა უხდებოდათ, ლომებსა და სვეტებს გარდა მანქანები იყო ხმარებული. ამის შესახებ სრულიად გარკვეული ცნობა მოიპოვება წმ. ნინოს უძველეს ცხოვრებაში. აქ ნათქვამია: „მოჰკეთეს ნაძვ იგი და შეამზადეს სუეტად“. შემდგომ შენობის აგება რომ ისე დაწინაურდა, „როდეს მოიწია ქამი აღმართებად სუეტი... იწყეს ხუროთა მათ აღმართებად და ვერ უძლეს. მაშინ ... იწყეს ფერად-ფერადთა ღონის ჭიქებათა კაცობრივთა და მანქანათა მზადებად“- (ცა ნინოსი, Опис. II. 776). მანქანის საშუალებით ბუწვევით სვეტი, მაგრამ რანიარი იყო ეს მანქანა, სამწუხაროდ, არ ვიცით, მხოლოდ მანქანისთვის რომ მიუმართავთ, ეს უცილობლად მტკიცდება.

დიდი ქვის მალა ასატანად განკუთვნილი მოწყობილობად არსებულა ძველიდ, რომელსაც უკლამბაზი ჰრქმევია. საბას აქვს განმარტებული, რომ ეს ტერმინი სწორად „დიდი ქვის მალა ასატანი“-ს სახელი იყო.

როდესაც კალაპოტი (= წასახვე, — ძაჩუყვი 106) უნდა გაეყვებინათ წინასწარ, ამას ვაყრა ეწოდებოდა, და შემდეგ, როდესაც გახსნიდნენ, ამას გამოყრას ეტყოდნენ. შენობას შემდგომ ამისა სახურავი, ანუ სახურავი, ან, რაც იგივეა, სართული უყვებოდა. იგი ტყვიისა ყოფილა ზოგჯერ, თამაზ-ყოფილს, თადეოზ სურხანისწვილს ათონის მონასტრის 1565 წ. აღაპში მოთხრობილი აქვს: „ნათა ათონისას... მოვიწიე, მონასტრისა... ქართველთასა, ვიხილე ეკლესიას... პორტიდისას... ფრიად ძუელი და მოშლილი, დაქცეული, (უარისა და წკმისა არაღამქირველი“-ო და ჩემი შეწირულებით „ესე... ეკლესიად ახლად აღვაშენებინე და ტყვთა გარდავაბურვინე“-ო (ათონ. კრებ. 276—277). ტყვი თუ მოსცილდებოდა, სახურავი წვიმის წყალს უშვებდა. გ. მთაწმიდელმაო, ამბობს მისი ბიოგრაფი, „იწყო მოღუაწებად ეკლესიისათჳს“ ქართველთა ათონის მონასტრისაო, „რამეთუ ზედა ტყვვი არა იყო და წყალი შთადიოდა, ვითარცა წამებენ ხატნი, რომელ აღუცილ არიან“-ო (გ. ხუცეს-მონაზონი, ცე გი მთწმდლსა, გვ. 301—302).

დახურვის შემდეგ ტაძრის მოწყობისა თუ მოკაზმვის სამუშაოები სრულდებოდა. „ტაძარი იგი მოჩრჳნა ძელითა ნაძესათა და მოქმნა იგი ლესჯთ ოქროთა წითა. და გამოჭრა მას ზედა ქანდაკები, დანაისა კულები და გაქუშსი დამოკიდებულად“ (ს. მ. ხ. № A 51: II ნეშტ. 3,5) = „*ἔθεν οὐρανὸν ἔθεν ἰεῖραν ἔξ᾿ἀσπασεν ἔξ᾿ἀσπασεν ἔξ᾿ἀσπασεν, καὶ ἔξ᾿ἀσπασεν ἔξ᾿ἀσπασεν καὶ ἔξ᾿ἀσπασεν*“ (II Paral., 3,5) = „*Domum quoque majorem texit tabulis ligneis alięgnis, et laminas auri oporizı affixit per totum, sculpsitque in ea palmas, et quasi catenulas se invicem complectentes*“ (II Par. 3,5).

ქვითუორის ნაგებობის აშენების თანდათან მიმდინარეობა და აღცილებელი სამუშაოების თანამყოფლობა] დაგით აღმაშენებლის 1123 წ. ანდერძში ასეა წარმოდგენილი. ჩემი ბრძანებით აგებულ ეკლესიას „კალაპოტი გამოუყარონ, მოლესონ, მოხატონ“ და მერმე უკვე აუკრთონო (შიომღ. საბ. 16). ამრიგად, როდესაც შენობა დამთავრებული ყოფილა შვეად, როგორც ღღეს ამბობენ, მაშინ მისზე იტყოდნენ თურმე „კალაპოტი გამოყრილია“-ო.

„კალაპოტის გამოყრის“ შემდეგ იწყებოდა უკვე „აკაზმულობა“.

პატრონი ქაიხოსროს აღმზრდელის, ამბროსის შესახებ ათონის მონასტრის აღაპებში ნათქვამია: „საუძღურე აღაშენა მისითჳ) აკაზმულობით ალ“-ო (ათონის კრებ. 267, § 163). სუმეან ჭყონდიდლის გაზბრდილს ნიკოლოზზე ათონის მონასტრისა აღაპებში ნათქვამია: „ეკლესიად მთავარანგელოზთადა აღაშენა ყოველითურთ: მობატვით, მოქიქვით, დაჭრელებით“-ო (ათონ. კრებ. 254, § 144).

აღმშენებლობის ინტენსივობის გასათვალისწინებლად XI ს-ის პირველ ნახევარში საყურადღებოა მელქისედეკ კათალიკოსის საბუთის შემდეგი ცნობა:

ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა ბმისა კათოლიკე ეკლესიისანი არიან, ავაშენენ და დავაგენ ყოველგან სახლნი და ავაგენ ეკლესიანი რიცხვით ყოველნი :რე: (105)-ო (ქვზი II, 33-34, შდრ. ნ. ბერძენიშვილი, მცხ. საბ. XI საუკუნისა, გვ. 291). მაშასადამე, ახლად შეძენლ 126 სოფელში 105 სახლი და ეკლესია აუშენებია.

ადგილობრივი პირობების გამო ზარზმის პირველი ეკლესიის აგება ადგილი საქმე არ ყოფილა. პირიქით, ბ. ზარზმელის ცნობით „საქირო იქმნი შენებაჲ მისი, რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ იყენეს“. რაკი ამის გამო კარგი საშენებელი მასალა ხელმიუწვდომელი იყო, იმულებული ყოფილან რიყის ქვა გამოიყენებინათ: „წყლისაგან რაჲსმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“-ო; „არა იპოვა რაჲთურთით ქვაჲ, და ქირით და შრომით მდინარისა მისგან მოიღებდეს“-ო (ცდ სრპნ ზრზმლსა, 26; კ. კეკელიძის ჭამ., 167). როგორც ჩანს, ქართულ ხუროთმოძღვრებაში მდინარითგან ამოღებული რიყის ქვა უშუგ ქვა“-დ ყოფილა მიჩნეული.

რიყის ქვით, რასაკვირველია, ნაგებობის აკეთილად აღშენება“ შეუძლებელი იყო. საამისოდ თლილი ქვის ხმარება იყო საჭირო. ანნარი მიზნისათვის გამოსადეგი მასალის ადგილობრივ უქონლობის გამო გიორგი ჩორჩანელს აზრად მოსულია მიწისძვრისაგან დანგრეული და გაუქმებული შორი-ახლოს, „ათორმეტ მილიონ“-ის სიმორბეზე, მდებარე უშუაშს ეკლესიის ძასლის გამოყენება მისგან შმის პირველი აღმაშენებელთათვის ურჩევია. გიორგის უთქვამს: „არს ადგილი ერთი, სადა ეკლესიაჲ მისი დაცემულ არს ძრვისაგან“. თუ მოისურვებთ, „ადვილ არს, რათა მოვიღოთ“ და ამ შენობისათვის გამოვიყენებთო, მათაც, რაკი შეიტყეს, რომ „უჭმრად მდებარე არს ეკლესიაჲ იგი, ბრძანეს, რათა სწრაფით ტყეცონ საქმესა მის“ (ცდ სრპნ ზრზმლსა, 26; კეკ. 167). განკარგულების თანახმად „იწყეს მოღებად მეყსელად, რაოდენი ეგმარებოდა ეკლესიის მისთვის“ (იქვე). ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ დარღვეული ეკლესიის მხოლოდ ნაწილები გამოუყენებიათ ზარზმის ეკლესიის ზოგიერთ ადგილას. ისტორიკოსის განმარტებით, ეს ვარნოება დაკვირვებულ დამთვარიელებელს თვით ეკლესიის გასინჯვის დროსაც თვალში ეცემოდა: „იკნობებიან ქვანი იგი ზოგნი რაჲმე კუთხთა მიერ და კამართა“-ო (იქვე, 26; კეკ. 167).

ნაგებობათა აღმშენებლობითი სამუშაოს მაშინდელი ხანგრძლივობის გასათვალისწინებლად ამოქცევაჲ ქართლისა-ჲს მატინანში საყურადღებო ცნობები გვაქვს დაცული. მაგალითად, წილკნის შესახებ ნათქვამია: რფის სიკვდილისა „შემდგომად... მეთათესა წელსა ამან ბაკურ და იწყყო წილკნისა ეკლესიასა (sic) და განიშორა (ქელიშ: განასრულა) ოცდამეათხუთმეტესა წელსა“-ო (Опис. II, 720). მაშასადამე, წილკნის ეკლესიის აშენებას 25 წელიწადის მუშაობა დასკარვებია.

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ გუარამ ერისთვისა და დიდი კურაბალატის შენობაში „ტფილისისა მკვდრთა დიდსა ეკლესიისა და იწყეს, ნახევარსა იქმოდა ყოველი ერთი და ნახევარსა ერისთავნი“ (იქვე, II, 724). და როცა ჰერაკლე წესიარი ჯიბლუ ნაკან-

თურთ ტფილისს მოადგა და აიღო, შემდეგ სპარსთა მეფე დაამარცხა და იერუსალემიც დაიბრუნა, „წარმოვიდა აქამთვე მეშვდესა წელსა და ვიდრე მოსლვამდჳ მისა ტფილისს სიონი განეშორა მკვდრთა“ (ეკლიშ: -ტფილის სიონი გაასრულეს: Ошир. II, 725).

ოპოზაში აკად. ნ. მარს ნანახი აქვს ამ მონასტრის სატრაპეზო, სამნავიანი სიონი ეკესი ოთხეუთხი სვეტითა, კანარებიანი, რომლის სიგრძე 9 ს. 10¹/₄ ვ. სიგანე 6 ს. 2¹/₂ ვ. კოფილა. მასვე აქვს აღნიშნული, რომ სამხრეთის კედლითგან მეორე კამარის არებუ შედეგი მსხვილი ისომთავრული დამწერლობით ამოკოილი წარწერათა: „ესე მე ატან დ წელსა ვეა“ (Дневник путешествия в Шаваркетинъ я Хараджетинъ: TP. VII წ., გვ. 162—163). ნ. მარსი ამ წარწერას ასე კითხულობს: „ესე მე ამოტან დ (4) წელსა ვავაშენებინე). ალა ვ აქეთებინე“-ო (ივეე, 163). მე მგონია, უკანასკნელი სიტყვა უფრო „ავაშენებინე“ უნდა იყოს. ამრიგად ეს სატრაპეზო ოთხ წელიწადში აშკარათ.

აი გ. შერჩულიც ხანძთის აშენების შესახებ რას მოგვითხრობს: არსენი ახნურის მამასახლისობაში „ამისითა განზრახეთა იქმნა დაწყებაჲ ახლისა მის და შეუნიგოსა ეკლესიისა და ფიცხელსა მის კლდესა ზედა. რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითაქირითა მყარითა მრავალთა ჟამთა დააეცკეს, და ისრით შეპრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარცა სრულიად აღეშენა. არამედ აუოთსენ ქრისტემან ამონა, სიბრძნით სრულიად მაშშენებელი, და შემწენი ყოვილი. რომელთაგან კეთილად განემარჯუებოდა შშენებაჲ ეკლესიისაჲ მის. ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ ვნათა კაცთა ზურგითა, და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშშენებელნი იგი“ (ც¹ გ¹ლ¹ სნძლ¹ს, გვ. 18).

ზარზმის პიოველი ეკლესიის აშენებაჲ სამი წელიწადი მოსდომნია. ბ. ზარზმელის სიტყვით „შემდგომად სამისა წლისა სრულ იქმნა ეკლესიაჲ და შეიკო ყოვლითა განგებითა, რომელი შეკგუანდა ჟამსა მას, და აღმართეს მას შინა ცხოველს-ყოფელი ხატი ფერისცვალებისა“ (ც¹ სრ¹პ¹ნ¹ ზრზ¹ლ¹ს, 26; კეკ. 27).

იპის გამოსარკვევად, თუ დიდი შენობების აგებას რამდენ ხანს უნდებოდნენ. შეიძლება ბ. ზარზმელის ცნობა იქმნეს გამოყენებული ზაოზნის ეკლესიის აგების შესახებ. მისი სიტყვით, ზარზმის ეკლესიის აგება გოგორი მამასახლისის მოადგილეს მიქელ წინამძღვარს დაუწყია და „აღეშენა ვიდრე სამკროდნდუ მამოზასა მიქელისსა და დაუტევა ცხოვრებაჲ ესე და წარვიდა უფლისა. ამისა შემდგომად დაიდგინა მონაცვალედ მისსა პავლე ვინე ზუცისი“ და თურმე „ამან პირველვე სრულყო ეკლესიაჲ და შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა“ (ც¹ სრ¹პ¹ნ¹ ზრზ¹ლ¹ს, 43; კეკ. 180). ამგვარად ზარზმის ეკლესიის აგება მიქელის მამასახლისობის ზეობის დროს ვერ დათავრებულა. არამედ მის მონაცვალის პავლეს მამასახლისობაში დამდგეს დასრულებულა.

მიქელის მამასახლისოსის ხანგრძლივობა რომ ზედმიწევნით გეცოდნოდა, ხარ-
ზმის ცელესიის აგების ხანგრძლივობაც გამოირკვეოდა. [...]¹.

ბ. ზარზმელის სიტყვა მუშა-ხელოსანთა სიმრავლეზე რომ გადაქარბე-
ბული არ არის, ამას ოშკის ტაძრის 958-966 წ. წარწერაც ცხადყოფს, რო-
მელიც იმ მხრიავეც არის ძვირფასი, რომ ამ სიმრავლეს ოდენობის ზედმიწევ-
ნით გათვალისწინების საშუალებასაც გვაძლევს. ოშკის ცელესიის ასაგებად ამ
წარწერის ამომკრეფინებლის გრიგოლის სიტყვით ხელობის შემდეგი დარგის
წარმომადგენლებს მუშებსა და მზიდავ საქონელს უმუშავებიათ: „ვალატოზი და
ხუროდა და მქედელი, რომელ მარადის შურებოდა: ა: (70); კარი, რომელ
ქედასა კრებდა X :ლ: (30) და სხუა აზავერიც, რომელ გრიგოლ-წმინ-
დთ სპონდიოსა კრებდა :ლ: (30); სხუა აზავერიც რ... და :ა:
(60).. ა და ბიერი (?) და მოქმედი :პ:“ (30).

წარწერის დაზიანებულობის გამო ბოლოში მოხსენებული მომუშავეების ხე-
ლობის გამორკვევა ძნელია, სახელდობრ, გაუგებარი რჩება ცნობა „სხუა აზა-
ვერიც“ და შემდგომი. თუ რას უნდა ეხებოდეს. მაგრამ, თუ თვით გრიგოლის
ვანცხადებას ვავიხსენებთ, რომ ფასი მიუციით კალატოზებია. მოქმედა და
მეჭვიშე აზავერთა პატრონებისათვის, თანაც ყურადღებას მიეკუთვნებოდა ვარ-
გობას, რომ ამ წარწერაში ჩამოთვლილია 30 ხარი ქვის მზიდავი, 30
აზავერი სპონდიოს მომტანი, მეჭვიშე აზავერთა რიცხვიც
აღნიშნული [არა], მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ წინადადება „სხუა აზავერიც“
უნდა სწორედ მეჭვიშეების რიცხვს ეხებოდეს და ასე უკიდრება აღდგენილ იქმ-
ნეს: „სხუა აზავერიც [ლ ქუთხასა ზიდავდა]... და :ა:“ (ა0). მეჭვიშეთა რიცხვს
წინააშავალი, უმკველი, ასეულის აღმნიშნული რიცხვ-ნიშანი აქვია, მაგრამ,
რხადია, ასზე მეტი ძნელი საგულისხმებელია, ამიტომ „ა“-ს წინ ალბათ „რ“
უნდა ყოფილიყო ამოჭრილი. ამგვარად მეჭვიშე აზავერთა საერთო
რაოდენობა 150 გამოდის.

ხოლო, რაკი ქვისა, სპონდიოს და ქვიშის მზიდავ ყრმებს თითო-თი-
თო მეურმე მანც უნდა ჰყოლოდა, ამიტომ ზარ-აზავერთა რიცხვის
მიხედვით ამ საქმეზე მომუშავეთა რიცხვის გამორკვევაც შეიძლება. წინასწარ
ამსთფის უნდა მხოლოდ ვიცოდეთ, აზავერთა რიცხვი უღლეულს აღნიშნავს,
თუ კალთა რაოდენობას. ვართა რიცხვ-ნიშანს 30-ს გვერდით ასომთავრული
„ჯ“-ს მსგავსი ნიშანი უზის, რომელიც შესაძლებელია უღელ-
სა წინაშეავედეს, აზავერთა რაოდენობის აღმნიშნულ რიცხვ-ნიშანს-ჟი ასე-
თი ნიშანი არ სდევს. საერთოდ ს. ორბელიანის განმარტებით აზავერი
თითქოს შესაბამელი, საუღლე საქონელი არც-კი უნდა ყოფილიყო. მისი სიტ-
ყვით, „აზავერი ვარი საქიდარი“-ს სახელი იყო. ამ თავისი განმარტების და-
მამტკიცებელ საბუთად საბას დასახელებული აქვს I ნეშტა 12,40, მაგრამ
ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას აზავერი არ ჩანს, იქ ნათქვამია: „რნი მახ-
ლობელ იყვნეს მათსა ვიდრე იზაქარისაღმდე და ზაბილონისა, და ნეფთაღმე-
სა, მოუღებდენ მათ პურთა კარაულეებითა, აქლემებითა, და ჯორებითა, და ვა-

¹ აქ უნდა აკლდეს დედანა- (რედ.)

რებითა საქმლად ფეკლსა“ და სხვა. ბერძნულშია: „ἐπί τῶν ἀγαθῶν καὶ τῶν κακῶν καὶ τῶν ἰσχυρῶν καὶ ἐπὶ τῶν ἀσθενῶν“. სომხურში: *ქიტქინ ზოგო იკოთიკ ს ჩუიქ ს ზირიოქ ს ხჳამჩჳ ხეჳოცილი, აქსჳ* (ზოგ ხელნაწერში *აქქარჳ*). ცხადია, ს. ორბელიანს ხელთ ქართული დაბადების ისეთი რედაქცია ჰქონია, რომელშიაც „ჯარის“ მაგიერ „აზავერითა“ ყოფილა ამ აღველას ბერძნული ზე: ომჳ ობთჳჳ-ის შესატყვისად. ბერძნულად ბ ობთჳჳ „ბო მოსხოს“ მართლაც უღელში შეუბმელ ხაოს, მოზვერსა ჰნიშნავდა. მაშასადამე, რაკ დაბადების ამჳის ბერძნულ თორგმანშიაც საუღლე ხარი არ ყოფილა ნაგულისხმევი, ამიტომ საბას განმარტება სწორე გამოდის და აზავერი მართლაც საკიდარი და არა საუღლე ხარი ყოფილა. რაკ აზავერი საკიდარის მატარებელი ხარი ყოფილა, მაშინ, ცხადია, აზავერთა შესახებ ცნობა და რიცხვი ცალ ხართა რაოდენობის მაუწყებელი უნდა იყოს. შემონათქვამის შემდგომ ოშკის ტაძრის აგებაზე მომუშავე საქონლის რიცხვი ასე წარმოკვიდგება:

1. ქვის მომტანი ხარი 30 უღელი.
 2. სპონდიოს მომტანი 30 აზავერი.
 3. ქვიშის მომტანი 160 აზავერი.
- ჯამი: 30 უღელი ხარი და 190 აზავერი.

ხოლო ოშკის ტაძრის აგებაზე მომუშავე ხელოსან-მუშების რიცხვა ყოფილა:

1. გალიტოზი, ხუროჲ და მქედელი 70.
2. მუშა „მოქმედი“ 80.
3. ქვის მომტანი მეურმე 30.
4. სპონდიოს მომტანი მეაზავერე 30.
5. მექუიშე აზავერის გამყოლი 160.

მომუშავეთა ჯამი: 70 ხელოსანი, 80 მუშა, 30 მეურმე და 190 მეაზავერე, ანუ სულ 370 კაცი.

ამოდენი მუშა-ხელოსნები, რასაკვირველია, მხოლოდ ისეთი დიდი შენობების აგების დროს იქმნებოდნენ. როგორც ოშკის ტაძარი იყო. მაგრამ ამისდა მიხედვით ნაგებობის სიდიდის კვალობაზე მომუშავეთა რიცხვის დაახლოებით შინჯი წარმოდგენა შეეციდოან. ამგვარად ბ. ზარხმელის ცნობა ზარხმის ეკლესიის აგებაზე მომუშავეთა სიმრავლის შესახებ გადაქარბებულ არ უნდა იყოს და სრული სიმართლის ანარეკლს წარმოადგენს.

ჩვენ ვეაქვს ცნობები არა მარტო ამ მუშაობის პროცესის შესახებ, არამედ თვით ხუროთმოძღვართა სახელებიც ვიცით. ბევრი არა, მაგრამ მაინც მოგვეპოვება. შემდეგ ქანდაკებები, სურათები არის შენახული, რომლებშიც წარმოდგენილია ამ მუშაობის პროცესი, ასე რომ შეიძლება კარგად იქნეს აღდგენილი აღმშენებლობის პირობები.

ჩვენ ჯერ ხუროთმოძღვართა სახელები განხილული არა ვეაქვს, ხის ხურობას

უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საალმშენებლო ხელოვნების ისტორიაში და, როდესაც ყველა ეს საკითხი განხილული გვექნება, მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელია ვიმსჯელოთ ნაგებობათა მხატვრულ შემკულობაზე, შინაგან და გარეგან მორთულობაზე, ჩუქურთმებზე, მოხატულობასა და მოწყობილობაზე. სანამ ჩვენ ეს არა გვაქვს, არ ექნებოდა არაფითარი მნიშვნელობა თუნდაც ზოგადად შეცადა დამუზასიათებინა ის დონე, რომელზედაც იმყოფებოდა ქართული საალმშენებლო ხელოვნება. მე მგონია ის მასალაც, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება ამჟამად, საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ საალმშენებლო ხელოვნება ჩვენში ძალიან დაწინაურებული იყო, რაც ძეგლებითაც მტკიცდება და რაც შეიძლება დამტკიცდეს ეხლა აგრეთვე იმ მდიდარი ტექნიკური ტერმინოლოგიით, რომლის არსებობა ეხლა არავითარ ექვს არ იწვევს. თითოეული ცნებისათვის, თითოეული საშუაოსათვის საგანგებო ტერმინი არსებობს.

კარი მეშვიდე

ხით-ხუროლვა საპართევლოში

... * ხეს აქვს სუკი-ც. თუ საბას განმარტებით [სუკი] „ზურგის ვორცია“ (ლექაიკ.), ქვემო იმერეთში ის ხის ნაწილის სახელადაც იხმარება (ქ. იმერ. 18) და იქაური განმარტებით სუკი ხის სიგრძეზე შესამჩნევი კუთხის მაგვარი მოყვანილობაა (იქვე), რომელიც, როგორც ეტყობა ხელოვნურად, გათლით ვაკეთებული უნდა იგულისხმებოდეს. რათგან სუკიანი ხე, იქაურივე ცნობით, ისეთი ხეა, რომელიც სახლის ნაგებობაში ფიცრულად არის გათლილი, გარეთ კი სამკუთხედიანია (ქ. იმერ. 4 დ). სუკი რომ ხეს ხელოვნურად უყეთებოდა, ამას ცხად-ჰყოფს გამოწვევაში გასუკული ხე (ქ. იმერ. 4 დ, ჩანახ.). მეგრულად სუკი პატარა მალღობს და ბორცვსა ნიშნავს (მ. გ. 320). საფიქრებელია, რომ ქართული სუკის ზემომოყვანილი და ჩვეულებრივი მნიშვნელობაც თავდაპირველად ზურგის (სუკის ვორცისაგან) ასეთივე სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. სეანურადაც ზურგს ეწოდება შიყ (რ.-ს. ლ.: шина), რომელიც ამავე სიტყვის შიშინა-თანხმოვანა სახესხეობაა: უნდა იყოს.

სახლის სახელს ზედსართავად ემატება, ანდა ტერმინად უჩნდება სხვადასხვა მისი ნიშნადობლივი თავისებურების დამახასიათებელი და გამოქვავებულ სიტყვა. ზემო ქართლსა და ქვემო და ზემო იმერეთში არსებობდა ტერმინები ძელური და ძელურ-ჯარგულური სახლი (ქ. იმერ.). ქვემო იმერული განმარტებით, ხე ორად იყო გაპობილი. ისეთი ძელური სახლის გარეთი მხარე მრგვალი იყო, შიგნითო-კი ფიცრული (ქ. იმერ. 4 დ და ზ. იმერ. 11). მეორენაირადაც აგებდნენ: რაზედაც კედლის ხე ხეს ვლდებოდა, ის მრგვალი იყო, შიგნითი კედელი-კი გათლილი ჰქონდა (ქ. იმერ. 30). ს. ორბელიანსაც აქვს ლექსიკონში შეტანილი ტერმინი ჯარგული, რომელზედაც ამბობს: „ესე არს ძელნი მოქდობილნი სამოთხეთხად, ვიეთნი კიდობანს უწოდენ“-ო. მას ამავე სიტყვის ოდნავ განსხვავებული ფორმაც მოეპოვება: ჯირგვალი. ამ სიტყვის ქვეშე განმარტებაც ოდნავ განსხვავებულია: „ჯირგვალი ძელნი მოქდობილნი სამოთხეთხედ შალალი, ვიეთნი კიდობანს უწოდენ“-ო (იქვე).

საბას ზემომოყვანილი განმარტების რეალური სისწორით გასაგებად, უნდა გვახსოვდეს, რომ ძელი მისივე სიტყვით, მოკვეთილი ხე იყო, ე. ი. მოქრილი ხე. მაშასადამე, გაუთლებელი და მრგვალი, გაუპობელი. ამრიგად, ჯარგული, ანუ ჯირგვალი, სამ, ანდა ოთხკუთხედად მოქდობით შეკრული შალალი, კიდობნის მსგავსი ნაგებობა ყოფილა. ძელნი მოქდობილნი, რააკვირველა, ერთმანეთში ჩიქდევით ჩასულ ხეებს ნიშნავს. საბას განმარტება ამ ტერმინის თანამედროვე მნიშვნელობას კარგად უდგება და განსხვავ-

* დააწყისი ამ თავს უნდა აკლდეს (რედ.)

გება მხოლოდ იმაშია, რომ ჩვენს ლექსიკოგრაფს ნათქვამი არა აქვს ეს სიტყვა საცხოვრებელი ნაგებობის აღმნიშვნელიც იყო, თუ არა.

ჯარგუალი, ანუ ჯარგვალი ეხლაც კარგად ცნობილი სიტყვა და ტერმინია. იგი აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგ., თუნდ ქიზიყშიც (ქიზ. 139) იხმარება, დასავლეთ საქართველოშიც ხომ ფართოდ არის გავრცელებული, მაგ., ქვემო იმერეთში (ქ. იმერ. 10, 17, 37), ქვემო რაჭაში (ქ. რაჭ. 17), გურიაშიცა (გურ. 1) და აჭარაშიც (აჭარ. 23). სამეგრელოში ხომ ჩვეულებრივი ტერმინია (ზ. სამ. 10, 11, ჩანახ. № 3, 27, 30 და სხ.). ქვემო იმერეთში ჯარგლური, ანუ ჯარგლული სახლიც ეწოდება ასეთ ნაგებობას (ქ. იმერ. 17).

საგულისხმოა, რომ ქვემო იმერეთში ჯარგვალი სწორედ დაქუხერ-დავი ხის სახელია (ქ. იმერ. 10), გურიაშიც კი ჯარგვალი მრგვალად, ანდა შუაზე გაპოხილი ხის ნამორებითგან, მორუბისაგან წყობილ ნაგებობას ნიშნავს (გურ. 3, 5 და 6), ე. ი. უკვე მხოლოდ ერთი მხრით-ღა მრგვალი მოყვანილობის ხის გამოშატველ სიტყვად არის ქცეული. ამ ტერმინს თავისი ოდინდელი მნიშვნელობა არსებითად შეცვლილი აქვს მხოლოდ ზემო რაჭაში, სადაც ჯარგვალი უკვე წახნაგვიანი ფიცრის სახელი გახდარა (ზ. რაჭა 6 ა).

ჯარგუალი ზემო სამეგრელოში მრგვალი ხეებისაგან შეკრული, ისლით, ხაიითი, ანდა ლაქაშით დახურული სახლია, ანუ დოშაკ (ე. ი. მრგვალი) ხეებისაგან აგებული შენობა (ზ. სამ. 9, 2; 10, 2). ზემო სამეგრელოში ჯარგვალის ბოყვებით აგებაც იცოდნენ (ზ. სამ. 22). ხოლო ქვემო იმერული ვაგებით, ჯარგვალი სახლი ყურებიანი სახლი იყო და ისლითა და ბურულით იხურებოდა (ქ. იმერ. 17). გურული ცნობით-კი მრგვალი, ან შუაზე გაპოხილი. დოჯებ-ამოჭრილი მორუბისაგან შეკრული ნაგებობაა (გურ. 3 და 6).

ქვემო იმერეთში ტერმინად კუთხიან-ჯარგვალური სახლიც იხმარება. იქაუბრი განმარტებით ასეთ სახლს ან ისე აგებდნენ, რომ შიგნით ფიცრულია, ხოლო გარეთ-კი სუკა, ანდა ნაპირები თითოეულ ხეს ჩამოთლილი აქვს. შუაში-კი სუკია დატოვებული (ქ. იმერ. 24). ქვემო იმერეთშივე გავრცელებული იყო ტერმინი გასუკული სახლი, რომელიც სუკიანი ხეებისაგან აგებულ სახლს ეწოდებოდა (ქ. იმერ. 14).

ზემო იმერულიც ცნობით, ისეთ სახლს, რომელიც შიგნით ფიცრულია, გარეთგან-კი სუკია, ღორულ სახლს ეძახიან (ქ. იმერ. 18). ლეჩხუმური განმარტებით-კი ღორულ ნაგები სახლი ცხრა ქალაიანი სახლია. იგი „თავ-შეფსკენილი იქა“ და „წურწურტი სახურავი ჰქონდა“ (ლეჩხ. 2 და 14). განმარტება აქედნოვანია, სამწუხაროდ. რაკი ქალაიი ქვემო იმერეთში ზედათავეს ნიშნავს (ზ. იმერ. 4 გ.), ქალა-კი ქიზიყში კარის მალღითა კოქის, ანდა ჩარჩოს ზემოთა მხარის სახელია (ქიზ. 85 და 95), მხოლოდ შესაძლებელია ეს ნაწილობრივ მაინც გამოვადგეს ზემო მოყვანილი განმარტების გასაგებად.

ქიზიყში არსებობს ტერმინები ამოკარული სახლი და ამოკარული კვადელი (ქიზ. 125 და 180 ა), მაგრამ იქაურ ცნობებში მათი რაობა განმარტებული არ არის.

გვიჩვენებენ სახლი (ქართ. 5,6) ქაროლსა, კახეთსა და ქიზიყში ჩვეულებრივი ნაგებობა იყო, მაგრამ ვიტრუვიუსის ნაშრომითგან ვიცით, რომ ასეთი სახლები დასავლეთ საქართველოში, კოლხეთშიც საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა.

ღარბაზული: ანუ ღარბაზიანი სახლი აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული.

ფურთიანი სახლის შესახებ ცნობები მარტო ერთ თემში, ზემო რაქის (გვ. 1 და ფოტოსურ.) მასალებში მოგვეპოვება.

საყურადღებოა, რომ ზ. სამეგრელოში ბოკონი ნიშნავს დედაბოს (გვ. 5,2), ქვის ბოკონიცა და ხის ბოკონიც არსებობს (იქვე 4,2). წინასწარ ბოკონების დამზადება (იქვე 18,2) სწარმოებდა. სამეგრელოსავე და ქვემო იმერეთში იმისავე აღსანიშნავად ბოკონია მიღებული (მ. გ. 205 და ქ. იმერ., გვ. 8). იქაური განმარტებით, საძირკველს რომ ქვეშ ხეს დაუგებთ, ბოკონი სწორედ იმას ეწოდებაო (იქვე 4 ე, გურ. 1, აქარა 6). პრაქტიკით ბოკონები ჰქვიან იქვე (ქ. იმ. 22), ლეჩხუმში—ბოკონები (გვ. 14). ქ. იმერეთში ბოკონი უდრის ბარჯეს (გვ. 8). ბოკონებიან სახლს რდის ბოკონფით დაყენება ჰქვიან (ზ. სამ. 26). საულისხმობა, რომ ვლრიაში ქვის ბოკონიც არსებობს (გვ. 6). სახლის ამავე საყრდნობის, ჭისა იქნებოდა იგი თუ ხის, სახლად სამეგრელოში ძეკევი-ც არის გავრცელებული (მ. გ. 373—374).

ხის სატოვრებელი ნაგებობის საძირკველი დამყარებულია ბარჯეებზე. ბარჯე ტერმინად ქ. იმერეთს (გვ. 12, ჩანახ. და 63, ჩანახ.), გურიაში (გვ. 10 დ), ზ. სამეგრელოში (გვ. 20) და აქარაშია, სადაც დირეგი ეწოდება (გვ. 4 და 24). ზემო იმერული სრულებით სამართლიანი განმარტებით ამ საყრდნობ სვეტებს ბარჯეებს იმიტომ ეძახიან, რომ მსხვილ ხეს აიღებენ და ტოტებს დასკრიან სულ ძირში. ისე-კი, რომ ტოტების ძირები ცოტათი მაინც დატოვებულია "ხოლმე (ზ. იმერ. 44). ამერიად ბარჯე იგივე ზოძია, მაგრამ ტოტიანი, იგივეა რაც ქვემო იმერულად ბოკონი და მეგრული ბოკონი.

ბარჯეების დანიშნულებისა და მიხედვით არჩევენ სახლისა და სასიმიდის ბარჯეს (ქ. იმ. 54). მდებარეობისა გვარად წინა და უკანა ბარჯეები არსებობს (გურ. 10ა). ბარჯესაც თავი აქვს (ქ. იმერ. 54; გურ. 10 დ).

ბარჯეების თავთავის ადგილას გამართვას ბარჯეის დასმა (ქ. იმ. 18, აქარ. 12), ანუ დაყენება ეწოდება. რაკი ბარჯეები ერთმანერთზე დაშორებით არის დასმული, იმიტომ ბარჯესა და ბარჯეს შუა მანძილის დატოვება იციან (ზ. სამ. 20). როდესაც ბარჯეები უკვე დასმული იყო, წყებოდა უკვე ბარჯეების საძირკველზე შექერა (გურ. 10 დ). ბარჯეებზე დამყარებულ ნაგებობას ბარჯეებზე დგომა ეწოდება (ქ. იმერ. 25).

უკვლავ საყურადღებო ის გარემოებებია, რომ, თუმცა ბარჯეი თავითგანვე და არსებითად ხის ნაგებობის კუთვნილება იყო, მაგრამ ამისდა მიუხედავად ქვემო იმერეთში მაინც ბარჯეის ქვაც არსებობს (ქ. იმ. 58).

ხის სახლსაც თავისი საძირკველი ჰქონდა. მაგრამ ხის სახლის საძირკველი ქვეს ანუ აფურისაგან აშენებული სახლისაგან განსხვავდებოდა. ს. ორბელიანს ლექსიკონში ორი ტერმინი მოეპოვება: საძირკვი და საძირკველი. III მეფეთა 7,9-ის დამოწმებით ნათქვამი აქვს, რომ „საძირკველი კედლის დასაწყისი“ ა. B რედაქციაში დასაწყისის მაგიერ „საფუძველი“ სწერია. საძირკვის ქვეშე-კი განმარტებულია: „ქვეშმდებარე იგივე“ არისო.

თუ ქვა-აფურის ნაგებობის საძირკველისათვის წინასწარ მიწის გაქრა, ჩაქრა, ამოთხრა-ამოღებინება იყო საჭირო და შემდეგ ჩაყრა (ქართ. 17), შენება (ქვ. იმ. 9), შეკვრა (ქიზ. 14), ამოყვანა, მიწის ზირად მოყვანა და მოსწორება (ქიზ. 14,32) და საძირკველს ყელი, ყელები (ქვ. იმ. 15,1) ჰქონდა, მუხლიც ისე რომ საძირკველის მუხლამდე წასვლა იცოდნენ (ქიზ. 15) [და] საძირკველის ჩაგდებისათვის გამოსადეგი დღეც-კი იყო შერჩეული (ქიზ. 28), ხის ნაგებობაში საძირკველის გადება (ქ. იმ. 18), ანუ გადაღება სწარმოებდა ბოკონებზე (ზ. სამ. 14,2), გამართვა ბოძებზე (გურ. 7), დაღმა, გაღმა, დაჯგენა ბარჯგებზე (ქ. იმ. 4ა, 19, 23), დასვენა ბოკონებზე (გურ. 3), ანდა ქვებზე დაღება (ქ. იმ. 22).

საძირკველი ასეთ ნაგებობაში ხისა იყო და ქ. იმერეთში დირო, ე. ი. დირეც-კი ერქვა (გვ. 18).

ს. ორბელიანს, II მეფეთა 23, 21-ზე დაყრდნობით, ნათქვამი აქვს, რომ დირე იგივე დვირე-ა, ხოლო დვირე-ს ქვეშე უკვე, მათეს 7, 4-ის დამოწმებით, განმარტებულია, რომ „საძირკველის ძელი“ იყო (ლექსიკ.).

ბალავერი შენებლობის თანამედროვე ქართულ ხალხურ ტერმინოლოგიაში, მხოლოდ დას. საქართველოში ჩანს შერჩენილი ბალავერის სახით. ზ. რაქაში და ლეჩხუმში მიწაში ჩასმული ქვის საძირკველია (გვ. 3), გლოლაში მას ქალამანიც ეწოდება (იქვე). ქვის ბალავერი ზ. იმერეთშიც იციან (გვ. 38, 46), მაგრამ იქვე ხის ბალავერიც არსებობს (გვ. 46). ზემო რაქაში ბალავერი არსებითად დიდი ქვაა (გვ. 3), მაგრამ ქვემო იმერეთში „ბალავერად ქვის ხმაჩება“ იციან (ქ. იმ. 47).

რაკი ბალავერი მიწაშია, ამიტომაც ბალავერის გაქრა და ამოღება (ქვ. რაქ. 38; ლეჩ. 7; ზემ. რაქ. 3), ბალავერისათვის მიწის მოთხრა (ქ. იმ. 36), რასაკვირველია, ბალავერის ამოშენებას (ზ. იმ. 21, ლეჩ. 7), აშენებას წინ უძღოდა. ქვემო რაქაში დაბალი და მაღალი ბალავერი (გვ. 38) არსებობს. სახლის ბალავერი გარდა ქვემო იმერეთში ბუხრის ბალავერიც არსებობს (გვ. 2, ჩანახ.).

საგლისხმოა, რომ საძირკველს მეგრულად ოსხირი ეწოდება (ზ. სამ. 1,2; 11,2, ჩანახ. № 3). ოსხირსაც აქვს თავი (იქვე 3). ოსხის გამართვის დროს სწარმოებდა ოსხირების თავების ერთმანერთში „ჩაჯენა“ (იქვე 3), ჩასხმა. ოსხირის, ანუ საძირკველის გაკეთება სამეგრელოშიც ოსხირების დედაბოძებზე დაწყობას წარმოადგენდა (იქვე 5,2), ანდა ქვებზე დაჯენას (იქვე 3). ამას მოსდევდა ოსხირში ბოკონების ჩარტობა (იქვე 5,2), რისთვისაც წინასწარ სათანადო აღგ-

ლას ბოყვის ჩასასმელი ნაწილის, კბილისათვის ოსხირში და ზევით სარტყელში მრგვლად ამოკრა იყო საჭირო (იქვე 6,2).

სვანურად საძირკველსა და ბალავარს ეწოდება ხუნ (სვ. 4, 6, 44), ხოლო თვით საძირკველი სვანეთში დარბაზის შუაზე გადებულ იმ მრგვალი ხ.ე.ს სახელად არის ქტეული (სვ. 18).

რაკი ხის ნაგებობაში საძირკველი ხისა იყო, ამიტომ საძირკველს გამოთლა სჭირდებოდა (ქ. იმ. 15). ამის შემდეგ მას ბოკონებზე, ან ბარჯგებზე დასდებდნენ და ვაოძანეროზე გადაბმა-დაკეშირება სჭირდებოდა, რასაც ზემო იმერლოში ვაფსკენა (გვ. 9ა) და ვაფსკენა (9ვ), გამოფსკენა-ც ერქვა (გვ. 9 კ.) და ვადაფსკენაც (ზ. სამ. 13,2), ერთსა და იმავე დროს საძირკველის დირეები უნდა, რასაკვირველია, ბოკონებზე დადებარებინათ. რასაც გურულები ბოკონებზე დასკენას (ივ. 3), ქ. იმერეთში-კ დაფსკენას უწოდებენ (გვ. 1). ამისთვის საჭირო იყო, რომ საძირკველის დირე შესაფერის ადგილას ბოლოში გარკვეულ სიღრმეზე ჩაჭრილი ყოფილიყო, ე. ი. დაქილუქება (ქ. იმ. 4ა) [ჭქონოდა].

ქილიც საბაბს შეტანილი აქვს ლექსიკონში და ამბობს, რომ ქილიცი არის „ფიცარი დაქლობილი ერთმანერთში გასაწყობად“. შეგნო-კახური თანამედროვე განმარტებითა ქილიქი სწორედ ფიცარის ის დაჭრილი ნაწილია, რომლითაც ის ჯდება მეორე ფიცარში (შ. კახ. 4). ქილიქის გაკეთებას ქილიქის ჩაჭრა ეწოდება (ქ. რაქ.). ქვემო-რაქული ტერმინოლოგიით ქილიქის გადამმა და გადმოღმა არსებობს (ქ. რაქ. 20). დაქილიქების დამთავრების შემდეგ უკვე ქილიქების ერთი მეორეში დაჯენა (ზ. სამ. 19), ე. ი. ჩასმა იწყება.

დამახასიათებელია, რომ თუმცა ს. ორბელიანს ბოყვი თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს, მაგრამ ამ სიტყვის მხოლოდ ორი მნიშვნელობა აქვს მოყვანილი, რომელთაგან არც ერთი მშენებლობას არ ეხება. მისი სიტყვით, „ბოყვი ხის ქერქის კურჭელი“-ა, ანდა კიდევ „ბოყვი წაკულაკი წაგრძელებული (B: წამხდარი)“. არც აფრა და არც ბოყვი ს. ორბელიანს ნაგებობის ტერმინად ნახსენები არა აქვს. ქვემო იმერული ცნობით-კ აფრას ძველად ბოყვი ჰრქმენია სახელად (ქ. იმ. 28). იქაური განმარტებით ბოყვი სქელი ფიცარია, რომელიც ნაპირებში ღრმად იყო ამოღარული (ქ. იმ. 20,2 ჩანახ.). ასევე ესმით ბოყვი სამეგრელოშიც: გვერდებზე დაღარული სქელი ფიცარი, ანუ ხე (ზ. სამ. 1,2; 5,2). „ორ მხარეს ამოღარული ხე, ფიცრების ჩასაყვანად“ (იქვე 3), დაღარული მორია (ზ. სამ. 1,2). ზემო-რაქული და ლეჩხუმური ვაგებით-კ ბოყვი მხოლოდ ერთი მხრით ამოღარული სქელი ფიცარია. რომელშიც ფიცრის თავებია ჩამჯდარი (ზ. რაქ. 7 ა, ლეჩხ. 10). ბოყვი გ. კახეთსა (გვ. 23) და ქართლშიც ცნობილია (გვ. 38, ჩანახ.), გურიასა (გვ. 3) და სამეგრელოშიც (გვ. 8).

ბოყვის დანიშნულებაზე ქვემო იმერულის ცნობაში ნათქვამია, რომ ის სარტყელის ამტანი აფრიაა (გვ. 4 დ).

აჭარლების აზრით ბოყვი გორული სიტყვაა, აჭარაში-კ სოია ეწოდება. ბოყვს ჰქონდა ბოყვის გული (ქართ. 38, ჩანახ.), თავი (ქ. იმერ. 4 ო) და

კიდრე (ჩქვე 5). რაკი ბოყევი დაღარული იყო (ზ. სამ. 1,2), ამიტომ საჭირო იყო მისი წინასწარ ამოტეხა სატეხით და კევრკვეტადთ (აქარ. 7). ამ ამოსატეხ იარაღს ქ. იმერეთში საღარამავეი (გვ. 5, ჩანახ.), ბოყეების საღარამავეი (გვ. 27), თუშეთში და ქ. რაჭაში (გვ. 35, სურ.) საღარავეი ეწოდება, გ. კახეთშიც ფიცრის ამოსაღარავეი ჰქვინან (გვ. 46). ქიზიყს, გ. კახეთს, ზ. იმერეთს და ქ. რაჭაში საღარავეის, ანუ საღარამავეის მაგიერ ამ იარაღის სახელად ქანიშკაპი, ქანშკაფი და შმაუთიცი იწმარება. ამით იღებენ ხოლმე კარ-ფანჯრის გულს (ზ. იმერ. 18). ქ. რაჭულში განმარტებით, კარების გულის, ანუ პირის ამოსაღებია საფხა-ქიციეი გამართული. მას ფოლადის ორ-სამ-კეციწ ნახევეარ წრისებურად ამოტეხთული პირი აქვს. ხოლო ჩარჩოში ორივე თავში გაყრილი აქვს ორი მრგვალი ხრახნილი რიკი, რომელნიც შეერთებული არიან წყრილი თოკით, და ორი კაცი ეწევა ამ იარაღს ხრახნილიანი რიკებით (ქ. რაჭ. 33, ქიზ. 91).

ხის ნაგებობაში იცოდნენ კედლის ქანიშკაფით კეთება და ასე გაკეთებულს კედელს ქანიშკაფიანი კედელი ეწოდებოდა (ქიზ. 117, ჩანახ.).

რაკი ბოყეის გამოყენება სხედასხვა მიზნით იცოდნენ, ამიტომაც არსებობდა სახლის ბოყეიც (ქ. იმერ. 4 დ), კარის, ანუ კარების ბოყეებიც (ზ. სამ. 24, ქ. იმერ. 11). იმ სახლს, რომელიც ბოყეების საშუალებით იყო აგებული, ბოყეებიანი სახლი; ანუ ბოყეებში გამოყენილი სახლი ეწოდებოდა (ქ. იმერ. 28). ბოყეებიანი სახლის ასაგებად ჯერ რა თქმა უნდა, ბოყეების ამართვა (ქ. იმერ. 15—16). ანუ ჩადგმა (იქვე) იყო საჭირო. იმ ბოყეს, რომელსაც შუაში მოაქცევდნენ ხოლმე შუაში დასაყენებელი ბოყეი ეწოდებოდა (ზ. სამ. 3). ამისთვის, რასაკვირველია, პირველად საჭირო იყო ბოყეის ჩარქობა, ანუ ჩასმა („ჩაჯენა“) საძირკველში (ზ. სამ. 14, 2-3). აქარაში იციან აგრეთვე ბოყეების ჩამოცმა ძელის თავებზე (აქ. გვ. 7). ბოყეის ამართვის შემდეგ იწყებოდა ბოყეებით კედლების აყვანა (გურ. 1), რომელიც, ძელური სახლების აგების დროს, ბოყეებში ძელების ჩაწყობას წარმოადგენდა (ქარ. 38). ხოლო, როდესაც ეს სამუშაო დამთავრდებოდა, მშენ უკვე უნდა ბოყეებზე სარტყლების დატემა დაეწყოთ (ქ. იმერ. 20).

გამოსლვათა 10, 13-ის დამოწმებით, ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ „ბუღაური სვეტის თავი“ არის (ლექსიკ.). მაგრამ მისივე სიტყვით „სამერკული ბუღაური“-ვეა და „სამერკულეები—ბუღაურები“ (იქვე). რაკი სამერკული უქვევლია მერკის ნაწილის სახელი უნდა იყოს, ამიტომ ბუღაური, როგორც ეტყობა, მარტო შენობასთან დაკავშირებული ნაწილის ტერმინი არ ყოფილა, ს. ორბელიანის ხანაში მაინც. თუძკა-კი იგივე ჩვენი ლექსიკოგრაფი ამბობს, რომ „დათუხა უქმობენ მღაბიონი ბოძის ბუღაურსა“-ო (იქვე). დათუხა ხალხურ თანამედროვე მეტყველებაშიც, როგორც დავრწმუნდებით, მართლაც სვეტის თავის სახელია.

თუმცა ბუღალური მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ხანში შესულთათვის ცნობილი სიტყვაა. მაგრამ მისი მნიშვნელობა სხვადასხვა თემში მაინც საგრძნობლად განსხვავდება. მაგ. ქიზიყური და გარე-კახური ცნობებით ბუღალური ერთი მხრით იგივე ბოძია (ქიზ. 3, გ. კახ. 20), ამიტომაც არსებობს გამონათქვამები ბუღალურის დგომა (გ. კახ. 20) და ბუღალურის მიცემა (ქართ. 38, ჩანახ.), მაგრამ მეორე მხრით, მთიულური განმარტებით, ბუღალური უყვე დედაბოძზე, თუ დათვზე ამოჭრილი სახეა (მთ. 27) და გარე კახეთში ჩაწერილ მოთხრობებში ბუღალურის და ბუღალურების დასკრელებზეა საუბარი (გ. კახ. 21 და 47). ფშურს მეტყველებაშიც ბუღალური იგივე კრლებია ანუ კავაკიჭიჭია, ე. ი. ჩუქურთმა (ფშ. 10). თუმცა იგივე ბუღალური სულ სხვა რამის სახელია: იგივეა, რაც დღევანდელი ე. ი. საწელე, ანუ საძაბის ჭიდი. ამრიგად ის ქერის წელის სიმაგრისათვის გადებული დიდი და მსხვილი კოჭია (თუმ. 49—50). ქიზიყურ ცნობაშიც ბუღალურის გადება იხსენიება (ქიზ. 3).

დათვი საბას ხანაში სვეტის თავის ქართული მდაბიური სახელი ყოფილა. მას ნათქვამი აქვს: „დათუსა უკმობენ მდაბიონი ბოძის ბუღალურსა“-ო (ლექსიკ.). პართლაც ასეთი ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოში ზოგ თემს უხლავ მოეპოვება. დათვი ყველაზე მეტად ფშავშია გავრცელებული (ფშ. 3, 4, 9 და 10). დათვის ჰქონდა თავი და ბურგი (იქვე 4). დათვის თავის გაკეთება და მომურგვლება, ე. ი. მომრგვალება, ცულოთ იცოდნენ (იქვე 10). ამის შემდეგ იწყებოდა დათვის დასვენება (იქვე 3) ე. ი. სვეტზე დაყენება, და როდესაც იგი თავის ადგილას უყვე გამართული იყო, ის მოყენებული დათვი იყო (იქვე 4). დათვი გადამჯდარი იყო ბოძის თავზე და ფშავში ზოგჯერ ორ ბოძს საერთო დათვი ჰქონდა ხოლმე დარბაზში: ეს დათვ-გადამჯდარი, წყვილი ბოძი იყო (ფშ. 4). მთიულეთში ამავე დათვის სინონიმად უფრო ბალიშია გავრცელებული (მთ. 25, ფოტოსურ.), ქართლში-კი ბანდღუში (ქართ. 22 და 26, ჩანახ.).

საბასთვის „კოჭი მოკლე და მომცრო სართული“ იყო (ლექსიკ.). კოჭი-კი საბას განმარტებული აქვს მდინარეზე გადასვლისათვის განკუთვნილ ნაგებობად. რომ ეს სიტყვა სახლს სახურავის ნაწილის ტერმინიც იყო, მას, ამაზე ლექსიკონში არაფერი აქვს ნათქვამი.

კოჭს ქიზიყში და გარე კახეთში იჭანი, ანუ იჭენი ეწოდება (ქიზ. 118, 131 და გ. კახ. 31). როდესაც ორი, ან რამდენიმე კოჭის ერთმანერთთან დაკავშირება უნდოდათ, ამას იხნების გადამბის ეძახდნენ (ქიზ. 169). ვედაბისათვის-კი საჭირო იყო, რომ თითოეულს მათგანს სათანადო ადგილას უბა ჰქონოდა ამოღირული (ქიზ. 125), მოჭრილი. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლებოდა კოჭების ვედაბმა, რაც ერთი კოჭის, ანუ იხნის ყბის მეორე ყბაში ჩასმით ხერხდებოდა. ამ პროცესს იხნების ერთმანერთში ჩაყვებას უძახიან (გ. კახ. 31). ნაგებობის სათანადო ადგილას კოჭების დლაგების იხნების გადება ჰქვიან (ქიზ. 131; 135, 7; 137).

სახლის სარტყელზე ვედებულია ჯერ დიდი ხე, ხოლო მასზე, შუაზე, ასწვრივ ამართულია ხის ბოძი, რომელიც თავისი ზედა კიდურით სათავეს ებჯინება:

სათავე სწორედ ამ შუა ბოძზეა გადებული. სათავეს საყრდნობს ამ ბოძს ზემო იმერეთში გოგვი ჰქვიან (ზ. იმერ. 10). საგულისხმოა, რომ საბას განმარტებით, „გოგვი თითის გარეგანი ნაწიელი“ - ა (ლექსიკ.), ე. ი. თითის გარე კიდური ნაწილის სახელია. ცნობილია, რომ თითის ეს ნაწილი დანარჩენ ნაწილებზე უფრო მომცროა და საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მსგავსებაზეა დამყარებული გოგვის, ვითარცა პატარა, დაბალი ბოძის სახურავის ამ ნაწილის აღმნიშვნელ სახელად გამოყენებაც. სახურავის ამ ნაწილს სახელი საქართველოს სხვადასხვა თემში მაინც განსხვავდება, მაგ., ქვემო იმერეთში გოგვის მაგერ ამ ნაწილს ვაცა და ვაცი ეწოდება (ქ. იმერ. 4ა და 2 ჩანახ.), ზემო სამეგრელოში ვაცი ჰქვიან (ზ. სამ. 14,2), მაგრამ მის სახელად იქვე ციცი-ცარის გაერთილებული (ზ. სამ. 6,2). ციცი სწორედ ამნაირადვე შუაში ამართული დაბალი ბოძის აღმნიშვნელია (იქვე). ვაცი და ციცი ერთი და იმავე სიტყვის თავდაპირველი სრული ბგერითი შედგენილობის მხოლოდ სხვადასხვა შერჩენილი ნაწილებია. საგულისხმოა, რომ ზემო რაჭაში სახურავის ამავე ნაწილის სახელად ციცი და კოწია არის მიღებული (ზ. რაჭა 80). თუმცა ლექსებში გოგის უძახიან, მაგრამ, იქაური განმარტებით, გოგვი მაინც სხვა თემთა მნიშვნელობისაგან განსხვავდება. ლექსებში გოგვი პატარა-ვი არა, არამედ დიდი ბოძია, რომელსაც ზედა კიდური სათავეზე ჰქონდა მიბჯენილი, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, რომელსაც ზვეითგან სათავე ეხვინებოდა, ქვედა კიდური, ძირი-ვი მიწაზე ედგა (ლექს. 5 და 7ა, ჩანახ.).

გოგვის, ვაცის, ანუ ციცის თავის ალგავს გამართვისათვისაც სხვადასხვა თემში სხვადასხვა გამონათქვამი არსებობს, მაგალ., ზემო იმერეთში ეწოდება გოგვის დაჯენა დირეზე (ზ. იმერ. 10), ქვემო იმერეთში-კა ვაცას, ანუ ვაცეს დადგამა და მორიგება (ქ. იმერ. 21 და 23), ზ. სამეგრელოში-კი ციცის დამაგრება (ზ. სამ. 8,2) ჰქვიან.

სათავე ეწოდება იმ მთავარ დირეს, რომელიც სახლის სახურავის გასამართავად არის გადებული (ქიზ. 5; ზ. და ქ. იმერ. 9 და ჩანახ. 2, 12, 32; ზ. რაქ. 8; ქე. რაქ. 3; ლექს. ჩან. 7ა; გურ. 2; ზ. სამ. 12,2). ზ. სამეგრელოში მას ხანთა ჰქვიან: იგი სახლის დირეა, კაკუტების დასაწყობი დირე (ზ. სამ. 2,2). სათავეს ხეს ზ. იმერეთში დირო აქვს სახელად (გვ. 15). სვანეთში ეწოდება დირ და სათუარ. ქიზიყში (გვ. 57, 59) მას თავხესა და საყვავე-საც ეძახიან. ზემო რაჭაში სათავეს, ანუ თავხის სახელად სატვირთსა ხმარობენ (ზ. რაქ. 4).

საბა ამბობს, რომ „საყვავე სართულის ზეით ლატანი“ იყო (ლექსიკ.). ლატანი-ვი მას ესმის, როგორც „წურილი და გრძელი ძელი“ (იქვე).

სათავე, ზემო იმერული განმარტებით, გოგზე გასწვრივ გადებული ის ხეა, რომელზედაც და სარტყელზე დაწყობილ-დამაგრებულია მარწუხები (ქიზ. 59; გ. კახ. 28; სანგ. 11; ზ. იმერ. 9; ზ. რაჭა 4; ქ. რაჭა 14; ლექს. 5), ანდა ლარძაყინები (ქ. იმერ. 29,32 ჩანახ., 34 ჩანახ.) ვინდ გადასაკიდებებს (ზ. იმერ. 10), ანუ კაკუტებს (ლექს. 12; ზ. სამ. 14,2). სათავეს აქვს წინა ნაწილი (ქ. იმ. 31) და ბოლო (იქვე 9), სვეტი (ქიზ. 57), ფიცა-

რამები (ზ. რაქ. 10), თვალი (ხეც. 12), არსებობს აფრებიანი სათავე (ქ. იმერ. 31).

სათავეის, ანუ საყვავის, თუ თავისი გარეგნული თავის ადვილას მოთავსებას გადება (ჯურ. 2; ზ. იმერ. 40 და ქიზ. 51), დადება (ზ. იმერ. 9 ე), დაყენება (ქ. რაქა 26) და მორგება (ქ. რაქა 13) და ვაცეზე დაცმა (ქ. იმერ. 26) ეწოდება. ზემო რაქაში სათავეის მოწყობას უწოდებენ (ზ. რაქა 7). აფრიან ნაგებობაში აგრეთვე სათავეების დაცობა იცოდნენ აფრებზე (ქ. იმერ. 31).

მარწუხები ქიზისა, გარე კახეთში, ზემო იმერეთსა, ზემო და ქვემო რაქაში და ლეჩხუმში გავრცელებული ტერმინია. ქიზიური და ზემო-რაქული განმარტებით, მარწუხები წარმოადგენს ორს ყელში ერთმანერთზე გადაჯვარედინებულ ხეს (ქიზ. 59), რომელთა ერთი თავი სატკინოს, ანუ სათავეს, ებჯინება, მეორე კიდეც სარტყელზეა (ზ. რაქა 4 და ლეჩხ. 5, 7ა, ჩანახ.). რუსულად მათ *срощаи* ჰქვიან. ქიზიურში მარწუხს აგრეთვე ჯალაბდარსაც ეძახიან (ქიზ. 57), მაგრამ, ს. ორბელიანის განმარტებით, „ჯალამბარი დიდი ქვის მალა ასატანი“ იყო. საინგლისო-ტი მარწუხს თურქული სახელი ყაიჩევი-ც ეწოდება, რომელიც მაკრატელს ნიშნავს (საინგ. 11).

რაკი მარწუხები ერთმანერთში ჩამჯდარა უნდა ყოფილიყო, ამიტომ წინასწარ მარწუხის ამოკრა იყო სატეხით (ქ. რაქა 14). მარწუხის თავში ასეთს ამოკრილ ადგილს ყბა ეწოდება (ქიზ. 59), ქვედა კიდურს-კი ფეხი (ქიზ. 59). შუაში მოთავსებულ მარწუხებს გარდა, კიდური მარწუხებიც იყო, რომელთაც სანაპირო მარწუხები ჰქვიან (ქ. რაქა 14).

როცა მარწუხები უკვე შესაფერისად დაშლადებული ჰქონდათ, მათ სათავეზე სათანადო ადგილებში დალაგებას იწყებდნენ ხოლმე. ამას სხვადასხვა თემში და ერთსა და იმავე თემშიც-ი სხვადასხვა სახელი ჰქონდა. უკანასკნელი გარემოება იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა ტერმინი ამ სამუშაოს სხვადასხვა საფეხურს ახასიათებს. მაგ., მარწუხების დაყენება (გ. კახ. 28), ანუ აყენება (საინგ. 11), გადაწყობა და გადაკიდება (ზ. რაქა 4 და 9), მარწუხების მიცემა და შედგმა (ქიზ. 57, 86 და 120) ამ პროცესის ზოგადს დახასიათებას წარმოადგენს. მარწუხების დაბჯენა იხსენებზე-კი (გ. კახ. 31) უკვე ამ სამუშაოს გარკვეული ნაწილის აღმნიშვნელია.

მარწუხები მხოლოდ ფერდობიანი სახურავისათვის იყო საჭირო და მარწუხებ-დაყენებულნი ფერდობები (საინგ. 11) დახრილი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც მარწუხები დაცერებულნი (ზ. იმერ. 9, 1) იყო ხოლმე. დაცერება ამ შემთხვევაში ცერად, დახრით დაყენებას გულისხმობს.

ანიც მოიტანა, რომელსაც ჩვენ თითქოს არც-კი ვგრძნობთ, რომელსაც, როგორც ეტყობა, მკაფიოდ ვერც ჩვენი წინაპრები გრძნობდნენ. ყოველ დიდს ეროვნულს ხელოვნებას დამახასიათებელი, ნიშანდობლივი თავისებურება აქვს, რომლითაც იგი სხვა რიგის ხელოვნებისაგან მკვეთრად განირჩევა ხოლმე. ნიშანდობლივი თვისებები როგორც მთლიანად ნაგებობათა გარეგანს სახესა და მოყვანილობაში მოჩანს, ისევე აგრეთვე ნაგებობათა და სამკაულების ცალკეულს ნაწილებს ემჩნევა ხოლმე. მაგალ., ყველამ, ვისაც-კი ხელოვნების სოფადი ისტორია თუნდაც მხოლოდ გადაკითხული აქვს, იცის, რომ ეგვიპტური პირამიდები და ტაძარ-სასახლეებიცა და მათი სვეტები და სვეტის თავები ყველა სხვა ერების ხუროთმოძღვრული ხელოვნებისაგან მკაფიოდ განსხვავდება. ამგვარადვე ბერძნულმა ძველმა ხელოვნებამ სამი თემობრები იერის მქონებული, — დორიული, იონური და კორინთული, — სვეტები, სვეტის თავები და ხარისხები შექმნა, რომელთაც საერთო თვისებებთან ერთად იმდენად განმასხვავებელი თავისებურებაც აქვთ, რომ ოდნავად ამ დარგის მკოდნეც-კი ერთი თვალის შეხედვითაც თითოეული მათგანის მიკუთვნილობას გააჩნევს. ასევე განსხვავებული გოთიკური, რომანული, მავრიტანული და კიდევ ბევრი სხვადასხვა რიგის ხელოვნების ნიშანდობლივი თავისებურებაც არსებობს.

ქართულმა ხუროთმოძღვრებამაც ძველად ნაგებობათა გარეგანი სახის ნიშანდობლივ დამახასიათებელსა და განმასხვავებელი თავისებურების შექმნა შესძლო. ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს ვარკვეულად ემჩნევა [ეს] და ხუროთმოძღვრების ისტორიაშიც ასეთი თავისებურების გარემოება კარგა ხანია ცნობილია, თუმცა-კი [შას] სომხურ-ქართული სახუროთმოძღვრებო რიგი ეწოდება. მაგრამ ქართულმა ხუროთმოძღვრებამ შესძლო თუ არა საერო ნაგებობათა გარეგანი სახისთვისაც ნიშანდობლივი თავისებურების ჩამონაკეთა, ეს ამჟამად ძნელი გამოსარკვევია, რათან გეგუთის სასახლის ნანგრევებს გარდა, რომელთა არქეოლოგიური ვათხრა დაუმთავრებელი დარჩა, არაფერია გადარჩენილი. ეგების მომავალმა გეგმინამა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ისეთი ნაშთები შეგვძინოს, რომელთა შიხედვითაც ამ საგულისხმო საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელი გახადოს. ჩუქურთმებისა და არშეების მხატვრულს შემოქმედებაშიც ქართულმა ხელოვნებამ დამახასიათებელ თავისებურებას იმდენად მიაღწია, რომ ამ თვისების ჩუქურთმა-არშეებს ქართული წნულიც-კი ეწოდება.

გაცილებით რთული და ძნელი გადასაწყვეტია ქართული ხუროთმოძღვრების სხვა ნაწილების თავისებურების საკითხი. ყველაზე დამაფიქრებელია სწორედ ძეგლებრივ ნაგებობათა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწილების თავისებურების ამოცანა. იმ თითქმის დაუსრულებელს ნაირნაირობაში, რომელიც ძველ ნაგებობათა სვეტებისა, სვეტის თავებისა და სვეტის ხარისხების მრავალრიცხოვანი გადაჩენილი ნაშთების სახითაც-კია დაცული, ჯერ ვერავინ იტყვის, თუ სახელდობრ, რომელი, ანდა რამდენი მათგანი უნდა იყოს ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თვისებების შემაცველად ცნობილი. ზოგი მათგანაცხადდა უცხო წარმოშობისა და ქართულ ხუროთმოძღვრებას შეთვისებული უნდა ჰქონდეს მხოლოდ. მაგრამ ასეთი ნაწილის საერთო რაოდენობითგან გამოკლების შემდეგაც ნაირ-ნაირობის სიმრავლე მაინც ძალიან საგრძნობია. ეს

ნაირნაირობა სწორედ იმ განუმეორებლობის კანონის შედეგია, რომელიც ქართული ხელოვნების ამ დარგებში ასე მძლავრად იყო გაბატონებული და ამიტომაც ქართველ ხელოვანს შემოქმედებითს ფანჯარას ყოველთვის ახალ-ახალი სახეობის შექმნას უკარნახებდა. ახალ-ახალი ფორმების შექმნისათვის ასეთი დაუცხრომელი მუშაობა ერთი, ანდა რამდენიმე სამაგალითოდ მიჩნეული სვეტის თავისა და ხარისხის ჩამონაკეთასა და დაკანონებასაც ხელს უშლიდა და არც საშუალებას აძლევდა, რომ რომელიმე მათგანი ქართული ხუროთმოძღვრების ნიშანდობლივი თვისების შემცველად ყოფილიყო ცნობილი ისევე, როგორც, მაგალითად, ეგვიპტური, დორიული, იონური, კორინთული სვეტის თავები და ხარისხები ერთხელ და სამუდამოდ დაკანონდა. მაინც საფიქრებელია, რომ უმთავრესად XII საუკ. თითქმის ყველა ქართული საერო ხუროთმოძღვრებისა და მრავალი საეკლესიო ძეგლის სრულიად დაღუპვა გვიძნელებდეს ჩვენ იმის გამოკრევეს, თუ ამ ნაირნაირობათა სიმრავლითგან რომელი უფრო იყო გავრცელებული. ეს მაინც რომ გავგეგო, მაშინ ცხადი გახდებოდა, თუ რომელი მათგანი უფრო აკმაყოფილებდა ქართველი ერის მხატვრულს გემოვნებას. იმ მასალების მიხედვითაც, რომელიც ჩვენ შეგვრჩა, გულდასმითი და საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ მაინც შესაძლებელია იმის გამოკრევეა, თუ რომელი მათგანია უფრო ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადი თვისებისათვის შესაფერისი და დამახასიათებელი თვისებებების შემცველი.

თუნდაც მომავალმა კვლევა-ძიებამ იმ დასკვნამდის მიგვიყვანოს, რომ განუმეორებლობის კანონმა ქართულ სააღმშენებლო ხელოვნებას ხელი შეუშალა, ქართული ხუროთმოძღვრების რიგის ნიშანდობლივი თვისების გამომხატველი ერთი ან რამდენიმე სამაგალითო სვეტი და სვეტის თავ-ხარისხი დაეწესებინა, მაინც ცხადია, რომ ეს ქართული ძველი ხუროთმოძღვრების ერთგვარი ნაკლია, რომელიც თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. მისაბაძას არაფერს წარმოადგენს და, ძაზასადამე, თავითგან ასაცილებელია. მხატვრული შემოქმედება ხუროთმოძღვრებაში, რასაკვირველია, ძვირფასია, მაგრამ ერთსა და იმავე შენობაში და მის თვით ერთსა და იმავე ნაწილშიც-კი სხვადასხვა სვეტის თავ-ხარისხების გამოყენება, რაც უნდა ლამაზი და მღალახარისოვანი ხელოვნებით არ იყოს ცალკეული მათგანი ნამუშევარი, მაინც დაახლოებით იმას უღრის, მოხდენილმა ქალმა ან ვაჟმა რომ ყველა თავისი, თუნდაც საუკეთესო სამკაული ჩამოიკიდოს ან გაიკეთოს. გადაჭარბებული ნაირნაირობა მნახელის თვალს ჰღლის და მორთულობის მრავალგვარობა არამც თუ შთაბეჭდილებას არ აძლიერებს, არამედ, პირიქით, უფრო ანელებს და ამცირებს ხოლმე. ამიტომაც ცხადია, რომ თანამედროვე განახლებულმა ქართულმა ხუროთმოძღვრებამ განუმეორებლობის კანონი გონივრულად უნდა შეზღუდოს. ხოლო მთავარ ამოცანას, რომლის გადაწვევაც ჩვენს გადაუღებელ მოვალეობას შეადგენს, სწორედ ძველი ქართული ხელოვნებისაგან მემკვიდრეობით ნაანდერძევი მრავალნაირობითგან ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც ზოგად ეროვნული თვისებების გამომხატველად და თანამედროვე ახალი ხუროთმოძღვრებისათვისაც საუკეთესოდ გამოსადეგი სვეტის თავ-ხარისხების შერჩევა და დაკანონება შეადგენს. უამისოდ ხუროთმოძღვრების ქაროული რიგის, ანუ სტილის, შექმნა ეხ-

ლაც შეუძლებელი იქნება. ამას გარდა, უნდა წესად იყოს მიღებული, რომ ერთ-სა და იმავე დარბაზში, ოთახში, კარიბჭესა თუ აივანში სვეტის თავები და ხარისხები უეჭველად ერთნაირი იყოს ხოლმე. განსხვავება ერთსა და იმავე შენობის სხვადასხვა დარბაზ-ოთახებშიც სასურველია, მხოლოდ მათი მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით უნდა იყოს ხოლმე შერჩეული. ამისთანავე, რასაკვირველია, უნდა ვათვალისწინებულ იქნას გვექონდეს ქალაქური და სოფლური ქვეითი-რისა და ხის ნაგებობათა განსხვავების ბუნებრივობა და აუცილებლობა. ძველად ჩვენში ხის ხურობა, როგორც აღვნიშნე, ფართოდ იყო გავრცელებული, ასეთ დარბაზ-ოდეებს და სახლებს თავისებური და თანაც ხშირად ფრიად ლამაზი სვეტები და სხვა შემკულობა ჰქონდა. თანამედროვე ქართულ ხუროთმოძღვრებას ეს ხის ხურობა მთლიანად მივიწყებული აქვს. განა სოციალისტურ საქართველოს და კოლექტიური მეურნეობის წვევებსა და დაწესებულებებს მათთვის განკუთვნილ ნაგებობათა სიმკვიდრესთან ერთად სილამაზე და მოხდენილობა არ უნდა ჰქონდეს?

ჩვენი ახალი ხუროთმოძღვრების მოვალეობაა ქართველი მშრომელი ხალხის ესთეტიკური გრძნობის განვითარება-ამაღლებას ხელი შეუწყოს. ამიტომაც სოფლურ ნაგებობათა და ხით ხურობის საკითხები ქართულ თანამედროვე ხუროთმოძღვრებას უნდა ვაახსენდეს და ჯეროვანი ყურადღებით ჰქონდეს შესწავლილი და გადაჭრილი. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოს მშენებლობა არავითარ ანგარიშს არ უწყევს არც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შემკვიდრობას და არც მისგან საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებულს გამოცდილებას. ამის ერთ-ერთს დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად საზიანოა ეს საქმისათვის.

ძველი ქართული საეკლესიოცა და საერო შენობებიც ვარეთვან სტოათი, ანუ კარიბჭით იყო ხოლმე მოქმნილი. საერო საცხოვრებელი სახლებსა და სასახლეებს-კი სულ ზევითი სართული ხშირად ქორედის სახით ჰქონდა მოწყობილი. კარიბჭეცა და ნაწილობრივ ქორი და ქორედსც სვეტებიან-კაპაროსან ნაგებობას წარმოადგენდა. მათი დანიშნულება იყო, სიცხე-ჰაბანაქების დროს ადამიანი მზისა და სიცხისაგან დაეცვა, რომ ჩრდილსა და სიო-სივრილეში მუშაობა, თუ სხვა რაიმე საქმიანობა, არ გასძნელებოდა. ქორი და ქორედი ამას გარდა მყუდრობას თვალწინ მილითვან ფართო გადასახედსა და ლამაზ სურათს უშლიდა. სტოათი, ანუ კარიბჭესა, და ქორედს უძველესი ხანის ქართულ ხელოვნებაში ისეთივე დანიშნულება ჰქონდა, როგორიც შემდეგს XV—XVI ს-ითვან მოყოლებული, სპარსეთითვან შემოსულ აივანსა და ჩარდახს მიენიჭა. მათ შორის არსებითად მხოლოდ ის განსხვავება იყო, რომ აივანი და ჩარდახი სისაგანაც კეთდებოდა, კარიბჭე და ქორედი-კი ქვის ნაგებობა იყო. სტოათ-კარიბჭე და ქორედისნაირი ნაგებობა ბუნებრივ მოვლენად უნდა მიჩნეულ იქმნეს ცხელ ქვეყნებში, სადაც ადამიანი უნებლიეთ ცდილობს ჩრდილს შეაფაროს თავი, რომ გრილად იყოს. XIX ს-შიც, როდესაც საქართველოში რუსეთის გზით ევროპული წესით იწყებენ სახლების აშენებას, უაივანოდ სახლს არ ააგებდნენ და უკანასკნელ ორ ათეულამდე თბილისში და საქართველოს ზოგიერთ სხვა ქალაქშიც დიდი გემოვნებითა და მსატრუღლად დაფანჯრული აივნები იყო. ამაჟამად-

კი ქალაქის საბინაო ამხანაგობათა და გამშენების მესვეურებმა თავიანთი მოვალეობა ისე უცნაურად გაიგეს, რომ სახლების შეკეთების დროს, ყველა ასეთ ნაგებობას აიენები მთლიანად ჩამოაცილეს და სრულებით უაიენო სახლებად აქციეს იმის გარდა, რომ ასეთი სახლების მდგმურების მდგომარეობა ამით გაუმჯობესების მაგიერ ძალზე გაუარესდა, რათგან აიენანზე ყოფნისა და ჰაერით თავისუფლად სუნთქვის საშუალება მოესპოთ, მათმა ასეთმა მოქმედებამ არა ერთი სახლის გარეგანი სილამაზეც ინსხვერპლა და არა ერთი ისეთი ძველი მოსპოვ, რომლის ხელუხლებლად დაცვა ხუროთმოძღვრების ისტორიის თვალსაზრისით საქართველოში სასურველი იყო. ეს გარემოება მით უფროა სამწუხარო, რომ ასეთ სახლებს მშენიერი აიენები მოაჭრეს და ჩამოაცილეს იქაც-კი, სადაც აიენების ასეთი განადგურებისათვის არც ქუჩის გაფართოება და არც კეთილმოწყობის რაიმე გამამაზრთლებელი მოსაზრება არ არსებობდა. ერთადერთი საბუთბ, რომელიც შესაძლებელია მათ ჰქონოდათ, ის იყო, რომ აიენის შეკეთებას მისი სრულებით მოჭრა ამჯობინეს, რათგან, რა თქმა უნდა, ეს უფრო ადვილი და თანაც მეტად მარტივი და იაფი საშუალებაა. ცხადია, რაც ამასობაში დაიღუბა, იმას ეხლა ველარაფერი ეშველება, მაგრამ თუ ამაზე აქ მაინც სიტყვის ჩამოგდება საქიროდ მივიჩნიე, მხოლოდ იმიტომ, რომ ცხადი გამგდა-რიყო, თუ რამდენად ჩვენი მშენებლობა ანგარიშს არ უწევს საქართველოს არც წარსულის გამოცდილებასა და არც ბუნებრივს პირობებსა და ჰავას. მომავლეთათვის მაინც ჩვენმა ხუროთმოძღვრებამ უნდა გაითვალისწინოს, რომ, თუ ციეს ქვეყნებში სახლების უაიენობა არავითარს ზიანს არ მოუტანს მდგმურს და, შესაძლებელია, ბუნებრივ პირობებთანაც ეს კარგად შეგუებულ მოგენადაც-კი იქმნეს მიჩნეული, ისეთი თბილი და ზაფხულში ცხელი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, სახლების უაიენობა პიეენისა და კეთილმოწყობის თვალსაზრისით არამცთუ არასეზით არ შეიძლება გამართლებულ იქმნეს, არამედ, პირიქით, ხუროთმოძღვრების იმ მთავარი დებულების უხეზ დარღვევასაც წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც ყოველი ქვეყნის მშენებლობა და ნაგებობათათვისებები უპირველესად ადგილობრივ ბუნებასა და ჰავასთან უნდა იყოს შეგუებული. ამიტომაც ეხლა მაინც უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ, რაც მრავალ საუკუნეთა გამოცდილებამ ცხელი ქვეყნების, მათ შორის ძველ საქართველოს ხუროთმოძღვრებასაც დიდ ნაგებობათათვის სტოების, ანუ შიგნითი კარიბჭეების, ხოლო ჩვეულებრივი საცხოვრებელი სახლებისათვის, აიენებისა და ქორედების საჭიროება და აუცილებლობაც-კი შეაგნებინა, თანამედროვე ქართული ხუროთმოძღვრებისთვისაც ანვარიშვასაწევ და სავალდებულო დებულებადაც-კი უნდა იქნეს მიჩნეული.

ძველი ქართული საღმშენებლო და სხვა დარგის ხელოვნებამ ჩუქურთმებისა და არშიების დიდძალი მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ჩუქურთმების სახეების განმავსიფრებელ ნაირნაირობას, კედლის მხატვრობის, მინიატურების სამკაულებისა და ხელსაქმე-ჭრელების დარგში უკვე დაფერადების ნაირნაირობა და მშენიერებაც ეჯობრება; მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად მთელი ეს უმდიდრესი და მომხიბლავი განძეულობაც ჩვენთვის მკედარ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ეგების ვისმე გაუკვირდეს, რომ იმისდა მიუხედავად, რომ ამ განძეულობით ეხ-

ლაც სარგებლობენ და ამ საგანძურითგან თანამედროვე ხუროთმოძღვრებიც ჩუქურთმის, ან არშისა ამა თუ იმ სახეს აიღებენ ხოლმე, მაინც მე მას მკვდარ მემკვიდრეობას ვუწოდებ. ეს მემკვიდრეობა ჩვენთვის მაინც მკვდარია და მკვდარი დარჩება, სანამ ჩვენს ხელოვნებას ამ დარგის საკუთარი შემოქმედების უნარი არ განუახლებია.

ჩუქურთმის, არშისა და პრელის ძველი სახის გადმოხატვა და გადმოღება ცხოველი შემოქმედება არ არის. ამიტომაც იგი მკვდარ მარაგს წარმოადგენს და მას სიცოცხლის ნიშანწყალი არ ატყვია. იგი მკვდარ მარაგად დაგვრჩება, თუ რომ ჩვენმა ხელოვნებამ ამ მხატვრული შემოქმედების ფრიალ მნიშვნელოვანი დარგის გამოცოცხლება ვერ შესძლო. ამისთვის-კი დიდი მუშაობაა გასაწევი. უპირველესად უნდა გამორკვეული გვექნოდეს ის ნიადაგი, რომლისაგანაც ის არის აღმოცენებული, ხოლო შემდეგ უნდა დაეკვირდეთ იმ ღონეობასა და წესს, რომლითაც ეს სხვადასხვა წარმოშობის ელემენტები სახეებად არის გამოყვანილი. ცნობილია, რომ ჩუქურთმებისა და არშების ძთელი ნაირ-ნაირობა შესაძლებელია სამ-ოთხ მთავარ ჯგუფად გაიყოს მააი შემადგენელი ელემენტების სადაურობისდა მიხედვით. მაგალითად, ზოგი სახეები გეომეტრიული ხაზებისა და ნაკვეთების ხლართების კომბინაციებისაგან შედგება, ზოგი კიდევ მცენარეულისა, ზოგი ცხოველური სამყაროს სახეების სტილიზაციისა წარმოადგენს. დასასრულს, ბევრჯელ გეომეტრიულსა და მცენარეულს ან ცხოველურს, ანდა შერეულს მცენარეულ-ცხოველური სტილიზებული სახეების კომბინაციებიც გვხვდება. უპირველესად ქართული ხელოვნებას ამ დარგში სწორედ იმის გამორკვევაა საჭირო, რომელი სახეები, რა და რა გეომეტრიული ნაკვეთების, ან რომელი მცენარის ტოტის, ფოთლისა თუ ყვავილის, ან რა და რა დასადაური ცხოველის სტილიზაციად უნდა იქმნეს მიჩნეული.

სახეების წარმოშობილობისა და სადაურობის გამორკვევის შემდეგ უნდა შესწავლილი გვექნოდეს თვით ამ სტილიზაციის, ისევე როგორც ნაკვეთების კომბინაციებისა და კლაკნილების, ხლართებისა და გრეხილ-წნულების ჩამონაკეთის მაშინდელი წესებიც, თავისდათავად ცხადია, რომ ყველა ამასთან დაფერადების იმდროინდელი წესებიც გულდასმით უნდა გავიხადოთ სპეციალური დაკვირვებისა და კვლევა-ძიების საგნად.

როდესაც ყველა ზემოაღნიშნული საკითხი გამორკვეული გვექნება, მაშინ მდიდარი მარაგის უკვე ცხოველ წყაროსაც დაეწვავებით და ეს ჩუქურთმებისა და სახიანი არშების შეგნებულად ათვისების შესაძლებლობასაც მოგვცემს. ასე კარგად შეიარაღებულთ და ამ დარგის ხელოვნების შემადგენელი ნაწილებისა და შემოქმედების მეთოდების საფუძელთანად მცოდნეთ ამ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანისა და შემოქმედების გაღვივების წადლით ბუნებრივად დაებაღებათ. ამგვარად და ამ საშუალებით ქართული ხელოვნების ეს ოდესღაც ფრიალ მდიდარი, მშვენიერი და მრავალფეროვანი, მაგრამ ამჟამად თითქმის სრულებით მიმკვდარებული დარგი კვლავ გამოცოცხლდება და სოციალისტურ საქართველოს ახალი მშენებლობის მაღალი მხატვრული მოთხოვნილების შესაფერის ქართული ჩუქურთმა-არშების ახალ-ახალი სახეების შექმნასაც შეაძლებინებს.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გადარჩენილი ძეგლები უმეტესად საეკლესიო ნაგებობათა ჯგუფს წარმოადგენს. საერო ნაგებობათაგან არც ერთი სასახლე, გეგუთის ნანგრევებს გარდა, და არც კარგად მოწყობილი იმდროინდელი საცხოვრებელი, მთლიანად, გინდ ნაწილობრივ დაცული სახლი, ჯერ არასდამ აღმოჩენილი არ არის. საქართველოს პოლიტიკურმა უკუღმართობამ და საუკუნეთა განმავლობაში მიძღვარი და დაუნდობელი მტრების მრავალგზისმა შემოსევა-განადგურებამ ყველა ასეთი ნაგებობა იმსხვერპლა. ამიტომაც, როგორც აღნიშნული ვკეონდა, ამჟამად ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრების ზოგადი საკითხებისა და თვისებების შესახებ მსჯელობა მხოლოდ წერილობით წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით შეიძლება. ამ გზითაც, როგორც დავრწმუნდით, ბევრი რამ საყურადღებო ირკვევა. მომავალში, როდესაც მიწის ქვეშ დაფარული ნაშთების სისტემური არქეოლოგიური გათხრა მოეწყობა, საერო ხუროთმოძღვრების ისტორიის გასაშუქებლად და დამახასიათებელი თვისებების გამოსარკვევად მეცნიერებას უმეტესი ნივთიერი ნაშთიც უხვად შეემატება და მათზე ყველაფერი ნათელი გასდება. მაგრამ მანამდე და ამჟამად რაღა ვქნათ და როგორ მივიქცეთ? საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებს დავემყაროთ და ეკლესიების მაგვარი შენობების აგება დავიწყოთ? რა თქმა უნდა არა! ყოველი ხანისა და ქვეყნის ხუროთმოძღვრებას თავისი ამოცანები აქვს და წარსულის მთლიანად გამეორება არც შეიძლება და არც სასურველია. მით უმეტეს ეს ითქმის იმ დიადს სოციალისტურ მშენებლობაზე, რომელიც მიუღეს საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოს რესპუბლიკაშიც წარმოებს. მას თავისი და წინანდელისაგან იმდენად არსებითად განსხვავებული დიდი და ფართო მიზნები აქვს, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიის ჯერ არასდროს არ ჰქონია. ცხადია, რომ სოციალისტური საქართველოს ახალი, თანამედროვე მშენებლობა და ხუროთმოძღვრების მეცნიერება-ხელოვნებაც სწორედ ამ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს და მისი მოთხოვნილების სიმაღლეზე უნდა იდგეს. თეორიულად ამის თქმა ძნელი არ არის, მაგრამ საქმე ის არის, თუ პრაქტიკულად ეს ამოცანა მაინც როგორ უნდა გადაწყდეს და როგორ უნდა განხორციელდეს?

ამ საკითხის განხილვის დროს, რასაკვირველია, უპირველესად აწინდელი ვითარებას უნდა გავწიოს ანგარიში. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ჩვენი ცოდნის თანამედროვე დონე-კი ისეთია, რომ ქართული ხელოვნების აყვავების ხანის ნივთიერი, ნიადაგს-ზევით დაცული ძეგლები, ერთს ნანგრევს გარდა, თითქმის მხოლოდ საეკლესიო ნაგებობათა ჯგუფს შეადგენს. ამას შესაძლებელია გვერდით ჯერ-ჯერობით ქართულ საერო ხუროთმოძღვრებაში მარტოს ამოფეხვინოთ, რასაც წერილობით ძეგლებში და ზოგიერთი ნახატებად დაცული ცნობების მიხედვით მოპოვებული დამახასიათებელი ზოგადი თვისებების ცოდნა ვვაწვდის. ასეთ პირობებში უფლება გვაქვს თუ არა, რომ ყველაფერი, რაც-კი საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში მოგვეპოვება, უარვეყოთ და მთლიანად უკუვაგდოთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამჟამად მარტო საეკლესიო ნაგებობათა ჯგუფში გვხვდება და შესაძლებელია მათ ნიშანდობლივ კუთვნილებად ჩოგვეჩვენოს? ამას უარდა მიზანშეწონილი-კი იქნებოდა ამ ფრიად რთული სა-

კითხვის გადასაჭრელად ასეთი გეზი აგველო და ჩვენს პრაქტიკულს საქმიანობაში ასეთ გზას დავდგომოდით?

ზემოაღნიშნულ საკითხებზე შეუმცდარო პასუხის მიცემა, ერთი მხრით, თვით ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების სათავის, წარმოშობისა და განვითარების მთავარი საფეხურების ანალიზისა და გათვალისწინების შემდეგ, მეორე მხრივ კი დასახულ ასალ ამოცანებთან შეფარდებით, შეიძლება. როგორც ძველი ქართული მშენებლობის განვითარების ზოგადი მიმოხილვის დროს აღნიშნული მქონდა, ტერმინი ტაძარი, სწორედ ის სიტყვაა, რომელიც ესლა უკვე მხოლოდ საეკლესიო და სახელდობრ საკულტო ნაგებობის აღმნიშვნელად გვესმის, თავდაპირველად სრულებით სხვა ცნების, სასახლის აღმნიშვნელი იყო. მაშასადამე, იგი საერო ხუროთმოძღვრების ნაგებობის გამოხატველი ყოფილა. ეს ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რათა ამით უცილობლად მტკიცდება, რომ ქართული აღმშენებლობითი ხელოვნების პირველი საფეხური და საფუძველი საეკლესიო ხუროთმოძღვრება-კი არ არის, არამედ, პირიქით, საეკლესიო ხუროთმოძღვრება საქართველოში საეროსაგან ყოფილა წარმომდგარი და დიდი საეკლესიო შენობები სასახლეების ხუროთმოძღვრულ თვისებებზე გვექონია თურმე დამყარებული, მხოლოდ ეკლესიის მესვეურებს მათი აღნაგობა თავიანთი სარწმუნოებრივი მიზნისა და მოთხოვნებისა და მიხედვით შეუძლებელი იყო. მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ ყველაფერი, რაც ჩვენ ამჟამად საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში გვხვდება, უეჭველად მართლაც მისს კუთვნილებას კი არ წარმოადგენს, პირიქით, ბევრი რამ მას, უეჭველია, ძველი საერო ხუროთმოძღვრებებთან უნდა ჰქონდეს შერჩენილი. თუ ამ გარემოებას გავეითავლისწინებთ, მაშინ ჩვენთვის უეჭველი გახდება, რომ თანამედროვე განახლებულს ქართულ ხუროთმოძღვრებას სრული უფლება აქვს საეკლესიო ძეგლებში ძველი ქართული საერო ხუროთმოძღვრების წიაღითგან შეთვისებული და დაცული ელემენტები ისევ თავისი წინანდელი დანიშნულებისათვის, საერო განახლებული ქართული ხუროთმოძღვრებისათვის გამოიყენოს. ამგვარად, ჩვენ ძველი ქართული ხუროთმოძღვრებებთან ამ ელემენტების გამოყოფას შეეცდებით, რომელთაც წმინდა სარწმუნოებრივი და საკულტო დანიშნულება ჰქონდათ, ანდა რომელნიც უკვე სარწმუნოების სიმბოლოდ არიან ქცეული, დანარჩენი ყველაფერი შესაძლებელია, რა თქმა უნდა, დროისა და ნაგებობის სასიათის შესაფერისი მიზანშეწონილი ცვლილების შეტანით, თავისუფლად იქნეს ახალი ქართული ხუროთმოძღვრების შესაქმნელად გამოყენებული.

მაშასადამე, ამ შემთხვევაში უპირველეს ამოცანას ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების მარჯვითგან წმინდა სარწმუნოებრივი და საკულტო ელემენტების გამოყოფა შეადგენს, რაც ძნელი საქმე არ არის. მაგალითად, შესაძლებელია ითქვას, რომ შენობის სამ ნაგად და საკურთხეველ-სამკვეთლო-საღიაკენოდ გაყოფა, ვითარცა ცხადად სარწმუნოებრივ-საკულტო დანიშნულების დანაწილება, გამოსადეგი არ არის. ამნაირადვე ქართული ეკლესიების გუმბათის თავის კონსტრუქციის მოყვანილობა, ვითარცა ქრისტიანული სამლოცველოს სიმბოლოდ ქცეული საბურავი, შეუძლებელია ახალი საერო ხუროთმოძღვრების ელემენტად იქმნეს გამოყენებული, [თუმცაღა] გვეუთის სასახლის გუმბათი ცხად

ჰყოფს, რომ საერო ნაგებობის გუმბათის სახე, მაშინაც საეკლესიოსაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული ყოფილა და გუმბათის თავი საერო ნაგებობას ნახევარსფეროიანი ჰქონია. თუმცა ჯვარს თავდაპირველად ქრისტიანობასთან საერთო არაფერი ჰქონდა და ეს ნიშანი უხსოვარ დროითანვე ქრისტიანობის უწინარესაც არსებობდა, მაგრამ რაკი ის შემდეგში სწორედ ქრისტიანობის სიმბოლურ გამოხატულებად იქცა (ამიტომაც, სადაც აღმიანის თვალს ჯვარი ეცემა, უმაღლესი სარწმუნოების ანარეკლი ეჩვენება ხოლმე). ამის გამო თანამედროვე საერო ხუროთმოძღვრებას უფლება აქვს ყველაფერი, რაც ჯვარის სახეს შეიცავს, უგულებელ ჰყოს. მაგრამ ამ ემბლემის სახითგან ამოღებისა და მის მაგიერ სხვა ნახატის მოხდენილად და ხელოვნებით ჩასმის შემდგომ მისი ჩუქურთმა-არსების საერო ხელოვნებისათვის გამოყენება მთლიანად მართებულიცა და მიზანშეწონილიც იქნებოდა.

საერთოდ უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპს შენობის შინაგანი აგებულებისა და გარეგანი აღნაგობისა და სახის ჰარმონიული შეთანხმება წარმოადგენს. ხოლო დამახასიათებელ თვისებად ნაგებობათა მოხდენილი პროპორციულობისა და სიმეტრიის დაცვა სჩვევია. ამიტომაც, რაშდენდაც საქართველოს დიადი სოციალისტური მშენებლობა წინანდელისაგან, რასაკვირველია, ირსებითად განსხვავდება, ცხადია, რომ შენობათა გარეგანი სახეც უნდა შესაფერისად შეიცვალოს. ახალ ქართულ ხუროთმოძღვრების კონსტრუქციულ საკითხზე საფუძვლიანად მოუხდენათ მუშაობა და სწორედ აქ უნდა გამოძვლავნდეს ჩვენი ხუროთმოძღვრების შემოქმედებითი უნარიცა და მხატვრული ნიჭიც. ასეთი მუშაობის დროს უნდა თავითგან აცილებული იყოს ერთი მცდარ შებენილება. ზოგი ფიქრობს, თითქოს ძველი ელემენტების სხვა დანიშნულებით გამოყენება შეუწყნარებელი დანაშაულობა იყოს. სრულებით მცდარი შეხედულებაა. ბუნებაშიაც ასეა, რომ დროთა განმავლობაში და გარემოებისა და მიხედვით თავდაპირველი წინანდელი დანიშნულება იცვლება ხოლმე, და ხუროთმოძღვრების ისტორიითაც შესაძლებელია ეს უცილობლად დამტკიცდეს. სარკმელი თავდაპირველად მხოლოდ კომლის ასახველი ხრელი იყო და სახლის ბანის შუაში იყო მოთავსებული, მაგრამ შემდეგში ის ფანჯარად იქცა. ამნაირადვე საცვრიც, უძველეს ხანაში ცვრის ჩამოწვეთის მოსაწყვსრავებლად იყო შემოღებული, მაგრამ შემდეგში სამკაულად-ლა იქცა და შენობის შიგნითაც იქმნა გამოყენებული. ამისთანა მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვგონებ ესეც საკმარისია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ძველი ელემენტი რამდენად მიზანშეწონილად და მოხდენილად იქნება ახალი დანიშნულებისათვის გამოყენებული.

როგორც აღნიშნული მქონდა, თუ საქართველოში უძველეს ხანაში ქანდაკების ხელოვნება სჭარბობდა, IX—X სს-ითგან მოყოლებული უკვე მხატვრობა იყო ფართოდ გავრცელებული; ბარელიეფები და ჰორელიეფები და აღამიანის მთლიანი ქანდაკებაც ნაგებობის ხშირს სამკაულს წარმოადგენდა. თვით საეკლესიო და სხვა საკულტო შენობებიც-კი ასეთი ხელოვნების ძეგლებით-იყო ეწყული. მაგალითად შესაძლებელია ქვის კანკლების საუცხოო ნიმუშები იქმნეს დასახლებული, რომელთაგან საუკეთესოდ უნდა საფარისა და ს. ხოვლი

სა იქმნეს მიჩნეული¹. ისტორიული შინაარსის ქანდაკებაც ჰყვარებიათ ჩვენს წინაპრებს. მცხეთის ჯვარსა და ატენს, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ეკლესიებს, სამის დამადასტურებელი ჰორელიეფები, მრავალსაუკუნოვანი ხნიერებისა და მიუხედავად, ესლაც-კი საკმაო რაოდენობით აქვთ დაცული. ძველად ხომ საფიქრებელია ასეთი ძეგლები ჩვენში მრავლად უნდა ყოფილიყო. ქანდაკების ტექნიკის დიდი ცოდნა ქართულ ხელოვნებას XII ს-მდეც შეუნარჩუნებია, რაც საფარისა და ხოვლის ქვის კანკელების ჰორელიეფებითა-მტკიცდება, თუმცა უკვე X ს-ითგან მოყოლებული კედლის მხატვრობა საქართველოში ქანდაკებას გავრცელების ასპარეზს ძალზე უმცირებს და ბოლოს ხომ უკვე სჯობნის კიდევაც.

მხატვრობა IX საუკუნიდან ვრცელდება საქართველოში და ხელოვნების სხვა დარგების მსგავსად განვითარების უმაღლეს დონეს XII ს-ში აღწევს. საქართველოში მხატვრული ხელოვნების სამი მთავარი დარგი იყო გავრცელებული: კედლის მხატვრობაც მტკიცედ და ფართოდ გვქონია ჩანერგილი, მინიატურული ხელოვნებაც განვითარებული იყო და ხელნაწერების შემკობისათვის განკუთვნილი კამარების, თავსართაჟი არშიებისა და სახედაო ასოების ფერადებით წერაც ხომ ყოველი კარგი წიგნის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენდა. X—XI და XII საუკუნეებისა და ნაწილობრივ XIII საუკ. ძეგლებშიც ქართული ხელოვნების ბერძენი საუცხოო და არა ერთი პირველხარისხოვანი ნიმუშიც-კი გვაქვს დაცული. მხატვრობის უაღრესად განვითარებული ტექნიკის ცოდნა აქ ფერადოვნების გრძნობასა და კეთილშობილურ გემოვნების გამოხატულებასთან გასაოცრად ჰარმონიულად არის შეხამებული. ატენის, ვარეჯის, პეთანის, ყინციის, უბისის, ვარძიისა და სხვა ტაძრების კედლის მხატვრობა და ჯრუჭის ოთხთავისა და XIII საუკ. დასურათებული ფსალმუნის მშვენიერი მინიატურები ქართული მხატვრობის ამ ორი დარგის მაღალ დონეს საკმაო მჭიმეტყველებით გვიმოწმებენ.

სარწმუნოებრივი შინაარსის ნახატებს გარდა საქართველოში ისტორიული კედლის მხატვრობაც ფართოდ იყო გავრცელებული. იმას გარდა, რომ სამეფო სასახლეში საქართველოს ზოგიერთი სახელოვანი ლაშქრობა ყოფილა კედლის მხატვრობის სახით წარმოდგენილი და დასურათებული, ქართლის ცხოვრებაც არსებობდა. ძველ საქართველოში ისტორიული მხატვრობის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ ეს დარგი ეკლესიებში შეიჭრა. იშვიათად თუ მოიპოვებოდა ეკლესია და მონასტერი, რომლის კედელზეც დამაარსებელთა, უხვ შემომწირველთა და მოღვაწე ერისკაცთა სურათები არ იყოს დახატული. ზოგს ეკლესიაში შიგნითი კედლების მთელი კვეთი ზოლად ასეთ საერო მხატვრობას უჭირავს და ერთი და ორი ათეული ადამიანის სურათსაც-კი შეიცავს ხოლმე.

ზემოაღნიშნული მოვლენა ფრიად საყურადღებო ვარემოებას წარმოადგენს, რამდენადაც იგი ცხადად ქართული მხატვრობის მონუმენტურობისადმი ძეგლებრივი, ფართო ასპარეზის ხელოვნებისადმი განსაკუთრებულს მიდრეკი-

¹ „მეტეხის მუხუმშია“ დაცული და ზ. რუსთველის გამოფენაზე მოთავსებული.

ლებას მოწმობს და მკაფიოდ ამჟღავნებს. ძეგლებრივობის, მონუმენტურობის იერი ამჩნევია მიელს ჩვენ კედლის მხატვრობას, ეს შეადგენს მის დამახასიათებელ თვისებას. ისტორიული შინაარსის მხატვრობის გავლენა ძველ საქართველოში იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ანარეკლი ქართულს საეკლესიო მხატვრობაშიც-კი მოჩანს მკაფიოდ; უკვე XII—XIII სს. კედლის მხატვრობაში წმინდანთა ცხოვრების დასურათებელ ნახატებში წარმოდგენილი პირები ისევე არიან გამოწყობილნი, ისეთივე ტანისამოსი აცვიათ და თავსაბურავი ჰხურავთ, როგორც მაშინდელს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს ეცვათ და ეხურათ, როგორადაც ისინი ისტორიულ მხატვრობაში არიან დასურათებული. ყოფაცხოვრების გარემოს გამოხატულებაშიც ამავე სურათებზე ამნაირადვე მაშინდელი ცხოვრების ანარეკლია აღბეჭდილი. ერთი სიტყვით, ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცებული და წინანდელი პირობითი ხატვის წესის მაგიერ ქართულ ხელოვნებას ძველი ქრისტიანული გაშვებული ფორმების გამდიცოცხლებისა და გარემო მყოფი ცხოვრების სინამდვილის აღბეჭდვის სურვილი უკვე ცხადად ეტყობა. შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ აქ უკვე რეალისტური მიმართულებისადმი ერთგვარი მიდრეკილების ჩანასახი გვაქვს. უეჭველია, ისტორიული მხატვრობის ძლიერი ზეგავლენით გამოწვეული საეკლესიო მხატვრობის ხელოვნებაში ეს ახალი ცხოველყოფელი მიმართულება საქართველოს შემდეგდროინდელმა პოლიტიკურმა უკუღმართობამ და მასთან დაკავშირებულმა კულტურულმა დაქვეითებამ შეაჩერა და იმსხვერაპლა.

მონუმენტურ კედლის მხატვრობას გარდა ძველი ხანის ქართველ ხელოვანს წვრილს, წიგნების დასასურათებლად ვანკუთენილს მხატვრობაშიც, ე. წ. მინიატურებშიც, ოსტატურად შესძლება მუშაობა. ამ დარგითვანაც არა ერთი საუცხოო ძეგლი გვაქვს გადარჩენილი. რა თქმა უნდა, მაღალ დონეზე იდგა ხელნაწერების შემკულობის ტექნიკური მხარეც: კამარები, თავარშიები, საზედაო ასოები გასაოცარი ნაირნაირობით, მოხაზულობის იშვიათი სისრულითა და ფერადების მშვენიერი შეხამებით მაყურებელზე მომხიბლავს შთაბეჭდილებას სტოვებენ. მხატვრის მომგონებლობითი ნიჭი, კალმის მოსხის ჰაეროვნება და ხელის თავისუფალი მოძრაობა სწორედ რომ განმაცვიფრებელია. მართალია, შემდეგში, მაგალითად, XIV—XVIII სს., ქართული კულტურის ცნობილი მიზეზების წყალობით დაქვეითების გამო, მხატვრობის ხელოვნებაც დაკნინდა საქართველოში, მაგრამ მაინც ამ ხანაშიაც იყვნენ ნიჭიერი დახელოვნებული მხატვრები, რომელთა სახელსა და ნამუშევარს საქართველოს სამხედროებს იქითაც ჰქონდათ გზა გაკვლეული.

ათონის მთაზე განთქმულ ... *ივერს, ანუ ქართველს, გარდა, სპარსეთში კარგად [იყო] ცნობილი შიოშ-ბეგი ქართველი, XVI ს. და XVII ს. დამდგის „ღრდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი“, რომელსაც „კონტურულ ხატვაში, მთების გამოსახვისა და თმის დახატვაში“, სპარსელი ისტორიკოსის ისკანდერ მუნაშის სიტყვით, „ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა“ და ჯგუფური სურათის

* სახელია გამოტოვებული (რედ.).

ხატვაც თურმე უნაკლოდ შეეძლო¹. დასასრულ XVII საუკ, ყაზვინში მოღვაწე ქართველი მხატვარი აზნაური ჯაბადარი, რომლის მ საუცხოო ისტორიული სურათი, ქართული წარწერების შემცველი, მის იშვიათ ხელოვნებას მოწმობს, ისევე, როგორც „ქილილა და დამანას“ დამსურათებელიც, ცნაბდყოფენ რომ ამ დაქვეითების ხანაშიც მხატვრული შემოქმედების ქართული ნიჭი მაინც მთლად ჩამქრალი არ იყო.

XIX ს-ში ძველ ქართულ მხატვრობასთან კავშირი სრულებით სწყდება და ამ საუკუნის მეორე ნახევრიდან კვლავ გამოჩენილ თითო-ორიოა ქართველ მხატვარს ძველ ქართულ ხელოვნებასთან საერთო აღარაფერი აქვთ. რუსული და ევროპული მხატვრების გავლენა შიძინს ამ განახლებულს დარგში. ყველაფერი თითოეული, ცალკეული ხელოვანის ცოდნას, ნიჭსა და გემოვნებაზეა ამ დრო-ითგან მხოლოდ დამყარებული; ძველი ქართული აყვავების ხანის ხელოვნების არც ტრადიცია და არც შესწავლის წადილი და განახლების სურვილი არა ჩანს. მისაბაძ რუს-ევროპელ მხატვართა გავლენამაც უაღრესა ნაირნაირობის გამო რომელიმე მხატვრული მიმართულებისა და სკოლის შექმნასაც ხელი ვერ შეუწყო. ანარქიული მდგომარეობა სუფევს ხელოვნების ჩვენს ამ დარგში და ცალკეული ნიჭიერი მხატვრების არსებობის გარდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამჟამად უკვე ახალი ქართული მხატვრობა გვეჩინდეს თავისი დამახასიათებელი მიმართულებითა და თავისებურებით.

თუ გავიხსენებთ, რომ წარსული საუკუნის უკანასკნელ ათეულებში ორ-სამი მხატვრის მეტი ამ ხელოვნების წარმომადგენელი საქართველოს არ ჰყავდა და ესლანდელ მდგომარეობას შევადარებთ, როცა ქართველ მხატვართა რაოდენობა უკვე რამდენიმე ათეულებსაც აღწევს, ამ დარგში დიდი წარმატება, რასაკვირველია, ცხადი გახდება. მაგრამ მაინც ამ ხელოვნების ვითარებაში ბევრი რამ უჩინური და დამაფიქრებელია და ვისაც ქართული კულტურის განვითარებისათვის გული შესტკივა, [და მასთან] მისი ძლიერი წარმატებისა და ბრწყინვალე მომავლის მონატრულია, მის აწინდელ მდგომარეობას უნდა კარგად ჩაუხვირდეს და კარგისა და ავი მზარის ნაკლის აწონ-დაწონის შემდეგ ქართულ თანამედროვე მხატვრობის უახლესსა და გადაუდებელ ამოცანებზე უნდა იმსჯელოს.

უკვე მიმბაძელობათა და მიმართულებათა ნაირნაირობა ქართული თანამედროვე მხატვრობის დაქაქსულობისა, ისევე როგორც მისი თეორიული და იდეური სახის მოუმწიფებლობის, გამოჟღავნებელია.

წარსული მდიდარი მხატვრული კულტურის გაცნობისა და გონივრული ათვისებისადმი ის სრული გულგრაიობა, რომელსაც თანამედროვე ქართული მხატვრობა იჩენს, სწორედ რომ ვაუტეგბარია. მართალია, ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ზოგიერთ მხატვარს ძველი ქართული ფრესკული და მინიატურული მხატვრობის გავლენის ანარეკლი ეჩნეოდეს, მაგრამ ეს აზრი გაუგებრობაზეა დამყარებული: ფიგურების გაშეშებული, პერსპექტიულად მცირარი მდგომარეობისა და ხელების პირობითი მდებარეობის ძველი, უკვე დაქვეითე-

¹ იხ. ვ. ფუთურიძე, ისკანდერ მუნშის ცნობა მხატვრის სიაომ-ბეგის ქართველის შესახებ, «ენის, ისტორიისა და მატ. კულტ. ინსტიტუტის მოამბე», წ. III, გვ. 385.

ბის ხანის ძეგლებითგან თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში გადმოტანასა და შეთვისებას არც რაიმე გამამართლებელი საფუძველი მოეძებნება და ვერც პროგრესიულ, გამაყაფიერებელ მოვლენად ჩაითვლება. წარსულის კულტურაში საუკეთესო და საქებური თვისებებია მისაბადი, ისეთი თვისებები, რომელთა ღირსებაც საუკუნეთა განმავლობის განსხვავებისა და მიუხედავად ესლაც ცხადად მოჩანს, თორემ რა აზრი აქვს დაქვეითების ხანის ფიგურათა გაშეშებული მდგომარეობის, დაპრანჭულობისა და ნახატის ტექნიკური უმწეობის ძველი ქართული მხატვრობის მისაბაძავ მავალითად ან მიჩნევას, ანდა მის ნიშანდობლივ თვისებად გასაღებას, როდესაც ქართული ხელოვნების აყვავების ხანის ძეგლებში ნახატის ტექნიკის სრული ცოდნაცა და ფიგურების მოძრაობისა და სულიერი ვრძნობის ცხოველი გამოხატულება მოგვეპოვება. ე. წ. პრიმიტივები ველურ ტომათვის შესაძლებელია საქებურად იქნეს მიჩნეული, მაგრამ ისეთი ძველი და მაღალი მხატვრული კულტურის პატრონი ერისათვის, როგორც ქართველები არიან, მხოლოდ დამამცირებელი და დამაქვეითებელია.⁴

ნახატის მოხაზულობის, კონტურების სისუსტე და ზოგჯერ უმწეობაც კი ეტყობა XV—XVIII სს. როგორც კედლისა, ისევე ხელნაწერების სურათებს, და ეს, რასაკვირველია, კულტურული დაქვეითების შედეგია. მაგრამ შესაძლებელია თუ არა რითმე გამართლებული იყოს ის ტექნიკური უმწეობა, რომელიც თანამედროვე ქართველი მხატვრების არა ერთს სურათს უმჩნევა, როგორც მოხაზულობისა, ისევე ფერად საღებავების მწრივ? ბენდიერი, მხიარული, თუ სხვა გუნებაზე მყოფი ადამიანის მაგიერ, როგორც წარწერაშია აღნიშნული ხოლმე, ზოგჯერ გაშეშებული, გარინდებული, უსიცოცხლო გამომეტყველების ისეთი ნაკვთის ნახატს ნახავს. ადამიანი, როგორც საბარბეშო ნაწიკენებია ხოლმე. თუ ვინმე ან ტექნიკურ უმწეობას ძველი ქართული ხელოვნების შემოაღნიშნული ხანის ნიმუშებით გამართლებას მოისურვებს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ქართულ ხელოვნებას ამაზე უწინარეს ისეთი მაღალხარისხოვანი მხატვრობა ჰქონდა, როგორც ატენს, უბისს, ყინცივისს, გარეჯას, ჯრუჭსა და ბევრგან სხვაგანაც არის დატული, სადაც მოხაზულობის, კონტურებისა და საღებავების ზერადების შეხამების საუცხოო ცოდნა მოჩანს მკაფიოდ.

საკმარისია, ადამიანი ყინცივისს კედლის მხატვრობის თამარ მეფის სურათს დაუკვირდეს, რომლის ფერადები უკვე გადასულია და ამის წყალობით პირისახის კონტური კარგად განირჩევა, ან ატენის ხარებისა და მამფრინავი ანგვლოზის ექსპრესიას მიაქციოს ყურადღება, გინდ ჯრუჭის მინიატურების, ჩარჩოებისა და სახედაო ასოების მოხაზულობა გადასინჯოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მაღალ დონეზეა მაშინდელი ქართული მხატვრობის ტექნიკური ცოდნა ხელისა, რა თავისუფალი მოსმა [და] პეროვანი დახატვა სცოდნია ხელოვანს. ამიტომაც ასეთი მაღალხარისხოვანი მხატვრული ძველი კულტურის მემკვიდრეს, თანამედროვე ქართველ მხატვარს, თავისი ხელოვნების ტექნიკის სუსტი ფლობა ვერასგზით ვერ ეპატიება, იმასაც რომ თავი დავანებოთ, რომ მას თვალწინ ისეთი დიდი მხატვრული კულტურაც აქვს, როგორც დას. ევროპისა და რუსული მხატვრობაა.

უნებლით იპყრობს დამკვირვებელს ყურადღებას ის ერთფეროვნება

და სიღარიბე, რომელიც ჩვენი თანამედროვე მხატვრობის შინაარსს ემჩნევა. ქართულ მხატვრობას თითქმის სრულებით არა ჰყავს მთელი ისეთი დიდი დარგების წარმომადგენლები. როგორც ბუნების ამსახველი პეიზაჟი, ყოფაცხოვრების გამომხატველი ქანრი და ისტორიული მხატვრობაა. ვთქვათ, ისტორიული მხატვრობის დარგი რთული და ძნელია, რაივან ამისთვის პოლიტიკური და ნივთიერი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნაა საჭირო, ეგების უკეთესიც იყოს, რომ აქამდის ქართველი მხატვრები, ორიოდ გამონაკლისს გარდა, ამ დარგს ერიდებოდნენ, მაგრამ დანარჩენი ორი ზემოდასახელებული დარგის შესახებ ხომ ამის თქმა არ შეიძლება. სწორედ გასაოცარია, რომ ისეთი მონიბლავი და ლამაზი, თანაც მრავალფეროვანი და დიდი ბუნებისა და ქვეყნის შვილებს, ქართველებს, არც ერთი პეიზაჟისტი არა ჰყავთ, იმ დროს, როდესაც გაცილებით უფრო ნაკლებ ლამაზი და მწირიც-კი, უფრო ერთფეროვანი ქვეყნების მხატვრებს, როგორც, მაგ., რუსებსა და დას. ევროპელებს, ბევრი პირლვეხარისხოვანი პეიზაჟისტი ჰყავდათ და ჰყავთ ეხლაც [რომელთაც] მრავალი საუცხოვო ნაწარმოები აქვთ შექმნილი. დას. ევროპისა და რუსეთის მუზეუმები და სამხატვრო გალერეები სავსეა ამ დარგის ისეთი სურათებით, რომელთა მშვენიერებითაც მაყურებელი იმდენად მოხიბლულია, რომ მოწორება ეძნელება ხოლმე.

ყველაფრის გაგება შეიძლება. ამ უცნაურობის ახსნა ძალიან ძნელია. რატომ არის, რომ თანამედროვე საქართველოს, ამ სამოთხის მსგავს ბედნიერსა და თვალწარმტაც ქვეყანას ჯერ არც ერთი პეიზაჟისტი არ წარმოუშვია? ნუთუ ქართველი მხატვრის თვალი, მისი სამშობლოს ბუნების მრავალფეროვანსა და დიად მშვენიერებას ვერ ხედავს, [იგი] მის გულსა და გრძნობას, მის კვლასა და გონებას არაფერს ეუბნება? ქართული ხელოვნების უნაყოფობა სწორედ რომ განმაცვიფრებელია. ეტყობა, რომ ქართველი მხატვარი ნაკლებ ყურადღებას აქცევს და აკვირდება იმ ბუნებას, რომელიც ამ ხელოვნების საუკეთესო მასწავლებელია.

თუმცა უფრო ნაკლებ, მაგრამ მაინც უცნაურია, რომ ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრების კარგი და ავი მხარეების ამსახველი მხატვრობაც თითქმის არ გამხდარა ჯერ საქართველოში ხელოვნების სათანადო დარგად, მაშინ როდესაც დას. ევროპაში უკვე რამდენიმე საუკუნეა (რუსეთში კი წარსული საუკუნის შუა წლებითგან მოყოლებული) ამ სფეროში ბევრა საუცხოო სურათია შექმნილი, რომელთაგან არა ერთი ხელოვნების პირველხარისხოვანს, მსოფლიო ხელოვნების ძეგლად არის ცნობილი. ჩვენი მხატვრების საქმიანობა პორტრეტულს ასპარეზს იშვიათად სცილდება და ამ დარგში მხოლოდ მცირეოდენი ნაწარმოები მოგვეპოვება, რომელიც მნახველის ყურადღებას მართლაც ხიბლავდეს. გაცილებით უფრო მეტად ეტანებიან ჩვენში პორტრეტულ მხატვრობას, და აქ ზოგი მართლაც რომ სათანადო ცოდნითა და ნიჭით არის აღბეჭდილი.

ესლა რომ ისტორიულ მხატვრობაზე გადავიდეთ, ჩვენი წარსული გმირობისა და სამშობლოსათვის თავგანწირულობის იშვიათი მაგალითებით არის სავსე, ისევე როგორც ქვეყნისა და ხალხის ინტერესების გამცემლობა და დალატიც არა ერთხელ ყოფილა. ჩვენს ისტორიას დრამატიული და ტრაგიკული ამბები და მდგომარეობაც მრავალი ახსოვს და დაცული აქვს. გასაოცარია,

რომ ასეთი უხვი და საგულისხმო თემებიც ქართველი მხატვრის შემოქმედებით ნიჟს არ იზიდავდა და არ იზიდავს. თუ წინათ ასეთი გულგრილობის გასამართლებლად წარსულისადმი ნიჟლისტური დამოკიდებულების დასახელება შეიძლებოდა, ესლა ხომ უმოქმედობისათვის ასეთი მოსაზრების მოშველება უკვე შეუძლებელია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ისტორიულ თემებს თანამედროვე ქართველი მხატვრები იმიტომ ერიდებიან, რომ აქ დიდი ცოდნა და წინასწარი მოსამზადებელი მუშაობაა საჭირო. მაგრამ უშრომლად არც ერთი დიდი საქმე არ კეთდება და ამით ამ დარგში აწინდელი მდგომარეობის არც გამართლება და არც გაგრძელება არ შეიძლება.

დასასრულად, წიგნის მხატვრული შემკობისათვის განკუთვნილს ხელოვნებაზეც. ძველს ქართულ მწიგნობრობას, როგორც ცნობილია, ამ დარგში საუცხოვო ძეგლები აქვს შექმნილი. ტექსტის შინაარსის დამსურათებელი ფერადი საუცხოვო ნახატები ძველისაცა და მერმინდელი ხანისაც არა ერთი მოგვეპოვება. თვით ტექსტის მხატვრულ დამწერლობას, კამარებს, არშიებსა და სახედაო ასოებზეც ჩვენი ძველი ხელოვნების წარმომადგენლები გულმოდგინედ და გატაცებით მუშაობდნენ. ისიც კი, რაც შოთა რუსთაველის ხანის საიუბილეო გამოფენაზე გვაქვს წარმოდგენილი, საკმარისია იმის დასაზრუნებლად, თუ რადინდა მიაღლი იყო იმდროინდელი დონე ჩვენი წიგნების მხატვრული შემკობის დარგში. ვერაფერს, ოდნავადაც მსგავსსა და ღირსეულს ჩვენ XIX—XX სს. ამ ასპარეზის ნამუშევარში ვერ დავუპირისპირებთ. ჩვენი სასტამბო შრიფტი მხატვრული თვალსაზრისით არაფერ სახარბიელოს არ წარმოადგენს. ჩვეულებრივს გარდა ჩვენ არაფერი არ გვახდია, კურსივით არ მოგვეპოვება და განსხვავებული შრიფტებიც მხოლოდ ისტორიულ ნაშთად არის ქცეული. მხატვრული დამწერლობისა და წიგნების გაფორმება-დამშვენებაზე არავინ ზრუნავს, სახედაო ასოების ხსენებაც კი აღარ არის. ასეთ პირობებში რა გასაკვირველია, თუ რომ ჩვენი გამოცემლობის ტექნიკა ჩამორჩენილია. ამიტომაც მხატვრულად, ლამაზად დაბეჭდილ-შემკული წიგნის გამოცემა ჩვენში რაც უნდა ვეცადოთ, ასეთს პირობებში ძალიან ძნელია, შეუძლებელიც-კია. აღარას ვიტყვი წიგნების დასურათებაზე. ამ დარგში საგანგებოდ მომუშავე არავინ გვყავს და, ორიოდე გამონაკლისს გარდა, ოდნავად მაინც საყურადღებო ჯერ არაფერია შექმნილი. ამ ასპარეზზე, წიგნების ილუსტრაციებზე, სერიოზული საქმიანობა, როგორც ჩანს, მხოლოდ ესლა შეიძლება დაიწყოს. ვიმეორებ, ახლობელ წარსულთან, XIX საუკ. მეორე ნახევართან შედარებით, მხატვრობის ხელოვნებაში საქართველოს უეჭველია დიდი ნაბიჯი აქვს წადგმული, მაგრამ მაინც მხოლოდ თავის მოტყუება იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ესლაც თავისებური ქართული მხატვრული ხელოვნება არსებობს, ისევე, როგორც ძველად, მაგალითად, X—XIII ს. და შემდეგს საუკუნეებში იყო. თანამედროვე ქართულ მხატვრობას ზოგიერთ, მიღწეულებასთან ერთად, როგორც დავრწმუნდით, ბევრი ნაკლიც აქვს. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ამ ხელოვნებას საქართველოში ჯერ მკვიდრი საფუძველი არა აქვს. ვისაც ქართული ხელოვნების შეუჩერებელი წარმატება ჰსურს და ვინც მხატვრული მაღალხარისხოვანი ეროვნული თავისებურების აყვავების მონატრულია, ის დამეთანხმება, რომ ყველა ზემოაღნიშნული

ნაკლის აუცილებელი აცილება და ამ მიზნის სრულებით მიღწევა შეუძლებელია. ყოველი ნაკლის აცილება და შეესება-კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდება, თუ თითოეული ამ ნაკლთაგანის მიზეზი გამორკვეულია და საქმის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებაც გათვალისწინებულია. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ მარტო იმ ხელოვნებას შესაძლებელია ჰქონდეს ფართო მომავალი და განვითარების შეუფერხებელი წარმატებაც უზრუნველყოფილი, რომელიც ერის ცხოვრების მაჯისცემას ყურს უგდებს, მის გულისნადებს აკმაყოფილებს და მისი გონებრივისა და ესთეტიკური დაწინაურების ხელის შემწყობია. ამიტომაც, თუ ჩვენ ქართული მხატვრობის ბრწყინვალე მომავლის მართლაც და გულწრფელად მონატრული ვართ, უნდა სერიოზულად ჩავუყვარდეთ იმ ამოცანებს, რომელსაც ცხოვრება მხატვრულ ხელოვნებას ამჟამად უყენებს.

რა სჭირდება მხატვრობის დარგში სოციალისტურ საქართველოს და რა ამოცანები აქვს ამ ხელოვნებას სხვადასხვა დარგში? ცნობილია, რომ, ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც დიდი მშენებლობა წარმოებს: პარტიული და სახელმწიფო დაწესებულებათათვის სასახლეები, უმაღლესი სასწავლებლებისათვის დარბაზები და სხვადასხვა ლაბორატორიები, მუზეუმები, თეატრები, მრავალი საწარმოო და საეკპრო დაწესებულება, უნივერსალური მულაზიებს, ქარხნები, ხალხის ჯანმრთელობისათვის განკუთვნილი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სავადმყოფოები და სხვაც ბევრი. რამ შენდება. მთელი ამ ფართო მასშტაბით წარმოებული მუშაობისათვის თუ არა, სასახლეების, უმაღლესი სასწავლებლების, მუზეუმებისა და თეატრების ნაგებობათათვის მინც მხატვრული შემკულობა ხომ აუცილებელია! ქანდაკების სხვადასხვა სახეობა და კედლის მხატვრობა, უქველია, ასეთ მშენებლობაში შესაძლებელც არის. და უნდა კიდევაც [მას] ფართო ასპარეზი დაეთმოს. ამ მშენებლობის არაჩვეულებრივი გასაქანი და დასახული მიზნების დიადობა, ცხადია, ამ უზარმაზარ და მოზრდილ ნაგებობათა მარტო გარეგნობას არ უნდა ემჩნეოდეს, არამედ, რა თქმა უნდა, მათი მხატვრული შემკულობაც ამავე თვისების მქონებული უნდა იყოს, თუ ამ გარემობას გავითვალისწინებთ, უქველი განდება, რომ ჩვენ თანამედროვეობას აუცილებლად ძველებრივი მონუმენტური ქანდაკება და კედლის მხატვრობა სჭირდება. უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა და თეატრების დარბაზებში მეცნიერების, ხელოვნებათა განვითარების უმთავრესი საფეხურების სიმბოლურად გამოხატული და მსოფლიო მნიშვნელობის მქონებელ მეცნიერ-ფილოსოფოს-ხელოვანთა ქანდაკებებითა და მხარათებით კედლებს შემკობაც ჩვეულებრივი და ბუნებრივი მოვლენაა. მუზეუმებში სხვადასხვა ერთა წარსული კულტურისა და სხვადასხვა ქვეყნების ბუნების დამსურათებელი ნახატებით კედლების შეკმობა ხომ აუცილებელ საჭიროებად არის მიჩნეული! თავისდათავად იგულისხმება, რომ პოლიტიკური, სოციალური და რევოლუციური ბრძოლის უდიადესი მომენტებისა და გმირებისა და ბელადების სურათებიც შეუძლებელია ამ დიად სათანადო ნაგებობათა მშენებლობის გეგმაში შეტანილი არ იყოს. ყველა ზემონათქამის შემდეგ, მაშასადამე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ ხელოვნებას ძველებრივი, მონუმენტური ჰორელიეფები და კედლის

მხატვრობა სჭირდება აუცილებლად. ამ დარგს-კი ჩვენი მხატვრები არც-კი ეკარებინან. იმ წარსულის დიადი მემკვიდრეობის შემდგომ, რომელიც ძველი ქართული კედლის მხატვრობის სახით გვაქვს დაცული, სწორედ გასაოცარია, რომ ქართველ ხელოვნთა თანამედროვე თაობას ამ დიდი და ფართო გასაქანის მომცემი დარგისადმი ასეთი გულგრილობა ემჩნევა. ადამიანს ეგონება, თითქოს მონუმენტურობისადმი ის მისწრაფება და გრძნობა, რომელიც ძველ ქართულ მხატვრობას ასე მძლავრად ასულდგმულვდა და ძალ-ღონეს აძლევდა, [რათა] ხელოვნების მაღალხარისხოვანი, მომხიბლავი ძეგლები შეექმნა, ამჟამად მასში სრულებით ჩამქრალი იყოს. თუ აქამდის ქართველ ხელოვანს ცხოვრების ვითარება ამ დარგში მუშაობისათვის ხელს ვერ უწყობდა, ეხლა ხომ დიადი სოციალისტური მშენებლობა საშუალებას აძლევს და მისცემს, უფრო მეტად მომავალში, ამ დარგში თავისი უნარი და ნიჭი გამოიჩინოს. მაგრამ მას უნდა ახსოვდეს, რომ ამისთვის მარტო წადილი და ნიჭი არ კმარა. არამედ შესაფერი-სად მაღალი ცოდნა, დიდი განსწავლულობა და ჯეროვანი გამოცდილებაც არის აუცილებელი.

მეორე ამოცანა ზემოხსენებულ პირველ ამოცანასთან არის იდეურად მჭიდროდ დაკავშირებული. ვგულისხმობ ქართული ისტორიული მხატვრობის დარგის აუცილებლობას. მხს შემდეგ, რაც ხალხთა ბელადის, დიდი სტალინის ბრძნულმა ჩარევამ ისტორიას თავისი მნიშვნელობა და შინაარსიანობა დაუბრუნა, ცოდნის ამ დარგს შეეძლო ადამიანის აღზრდა-განათლებლაში, ხალხის კულტურულ განვითარებაში, კვლავ ღირსეული ადგილი დაეკავებინა; ფორმაციითა წინანდელი სქემატური, მშრალი ფორმულების გროვის მაგიერ სამშობლოსა და ერის კეთილდღეობისა და დამოუკიდებლობისათვის გმირული და თავგანწირული ბრძოლის, მტრის უხეშო ბატონობისადმი წინააღმდეგობის გააწევის, სოციალ-ეკონომიურ უთანხმოებათა მოძრაობისა და აჯანყების ამბებს, ყველა ამ ნი-ადავზე აღმოცენებულ დრამატიულ და ტრაგიკულ მდგომარეობას, ინტერესთა შეხლა-შემოხლასა და სულიერი გრძნობის ბრძოლას ყოველი ერის თავგადასავლის მოთხრობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცია.

რუსეთში და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც ამნაირს საკითხებსა და თემებზე ბევრი რამეა უკვე დაწერილიცა და გამოქვეყნებულიც. ჩვენ მხოლოდ ჩამოვრჩით და ამ დარგში ჯერ თითქმის არაფერი ვაგვიკეთებია, მაგრამ ის დიდი და ღრმა ცვლილება, რომელიც ისტორიის გაგება-გაშუქებას დაეტყო, მარტო ამ მეცნიერებს არ ეხება. ამ გარემოებამ ხელოვნების სხვადასხვე დარგებსაც—მხატვრულ მწერლობას, სახეით ხელოვნებას, მხატვრობა-მუსიკასაც შემოქმედების ფართო ასპარეზი გაუხსნა, დიდი პერსპექტივები გადაუშალა და სრულებით გარკვეული ამოცანა დაუსახა. კერძოდ სწორედ მხატვრობას გაუჩნდა საგულისხმო და ფრიად მიმზიდველი ამოცანა: საქართველოშიც უნდა შეიქმნას ისტორიული მხატვრობის დარგი, რომლის მრავალი ბრწყინვალე ძეგლი დასავლ. ევროპისა და რუსეთის ხელოვნებას წარსულშიც შექმნილი ჰქონდა და ეხლაც ბევრი რამ ექმნება.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და სვე-ბედის ცვალებადობით სავსე წარსული მხატვრობის ამ დარგს უხვს მასალას მიაწვდის და ხელოვანსაც შე-

მოქმედებითი ნიჭისა და ცოდნის გამომჟღავნების ფართო საშუალებას მისცემს. ისტორიული მხატვრობის დარგი იმ მხრივაც არის ძვირფასი, რომ აქ ხელოვნის უნარს უფრო მეტი ვასაქანი და არჩევანი ეძლევა: ამ დარგში დიდი, მოწმენტიური, ძველმბრძოლი და პატარა საილუსტრაციო სურათებიც არის საჭირო და ყოველს მომუშავეს აქ სურვილისამებრ შეუძლია იმოქმედოს. მგონია, ბევრი არც მსჯელობა და დასაბუთება საჭირო არ უნდა იყოს, რომ თანამედროვე ქართულმა ხელოვნებამ თავის სავალდებულო და გადაუდებელ ამოცანად პეიზაჟისა და ჟანრის დარგების შექმნა უნდა დაისახოს.

დასასრულად, წიგნის საილუსტრაციო და შემკულობის დარგიც, რომელსაც ძველ ქართულ მხატვრობაში ასეთი სიყვარულით მისდევდნენ და რომელიც ფრიად მაღალ დონეზე იყო, ქართულმა თანამედროვე ხელოვნებამაც, ცხადია, განსაკუთრებულ ამოცანად უნდა დაისახოს. ის მდიდარი მემკვიდრეობა და მრავალმხრივი გამოცდილება, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ამ დარგში დაგვიტოვეს, მის აღდგენასა და აღორძინებას სხვა დარგებზე მეტად გავვიადვილებს. აქ დიდი საშუაოა ვასაწევი, რათგან წიგნის საილუსტრაციო და მხატვრული შემკულობის ხელოვნება ჩვენში მეტად ჩამორჩენილია და ამჟამად დაბალ დონეზე იმყოფება.

რა ღონისძიებაა ბოლოს და ბოლოს საჭირო, რომ ზემოაღნიშნული ამოცანები გადაჭრილი იყოს? ამისთვის ჩენი ნაკლი უნდა გვქონდეს ზოგადად აღნიშნული.

უპირველესად ჩვენ თეორიული და ისტორიული ცოდნა გვაკლია. როგორ შეიძლება ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის დარგები განვითარდეს, თუ რომ შესაფერისი სამეცნიერო დარგები არ გვექნება. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაზე პროფ. ვ. ჩუბინაშვილი ნაყოფიერად მუშაობს და არა ერთი საყურადღებო გამოკვლევატ აქვს გამოქვეყნებული. სასურველი და საჭიროა, რომ ამ საგანში მეტი მკვლევარი გვყავდეს და წინასწარი მუშაობის საწარმოებლად, მასალების შესაგროვებლადაც მეტი ქონებრივი სახსარი იყოს გამოიღებულ. მხატვრობის ისტორიის შესწავლა ჯერ მხოლოდ იწყება. ამ დარგში პროფ. შ. ამირანაშვილი მუშაობს, რომელსაც რამდენიმე საგულრისხმო გამოკვლევატ უკვე დაბეჭდილი აქვს კიდევაც. მხოლოდ აქ იმოდენა საქმეა ჯერ კიდევ ვასაგეოვებელი, იმოდენა მასალაა ჯერ კიდევ აღსანუსხავ-ასაწერი, შესაგროვებელი და სასწრაფოდ გადასარჩენი, რომ, თუ დროზე ამ დარგსაც ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, შესაძლებელია ახლო მომავალში დაგვიანებული იყოს და ზოგი კედლის მხატვრობა ისე დაიღუპოს, რომ მისი კვალიც-კი აღუბეჭდავი დავგრძის. ეს იმდენად უდიდესი დანაშაული იქნებოდა ხელოვნების ისტორიის წინაშე, რომ მისგან პასუხისმგებლობის თავის ღალწევას ვერავითარი საბუთიანობით ვერ მოვახერხებთ.

მეორე მასალი ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის ანორმალური, ნაყოფიერი განვითარებისთვის მარტო მათი ისტორიის შესწავლა არ კმარა, თეორიაც აუცილებლად არის საჭირო. ქართული ხუროთმოძღვრების ნაგებობათა ზოგადი და თითოეული ცალკეული ნაწილის პროპორციების, სიმეტრიისა და შეფარდების მათემატიკური ფორმულებიც თუ გამოარკვეული არ იქნა, თუ ჩუ-

ქურთმა-არშიების შემადგენელი ნაწილების კომბინაციათა ზოგადი პრინციპების, მასალის დამუშავებისათვის შემაკავშირებელი ხსნარები და სხვა ტექნიკური საკითხები შესწავლილი არ გვექნება, ძველი ამ დარგის ხელოვნების სათანადო სიღრმით შეფასებაც შეუძლებელი გახდება და ახალი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარებისათვისაც მტკიცე საფუძვლის დამყარება უამისოდ ტყუილი მცნება გამოდგებოდა. ასევეა ძველი მხატვრობის ისტორიასთან ერთად, მხატვრობის ტექნიკური მეთოდების, ღონეობისა და საშუალებათა შესწავლა აუცილებელი. ჩვენში-კი ჯერ ფერისა და ფერადი საღებავების ძველი ქართული სახელების შესწავლა-კი, არავის უცდია და ასეთი საკითხისათვისაც-კი თავი არავის შეუწუხებია. სხვა უფრო რთულზე რაღა ითქმის! ამგვარად, ჩვენმა სამხატვრო აკადემიამ და საალმშენებლო ინსტიტუტთა, ხუროთმოძღვართა და მხატვართა კავშირებმა, (ჯხადია, სათანადო დაწესებულებებმაც უნდა ისრუნონ, რომ ზემოაღნიშნული თეორიული საგნებისათვის სპეციალისტები მომზადდნენ და ამ ამოცანებზე გაცხოველებული კვლევა-ძიება და მუშაობა არის საჭირო. მაგრამ, რა თქმა უნდა, მარტო ამით საქმეს ვერ [...] *.

ხელოვნება მარტო ახსნიოდ არ შეიძლება, მავალითები უნდა ჰქონდეს ახალგაზრდებს, აკადემიკოსებს უნდა ჰქონდეს კლასიკური სურათები და ამ სურათების მიხედვით უნდა შექმნან მშვენიერი გამოსახვა. ამ მხრივ ცუდ მდგომარეობაში ვართ, არც ერთი მუზეუმი არ არსებობს თბილისში, რომელსაც ისეთი ფართობი ჰქონდეს, რომ ის განძეული, რომელიც აქვს, გამოფინოს. ამას უნდა მიექცეს [სათანადო] ყურადღება. როგორ შეიძლება ახალგაზრდა მხატვარმა ისწავლოს, თუ საშუალება არ ექნება ათვისის ძველი მემკვიდრეობა.

ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მემკვიდრეობის ათვისებაზე, [მაგრამ] რა ვხიოთ [უნდა მოხდეს ეს].

